

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

# ისტორია შეუღლამაზებლად

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“  
თბილისი 2014

წინამდებარე კრებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და ხელდასხმით იბეჭდება. მასში XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ცალკეული ეპიზოდებია წარმოდგენილი. ზოგიერთი მასალა პირველად ქვეყნდება და ამდენად, საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

კრებულში დაბეჭდილი მასალების ავტორები არიან: აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**, მამუკა გიორგაძე, პროფესორი **ვანტანგ გურული**, პროფესორი **გოჩა საითიძე**, პროფესორი **ჯაბა სამუშია**, პროფესორი **ვანტანგ სართანია**.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

კრებული შეადგინეს პროფესორმა **ვანტანგ გურულმა** და ისტორიის დოქტორმა **ლევან ჯიქიამ**

რედაქტორები: აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**

ISBN 978-9941-9382-5-2

## წინასიტყვა



## საქართველოს ეკლესია XX საუკუნის 50-70-იან წლებში

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 116-წლიანი მონობისაგან განთავისუფლდა 1917 წლის 12 (25) მარტს და შეუდგა იძულებით შეწყვეტილი ისტორიული მისიის შესრულებას. უწმიდეს-მა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ თავისი როგორც ეკლესიის საჯეტმპყრობლის მისია ასე ჩამოაყალიბა: „განმტკიცება ახლად აღდგენილი ეკლესიისა მის ისტორიულ უფლებათა ფარგლებში... განთავისუფლებული ეკლესია კვლავ უნდა დაუბრუნდეს ერის მთლიან გვამს, რათა ვიყვნეთ ყოველნი ერნი ერთ გვამ და ერთიორად ვიღვწოდეთ საერთო წარმატებისათვის... ეკლესია მუდამ ედგა დარაჯად ქართველი ერის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას; ეს იყო ერთგვარი დროშა, რომლის ქვეშ ღვიოდა ნაპერწკალი ქართველთა სოლიდარობის იდეისა, ეკლესიამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს განმტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ვიპოვოთ შესაფერისი და დამსახურებული ადგილი“.

XX საუკუნის 20-50-იანი წლების საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია იყო უმაგალითო დევნა-შევიწროებისა და მისი შვილების მსხვერპლად შეწირვის ისტორია. ბოლშევიკურმა ტოტალიტარულმა სისტემამ ადმინისტრაციული წესით დახურა ან დაანგრია 1000-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი, იძულებით განმოსა ან დაატუსაღა 1200-ზე მეტი სასულიერო პირი, საბჭოთა სისტემის დალატის ბრალდებით დააპატიმრა საკათოლიკოსო საბჭოს მთელი შემადგენლობა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მეთაურობით, დახვრიტა 100-ზე მეტი სასულიერო პირი, მათ შორის – ორი მღვდელმთავარი (ნაზარი ლეჟავა, ვარლამ მანარაძე). რელიგია და სასულიერო პირები მშრომელთა მტრებად გამოცხადდნენ. 1939-1940 წლებში სახელმწიფოს მიერ დაწესებული გადასახადების გადაუხდელობის საბაბით ადმინისტრაციული წესით დახურვის საფრთხე დაემუქრა სიონისა

და სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრებს. შექმნილი ვითარებით შეძრ-  
წუნებულმა კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა კალისტრატემ საგანგებო  
წერილით მიმართა საქართველოს მთავრობას, მმართველი პარტიის ცენ-  
ტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს. „დახურულ  
ეკლესიათა შორის – წერდა მისი უწმიდესობა – არის მსოფლიოში  
სახელგანთქმული მცხეთის „სვეტიცხოველი“, რომელიც ცნობილია არა  
მარტო იმით, რომ იშვიათი ისტორიული ძეგლია, არამედ უმთავრესად  
იმით, რომ ის არის ქართველი ერის აკვანი და ემბაზი. ჩვენი ხალხისა და  
ეკლესიის ურყევი ტრადიციით საქართველოს ეკლესიის მამამთავრის, კათა-  
ლიკოს-პატრიარქის კურთხევა უეჭველად უნდა მოხდეს სვეტიცხოველში.  
ამიტომ ხსენებული ტაძრის არამოქმედ ეკლესიად გადაქცევა პირდაპირი  
ნაბიჯია ათეულსაუკუნოვანი ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებისაკენ“.  
ასეთ რთულ ვითარებაში უხდებოდათ მოღვაწეობა საქართველოს მართლ-  
მადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლებს – უწმიდესსა და უნეტარესს  
ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს. ეკლესიისადმი ხელისუფლების  
დამოკიდებულება შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. 1943 წლის  
31 ოქტომბერს რუსეთის ეკლესიამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს  
მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია, გაიხსნა ად-  
მინისტრაციული წესით დახურული ეკლესიები, მაგრამ მოსახლეობის უმ-  
რავლესობა დაშორდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას, თუმცა იყო გამ-  
ონაკლისებიც... ასეთები იყვნენ მომავალი პატრიარქის მშობლები გიორგი  
სიმონის ძე შიოლაშვილი და ნატალია იოსების ასული კობაიძე, რომლებიც  
1927 წელს დროებით საცხოვრებლად ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოდან  
ვლადიკავკაზში გადავიდნენ.

1933 წლის 4 იანვარს ოჯახს ახალი წევრი შეემატა, დაიბადა ვაჟი,  
რომელსაც მამამ მეფე ერეკლე II-ის პატივსაცემად ირაკლი დაარქვა. იმ  
დროს ვლადიკავკაზში ჯერ კიდევ იყო წმიდა ნინოს სახელობის ქართული  
ეკლესია, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იუ-  
რისდიქციაში შედიოდა. ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ტარასი კან-  
დელაკი, კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ყოფილი მდივანი, გაჭირვებით,  
მაგრამ მანაც ახერხებდა ეკლესიის დაცვას როგორც ადგილობრივი საერო,  
ასევე სასულიერო ხელისუფლების შემოტყვევისაგან.

პატარა ირაკლი მონათლეს წმიდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში. მისი ნათლია – მონაზონი ზოილე დვალიშვილი – დიდი ხნის განმავლობაში მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარი იყო. ნათლიას ნათლული ზმირად ჩამოჰყავდა მცხეთაში. ერთხელ, სვეტიცხოვლობაზე, მან ყმაწვილი ირაკლი უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესთან მიიყვანა და დაალოცვინა. მომავალი პატრიარქის მრავალრიცხოვანი ოჯახი (დედა, მამა, ძმები: თეიმურაზი, შოთა, ვიქტორი, და – ნინო) ყოველდღე ლოცულობდა. „არ მასხოვს ჩემი თავი უფლისადმი რწმენისა და სიყვარულის გარეშე... თვით ჩემი ოჯახი იყო მორწმუნე და მშობლები ბავშვობიდანვე გვინერგავდნენ ღვთის სიყვარულს. სახლში მუდამ გვქონდა ხატები, აუცილებლად ერთო კანდელი, ყოველ შაბათ-კვირას ეკლესიაში დავდიოდით,“ – იხსენებს მისი უწმიდესობა.

გიორგი შიოლაშვილის ოჯახი მჭიდროდ იყო დაკავშირებული დღესამშობლოსთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძესთან. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გამყარდა 1938 წლის 24 თებერვლის შემდეგ, როდესაც გაუქმდა ვლადიკავკაზის წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია და დაიწყო მორწმუნე ქართველობის დევნა-შევიწროება. „ჩემი ბავშვობა, – აღნიშნავს მისი უწმიდესობა, – დაემთხვა საქართველოს ეკლესიისათვის მეტად მძიმე პერიოდს. სამღვდლოება იდეგნებოდა, ეკლესიები იხურებოდა. ხალხს წირვა-ლოცვაზე დასწრებისა ეშინოდა. ჩვენს სახლს ზმირად აფარებდნენ თავს დევნილი სასულიერო პირები, თვეობით რჩებოდნენ ისინი ჩვენთან და წარუშლელ კვალს ტოვებდნენ პირადად ჩემს აზროვნებასა და ბუნებაზე“.

გიორგი შიოლაშვილის ოჯახთან მეგობრობდნენ მაჰმადიანი ქისტებიც. როგორც უწმიდესი და უნეტარესი ილია II აღნიშნავს, ზმირად ისინი მათი სახლის სტუმრებისთვის გამოყოფილ ოთახშიც ლოცულობდნენ თავიანთი წესის მიხედვით, შემდეგ კი სტუმრები და მასპინძლები სადილზე ერთად იკრიბებოდნენ. გიორგი და ნატალია შიოლაშვილების ღვაწლით, 1947 წელს ვლადიკავკაზში აშენდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველის სახელობის ეკლესია. საქართველოს საპატრიარქო არქივში დაცულია მასალები, რომლებიც ადასტურებს ამ ფაქტს.

1952 წელს, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს გარდაცვალების

გამო, ვლადიკავკაზიდან ჩამოვიდა ქართველთა სათვისტომოს დელეგაცია, რომელსაც გიორგი შიოლაშვილი ხელმძღვანელობდა.

პატარა ირაკლი ზაფხულს ძირითადად სნოში, საგვარეულო სახლში, ატარებდა, უფროსებისგან ისმენდა ხალხურ თქმულებებს, დადიოდა სნოსა და თრუსოს ხეობებში, ათვალიერებდა მრავალრიცხოვან ციხე-კოშკებს, ეკლესია-მონასტრებს... იგი 1941 წლის სექტემბერში ქ. ორჯონიკიძის 22-ე საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე გახდა. ოჯახური ტრადიციიდან გამომდინარე, პატარა ირაკლი დიდ დროს უთმობდა წირვა-ლოცვებს, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა კარგად ესწავლა სასკოლო საგნები. განსაკუთრებით იტაცებდა ისტორია, გეოგრაფია, უცხო ენა.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. გერმანელთა ჯარებმა პირველ თვეებში მოახერხეს საბჭოთა კავშირის სიღრმეში შემოჭრა. 1941 წლის შემოდგომაზე ისინი მიაღწენ მოსკოვს, საფრთხე შეექმნა კავკასიას. ვლადიკავკაზი ფრონტისპირა ქალაქად იქცა. გიორგი შიოლაშვილმა ოჯახი შექმნილ საფრთხეს განარიდა და მშობლიურ სნოში ჩამოიყვანა. ომის დამთავრების შემდეგ ირაკლი შიოლაშვილმა სწავლა განაგრძო ვლადიკავკაზის 22-ე სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1952 წელს. იმავე წლის ივნისში ირაკლი გიორგის ძე შიოლაშვილის სახელზე დაუჯიკაუს (ორჯონიკიძე – ვლადიკავკაზი) 22-ე სკოლამ გასცა ატესტატი № 946415. ახალგაზრდა ირაკლიმ გადაწყვიტა, სწავლა გაეგრძელებინა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, სადაც ღვთისმეტყველების შესწავლისათვის საუკეთესო პირობები იყო – გამორჩეული პედაგოგები, მდიდარი ბიბლიოთეკა, სემინარიის ზომიერად მკაცრი შინაგანაწესი. უწმიდესი და უნეტარესი სიევარულითა და მადლიერებით იხსენებს თავის პედაგოგებს, რომელნიც გამოირჩეოდნენ საოცარი პასუხისმგებლობითა და სიევარულით სტუდენტების მიმართ.

1956-1960 წლებში ირაკლი შიოლაშვილი ზაგორსკის სასულიერო აკადემიის სტუდენტია. საქართველოს საპატრიარქო არქივში დაცული დოკუმენტები სრულ წარმოდგენას გვიქმნის ირაკლი შიოლაშვილის მოსკოვის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში სწავლის პერიოდზე. I კურსის ნიშნების ფურცელი, რომელიც შევსებულია 1953 წლის 11 მაისს, გვამცნობს, რომ ირაკლი შიოლაშვილს ყველა საგანში აქვს „ფრიადი“, II კურსზე



მხოლოდ ბერძნულში აქვს „4“, III კურსზე იგი კვლავ ფრიადოსანია. ირაკლი შიოლაშვილმა I კურსზე სწავლის დროს საკონკურსოდ წარადგინა თხზულება, რომელმაც პირველი ადგილი დაიმსახურა. გამარჯვებული დაჯილდოვდა 50 მანეთით მიტროპოლიტ ფილარეტის ფონდიდან, ხოლო ტროცკი-სერგეევის ლავრამ მას 30 მანეთი გადასცა. საპატრიარქო არქივში დაცულია მისი ჩათვლის წიგნაკი (ნიშნების ფურცლები), რომელსაც ხელს აწერენ აკადემიის ინსპექტორი ვ. სარიჩევი და მდივანი ნ. მურავიოვი. აკადემიის კურსდამთავრებულ მღვდელ-მონაზონ ილიას ყველა საგანში ფრიადი აქვს.

აკადემიაში სწავლის პირველსავე წელს ირაკლი შიოლაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, უარი ეთქვა საერო ცხოვრებაზე და ბერად აღკვეცილიყო. 1957 წლის 16 აპრილს თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში, უწმიდესისა და უნეტარესის, მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით ეპისკოპოსმა ზინობმა ირაკლი შიოლაშვილი ბერად აღკვეცა და სახელად უწოდა ილია. როდესაც მეუფე ზინობმა ბერად აღკვეცილი ილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს მელქისედეკ III-ს წარუდგინა, გახარებულმა პატრიარქმა ამ სიტყვებით მიმართა მას: ათი შენისთანა რომ მყავდეს, საქართველოს ეკლესიას აღარაფერი გაუჭირდებაო. 18 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-მ ხელი დაასხა მას იეროდიაკვნად. 1959 წლის 10 მაისს უწმიდესისა და უნეტარესის, მელქისედეკ III-ის წერილობითი ნებართვით რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა ზაგორსკის წმიდა სერგის სავანის სატრაპეზოში იეროდიაკონი ილია მღვდელ-მონაზვნად აკურთხა.

სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს ირაკლი შიოლაშვილს კიდევ უფრო გაუმძაფრდა დედაეკლესიისა და სამშობლოს სიყვარული. ამის დასტურია მისი წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, მელქისედეკ III-სადმი. წერილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროდ მიმაჩნია მისი სრულად წარმოდგენა: „თქვენო უწმიდესობავ, გვაკურთხეთ... აქ, ჩვენს წრეში, ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თითქოს დასასრულს უახლოვდება, რადგან: 1) მთელი რიგი ეპარქიები უმოქმედოდ, მღვდელმ-

თავრის გარეშეა და არც არსებობს სათანადო კადრი; 2) ღვთისმსახურების დროს ეკლესიებში მორწმუნეთა დასწრება ერთობ მცირეა; 3) საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიას არ აქვს სემინარია, გამოცემლობა, საეკლესიო მუზეუმი, წიგნსაცავი, ბიბლიოთეკა.

ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში არ იქნება დაშვებული ახლად ხელდასხმული ქართველი მღვდელმთავარი (საუბარია ეპისკოპოს ლეონიდე ჟვანიაზე – და რომ მღვდელმთავართა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არაქართველთა შორისაც კი ავრცელებენ უბადრუკ აზრს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების გამსხვილების აუცილებლობის შესახებ.

ზემოთმოყვანილი ძირითადი პრობლემების ირგვლივ თქვენ მიერ მიღებული ზომები, საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარესთან შეხვედრის ჩათვლით, ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ზოგიერთი მწარე სინამდვილის გამო ვაძლევთ თავს ნებას, რომ თქვენი ყურადღება მივაპყროთ შემდეგ გარემოებას: საბჭოთა მთავრობის სათანადო დადგენილების საფუძველზე, რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებობს სასულიერო სემინარია-აკადემიები, ხდება ღვთისმსახურებისათვის საჭირო ლიტერატურის გამოცემა, ხატების გამრავლება, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლება. საქართველოს ეკლესიას თუ უპირატესობა არა აქვს, გამოწვევის მანც არ წარმოადგენს, მხოლოდ საჭიროა ამ იურიდიული უფლების ადგილობრივი მთავრობის მეშვეობით გამოყენება. საქართველოს სსრ ხელისუფალთ, არსებული წესის დაცვით, მატერიალური შესაძლებლობის ფარგლებში, წარედგინოს წერილობითი სახის განაცხადი საქართველოს ავტოკეფალიური სამოციქულო ეკლესიის სასიცოცხლო საკითხების შესახებ და ენერგიულად იქნას მოთხოვნილი პირველ რიგში, სემინარიის (არა კურსების) გახსნის, საჭირო ლიტერატურის გამოცემის, საეკლესიო მუზეუმის, წიგნსაცავის დაარსების, გელათის, წილკნის, ნიკორწმინდის, ყაზბეგის, ანანურის, გორის ეკლესიებში ღვთისმსახურების უფლების აღდგენა-განახლების შესახებ... საქართველოს ეკლესიის და მისი მეთაურის მტერსა და ორგულს ჩვენს პირად მტრად ვთვლით, მაგრამ განუხორციელებელი განდიდების სურვილის გამო განაწყენებულნი, პატრიარქის შორსმჭვრეტელი გონების თვალთ და კეთილი ნებით, შეიძლება ჩაყენებულ იქნან

საქართველოს ეკლესიის საკეთილდღეო საქმიანობაში.

ქართველი ერის სიამაყე, სიწმინდე და ღიღობა „სვეტიცხოველი“ არა მარტო ჩვენი ხალხის, არამედ უცხოელთა ყურადღებასაც იმსახურებს და ამის გამო მის წმიდა მიდამოებში თქვენი ლოცვა-კურთხევით საეკლესიო მუზეუმწიგნოსაცავის გახსნა ყოველმხრივ გამართლებული იქნებოდა. თქვენი მოწოდებით, მოსახლეობაში გაბნეული ისტორიული თუ სიძველეთა დაცვის თვალსაზრისით ბევრი ღიდმნიშვნელოვანი საეკლესიო დანიშნულების ნივთი, წიგნი, წმიდა ხატები, ვკარი და სხვა აღმოჩნდებოდა ეკლესიის საკურთხეაში, ე.ი. დაცული იქნებოდა შესაძლებელი განადგურებისაგან. მზად ვართ ამ ღიდი საქმისათვის გავიღოთ პირადი ბიბლიოთეკაც. სააღდგომო არდადეგებისათვის შესაძლოა ვეახლოთ თქვენს უწმიდესობას და თქვენი მითითებითა და ლოცვა-კურთხევით, არსებული წესის დაცვით, სადღესასწაულო ქადაგებებით მივმართოთ მორწმუნე საზოგადოებას. ღრმა პატივისცემით გეამბორებით და გამოვითხოვ თქვენს წმიდა ლოცვა-კურთხევას. ი. შიოლაშვილი, ზაგორსკი, 1957 წლის 12 თებერვალი“.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უმძიმესი მდგომარეობა მოსვენებას უკარგავდა ახალგაზრდა სტუდენტს და ასეთი თამამი, მაგრამ სამართლიანი განცხადებით მიმართავდა იგი უწმიდესსა და უნეტარესს მელქისედეკ III-ს. ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს მღვდელ-მონაზონმა ილიამ საკვალიფიკაციო თემად აირჩია „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“. რუსულენოვანი მასალების მოძიებისა და დამუშავების შემდეგ იგი შეხვდა ზაგორსკის აკადემიის რექტორს დეკანოზ კ. რუჟიცკის და სთხოვა, მიეცა ნებართვა, რამდენიმე თვით წამოსულიყო საქართველოში ქართულენოვანი ლიტერატურის სრულად შესწავლის მიზნით. 1959 წლის 4 ივნისითაა დათარიღებული რექტორ კ. რუჟიცკის მომართვა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, ცენტრალური არქივის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის სახელზე, რათა თავიანთი დაწესებულებების ბიბლიოთეკებში, წიგნსაცავებსა და ხელნაწერთა განყოფილებაში სამუშაოდ დაეშვათ სასულიერო აკადემიის IV კურსის სტუდენტი მღვდელ-მონაზონი ილია (ირაკლი გიორგის ძე შიოლაშვილი). მან რამდენიმე თვე იმუშავა თბილისის ბიბლიოთეკებში, ქართველი მეცნიერებისაგან მიიღო რჩევები.

1960 წლის ივნისში ზაგორსკის აკადემიაში შედგა მღვდელ-მონაზონ ილიას საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯარო დაცვა. ოფიციალურმა ოპონენტებმა – პროფესორებმა ნ. მურავიოვმა და ა. გეორგიევსკიმ – მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ნაშრომს. მოსკოვის ზაგორსკის სასულიერო აკადემიის რექტორმა

საგანგებო წერილით მიმართა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს უწმიდეს ალექსი I-ს, რათა საუკეთესო ნაშრომისათვის დაეჯილდოებინა ღვთისმეტყველების კანდიდატი, მღვდელ-მონაზონი ილია. საქართველოს საპატრიარქო არქივში დაცულია ზაგორსკის აკადემიის მიერ მღვდელ-მონაზონ ილია შიოლაშვილის სახელზე გაცემული წარჩინების დიპლომი, რომელსაც ხელს აწერენ: აკადემიის რექტორი, დეკანოზი კ. რუჟიცკი, ინსპექტორი, არქიმანდრიტი პიტირიმი, მღივანი ა. ოსტაპოვი.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს: „სასულიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ დაადგინა, მე ვყოფილიყავი დატოვებული აკადემიაში პროფესორთა სტიპენდიატად, მაგრამ ჩემი ერის სიყვარულმა მიმატოვებინა ეს ყველაფერი და მომიყვანა საქართველოში“. იგი ეახლა უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეფრემ II-ს და ასეთი განცხადებით მიმართა: „თქვენო უწმიდესობავ! გაცნობებთ, რომ 1960 წელს დავამთავრე მოსკოვის სასულიერო აკადემია. გთხოვთ, მომცეთ სამსახური, გამგზავნოთ იქ, სადაც თქვენ სცნობთ საჭიროდ.“ უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ მღვდელ-მონაზონი ილია ბათუმის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად დანიშნა.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მიერ შედგენილ ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: „1960 წლის 19 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესი ეფრემ II-ის მიერ აღყვანილ ვიყავი ილუმენის ხარისხში, 1961 წლის 16 სექტემბერს – არქიმანდრიტის პატივში“ 1963 წლის 23 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის – ეფრემ II-ის თავმჯდომარეობით შედგა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელმაც ბათუმის წმიდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოადგილე, არქიმანდრიტი ილია, გამოარჩია შემოქმედელ ეპისკოპოსად. ახალი ეპისკოპოსის ხელდასხმა შესრულდა კვირას, 25

ავგისტოს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში. არქიმანდრიტ ილიას ეპისკოპოსად კურთხევას ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II, ურბნელი მიტროპოლიტი დავითი (დეკდარიანი), ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე), ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ლეონიდე (ჟვანია), სტეფანავანელი ეპისკოპოსი ზინობი (მაჟუგა).

მრავალმხრივ საყურადღებოა სიტყვა, რომელიც არქიმანდრიტმა ილიამ შემოქმედელ ეპისკოპოსად კურთხევის ჟამს წარმოთქვა: „თქვენო უწმიდესობაჲ! თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობაჲ, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობაჲ, ღვთივგანგრძნობილნო მწყემსმთავარნო და მოძღვარნო! ნებითა ღმრთისათა და ბრძანებითა თქვენისა უწმიდესობის და უნეტარესობის კათოლიკოსისთანაი სამღვდელო სინოდის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, მოწოდებულ ვარ მღვდელმთავრობის მაღლის მისაღებად სამსახურისათვის. ჩემთვის ფრიად ძნელია, გამოეთქვა შინაგანი სულიერი განცდანი და მღელვარებანი, რომლითაც ვარ ახლა გარემოცული, ამ ჩემთვის მეტად საღმრთო და საიდუმლო ჟამს. ვგრძნობ შიშსა და ძრწოლას, მაგრამ, ამავე დროს, სულიერ სიხარულს და იმედს, შიშსა და ძრწოლას განვიციდი, რადგან არ ვგრძნობ თავს საამისოდ მომზადებულად. უკეთუ ხანში შესული ხეავბარაქიანი დიდი პავლე მოციქული იტყვის: „ვიქადი მხოლოდ უძღურებითა ჩემითა“. მე არღარა მეთქმის ამ სიტყბუკის წლებში, რომელ წელთა სიმცირეს არ მოუცია ჩემთვის საამისო გამოცდილება, მაგრამ მძიმე განცდების დროს მანუგეშებს და მამხნევეს ის მაღლი ღვთისა, რომელიც უნდა გარდამოვიდეს ჩემს უძღურებას ზედა თქვენი საღმრთო მარჯვენის ხელდასხმით. მე მწამს, რომ ის, რომელიც არის დასაბამი და დასასრული ყოვლისა არსისა, ის, რომელიც გარდამოხდა ზეცით დაცემული კაცის აღსადგენად, შემადლებინებს კეთილად წარვმართო ეს დიდი სამსახური. თუ თავით თვისით კაცს ვერ ძალუძს მიღებად ამ პატივისა, მიენიჭება მხოლოდ ღვთის მიერ მოწოდებულს (ებრაელთა 5,4)... ღმერთი შეეწევა და გაუწევს მფარველობას იმ კაცს, რომელიც ღრმად მორწმუნეა და გული გამთბარი აქვს ღვთისა და კაცის სიყვარულით. ღმერთი მიანიჭებს სიბრძნეს და გულისხმაყოფასა მას, რომელსაც აქვს შიში ღვთისა. ამისთანა კაცზედ იტყვის ბრძენი სოლომონი: „დასაბამი სიბრძნისა შიში

ღვთისა არს“, ხოლო მღვდელმთავარს მუდამ სჭირდება სიბრძნე ღვთიური, გონებით იყვეს ბრძენი და მაღალი, ხოლო ცხოვრებით – უბრალო და მდაბალი. იყვეს ერთგული დარაჯი ქრისტეს ეკლესიისა, იყვეს შემოსილი უბიწო ცხოვრებით, ვითარცა ბრძანებს მოციქული პავლე. სიტყვისამებრ ბრძენი სოლომონისა, „რომელიც ვალს უბიწოდ, იგი ვალს უშიშრად“. ვხედავ რა ყოველივე ამაში შეურყეველს ნებას ღვთისა, თავმდაბლად მოვიხრი სულიერსა და ხორციელს ქელსა ჩემსა თქვენს წინაშე.

მამამთავართა მამამთავარო! წმიდა ყოვლადსამღვდელონო და მამანო და ესრეთ ვქადაგებ: გმადლობთ, მორჩილ ვარ ბრძანებისა თქვენისა და არარას მცირესა წინააღმდეგოსა ვიტყვი. გვედრებით, თქვენო უწმიდესობავ და ყოვლადსამღვდელონო, ოდეს დამდებთ ცხოველმყოფელი სულის მომნიჭებელთა ხელთა თქვენთა, მრჩობილ აღვაკლენდეთ წინაშე ღვთისა ლოცვათა თქვენთა, რათა გარდამოსულმან სულმან წმიდამან აღავსოს ყოველივე ნაკლოვანებანი ჩემნი, რათა ვიქმნე სახედ მორწმუნეთა სიტყვით სვლით, სიყვარულით, სიწმიდით, რათა ჟამს მეორედ მოსვლისასა მოკრძალებით გარნა კადნიერებით წარვსდგე წინაშე მართალსა მსაჯულისა განცხადებად: „აჰა ესერა, მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან“ (ებრაელთა 2.13). ამინ“.

ეპისკოპოსი ილია დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. მასვე დაევალა 1963 წლიდან მცხეთის სამოძღვრო კურსების ხელმძღვანელობა. ახალგაზრდა მღვდელმთავარი ენერგიულად შეუდგა მცხეთის სამოძღვრო კურსების სასულიერო სემინარიად გადაკეთებისათვის ნიადაგის მომზადებას. აკადემიაში მიღებულმა ფართო განათლებამ მას საშუალება მისცა, მაღალ დონეზე დაეყენებინა როგორც დისციპლინა, ასევე სასწავლო პროცესი. შემოქმედელმა ეპისკოპოსმა და სასწავლებლის დირექტორმა სემინარიაში საშუაოდ მიიწვია ცნობილი მეცნიერები, შეადგინეს სასწავლო პროგრამები, სალექციო კონსპექტები, სისტემატურად ტარდებოდა პელსაბჭოს სხდომები. იგი სასწავლებელში მომხდარ მნიშვნელოვან ღონისძიებებს უთანხმებდა უწმიდესსა და უნეტარესს ეფრემ II-ს. „თქვენო უწმიდესობავ, გვაკურთხეთ, ზევ საშობაოთ სტუდენტებს ვუშვებთ არდადეგებზე. ხვალ, 12 საათზე, ვფიქრობ პელსაბჭოს მოწვევას. ჩვენთვის მეტად სასიამოვნო და სასარგებლო იქნება, თუ ჩამობრძანდებით და დაესწრებით. ეპისკოპოსი ილია“.

უწმიდესი ეფრემ II პედსაბჭოს ყველა სხდომას ესწრებოდა. მცხეთის სასულიერო სემინარია შემოქმედელი ეპისკოპოსის, ილიას თავდადებული შრომით ღირსეულ სასწავლებლად იქცა. მან მოახერხა სასწავლებლის წინაშე არსებული უამრავი პრობლემის გადალახვა. მცხეთის სასულიერო სემინარიის ავტორიტეტზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ აქაურ კურსდამთავრებულებს უგამოცდოდ იღებდნენ ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში. მეუფე ილია, შემდეგში უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ყოველთვის პატივისცემით იხსენებდა ზაგორსკის აკადემიას, აკადემია კი ამყობდა თავისი კურსდამთავრებულით. 1978 წლის 16 თებერვალს ზაგორსკის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ იგი თავის საპატიო წევრად აირჩია. პატრიარქი მოსკოვში ვიზიტისას ყოველთვის სტუმრობს ზაგორსკის აკადემიას.

1963–1967 წლებში მეუფე ილია მოღვაწეობდა შემოქმედის ეპარქიაში, ხოლო 1967 წლის 1 სექტემბრიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით, ეპისკოპოსი ილია გადაყვანილ იქნა ცხუმაფხაზეთის ეპარქიის მმართველად.

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ერთ-ერთი ყველაზე რთული ეპარქია იყო. XIX საუკუნეში, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში რუსეთის ეკლესიური ინტერესების განმტკიცებას. დაიწყო ეპარქიიდან ქართველი სასულიერო პირების გამოძევება და მათი რუსებით ჩანაცვლების პროცესი. XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის გააქტიურების ფონზე, რუსეთის ხელისუფლებამ სცადა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეზარქოსოდან გამოყოფა, მაგრამ აფხაზეთის ქართველობის წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოახერხა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის რუსულმა სამრევლოებმა, რუსეთის ეკლესიის ხელშეწყობით, უარი განაცხადეს, დამორჩილებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

მიერ დანიშნულ ცხუმ-აფხაზეთის ქართველ მღვდელმთავრებს. ვითარება კიდევ უფრო გართულდა XX საუკუნის 20-30-იან წლებში, როდესაც ადგილობრივი სეპარატისტული ტენდენციების მატარებელი პარტიული ხელმძღვანელობა, ქვეყანაში არსებული საერთო ანტირელიგიური ბრძოლის ფონზე, კიდევ უფრო ავიწროებდა ქართველ სასულიერო პირებს, ეპარქიის მღვდელმთავრებს. 1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ვარლამ მახარაძე (იგი 1944 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა). ვითარება შედარებით გამოსწორდა 1943 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის ეკლესიამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის რუსულენოვანი სამღვდლოება იძულებული გახდა, შერიგებოდა შექმნილ ვითარებას.

1938-1952 წლებში ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას განაგებდა მიტროპოლიტი ანტონი (გიგინიეშვილი), 1957-1964 წლებში კი

ეპისკოპოსი ლეონიდე (ჟვანია). ამ დროს ეპარქიაში მოქმედი იყო 7 ეკლესია: სოხუმის წმიდა ნიკოლოზის, თავისუფლების, სასაფლაოს ეკლესია, ილორის წმიდა გიორგის, ლიხნის, უსპენსკის, გაგრის სამლოცველო სახლი. ღვთისმსახურთა უმრავლესობა არაქართველი იყო. წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე სრულდებოდა. მდგომარეობა არც 1965-1967 წლებში შეცვლილა, როდესაც ეპარქიას მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი) განაგებდა. ასეთი ეპარქია ჩაიბარა 1967 წელს ეპისკოპოსმა ილიამ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა რწმუნებული იყო გააფხაზეთული ქართველი ა. ლაგვილავა, რომელიც ყველანაირად ავიწროებდა სასულიერო პირებს, მორწმუნე მრევლს. ერთ-ერთ საიდუმლო წერილში, რომელიც მან საბჭოთა კავშირის რელიგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნა, იგი წერდა, რომ აუცილებელი იყო სოფელ კამანში მელორეობის ან მეფრინველეობის ფერმის აშენება. „ამით დაკავდება ის ფართობი, რომელსაც წმინდა ადგილად ცნობენ და, ამავე დროს, ადგილი აღარ ექნება მორწმუნეთა მასობრივ შესვლას წყალში განსაკურნებლად“ – ატყობინებდა იგი კომისიის თავმჯდომარეს.

ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა ილიამ მოახერხა მრევლის შემოკრება. თუ მის მღვდელმთავრობამდე მხოლოდ 2 ქართველი სასულიერო პირი



მოღვაწეობდა ეპარქიაში, 1975 წელს ისინი უკვე თორმეტნი გახდნენ. ეს იყო მეუფე ილიას შორს გამიზნული პოლიტიკა, ასეთ ვითარებაში აფხაზი სეპარატისტები ვერ მოახერხებდნენ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში თავისი მიზნების განხორციელებას.

1969 წლის 17 მაისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ ეპისკოპოსი ილია მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. 1972 წელს საქართველოს ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის მან მიიღო მეორე პანაღიის ტარების უფლება, ხოლო 1975 წელს – სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება. მიტროპოლიტი ილია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახედ იქცა.

სამწუხაროდ, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში იყვნენ ადამიანები, რომელნიც ყველანაირად ცდილობდნენ მიტროპოლიტ ილიასათვის ხელის შეშლას. 1972 წლის 26 მაისს იგი იძულებული გახდა, პირადი განცხადების საფუძველზე, დაეტოვებინა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორის თანამდებობა. მიტროპოლიტი ილია გულახდილად წერდა რექტორობიდან წასვლის მიზეზებზე. „როგორც მოგეხსენებათ, – მიმართავდა მიტროპოლიტი ილია წმიდა სინოდს, – 1963 წლიდან მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის დიდი შრომითა და მეცადინეობით, მცხეთაში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის ხელმძღვანელად ვიყავი დანიშნული. ეს იყო ახალი დიდი საქმე, რომელსაც სჭირდებოდა დიდი ენერჯია და გამოცდილება. არც მე და არც მასწავლებლები არ ვიშურებდით ძალას სემინარიის გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის. ამ წლების განმავლობაში ჩვენ შევხვდით ბევრ წინააღმდეგობასა და სიძნელეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ შევეძელით სასწავლებელი მყარ ნიადაგზე დაგვეყენებინა. არ უარვყოფ იმას, რომ სემინარიის კურსდამთავრებულთაგან ყველამ ვერ გაამართლა ჩვენი იმედები და ვერ გამოიჩინა მოძღვრის მაღალი თვისებები... მიუხედავად ზოგიერთი არასასურველი ფაქტისა, ჩვენ ვხედავთ, რომ კურსდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი თავდადებულად ემსახურება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტაძრებს. გულისტკივილით უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ცხრა წლის განმავლობაში, დახმარების ნა-

ცვლად მესმოდა მხოლოდ კრიტიკა“ .დამაფიქრებელი იყო ყოველივე ეს.

ვითარება კიდევ უფრო გართულდა 1976–1977 წლებში. ამ დროს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები იყვნენ: თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაჟუგა), ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი), ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი), წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი), მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი (ლონდაძე), ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი (ცერცვაძე), ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი (სამხარაძე). იერარქიულობის მიხედვით, ქართველ მღვდელმთავართა შორის უპირატესი იყო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, რომელიც ითვლებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ, მაგრამ 1977 წლის 10 სექტემბერს მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი დავით V-ის მდივანმა გ. შშვიდობაძემ ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მიტროპოლიტ ილიას. გაცნობებთ, რომ კათოლიკოს-პატრიარქის, დავით V-ის ბრძანებით, მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მიტროპოლიტ რომანოზს, მიეცა პირველი ადგილი მიტროპოლიტთა შორის“.

## აღსაყდრება

1977 წლის 25 დეკემბერი... კათოლიკური შობის დღე; ასტრონომიულად ეს არის დღე, როცა სინათლე ამარცხებს სიბნელეს (ეს მეტად სიმბოლურია!) ... ნათელი იმარჯვებს ბნელზე! სწორედ ამ დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმიდა ტახტზე უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე (ირაკლი გიორგის ძე შიოლაშვილი) აღსაყდრდა. იგი ამ დროს 44 წლის იყო.

კათოლიკოს-პატრიარქამდე ილია II-მ გრძელი და რთული, ამავე დროს მძიმე გზა გაიარა...

ილია II ხევში გამოჩინებული შიოლა ლუღუშაურის შთამომავალია; იმ შიოლასი, რომელმაც საფუძველი დაუდო შიოლაშვილების გვარს. გადმოცემით, შიოლა ლუღუშაურს სნოს ციხე ეკუთვნოდა. სოფელი სნო შიოლაშვილ-ლუღუშაურების ფუძე-ადგილია.

ილია შიოლაშვილის მშობლები ქ. ვლადიკავკაზში დასახლებულან. აქ მათ ტრადიციული ქართული ოჯახი შეუქმნიათ. ილიას მამა – გიორგი მაღალი განათლების, ბრძენი, ამასთან, ღვთისმოსავი ადამიანი ყოფილა. დედა – ნატალია კობაიძე სათნოებითა და სიკეთით გამორჩეული იყო. ცოლ-ქმრისათვის ღვთის სიყვარული, ღვთისმოშიშობა ოჯახის საქმიანობის საფუძველი იყო.

ილია II მშობლებისაგან ეზიარა ქრისტიანული მოძღვრების ანბანს. მომავალი პატრიარქი, რომელიც 1933 წლის 4 იანვარს ქ. ვლადიკავკაზში დაიბადა, ქართულ ეკლესიაში მონათლეს და ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფის, ერეკლე II-ის პატივისცემის ნიშნად ირაკლი დაარქვეს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1952 წელს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. შიოლაშვილების ოჯახიდან წამოყოლილმა ძალამ და ღვთის უსაზღვრო სიყვარულმა, მაღალმა ქრისტიანულმა ზნეობამ მიიყვანა მომავალი პატრიარქის არჩევანი სასულიერო სასწავლებლამდე. შემთხ-

ვევითი არ არის, რომ პატრიარქი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს წმიდა სერგი როდონეჟელის ლავრას.

ილია შიოლაშვილმა, სასულიერო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, აღკვეცილიყო ბერმონაზვნად. 1957 წლის 16 აპრილს, 24 წლის ირაკლი შიოლაშვილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისში, წმიდა ალექსანდრე ნეველის ტაძარში მიტროპოლიტმა ზინობმა(მაჟუგა) ბერად აღკვეცა. ეს იყო ვნების შეიდეულის სამშაბათს. დიდ ხუთშაბათს კი პატრიარქმა სიონის საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად აკურთხა. ილია II ხატოვნად გადმოგვცემს თავის განწყობას დიაკვნად კურთხევის შემდეგ: „საოცარი მადლი გადმოვიდა ჩემზე – აღნიშნავს ილია II – მე თითქმის ვერავის ვხედავდი და თითქოს დაფურინავდი, თითქოს ფრთები შემესხა და მიწაზე არ ვიყავი. ისეთი სიხარული და ბედნიერება დამეუფლა, რომ სიონის ტაძრიდან არ მინდოდა გასვლა...“ დიაკვნად ხელდასხმული ილია შიოლაშვილი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა წმიდა სერგი როდონეჟელის ლავრაში მღვდელ-მონაზვნად აკურთხა და ოქროს სამკერდე ჯვრით დააჯილდოვა.

1960 წელს ილია შიოლაშვილმა სასულიერო აკადემია დაასრულა და ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მიიღო. იგი, მიუხედავად სხვადასხვა მომხიბლავი შემოთავაზებისა, არ დარჩა რუსეთში და საქართველოსკენ გამოეშურა. საქართველოში ამ დროს სულიერების კრიზისი იყო. ქართულ სულიერებას აღორძინება სჭირდებოდა. ილიამაც თავის დანიშნულებად ქართველი ერის სამსახური მიიჩნია.

ილიაბათუმის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად დაინიშნა. 1961 წელს ილუმენის ხარისხი მიანიჭეს. მალე მისი არქიმანდრიტად ხელდასხმა მოხდა. 1963 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ ილია შიოლაშვილს ხელი დაასხა შემოქმედის ეპარქიის ეპისკოპოსად. ამასთან, იგი დაინიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1967 წლიდან ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავარია. 1969 წელს მან მიტროპოლიტის ხარისხი მიიღო.

მეუფე ილია (შიოლაშვილი) აქტიურად მოღვაწეობდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთაც. 1963 წელს იგი მცხეთის სასულიერო

სემინარიის რექტორად დაინიშნა, სადაც 1972 წლამდე მოღვაწეობდა.

1964 წელს მეუფე ილიამ (შემოქმედელმა) მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენელთა შეკრებაში კუნძულ როდოსზე, სადაც დააყენა საქართველოს მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო მასშტაბების ცნობის საკითხი. მართალია, 1917 წლის 12 (25) მარტს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გამოცხადდა, მაგრამ მსოფლიოს არც ერთმა სახელმწიფომ არცნო იგი. რუსეთის ეკლესიამ მხოლოდ 1943 წელს აღიარა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. პოლონეთის ეკლესიამ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა მხოლოდ დე-ფაქტოდ.

ილია (შიოლაშვილი) მთელი სიმწვავეთ აყენებს ავტოკეფალიის საკითხს და ასაბუთებს მას. სამწუხაროდ, კრებამ არ გაიზიარა მეუფის მიერ დაყენებული საკითხის საბუთიანობა. მაშინ ილიამ პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა – სხდომა დატოვა. ამან შეაშფოთა საზოგადოება. მსოფლიო საზოგადოებისთვის მეუფის პროტესტი დამაფიქრებელი იყო, კერძოდ, იმ დროს საბჭოთა სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოების მიერ უარყოფითად იქნა შეფასებული<sup>1</sup>

1972 წელს, ევრემ II-ის გარდაცვალების უმაღლეს დონეზე ახალი კათოლიკოს-პატრიარქის საკითხი. უპირატეს კანდიდატად ამ წმიდა თანამდებობაზე მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი) იქნა დასახელებული. იგი ქვეყანაში აღიარებული, საზოგადოებაში პოპულარული იყო. მხედველობაში იქნა მიღებული მისი ღრმად განსწავლულობა და 39 წლის ასაკისათვის საკმაო გამოცდილება.

გვინდა მკითხველს ვაუწყოთ ერთი ფაქტის შესახებ. საერთოდ, კათოლიკოს-პატრიარქის კანდიდატურა უთანხმდება სახელმწიფოს მეთაურს. ათეისტურ სახელმწიფოში (სამოცდაათიანი წლების საბჭოთა კავშირი) ეს ფაქტი (შეთანხმება) ფაქტობრივად იყო ჩასატარებელი. და აი სწორედ ამის შესრულება წილად ხვდა ამ სტრიქონების ავტორს, რომელსაც იმხანად მაღალი სახელმწიფო თანამდებობა ეკავა. მინისტრთა საბჭოს იმდროინდელმა თავმჯდომარის მოადგილემ ვიქტორია სირამქემ საშურ და

<sup>1</sup> უფრო ვრცლად ილია II-ის შესახებ იხ. რ. მეტრეველი, პატრიარქი – ერის სულიერი მამა, თბ, 2008.

დროულ შესასრულებელ საქმედ მიიჩნია ილია შიოლაშვილის კანდიდატურის საკითხის შეთანხმება ქვეყნის პირველ პირთან ვასილ მჟავანაძესთან. სათანადო მასალები (ანკეტა და სხვა) მოგვაწოდეს და ჩვენ შევუდექით ამ საპასუხიმიგებლო მისიის შესრულებას. ერთ-ერთი აუდიენციის დროს, სხვადასხვა საკითხის მოხსენების შემდეგ, ფრთხილად მივაწოდეთ ანკეტა და ვუთხარით, რომ ქვეყნის მღვდელმთავრის საკითხი იყო გადასაწყვეტი. ბატონმა ვასილმა ჯერ გაიკვირვა, ჩვენ რა შუაში ვართო. როცა ავუხსენი, რომ მიღებული წესის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს პირველი პირი უნდა იყოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესების საქმის კურსში-მეთქი, დახედა ანკეტას, ილიას სურათს დააკვირდა, რა ლამაზიაო – აღმოხდა ხმაძალა, ანკეტას თვალი გადაავლო და მომაწოდა. ეს თანხმობას ნიშნავდა. უფრო მეტიც – ვასილ მჟავანაძე ნასიამოვნები იყო.

აქ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ილია შიოლაშვილის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის წინააღმდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს რელიგიათა საქმის სამმართველო, კერძოდ, ამ სამმართველოს უფროსი კუროედოვი. ეს რელიგიურ საქმეში მეტად უხეში ჩარევა იყო. წინააღმდეგობის მოტივად ილია შიოლაშვილის სიჯიუტე დასახელდა, რაც როდოსის შეკრებაზე მის პროტესტში გამოინახა.

იმხანად, მიუხედავად იმისა, რომ „ბრალდება“ სრულიად უმართებულო იყო, შეუძლებელი გახდა ამ წინააღმდეგობის გადალახვა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია შიოლაშვილის კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა რამდენიმე წლით გადაიდო.

მიტროპოლიტ ილიას საქართველოს ეკლესიაშიც გამოუჩნდნენ ხელისშემშლელნი. 1972 წლის 26 მაისს მან იბულებით დატოვა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორის პოსტი. გაწბილებული მიტროპოლიტი გულისტკივილით წერდა: „... ჩვენ შევძელით სასწავლებელი მყარ ნიადაგზე გადაგვეყვანა... კურსდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი თავდადებულად ემსახურება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრებს. გულისტკივილით უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ცხრა წლის განმავლობაში დახმარების ნაცვლად მესმოდა მხოლოდ კრიტიკა“.

მკითხველს შევანსენებთ, რომ გასული საუკუნის სამოცდაათიანი

წლების შუაში საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები იყვნენ: მიტროპოლიტი ზინობი მაჟუგა(თეთრიწყაროს ეპარქია), მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი(ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია), მიტროპოლიტი რომანოზ პეტრიაშვილი(ბათუმ-შემოქმედის ეპარქია), მიტროპოლიტი გაიოზ კერატიშვილი(წილკნის ეპარქია), ეპისკოპოსი გიორგი ღონლაძე(მანგლისის ეპარქია), ეპისკოპოსი გრიგოლ ცერცვაძე(ალავერდის ეპარქია), ეპისკოპოსი ილარიონსამხარაძე(ბოდბის ეპარქია). იერარქიის შესაბამისად მღვდელმთავართა შორის უპირატესი ადგილი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილს ეკუთვნოდა, რომელიც, ამასთან ერთად, დამტკიცებული იყო კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ. საკვირველი რამ მოხდა... 1977 წლის 10 სექტემბერს ილია შიოლაშვილს ატყობინებენ, რომ „კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის ბრძანებით, პირველი ადგილი მიტროპოლიტთა შორის მიეცა მის მაღალუსამღვდელოესობას, მიტროპოლიტ რომანოზს“. როგორც ჩანს, გარკვეული ძალები ღიად ამოქმედდნენ ილია შიოლაშვილის წინააღმდეგ. ეს საქმის შემდგომმა მსვლელობამაც დაადასტურა.

1977 წლის 9 ნოემბერს დავით V გარდაიცვალა. პატრიარქის გარდაცვალების უმალ შეიკრიბნენ წმიდა სინოდის წევრები, მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი, ზინობი მაჟუგა, გიორგი კურატიშვილი, ეპისკოპოსები: გიორგი ღონლაძე, ილარიონ სამხარაძე. მიტროპოლიტი რომანოზ პეტრიაშვილი, მიუხედავად შეტყობინებისა, არ ჩამოვიდა საქართველოს დედაქალაქში.

საეკლესიო მართვა-გამგეობის დებულების შესაბამისად(დებულება მიღებულია 1945 წლის 28 მარტს), კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების(ან მძიმე ავადმყოფობის) შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს წმიდა სინოდის ის წევრი(მღვდელმთავარი), რომლის შესახებაც მითითებული იქნებოდა პატრიარქის(ამ შემთხვევაში დავით V-ის) წერილობით განკარგულებაში (წესისამებრ, ეს განკარგულება უნდა ინახებოდეს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანთან). ამგვარი განკარგულება არ აღმოჩნდა. გაიმართა წმიდა სინოდის სხდომა, რომელსაც ილია შიოლაშვილი თავმჯდომარეობდა. კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ ილია შიოლაშვილი იქნა არჩეული. წინააღმდეგი იყო წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი. მან კა-

თოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დაასახელა ბათუმ-შემოქმედისა და ჭყონდიდის მიტროპოლიტი რომანოზ პეტრიაშვილი. გაიოზ კერატიშვილი თავისი კანდიდატურით მარტო დარჩა.

9 ნოემბერს გამართული წმიდა სინოდის სხდომა ჩატარდა საეკლესიო მართვა-გამგეობის დებულების სრული დაცვით და იგი, ცხადია, კანონიერი იყო. ამ გარემოებას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ მოხდა პარადოქსული რამ... 10 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა მიტროპოლიტი რომანოზ პეტრიაშვილი(იგი, მიუხედავად საგანგებო მოწვევისა, 9 ნოემბერს არ გამოცხადებულა) და განაცხადა, რომ როგორც უხუცეს მღვდელმთავარს, იერარქიული პატივით მას ეკუთვნოდა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მოვალეობა. ეს მოთხოვნა არ იყო სწორი. საქმე ისაა, რომ დებულებით უხუცესად ითვლება ის მღვდელმთავარი, რომელიც ადრეა ნაკურთხი მღვდელმთავრად. საეკლესიო კანონში ხაზგასმულია: „მწყემსმთავარნი პატივდებულ იქნებიან ქიროტონიის უხუცესობის მიხედვით“. ილია შიოლაშვილი ეპისკოპოსად ნაკურთხი იყო 1963 წლის 25 აგვისტოს, რომანოზ პეტრიაშვილი კი 1965 წლის 21 თებერვალს. მიტროპოლიტობა მეუფე ილიამ მიიღო 1969 წელს, რომანოზ პეტრიაშვილმა კი 1972 წელს. ამდენად, ილია შიოლაშვილის უპირატესობა აშკარა იყო. რაც შეეხება ასაკს, რომანოზ პეტრიაშვილი საკმაოდ ხანდაზმული – 90 წლისა იყო, ილია შიოლაშვილი კი 44 წლის, ამას არ ითვალისწინებს არსებული საეკლესიო კანონები. პირიქით, 44 წლის, ფიზიკურად ძლიერი, გონებრივად განსწავლული საეკლესიო იერარქისათვის სარბიელი უფრო ფართო იყო და დიდი საქმეების კეთება უფრო შესაძლებელი.

მიტროპოლიტი რომანოზი არ იყო ერთადერთი დაბრკოლება ილია შიოლაშვილის პატრიარქად ასარჩევად. ბათუმ-შემოქმედელ მიტროპოლიტს მხარი აუბეს გაიოზ კერატიშვილმა და ილარიონ სამხარაძემ. მათ წამოაყენეს მოსაზრება, რომ მეუფე ილიას პატრიარქის თანამოსაყდრეობა დაუშვებელი იყო, რადგან იგი დაბადებული იყო ქ. ორჯონიკიძეში – საქართველოს ფარგლებს გარეთ. ეს აბსურდული წინადადება იყო. ჯერ ერთი, საეკლესიო კანონების მიხედვით, დაბადების ადგილს არ აქვს მნიშვნელობა. მეორე და მთავარი ისაა, რომ ილია შიოლაშვილი და მისი მშობლები – ნატალია კობაიძე და გიორგი ლუდუშაური – ში-



ოლაშვილისაქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ქვეშევრდომები იყვნენ. რაც შეეხება ქ. ორჯონიკიძეში არსებულ ქართულ ეკლესიას, იგი ყოველთვის ექვემდებარებოდა საქართველოს საპატრიარქოს(ამ ეკლესიაში მონათლა ილია შიოლაშვილი არქიმანდრიტ(შემდგომში წილენის ეპისკოპოსი) ტარასი კანდელაკის მიერ.<sup>2</sup>

წმიდა სინოდმა როგორც მიტროპოლიტ რომანოზის, ისე მიტროპოლიტ გაიოზისა და ეპისკოპოს ილარიონის ქმედება ანტიეკლესიურად და კანონთან საწინააღმდეგოდ ჩათვალა...

1977 წლის 15 ნოემბერს დაკრძალეს დავით V. მეორე დღეს, 1977 წლის 16 ნოემბერს გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: ილია შიოლაშვილი, ზინობი მაჟუგა, რომანოზ პეტრიაშვილი, გაიოზ კერატიშვილი, გიორგი ღონღაძე, გრიგოლ ცერცვაძე, ილარიონ სამხარაძე.სხდომის ოქმი შეადგინა საგანგებოდ მოწვეულმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა გრიგოლ მშვიდლობაძემ.

სხდომაზე გადაწყდა, რომ მეთორმეტე საეკლესიო კრება გაიმართოს 1977 წლის 23 დეკემბერს, ახლადარჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრება კი – 25 დეკემბერს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

გარკვეული წინააღმდეგობები წარმოიშვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ასარჩევი კანდიდატურის განხილვისას.მანგლელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ,ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა,თეთრწყაროელმა მიტროპოლიტმა ზინობმა პატრიარქად ასარჩევ კანდიდატად დაასახელეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი. გარკვეული სიჯიუტე გამოიჩინა მიტროპოლიტმა რომანოზმა. მან საერთოდ არ დაასახელა პატრიარქობის კანდიდატი, მიტროპოლიტმა გაიოზმა განაცხადა, რომ სინოდის სხდომა არ იყო კანონიერი.

წმიდა სინოდის წევრთა უმრავლესობა, ცხადია, ილია შიოლაშვილის პატრიარქად არჩევას უჭერდა მხარს. სინოდის სხდომის ოქმში ხაზგასმულადაა მინიშნებული: „მოსაყდრე მიტროპოლიტი ილია თანხმობას აცხა-

<sup>2</sup> უფრო ვრცლად იხ. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, თბ., 2008.

დებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქობის კანდიდატად მის დასახელებაზე“.

სამწუხაროდ, პროვოკაციებსაც ჰქონდა ადგილი მომავალი პატრიარქის წინააღმდეგ. ქართველმა საზოგადოებამ კარგად იგრძნო ეკლესიაში შექმნილი რთული ვითარება. ნიშანდობლივია, რომ ილია შიოლაშვილის კანდიდატურას ქართველობა ფართოდ უჭერდა მხარს.

მძიმე ინციდენტი მოხდა 1977 წლის 18 დეკემბერს, როცა საპატრიარქოში შეიჭრნენ წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მღვდელმთავრები, გატყუეს პატრიარქის კაბინეტის კარი, დახიეს ოქმი, სადაც პატრიარქის მოსაყდრის არჩევანი დაფიქსირებული. მთავარი ისაა, რომ მათ პროვოკაციული დეპეშები გაუგზავნიათ რუსეთისა და სომხეთის ეკლესიებში, საქართველოს მთავრობის წევრებისათვის (კერძოდ, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პ. გილაშვილისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზ. პატარიძისადმი). მეტად კურიოზულად მოჩანს მეუფე რომანოზის ქმედება, რომელმაც საგანგებო წერილი გაუგზავნა ლეონიდ ბრეჟნევს. წერილი დასმენის ხასიათს ატარებდა, კერძოდ, მითითებული იყო, რომ ილია შიოლაშვილი ქართველი დისიდენტების მხარდამჭერია და მისი კანდიდატურა უნდა მოიხსნასო.<sup>3</sup>

იმდენად არალოგიკური და ცილისმწამებლური იყო წარმოდგენილი „ბრალდებები“, რომ იგი არც ერთმა ინსტანციამ არ მიიღო. რაც შეეხება ხალხს – იგი ერთხმად ილია შიოლაშვილს უჭერდა მხარს.

1977 წლის 23 დეკემბრის მეთორმეტე საეკლესიო კრება გაიმართა სიონის საპატრიარქო ტაძარში. კრებას, როგორც სათანადო დოკუმენტში აღინიშნა, დაესწრნენ საქართველოს ეკლესიის ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავარნი, სამღვდელონი, მონაზონნი და ერისკაცნი, მოძმე მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენელნი. თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდნენ: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმიდესი პიმენი, ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი ვაზგენ I, საზღვარგარეთის მართლმადიდებელი

<sup>3</sup> მიტროპოლიტი რომანოზი სულ სხვა რამეს ამტკიცებდა წმიდა სინოდის სხდომაზე (1977 წლის 16 ნოემბერი), როცა აცხადებდა, რომ ილია შიოლაშვილს პატრიარქად არჩევის შემთხვევაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდებოდა და იგი რუსეთის ეკლესიას დაექვემდებარებოდა (დისიდენტების ინტერესი, ცხადია, სხვა იყო).

ეკლესიების წარმომადგენლები (ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან არქიმანდრიტი ნაუმი, ალექსანდრიის ეკლესიის წარმომადგენელი არქიმანდრიტი გრიგორიოსი და სხვები).

კრებაგახსნილად გამოაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ. მან მოკლე, შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა, რომელიც ასე დაამთავრა: „ჩვენი მღვდელმთავრები, სამღვდელოება, მორწმუნე ერი მუდამ იქნება ერთად, რომ გადაწყვიტოს ის დიდი საკითხები, რომლებიც ჩვენი ეკლესიის წინაშე დგას. ქრისტესმიერი სიყვარულით მოგესალმებით...“ და ა.შ. საეკლესიო კრებას მხურვალედ მიესალმა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის უწმიდესი პიმენი.

საეკლესიო კრების უმთავრესი საკითხი იყო კათოლიკოს-პატრიარქის არჩევა. ეპისკოპოსმა გრიგოლმა (ალავერდელი) შეკრებილთ მოახსენა წმიდა სინოდის გადაწყვეტილება – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილის კანდიდატურის შესახებ.

ფარული კენჭისყრის შედეგად პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილიერთხმად იქნა არჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. ეს ფაქტი საეკლესიო კრების ყველა მონაწილემ ხელმოწერით დაადასტურა და საგანგებო სიგელით მიმართეს ახლადარჩეულ პატრიარქს: „...თქვენი სიწმიდე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად იქნა არჩეული“. მიიღეს პატრიარქის საბოლოო წოდება – უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II.<sup>4</sup>

ილია II-ის პატრიარქად არჩევას სიხარულით შეხვდა ქართველი ერი. ღრმა ეროვნული სულისკვეთების, აქტიური მოღვაწეობისა და უაღრესად განათლებული მღვდელმთავრისაგან საზოგადოება ბევრ სიახლეს მოელოდა. იგრძნობოდა, რომ ერის ცხოვრებაში განსაკუთრებული და მნიშვნელო-

---

<sup>4</sup> ილია I-ად ჩაითვალა 1600წლის წინ, IV საუკუნის 90-იანი წლებიდან V საუკუნის დასაწყისამდე მოღვაწე ქართლის ეკლესიის მეოთხე მამამთავარი ელია(ქართლში ამ პერიოდში მეფობდა ბაკური თრდატის ძე (ქართლის ცხოვრებით თრდატი).

ვანი ხდებოდა, იწყებოდა ახალი ეტაპი ქვეყნის ეკლესიურ ცხოვრებაში...

1977 წლის 25 დეკემბერს დაინიშნა პატრიარქის აღსაყდრების (ინტრონიზაციის) დღე. მეტად საინტერესოა, რომ სამოქალაქო პირებმა, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორმა, საგანგებო საშვი მივიღეთ. იგი ასე გამოიყურებოდა:

### საშვი

**უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის ინტრონიზაციაზე დასასწრებად.  
ინტრონიზაცია შესდგება 1977 წ. 25 დეკემბერს, კვირას, მცხეთის სვეტი-  
ცხოვლის საპატრიარქო ტაძარში. დასაწყისი 11 საათზე.**

საშვზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ ამგვარი მოწვევა ეკლესიაში უჩვეულო იყო. როგორც ჩანს, გათვალისწინებული იყო აღსაყდრების ცერემონიაზე ხალხის შეზღუდული რაოდენობის დასწრება. საბაბად წესრიგის დაცვა იგულისხმებოდა. მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ. საქართველოს ყველა კუთხიდან მოაწყდა ხალხი მცხეთის სვეტიცხოველს. მოზღვავებულ ხალხს ვერაფერი შეაფერხებდა. აივსო სვეტიცხოველი და მისი ეზო. ბევრი ეზოს გარეთაც იყო. ხალხი განსაკუთრებულს ელოდა ამ დღისგან და უნდოდა თავადაც თანამონაწილე ყოფილიყო ეკლესიაში ახალი ცხოვრების დასაწყისისა.

ზუსტად 11 საათზე სვეტიცხოვლის ზღურბლზე გადმოდგა ფეხი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა ილია II-მ. მან ბრწყინვალეა, სინათლე შემოიტანა ტაძარში. პატრიარქს თან შემოჰყვნენ: თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი, ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი. ილია II-ის გვერდით იდგა რუსეთის პატრიარქი, უწმიდესი პიმენი და ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი ვაზგენ I. ისინი სხვა უცხოელ სამღვდელოების წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს საპატრიარქოს საპატიო სტუმრები იყვნენ.

მოწვეულ სამოქალაქო პირთა შორის იყვნენ ქართული ხელოვნებისა

და მეცნიერების წარმომადგენლები, სტუდენტები. ჩემთვის დაუვიწყარია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ვახტანგ ბერიძისა და გამოჩენილი მკურნალის ავლიპ ზურაბაშვილის აღფრთოვანებული სახეები ლიტურგიის მსვლელობისას.

საზეიმო ლიტურგიული სამსახური საუკუნეებით დადგენილი წესით წარიმართა. საპატრიარქო გვირგვინი, ქართველი პატრიარქების ჯვრები, პანაღები და კუნკულ-ბარტყული ილის II-გიორგი მანგლელმა და გრიგოლ ალავერდელმა მიაღწიეს. საოცარი ზეიმურობით, გამორჩეული სილამაზით ჩატარდა პატრიარქის გვირგვინკურთხევა. აქ გამქრალი იყო არჩევისწინა სირთულეები და არც წინააღმდეგობის კვალი ჩანდა (ცხადია, ეს ყველაფერი საეკლესიო კრებაზე პატრიარქის ერთხმად არჩევამაც განაპირობა).<sup>5</sup>

ახლად გვირგვინკურთხ ილია II-ს მეზნებარე მისსალმებელი სიტყვით მიმართა რუსეთის პატრიარქმა, უწმიდესმა პიმენმა. პატრიარქს მიესალმა მეგობარი სომხური ეკლესიის თავკაცი, ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი ვაზგენ I.

ამაღლებული იყო ილია II-ის სეფე-სიტყვა. მან გულწრფელად მიმართა სრულიად საქართველოს: „მე შეგნებული მაქვს ის უძძიმესი და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს ღვთის ამ წმიდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა. მუხლს ვიყრი ამ პატივისათვის მისი ძლიერების წინაშე და თავყვანს ვცემ მარადიული ნათლით მოსილ ხსენებას მისას. თავს ვხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის – ქართველი ხალხის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და გონება იმ სარწმუნოებით, რომელი სარწმუნოების დაცვისა და შენარჩუნებისათვის ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ხალხმა...“ პატრიარქმა ეკლესიასა და ერს მთავარი ამოცანა დაუსახა: „ჩვენ ეკლესიის მომავალი საქმიანობის მთავარი საკითხი უნდა იყოს ქართველ ხალხში სასოებისა და უტეხი ნების განმტკიცება“.

1977 წლის 25 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე საქართველოს ეკლე-

<sup>5</sup> გაურკვეველი დარჩა, ვინ გადაჭრა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის მთავარი ჭაღის ჯაჭვი, რომლის ჩამოვარდნას დიდი ტრაგედია მოჰყვებოდა (იხ. ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, გვ. 133).

სიის წმიდა სინოდმა საზეიმო მიღება მოაწყო. მოსაწვევი ბარათი (საშვი კი არა მოსაწვევი ბარათი) გვაუწყებდა: „საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი გთხოვთ მობრძანდეთ საზეიმო მიღებაზე, რომელიც გაიმართება მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინტრონიზაციასთან დაკავშირებით...“

საზეიმო მიღებაზე, რომელსაც სამღვდელოების გარდა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებიც (მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც) ესწრებოდნენ, გამორჩეულად დასამახსოვრებელი სიტყვა წარმოთქვა ყოველთა სომეხთა კათოლიკოსმა ვაზგენ I-მა. მან გულმხურვალედ მიმართა ილია II-ს: „თქვენ რომ გიყურებთ, მახსენდება ჩემი პატრიაქობის დასაწყისი. მეც 44 წლისა გავხდისომეხთა პატრიარქი. სომხური ეკლესია მძიმე მატერიალურ და მორალურ მდგომარეობაში იყო... ჩვენ ღვთის წყალობით ყველა პრობლემა გადავჭერით... დარწმუნებული ვარ უწმიდესი და უნეტარესი ილია II ყველა პრობლემას, რომელიც დღეს საქართველოს ეკლესიის წინაშე დგას, გაართმევს თავს და საეკლესიო ცხოვრებას დიდ ძალას შესძენს“.<sup>6</sup>

საზეიმო მიღების მონაწილეებმა ერთხმად გამოთქვეს ძლიერი ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ხილვის სურვილი. პატრიარქის მაღალ ტახტზე აღსაყდრების უმაღლესი ილია II-ის თვალი სრულიად საქართველოს გადასწვდა, იმ სულიერ ტკივილებს, რომელიც ერს საკმაო ხნის მანძილზე აწუხებდა. უკვე ფართო ასპარეზი და მეტი საშუალებები აღმოჩნდა მის მიერ დაწყებული თუ ახალი საქმეების აღსასრულებლად.

ჩვენ აქ წერტილს დავსვამთ და აღარ გავაგრძელებთ თხრობას პატრიარქის მრავალმხრივ ღვაწლზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ უწმიდესი და უნეტარესი ილია II –სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ჭეშმარიტი მწყემსია სრულიად საქართველოსი. იგი თავის ერზე, ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული, მასზე მოფიქრალი და ყოველთვის და მისთვის მლოცველია, ყოველი ლოცვისას პატრიარქი საქართველო-

<sup>6</sup> ვაზგენ I-ის სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: დღეს საქართველოს ეკლესია ილია II-ის უდიდესი ძალისხმევის შედეგად ძლიერი და ავტორიტეტულია.

სა და ქართველ ერს ავედრებს უფალს, ქვეყნის გადარჩენასა და ხალხის დღეგრძელობას შესთხოვს.

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ქართველი ერი ამაცობს თავისი წარსულით. სწორედ წარსულის პატივისცემით, დღევანდელობაზე ზრუნვით და მომავლის რწმენით ხალხს მიუძღვის ქართული ეკლესია, რომელსაც სათავეში უდგას უფლისგან გამორჩეული, 35 წელი პატრიარქად აღსაყდრებული, 50 წელიღბერობაში მყოფი, 80 წლის ქრისტესმიერი სიყვარულით აღსავსე ადამიანი... დიდი მწყემსი საქართველოსი – უწმიდესი და უნეტარესი ილია II – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი.

## „მზიანი ღამის“ პირველ წლებში

XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა იყო. გარეგნულად სუვერენული, თავისუფალი რესპუბლიკა რეალურად მკაცრად ცენტრალიზებული მმართველობის სისტემით ხასიათდებოდა. ადგილობრივი მარიონეტული ხელისუფლება – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახით – მოსკოვთან შეუთანხმებლად ვერც ერთი საკითხის გადაწყვეტას ვერ ახერხებდა. ქვეყანა აშენებდა ე.წ. „განვითარებულ სოციალიზმს“. გაბატონებული იდეოლოგია იყო მარქსიზმ-ლენინიზმი. საზეიმო მსვლელობები იმართებოდა 1 მაისს, მშრომელთა სოლიდარობის დღეს, და 7 ნოემბერს, რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის „ისტორიული“ დღის აღსანიშნავად. საზეიმოდ აღინიშნებოდა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე, 9 მაისი, და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიღების დღე, 5 დეკემბერი. ის ადამიანები, რომელთაც ახსოვდათ 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა ან ემიგრაციაში იმყოფებოდნენ, ან, 20-50-იანი წლების დაუნდობელ ანგარიშსწორებას გადარჩენილნი, ოცნებასაც ვერ ბედავდნენ თავისუფალ საქართველოზე. საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამაყად აცხადებდა, რომ ქვეყანაში დაძლეული იყო „წარსულის მანე გადმონაშთები“, მოსახლეობის რელიგიურობა. ახალი იდეოლოგიური წნეხის პირობებში გაიზარდნენ თაობები, რომელთა მენსიერებიდან ცდილობდნენ ამოეშალათ ისტორიული წარსული, ქართული ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრიობისა და ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულება; საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებლებში აიკრძალა საქართველოს ისტორიის სწავლება, ახალგაზრდებისათვის გაუცხოებული იყო XIX-XX საუკუნეების სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი თავისუფლებისათვის მებრძოლ წინაპართა – სოლომონ II-ის, ალექსანდრე ბატონიშვილის, სოლომონ ლეონიძის, ფილადელფოს



კიკნადის, დოსითეოზ ქუთათელის, ექვთიმე გაენათელის, სპირიდონ კედიას, ნოე რამიშვილის, ნოე ჟორდანიას, კოტე აფხაზის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, გრიგოლ ლორთქიფანიძის, უწმიდესი ამბროსის, მიტროპოლიტ ნაზარის, ზურაბ ავალიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, ვიქტორ ნოზაძისა და სხვათა სახელები. XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სოციალურ მოძრაობად მოინათლა. ქვეყანაში გაბატონებული იყო რუსული ენა და იდევენბოდა ქართული, გარუსება – ინტერნაციონალიზმად, ხოლო საქართველოს ისტორიის, ქართული ენის უფლებებისათვის ბრძოლა ნაციონალიზმად ცხადდებოდა. მკაცრი ცენზურა იყო ყველა სფეროში.

მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის კრიზისი აშკარა იყო. იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ (1953 წლის 5 მარტს), რომელიც საბჭოთა პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის გარანტი იყო 31 წლის განმავლობაში, კიდევ უფრო გართულდა ვითარება. ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალმა ხელმძღვანელობამ, ნიკიტა ხრუშჩოვის მეთაურობით, 1956 წლის საგანგებო დადგენილებით დაგმო იოსებ სტალინის პიროვნების კულტი და 20-50-იანი წლების რეპრესიები მხოლოდ მას დააბრალა. ნ. ხრუშჩოვს ამ ნაბიჯით სისტემის გადარჩენა სურდა, მაგრამ მოხდა პირიქით, დაჩქარდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ნგრევის პროცესი. 1956 წლის 9 მარტს თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაციის ბარბაროსულმა დარბევამ, სისხლიანმა ანგარიშსწორებამ ქართულ საზოგადოებაში აზროვნების წესის შეცვლა დააჩქარა, საქართველოს სახელმწიფოებრივი თავისუფლების მივიწყებული იდეა გამოაცოცხლა, კომუნისტური სისტემის კრიტიკა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მიზანი.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში ეს მოძრაობა საბჭოთა იდეოლოგიებისა და მისი სპეცსამსახურებისათვის დისიდენტურ (სხვაგვარად მოაზროვნეთა) მოძრაობად მოინათლა. დისიდენტური მოძრაობისათვის საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში მომხდარი ცვლილებები, ახალგაზრდა, განათლებული კათოლიკოს-პატრიარქის მოსვლა იყო დიდი სიხარულისა და იმედების მომცემი, ამიტომ ქართველი მამულიშვილები უყოყმანოდ დადგნენ უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართვე-

ლოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის გვერდით. პატრიარქი შინაგანად ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეალების ერთგული იყო. ამის დასტურია საქართველოს საპატრიარქოს არქივში, მისი უწმიდესობის სტუდენტობის დროინდელ სარქივო მასალებში, ახალგაზრდა მღვდელმონაზონ ილიას მიერ ლამაზად გადაწერილი მემორანდუმის ტექსტი, რომლითაც 1922 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსი ხელაიამ მიმართა გენუის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს. გარდა ამისა, ჩვენი სახელოვანი პატრიარქი ახალგაზრდობიდანვე ხშირად იხსენებდა უწმიდესსა და უნეტარეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს: „ახლა თვალწინ მყავს წარმოდგენილი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II ერეკლეს ძე, მაგონდება მისი ტირილი და გოდება დაობლებულ საქართველოზე, იგი იმედდაკარგული და დამწუხრებული რწყავდა რუსეთის მიწას თავისი მღუღარე ცრემლებით“ - წერდა თავის დღიურში მღვდელმონაზონი ილია.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის სიტყვა, დარბაზობაზე თქმული 1977 წლის 25 დეკემბერს, კარგი გზავნილი იყო თავისუფლების იდეალების ერთგული თანამემამულეებისათვის. ასეთ ვითარებაში დაიწყო უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობა. ერთ-ერთმა სასულიერო პირმა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს მიმართა, რომ მან სუდარაგადაფარებული ეკლესია ჩაიბარა. ვითარება იყო მძიმე, მაგრამ არა უიმედო. ამ დროს მცხეთა-თბილისის ეპარქიაში მოქმედი იყო მცხეთის სვეტიცხოველი, სამთავროსა და ოლღას მონასტრები, თბილისის სიონი, ქაშუეთის წმიდა გიორგის, დიდუბის ღვთისმშობლის, კუკიის წმიდა ნინოს, მთაწმინდის მამა დავითის, სამების, ალექსანდრე ნეველის, მიხეილ ტვერელის, იოანე ღვთისმეტყველის, წმიდა ბარბარეს ეკლესიები. არ ფუნქციონირებდა ანჩისხატის, კარის, ფერი-სცვალების, წმიდა ნიკოლოზის, მეტეხის ღვთისმშობლის, ვერის ეკლესიები; ნაძალადევაში, ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში, ჰიგიენის სახლი (აბანო) იყო გახსნილი. ეკლესიას არ ჰყავდა მრევლი, თითქმის არ არსებობდა ქართულენოვანი სასულიერო წიგნები, ქართული ხატები, ჯვრები, შემცირებული იყო მაგალობელთა გუნდები. წმიდა სინოდის წევრი ექვსი მღვდელმთავრის ასაკი მერყეობდა 70-90 წლებს შორის, ხანდაზმული იყო სასულიერო პირთა უმრავლესობაც. პირველ ხანებში პატრიარქის შემოსევლნი

ალექსანდრე ნეველის ეკლესიიდან მოსული რუსი სტიქაროსნები იყვნენ. უწმიდესი და უნეტარესი ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში შეკრებილ ხალხს, რომელიც ჯერ მრევლი არ იყო, ასწავლიდა, როგორ უნდა ელოცათ, რომელი ლოცვები უნდა ესწავლათ, როგორ უნდა გადაეწერათ პირფვარი, რატომ იყო აუცილებელი წირვა-ლოცვაზე ბოლომდე დასწრება, რატომ უნდა დაეცვათ მარხვა, ეთქვათ აღსარება და მიეღოთ წმიდა ზიარება, რატომ იყო ტაძარში საჭირო სიწყნარე წირვა-ლოცვის დროს, რატომ იყო აუცილებელი ტაძარში სალოცავად მოსული ქალისთვის თავსაბურავით ყოფნა... ადამიანები გაუბედვად, მაგრამ მაინც მოდიოდნენ ეკლესიაში და ერთფეროვანი ცხოვრებიდან უეცრად სხვა სამყაროში გადმოდიოდნენ, სადაც აფორიაქებულნი სულიერ სიმშვიდეს პოულობდნენ, ცხოვრებაზე ხელჩაქეულნი იმედით აღივსებოდნენ. საოცარი სანახავი იყო ორშაბათს, სამშაბათს, შაბათს და კვირას სიონის საპატრიარქო ტაძარი. ახალგაზრდები სასოებით შეჰყურებდნენ თავიანთ სულიერ წინამძღოლს, წირვა-ლოცვის დამთავრების შემდეგ ნელა მიუყვებოდნენ ლესელიძის, ერეკლე II-ის ქუჩებს, რუსთაველის გამზირს.

პატრიარქმა პირველ საახალწლო ეპისტოლეში ამ სიტყვებით მიმართა ქართველს ხალხს: „სარწმუნოება – ეს ნათელია მშვიდობის გზაზე, სარწმუნოება თავადაა მშვიდობა და სასოება მარადიული, სარწმუნოება წყარო არის სიყვარულისა, რომელიც ამაღლებს კაცის გულსა და გონებას. იგი ხიდი არის, მიწიდან ცისკენ მიმავალი. დადებით მტკიცედ ამ ხიდზე... ჩვენ სიხარულით ვუჩვენებთ ყველას ამ ხიდისაკენ მიმავალ გზას, იმ საქმეთა ნუსხას, რომელიც უნდა აკეთოს მარადიულობისაკენ ამ ხიდით მიმავალმა ადამიანმა, მივუთითებთ ბედნიერების იმ ჭეშმარიტ წყაროზე, საიდანაც უნდა სვას სულისა და ხორცის მასაზრდოებელი ცხოველყოფელი წყალი, დავეხმარებით სულიერი ამაღლების გზით იხილოს ის ნათელი, რომელიც მზისგან კი არ მოდის, არამედ რომლისგანაც მზემ მიიღო ნათელი თავად“.

კომუნისტური იდეოლოგიისაგან სულმეხუთული ხალხისათვის, რომელსაც მიწიერ სამოთხეს ჰპირდებოდნენ, ეს იყო სრულიად ახალი. ადამიანები თანდათან დაუბრუნდნენ თავიანთი წინაპრების მიერ სისხლითა და თავგანწირვით შენარჩუნებულ ქრისტიანულ სარწმუნოებას, ნომინალური მორწმუნეებიდან ჭეშმარიტ მორწმუნეებად გადაიქცნენ. საერო ცხოვრებაში

სამშობლო, მისი ისტორიული გმირები, მშობლიური ენა და ვიწრო გარემოს ეძლეოდა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური კი მათი არდავიწყებისაკენ მოუწოდებდა მრევლს: „როცა გადავხედავთ ჩვენს წარსულს, გვაოცებს, თუ ამდენ წინააღმდეგობაში ვით შეინარჩუნა ქართველმა ხალხმა თავისი ენა, ქრისტიანული სარწმუნოება და კულტურა, როგორ არ მოისპო ეს ყველაფერი და ვით გაუძლო ჟამთააღმდეგობის წინააღმდეგობას და სულიერი სიმტკიცის საიდუმლოება ქრისტიანულ სარწმუნოებაში მდგომარეობს... წმიდა ნინო, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დიდი რუსთაველი, დიმიტრი თავდადებული, სირიელი მამები, თორნიკე ერისთავი; მეფე-მოწამენი: არჩილი და ლუარსაბი; სჯულისათვის თავდადებულნი: დედოფალი ქეთევანი, მღვდელი თევდორე, გმირნი მარაბდელნი, დავით გურამიშვილი, 300 არაგველი, ექვთიმე თაყაიშვილი, ილია ჭავჭავაძე; კათოლიკოს-პატრიარქნი: კირიონი, ამბროსი, კალისტრატე და მრავალი სხვა მნათობნი და სვეტნი არიან საქართველოსი... ჩვენ უნდა ვიყოთ განმგრძობლებელნი იმ დიდი საქმისა, რასაც შეეწირნენ ისინი“. ოფიციალური ხელისუფლებისა და მისი იდეოლოგიისათვის სრულიად მიუღებელი იყო წარსულის, აწმყოსა და მომავლის ასეთი ხედვა. თუ საქართველოს წარსულიდან ამ დიდებული ადამიანების მაგალითებს წინ წამოვწევდით, აღარ რჩებოდა ადგილი იოსებ სტალინის, სერგო ორჯონიკიძის, კამოს (ტერ-პეტროსიანის), ფილიპე მახარაძის, ლევან ლოლობერიძის, მიხეილ კალინინის, სერგეი კიროვის, ალექსანდრე ჟდანოვის, კომპარტიის სხვა ბელადთა ცხოვრების შესწავლისათვის, რომელთა შრომებსა და „საგმირო საქმეებზე“ მოგვითხრობდნენ სავალდებულო პოლიტსემინარებზე, კომპარტიის ისტორიის ლექციებზე.

1978 წლის აპრილის დასაწყისში საქართველოში დიდი მღელვარება გამოიწვია საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვამ. ახალ პროექტში, მოსკოვის მითითებით, ამოღებულ იქნა ის მუხლი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკაში ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს აკანონებდა. სხვადასხვა ორგანიზაციაში საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა არსებული პოლიტიკური სისტემის მძაფრ კრიტიკაში გადაიზარდა.

ამ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალგაზრდული ბირთვი, ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას, გ. ჭანტურიას, მ. გიორგაძის, თ.

ჩხეიძის, ზ. ჭავჭავაძის სახით, სიონის საპატრიარქო ტაძრის მრევლი იყო. ხელისუფლება გრძნობდა, რომ საქართველოში ქართული ენის დასაცავად გამოსული ადამიანების ძლიერი მოკავშირე იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია.

გათენდა 1978 წლის 14 აპრილი. დილის 9 საათზე თბილისის უნივერსიტეტის ეზოში ათასობით სტუდენტი შეიკრიბა და დაიძრა რუსთაველის გამზირისაკენ, მთავრობის სასახლისაკენ, სადაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიას უნდა დაემტკიცებინა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია. ახალგაზრდები მოითხოვდნენ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას. მელიქიშვილის ქუჩაზე უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუერთდნენ თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები; ფილარმონიასთან მათ გაარღვიეს მილიციის კორდონი, მეორე წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა რუსთაველის ძეგლთან, ათასობით დემონსტრანტი სკანდირებით: „საქართველო“, „სამშობლო“, „დედა ენა“ – მთავრობის სახლთან მივიდა... ქუჩებში დაძაბულობა იგრძნობოდა, ბრეჟნეფტგადახურულ მანქანებში სამხედრო ტექნიკა, ჯარი იდგა... უფროსი თაობა ტიროდა, მათ ახსოვდათ 1956 წლის 9 მარტი და ეშინოდათ მისი განმეორებისა...

ვეებერთელა საბჭოთა იმპერიაში ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა. მოსკოვი იძულებული გახდა, უკან დაეხია, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლით საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ქართული ენა სახელმწიფო ენად დაკანონდა. ეს იყო დიდი გამარჯვება და სიხარული. დემონსტრანტები სიონის საპატრიარქო ტაძრისაკენ დაიძრნენ. ამ დროს კი საქართველოს საპატრიარქო (დღემდე დაუდგენელია მიზეზები) ხანძრის ალში იყო გახვეული. ხანძრის შედეგად დაიწვა ვერცხლის ხატი, XVII საუკუნის წმიდა ნინოს ხატი, წმიდა ნიკოლოზის ხატი, 4 სამღვდელმთავრო კვერთხი, ბარძიმ-ფეშხუმები, მუხის კანკელი, მაგიდა, სკამები; კათოლიკოს-პატრიარქების – კირიონ II-ის, ლეონიდეს, ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს, მელქისედეკის, ეფრემ II-ის, დავით V-ის – სურათები (ორიგინალები). პატრიარქი გადარჩა... მისი უწმიდესობა თითქმის ერთი წელი რეზიდენციის გარეშე იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, კვლავ ჩვეული შეუპოვრობით გაეგრძელებინა საქმიანობა.

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას 1917 წელს ჰქონდა ოფიციალური საინფორმაციო ორგანო – ჟურნალი „სვეტიცხოველი“, რომელიც მალე დაიხურა. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების – ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს, ეფრემისა და დავითის – სურვილი, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ჰქონოდა თავისი საინფორმაციო ჟურნალი, მრავალი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობის გამო განუხორციელებელ ოცნებად დარჩა.

1978 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გამოვიდა ფერადი ილუსტრირებული ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“. თავდაპირველად განზრახული იყო, ჟურნალი ყოველთვიური ყოფილიყო, მაგრამ ხელისუფლების მძაფრი წინააღმდეგობის გამო გადაწყდა ყოველწლიურად ორი ნომრის გამოშვება. ჟურნალს უნდა გაემუქებინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორია, წმიდა სინოდის სხდომები, თეოლოგიის, მართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობის საკითხები. ჟურნალს აგრეთვე ჰქონდა რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე. ოცდაათი წლის მანძილზე ჟურნალის უცვლელი რედაქტორია ქალბატონი თინათინ კობალაძე. „ჯვარი ვაზისას“ 1978 წლის პირველი ნომერი მთლიანად მიეძღვნა საქართველოს მე-12 საეკლესიო კრებას, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრებას. შეზღუდული ტირაჟის გამო სიონის საპატრიარქო ტაძარში სპეციალურ მაგიდაზე ეწყო ჟურნალის ნომრები და მკითხველები იწერდნენ მათთვის საინტერესო სტატიებს.

პირველ ხანებში ყოველდღიური ლოცვები, ფსალმუნები მორწმუნე მრევლს ხელით ჰქონდა გადაწერილი. 1978-1979 წლებში ეს ლოცვები დაიბეჭდა, მაგრამ მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ ისინი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1978–1987 წლებში საეკლესიო კალენდარში იბეჭდებოდა ყოველდღიური ლოცვები და ფსალმუნები. უნიკალური ქართული ანბანი – ასომთავრული და ნუსხური – მხოლოდ სპეციალისტებისა და ღვთისმსახურებისათვის იყო გასაგები. ხალხი დამოკიდებული იყო ძველ ქართულ ტექსტებსა და დამწერლობას. „ქართველ მრევლში იშვიათად თუ მოიძებნება ადამიანი, – მიმართა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია

II-მ მრევლს, – რომელსაც შეეძლება მედავითნეობა გაუწიოს მოძღვარს... ვთხოვ ქართველ მორწმუნეთ, გამოიჩინონ სიბეჯითე და გულმოდგინება, შეისწავლონ ასომთავრული და ხუცური დამწერლობა, არ მოშალონ ხიდი, გადებული სახელოვან წარსულსა და ბედნიერ მომავალს შორის. “სულ მალე ეკლესიებში გამოჩნდა ასომთავრულით და ნუსხურით დაწერილი ყოველდღიური ლოცვები, ფსალმუნები. ქართველი მორწმუნეებისათვის ასომთავრული და ნუსხური ანბანი ახლობელი და გასაგები გახდა...”

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, იძულებითი იზოლაციიდან გამოდიოდა. 1978 წლის 24 ნოემბერს ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა რევაზ თაბუკაშვილმა იტალიიდან გადმოსვენა 1911 წელს ქ. ჩივიტავეკიაში სხვის გადასარჩენად ზღვაში დაღუპული დიდი ქართველი მეცნიერის, მიხეილ თამარაშვილის, ნეშტი. 26 ნოემბერს, კვირას, ხელოვნების მუზეუმის დარბაზში გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც ათასობით ქართველი დაესწრო. პანაშვიდზე მობრძანდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II. მისმა უწმიდესობამ დიდუბის პანთეონში წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისტორიულად ქართველი ერი და საქართველოს ეკლესია მუდამ ერთად იდგა და ასე იქნება მომავალშიც. ეს იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურის ხალხში გასვლის პირველი წარმატებული ნაბიჯი... ბევრ ადამიანზე პატრიარქის უშუალოდ, სიწმიდემ ისე იმოქმედა, რომ ეკლესიას მიაშურა. სულ მალე სიონის საპატრიარქო ტაძარში გამოჩნდა ქართული ხატები, ჯვრები. უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, მხატვარმა ალექსანდრე ბანძელაძემ დაიწყო დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატვა. 1979 წელს სიონის საპატრიარქო ტაძარში გამოჩნდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, მაცხოვრის, წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის, წმიდა კეთილმსახურ თამარ მეფის, წმიდა ქეთევან წამებულის, ღირსი მამა იოანე ზედაზნელის, წმიდა მოწამეების – დავითისა და კონსტანტინეს – ახალი ხატები.

1978 წლის ზაფხულში, როდესაც საქართველოში უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ს მოწვევით სტუმრად ჩამობრძანდა ათონის მთის გუბერნატორი, დოქტორი დიმიტრიოს ცამისი, პატრიარქმა ოფიციალურ ხელისუფლებას აცნობა, რომ აუცილებელი იყო, საპატო სტუმარი

მიეწვიათ თბილისის უნივერსიტეტში, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სახელმწიფო მუზეუმში. ხელისუფლება იძულებული გახდა, დასთანხმებოდა, რამაც უწმიდესსა და უნეტარესს საშუალება მისცა, შეხვედროდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, სტუმრისათვის დაეთვალა იერები ბინებინა საქართველოს ისტორიის კაბინეტი, სადაც მათ ესაუბრა საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე. ხელნაწერთა ინსტიტუტისა და სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები პირველად შეხვდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომლისადმი პატივისცემა, სიყვარული და ავტორიტეტი ყოველდღიურად იზრდებოდა ქართველ ხალხში. საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ, საერო ხელისუფლების ღონისძიებათა პარალელურად, აღნიშნა იაკობ ხუცესის მიერ წმიდა შუშანიკის წამების აღწერიდან 1500 წლისთავი, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაიწერა წმიდა შუშანიკის ხატი. ეკლესიამ ხელისუფლებას მოსთხოვა, გადმოეცა მისთვის მეტეხის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, სადაც არის წმიდა შუშანიკის საფლავი და იმხანად კი ახალგაზრდული თეატრი იყო განთავსებული.

ყოველი მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წმიდა მირონის მომზადებას. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია VIII საუკუნიდან ამზადებს წმიდა მირონს. მირონის მომზადება საზეიმო ვითარებაში ხდება სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში. ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში მირონის მომზადება მოკრძალებულად აღინიშნებოდა, ამიტომ ვრცელდებოდა ხმები, თითქოს მირონი სხვა ქვეყნიდან შემოჰქონდათ.

1980 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებაში მომზადდა წმიდა მირონი. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მცხეთაში ჩამოსულ ათასობით მორწმუნეს შეეძლო თვითმხილველი ყოფილიყო მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიის წიაღში მირონის კურთხევის მსახურებისა. ორი კვირის მანძილზე სადღეღამისო წირვა-ლოცვა არ წყდებოდა სვეტიცხოვლის საპატრიარქო



ტადარში. გაიფანტა უაზრო ჭორები. მომზადებული მირონი მოათავსეს საგანგებო ჭურჭელში. უწმიდესისა და უნეტარესის მანქანა, რომელსაც მართავდა პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი, თბილისისაკენ დაიძრა. მანქანაში წმიდა მირონით სავსე ჭურჭელიც იყო მოთავსებული. მანქანამ გაიარა რამდენიმე კილომეტრი და ამოტრიალდა. თანმხლები მანქანებიდან თავზარდაცემული გადმოვიდნენ წმიდა სინოდის წევრები, სამღვდლოება, მორწმუნე მრევლი. დამტვრეული მანქანიდან უვნებელი გადმოვიდა მისი უწმიდესობა, წმიდა მირონის ჭურჭელიც დაუზიანებელი იყო. რომ არა ღვთის ნება, ყველაფერი სხვაგვარად დასრულდებოდა.

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გრძნობდა, რომ აუცილებელი იყო, ქართველი ხალხის გარკვეულ ნაწილში კომუნისტური ხელისუფლების მიერ ეკლესიებზე შექმნილი სტერეოტიპი „ისტორიული კულტურის ძეგლისა“ გაეფანტა და მისი ნამდვილი დანიშნულება მკაფიოდ და ნათლად განემარტა. „ტადარი ადგილია ადამიანის ეკლესიური კურთხევისა, – აღნიშნავდა მისი უწმიდესობა, – კარიბჭეა მარადიულობისა, სავანეა ღვთისა; აქაური მადლმოსილი გარემო აღაზევებს, აკეთილშობილებს სულს, განწმედს და განათავისუფლებს ცოდვებისაგან, ტადარი ოაზისია, რომელშიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალით, ღელვით და ამაოებით დაცლილი სული შინაგან მშვიდობასა და სიწყნარეს პოვებს“.

ოფიციალურმა ხელისუფლებამ რელიგიურ დღესასწაულებს დაუპირისპირა ე. წ. სახალხო „დავითგარეჯობა“, „მცხეთობა“, „ალავერდობა“, „თელეთობა“. მთელი დღის განმავლობაში შეზარხოშებული ხალხი ზურნა-ღუღუკის ფონზე წმიდა ტაძრების ეზოებში რაღაცას ზეიმობდა, თურას, ვერც ერთი მოზეიმე ვერ იტყოდა. უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1978 წლის სექტემბერში კახეთში გაემგზავრა ალავერდობაზე. ანმეტის პარტიულმა ხელმძღვანელობამ სცადა, ათასობით მორწმუნისათვის გზა გადაეღობა, მაგრამ უშედეგოდ. ეს იყო პირველი ალავერდობა, რომლის დროსაც საკათედრო ტადარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და წმიდა სინოდის წევრები აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას. საოცარი ვითარება იყო. წარმართულ-გახალხურებული დღესასწაული თავის ნამდვილ სახეს იბრუნებდა. ასე მოხდა

თელეთში, მცხეთაში, ლომისაზე. ეს იყო ქართველი ხალხის ქრისტიანული რწმენისკენ შემობრუნების რთული, მაგრამ შეუქცევადი პროცესის დასაწყისი. ოფიციალური ხელისუფლების მცდელობა, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია საზოგადოებისაგან იზოლირებული დარჩენილიყო, სრული კრახით დამთავრდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობას. კომუნისტურ-კომკავშირული პროპაგანდით სულმეხუთულმა ახალგაზრდებმა სულის სიმშვიდე, სამშობლოს ინტერესების დაცვის, წინაპართა ტრადიციების პატივისცემის ძალა ეკლესიაში პოვეს.

1978 წლის 6 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ოფიციალური დელეგაცია მოსკოვიდან თბილისში ბრუნდებოდა. მოსკოვის აეროპორტში ქართულად ხმამაღლა ნათქვამმა სიტყვამ პატრიარქი მოაბრუნა. „უწმიდესო, – მიმართა უცნობმა ახალგაზრდამ, დაიჩოქა მის წინ და წერილი გადასცა, – სულ ორი თვე გავიდა თქვენი კურთხევიდან და სასახელოდ გაუძელით დიდ გამოცდას. თქვენი ყოველი წირვა, ყოველი ქადაგება ჩვენს გულს მალამოდ ეცხება. სიონი ჩვენი სულისა და გონების წმიდა ტაძარია, აკადემიაა, რომელშიც ადამიანი არა მარტო გონების საზრდოს იღებს, არამედ – სულიერ საზრდოსაც. თქვენ ხართ ის სულიერი მოძღვარი, რომელმაც ბევრი გზასაცდენილი ადამიანი მოაქციეთ; იმედი გქონდეთ, ქართველი ახალგაზრდები მუდამ მხარში ამოვიდგებით“. ეს გულახდილი წერილი-აღსარება ადასტურებდა უწმიდესისა და უნეტარესის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯების სისწორეს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურმა მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო ქართული მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან. ათეისტურ ეპოქაში აღზრდილ ადამიანებს იგი მინიშნებით ასწავლიდა სასულიერო პირებთან ურთიერთობის ნიუანსებს. უწმიდესი და უნეტარესი ილია II დაესწრო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სპექტაკლ „შთამომავლობას“. სპექტაკლში შთამბეჭდავი სახე შექმნა დიდმა ქართველმა მსახიობმა ვერიკო ანჯაფარიძემ. სპექტაკლის დასასრულს მისმა უწმიდესობამ დალოცა მსახიობები. აღფრთოვანებულმა ვერიკო ანჯაფარიძემ ასე მიმართა მის უწმიდესობას:

– არც კი ვიცი, როგორ უნდა მოგმართოთ. ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელი გახდით ჩემი დიდი ოჯახური ტრაგედიის შემდეგ. (შვილის გარდაცვალების შემდეგ პატრიარქმა დიდ მსახიობს ურჩია, დიდი რწმენა გადაგალახვინებს დიდ მწუხარებასო).

უწმიდესმა დალოცა სუხიშვილების ანსამბლი, ანსამბლი „რუსთავი“...

უწმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტორიტეტის ამალლების, ქვეყანაში მოსახლეობის რელიგიურობის გაზრდის ფონზე ოფიციალური სახელისუფლებო სტრუქტურები ფიქრობდნენ, როგორი უნდა ყოფილიყო მათი ანტირელიგიური მუშაობის სტრატეგია და ტაქტიკა. ამ მიზნით რეკომენდაციების შემუშავება დაევალა საქართველოს იდეოლოგიურ მუშაკთა საგანგებო ჯგუფებს, რომელთაც 1979-1984 წლებში შეკრებები გამართეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. გამომსვლელთა უმრავლესობა ცდილობდა, ოპონირება გაეწია საქართველოს ისტორიის საღვთისმეტყველო კონცეფციისათვის, დაეგმო ახალგაზრდობის დიდი ნაწილის ეკლესიისაკენ ლტოლვა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შექმნილიყო კომკავშირული შტაბები, რომელნიც საეკლესიო დღესასწაულების დროს ეკლესიებში მოსულ ახალგაზრდებს გამოავლენდნენ და ფართო „ახსნა-განმარტებით სამუშაოებს“ ჩაატარებდნენ. ხელისუფლების მითითებით, სახელმწიფო სამსახურში მყოფ ადამიანებს სამსახურიდან გაშვებით, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს – სასწავლებლიდან გარიცხვით ემუქრებოდნენ. ოფიციალურ ხელისუფლებას საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაზე ზემოქმედებისათვის შექმნილი ჰქონდა საგანგებო სახელმწიფო სტრუქტურა საბჭოთა კავშირის რელიგიის საქმეთა კომიტეტის სახით, რომელიც 1943 წელს, ხოლო მისი ფილიალი – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულის თანამდებობა – 1947 წლის 22 აგვისტოს დაფუძნდა მთავრობის დადგენილების საფუძველზე. რწმუნებულთა აპარატს ევალებოდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასა და საქართველოს მთავრობას შორის ურთიერთობის კოორდინაცია, სასულიერო პირთა აღრიცხვა, მოქმედი ეკლესიების რეგისტრაცია, საბჭოთა კანონმდებლობით რელიგიური ორგანიზაციებისათვის მინიჭებულ უფლებათა დაცვა. რწმუნებულთა სამო-

ქალაქო სამსახურის უკან საბჭოთა კავშირის უშიშროების განყოფილება იდგა, რომელიც მკაცრად აკონტროლებდა ეკლესიის საქმიანობას.

1947 წლიდან 1990 წლამდე საქართველოში რელიგიის საქმეთა რწმუნებულები იყვნენ: კ. ქადაგიშვილი, მ. ბუჯიაშვილი, მ. მექვაბიშვილი, დ. ენუქიძე, დ. შალუტაშვილი, თ. ონოფრიშვილი, გ. მაისურაძე, ა. წიკლაური... 1976-1978 წლებში საქართველოს სსრ რელიგიის საქმეთა რწმუნებულები იყო თენგიზ ონოფრიშვილი. ამ დროს საქართველოში ძალაში იყო 1977 წლის 16 მარტს დამტკიცებული დებულება „რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ“. დებულების თანახმად, ახალი ეკლესიის გახსნა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვდა რელიგიური საზოგადოების 20 წევრი. თუ სასულიერო პირს არ ჰქონდა რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მიერ გაცემული რეგისტრაციის მოწმობა, მას ეკრძალებოდა მღვდელმსახურება.

რწმუნებულთა აპარატი ცდილობდა, სრულად ეკონტროლებინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საქმიანობა, დიდი საშემოსავლო გადასახადები დაეწესებინა სასულიერო პირებისათვის, გაეკრძალებინა მათთვის არასასურველ სასულიერო პირებზე შეურაცხმყოფელი ჭორები, რათა საზოგადოებას უარყოფითი განწყობა შეჰქმნოდა მათზე. რწმუნებულმა თენგიზ ონოფრიშვილმა ვერ მოახერხა ხელისუფლების მოთხოვნების წარმატებით შესრულება, ამიტომ იგი გაათავისუფლეს და ეს მისია გ. მაისურაძეს დააკისრეს. როგორც მისი ჩანაწერებიდან ირკვევა, იგი 1980 წელს დასწრებია მცხეთის სასულიერო სემინარიაში მისაღებ გამოცდებს და გულისტკივილი გამოუთქვამს: „სამწუხაროდ, წინა წლებთან შედარებით, სემინარიაში მოსული კონტინგენტი ამჯერად გაცილებით უკეთ მომზადებული აღმოჩნდა. მათ შორის არიან უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულნი“. უკეთესი იქნებოდა, თუ სემინარიაში გაუნათლებელი, საეჭვო წარსულის მქონე ადამიანები ჩაირიცხებოდნენ, რადგან მათ შანტაჟს ხელისუფლება უფრო ადვილად შეძლებდა.

რწმუნებულის დავალებით, მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორმა 1982 წლის იანვარში შიომღვიმის მონასტერში ჩაკეტა მონასტრის წინამძღვარი მამა იოაკიმე ასათიანი. მოვუსმინოთ მამა

იოაკიმეს: „მიმდინარე წლის 6 იანვარი იყო, შობის წინა დღე. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და ბრძანებით, შიომღვიმის მონასტრისაკენ გავემგზავრე სალოცავად (ამ დროს მონასტერი მე-18 პროფტექნიკური სასწავლებლის ფილიალი იყო ს.ვ.). დღის 15 საათზე მონასტრის გალავანს მივაღეკი. როდესაც მონასტერში შევედი, კარი მოჯახუნდა. გარედან ვიღაცამ ბოქლომი დაადო. ყვიროდნენ და უშვერი სიტყვებით მლანძღავდნენ. ასე გავატარე მთელი ღამე. გათენდა. ჩემი საყვარელი ეკლესია საპყრობილის მაგივრობას მიწევდა, მციოდა, მწყუროდა, მშოიოდა და მიჭირდა გაძლება. პირველის ნახევარზე რაღაც ხმები შემომესმა, ავტუხე ყვირილი, შველას ვითხოვდი. კართან მოვიდა ვიღაც სამხედრო, როგორც თვითონ მითხრა, ავიაციის მაიორი, რომელიც ცოლ-შვილთან ერთად ამოსულიყო მონასტერში. შველა ვთხოვე. კეთილშობილი ადამიანი აღმოჩნდა და მკითხა, თუ რით შეეძლო ჩემი დახმარება. შევევედრე, თბილისში ჩასულიყო და საპატრიარქოში ეამბნა ყველაფერი. ოფიცერი საკუთარი მანქანით წავიდა. ამასობაში კიდევ ერთი დამთვალეიერებელი – დემურ ბობოხიძე – მოვიდა. მასაც ვთხოვე, ჩასულიყო მცხეთაში და ენახა სვეტიცხოვლის მოძღვრები. მალე საპატრიარქოდან მოვიდნენ... მცხეთაში დ. ბობოხიძე მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორთან გაუგზავნიათ, რომელსაც შიომღვიმის ყარაულებისათვის მოკლე, მაგრამ ბევრისმთქმელი წერილი მიუწერია: „აწი კმარა და გაუშვითო“.

რელიგიის საქმეთა რწმუნებულები ცდილობდნენ, უხეშად ჩარეულიყვნენ ეკლესიის შიდა საქმეებში. 1986 წლის 21 ნოემბერს რელიგიის საქმეთა რწმუნებული ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს: „ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნევთ თქვენი ყურადღება მივაპყროთ რელიგიური კულტების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევების ფაქტებზე, რომლებიც საკმაოდ მოხშირდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა მხრივ... ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რწმუნებულთა აპარატს საჭიროდ მიაჩნია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ აღნიშნულ დარღვევათა უახლოეს ვადებში აღმოსაფხვრელად გაატაროს შემდეგი სახის ღონისძიებანი:

1. აეკრძალოთ ეკლესიათა მღვდელმსახურებსა და საპატრიარქოს თანამ-შრომლებს, უშუალოდ მიმართონ რესპუბლიკისა თუ საკავშირო ინსტანციებს და აწარმოონ მათთან მიმოწერა რწმუნებულის აპარატის გვერდის ავლით;

2. შეიზღუდოს მღვდლების სხვადასხვა ეკლესიებში გადაყვანა-გადმოყვანა, თუ ეს განსაკუთრებული აუცილებლობით არ იქნება გამოწვეული;

3. მკაცრად აეკრძალოს ყველა ღვთისმსახურსა თუ ეკლესიის წინამძღვარს რელიგიური საზოგადოების საფინანსო-სამეურნეო საქმეებში ჩართვა.

4. მკაცრად იქნეს გაფრთხილებული ყველა მღვდელმთავარი და სხვა კულტის მსახურნი, რათა შეწყდეს არამოქმედ და არარეგისტრირებულ ეკლესიებში სახალხო თუ საეკლესიო დღესასწაულებში მონაწილეობა“.

რელიგიის საქმეთა რწმუნებულის დავალებით, ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ შიო ავალიშვილს ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გელათის ფილიალის თანამშრომლები სასტიკიწინააღმდეგნი იყვნენ, რომ ადმინისტრაციული წესით დახურულ ეკლესიაში 8 თებერვალს დავით IV აღმაშენებლის საფლავზე პარაკლისი გადახდილიყო. ასე იყო ყველგან, მაგრამ მიუხედავად ასეთი დიდი სურვილისა, რწმუნებულთა აპარატი ველარ ახერხებდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სამოქმედო ასპარეზის შეზღუდვას. რელიგიის საქმეთა რწმუნებულის ერთ-ერთ გულახდილ ჩანაწერში კკითხულობთ: „მხოლოდ უკიდურესად რეაქციული ეკლესიის მსახურნი, უცხოელ ანტისაბჭოელებთან ერთად, მოითხოვენ, რომ ჩვენს ქვეყანაში რელიგიურ გაერთიანებებსა და მათ წევრებს უფლება მიეცეთ იმოქმედონ ისე, როგორც ეს მათ მოესურვებათ“ [27, 1200, 7720].

ასე აზროვნებდნენ რელიგიის საქმეთა რწმუნებულთა აპარატში.

1980-იანი წლებიდან უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ოფიციალური ხელისუფლებისაგან დაჟინებით მოითხოვდა სასულიერო აკადემიის გახსნის ნებართვას. როგორც მისი უწმიდესობა აღნიშნავს, ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა ბატონმა ანზორ წიკლაურმა.

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, არაერთხელ დაისვა

საკითხი რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის გაუქმების შესახებ. 1990 წლის 22 აპრილს საქართველოს მინისტრთა საბჭომ ასეთი დადგენილება გამოსცა: „გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი ყველა თავისი ფუნქციით. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა გამოცხადდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად“ [27, 16420].

უწმიდესი და უნეტარესი ილია II საოცარი მიმტვევლობით და არაჩვეულებრივი მაღლიერების გრძნობით ყოველთვის მაგალითს აძლევს ერს. 1995 წელს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე, მან აღნიშნა, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი ეკლესიის შეზღუდვისა და დაჩაგვისათვის იყო შექმნილი, მაგრამ „არ შემიძლია არ გავიხსენო, – ბრძანა უწმიდესმა, – რელიგიის საქმეთა ორი რწმუნებული: თენგიზ ონოფრიშვილი და ანზორ წიკლაური. თენგიზ ონოფრიშვილი მღვდლის შვილიშვილი იყო, რომლის სურათიც მან ერთხელ საიდუმლოდ მაჩვენა. ანზორ წიკლაურს, რომელიც ახლახან გარდაიცვალა, დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნაში. ერთიცა და მეორეც ისტორიკოსები იყვნენ და კარგად ესმოდათ ეკლესიის როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში“.

## საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარება

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და პირველი საეკლესიო კრების მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად კირიონ II-ის არჩევის შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ დაიწყო სერიოზული მუშაობა, რათა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ მსოფლიოს მკაფიო წარმოდგენა შეჰქმნოდათ, რა მოხდა საქართველოში, და არ აღმოჩენილიყვნენ რუსეთის საპატრიარქოს მიერ გავრცელებული ტენდენციური ინფორმაციების ტყვეობაში. პირველ ყოვლისა, იყო სურვილი რუსეთის ეკლესიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა, მაგრამ 1917 წლის აგვისტოში რუსეთის ახლადარჩეულმა პატრიარქმა ტიხონმა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მაღალიერარქებს მცხეთაში 1917 წლის 12 (25) მარტს მიღებული დოკუმენტის გაუქმებისა და სინანულისაკენ მოუწოდა. ამიტომ 25 წლის მანძილზე საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ექვარისტული კავშირი არ არსებობდა.

1943 წლის 31 ოქტომბერს, დამაბული მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთის პატრიარქმა სერგიმ ოფიციალურად აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია, 1917 წლის 12 (25) მარტის სვეტიცხოვლის დამოუკიდებლობის აქტის კანონიერება და რუსი მრევლისადმი მიმართვაში დაადასტურა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან ექვარისტული კავშირის აღდგენა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების დოკუმენტს ხელს აწერდნენ პატრიარქი სერგი და სინოდის მუდმივი წევრები, მიტროპოლიტები: ალექსი, ნიკოლოზი, მთავარეპისკოპოსები: ანდრეი, ალექსი, იოანე. ამის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის ეკლესიასთან.



1946 წელს საქართველოში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამობრძანდა რუსეთის პატრიარქი უწმიდესი ალექსი I. 1958 წელს იგი მეორედ ჩამოვიდა საქართველოში. 1945-1948 წლებში უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე სტუმრობდა მოსკოვს. 1951-1970 წლებში მოსკოვში არაერთხელ ჩატარდა საბჭოთა კავშირში არსებულ რელიგიურ კონფესიათა მეთაურების შეხვედრა, სამშვიდობო კონფერენციები. ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი: მელქისედეკ III, ეფრემ II, დავით V, ილია II. რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა დამყარდა.

1977 წლის 25 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრებაზე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი ამ სიტყვებით მიესალმა საქართველოს ეკლესიის მეთაურს: „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, აღსავე უღრმესი პატივისცემით თავისი ერთმორწმუნე, მოძმე ქართული ეკლესიისადმი, გულით ხარობს ამ უწმიდეს ტაძარში გამეფებული სიხარულითა და ზეიმით. ეს სიხარული წმიდაა და ნათელი. ჩვენც სიხარულმა მოგვიყვანა აქ, რათა ერთხელ კიდევ დაგუდასტუროთ კეთილმორწმუნე ქართველ ერს და მის ღირსეულ მწყემსმთავარს სრულიად რუსეთის ეკლესიის სამწყსოს სიყვარული“.

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II პატრიარქ პიმენის ამ პოზიციას პატივისცემითა და რუსეთის ეკლესიისადმი სიყვარულით პასუხობდა. 1978 წლის მაისში მან მონაწილეობა მიიღო რუსეთში პატრიარქობის აღდგენიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში. აქ იგი შეხვდა და მომავალი ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე ესაუბრა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლებს, მიტროპოლიტებს – მელიტონსა და ბართოლომეოსს (ახლანდელ მსოფლიო პატრიარქს), იერუსალიმის ეკლესიიდან – მიტროპოლიტ გერმანეს, რუმინეთის ეკლესიიდან – მიტროპოლიტ თეოქსტიტეს (შემდგომში პატრიარქს), ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს, ელადის ეკლესიის წარმომადგენელს – მიტროპოლიტ ვარნავას, კვიპროსის ეკლესიის მეთაურს – მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოსს, ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის მეთაურს – დოროთეს, პოლონეთის

ეკლესიის მეთაურს – მიტროპოლიტ ვასილს, ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს – მთავარეპისკოპოს თეოდოსის, სომხური ეკლესიის მეთაურს – პატრიარქ-კათოლიკოს ვაზგენს I-ს. რუსეთის ეკლესიის მეთაურის, უწმიდეს პიმენისადმი მიმართულ მისალმებაში მან აღნიშნა: „რუსული ეკლესიის ათასწლოვანი ისტორია – ეს არის ქრისტეს ჯვრის მტვირთელობის ათასწლოვანი გზა. ეს არის წმინდანთა დასები, ეს არის ქრისტიანული სიყვარული, ეს არის ბრძოლა ჭეშმარიტი რწმენისა და მამულისათვის. ეს არის სულიერ ფასეულობათა შექმნა და ზრუნვა მათი შენარჩუნებისათვის“.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ყოველთვის პატივისცემით იხსენებდა რუსეთის პატრიარქებს – უწმიდეს ალექსი I-სა და უწმიდეს პიმენს. მან 1990 წელს პატრიარქ პიმენის დაკრძალვაზე ასე დაახასიათა იგი: „როდესაც ჩვენ უწმიდესი პატრიარქის – პიმენის ცხოვრებას შორიდან ვუყურებთ, ვხედავთ მხოლოდ მის სიდიადეს, გვახსენდება სადღესასწაულო ღვთისმსახურებანი, წირვა-ლოცვანი, მაგრამ ვერ ვხედავთ იმ მძიმე განსაცდელსა და დევნას, რომელიც მან გადაიტანა, ვერ ვხედავთ იმ თავგანწირულ მსახურებას, მის უძილო, ლოცვით გათენებულ ღამეებს, მის ცრემლებსა და ტანჯვას, იმ მძიმე ჯვარს, რომელიც მას თავისი მხრებით მიჰქონდა“.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ახლადარჩეულ პატრიარქ ალექსი II-ს ტრადიციული მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა შესთავაზა.

XX საუუნის 90-იან წლებში ბოლშევიკების მიერ მოდერნიზებული რუსეთის საბჭოთა იმპერია – საბჭოთა კავშირი – დაიშალა. ეს პროცესი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, მათ შორის – საქართველოსათვის, საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა. რუსეთის პოლიტიკური წრეების წაქეზებითა და მხარდაჭერით გაძლიერდა სეპარატისტული ტენდენციები საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. რუსეთმა ფაქტობრივად ამ ტერიტორიების ანექსია მოახდინა, თუმცა საერთაშორისო საზოგადოებრიობას ჯიუტად უმტკიცებს, რომ იგი რეგიონში იცავს მშვიდობასა და სტაბილურობას. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც 300 000 ქართველი გამოძევებულია აფხაზეთის ტერიტორიიდან, 14 ათასზე მეტი ადამიანი კი დახოცეს საკუთარ მიწა-წყალზე. დახვრიტეს მამა ანდრია, დაარბიეს ეკლესიები.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია თავის ბუნდოვან განცხადებებში თითქოს გამოხატავდა ძალადობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ყველაფერში ირიბად ქართველებს ადანაშაულებდა. რუსეთის პატრიარქმა ალექსი II-მ თბილისში ყოფნისას თავი აარიდა ამ პრობლემებზე მსჯელობას. ცხუმ-აფხაზეთისა და ცხინვალის ეპარქიებიდან სეპარატისტების მიერ გამოძევებული ქართველი სამღვდლოება და ამ დროს რუსეთის ეკლესია, საქართველოს საპატრიარქოს გვერდის ავლით, ცდილობს იქ რუსი სასულიერო პირების დამკვიდრებას და ამას ამართლებს მოსახლეობის რელიგიური მოთხოვნებით. ისეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რომ, როგორც რუსეთის სახელმწიფო, ასევე ეკლესია, საჯაროდ აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას, მაგრამ სინამდვილეში პირიქით იქცევიან. ამ თვალსაზრისით რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ცხინვალის სეპარატისტული უკანონო შეიარაღებული ფორმირების აღლუმზე მონაწილეობს რუსეთის ვლადიკავკაზის ეპარქიის წინამძღოლი?

რუსეთის „პატრიოტ მეცნიერთა“ წრეებში გაჩნდა მოსაზრებანი ახალი ათონის მონასტრის რუსეთის ეკლესიისათვის დაბრუნების აუცილებლობის შესახებ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II მკაცრად გამოხატავს ყოველივე ამას. რუსეთის პატრიარქ ალექსი II-სადმი გავზავნილ წერილში იგი აღნიშნავს: „მე მივიღე საკმაოდ უცნაური და გაუგებარი წერილი და აუცილებლად მივიჩნიე, გამეცნო იგი თქვენთვის, მით უმეტეს, რომ იგი რუსეთისა და საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიების ურთიერთობებს ეხება.... უპირველეს ყოვლისა, გვაოცებს, რატომ ერევთან მეცნიერები ორი ძმური ავტოკეფალიური ეკლესიის ურთიერთობაში? ვინ მისცა მათ ამის უფლებამოსილება? მე არ ვფიქრობ, რომ ეს თქვენგან მიეცათ. მტკიცება ახალი ათონის მონასტრის რუსეთის ეკლესიისათვის დაბრუნებისა იმ მოტივით, რომ იგი რუსი ოსტატების, რუსი ხალხისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ხარჯებით აშენდა, არასწორია. მე შემძლია მრავალი მაგალითი მოვიყვანო იმის თაობაზე, რომ ბევრი ქართული ტაძარი და შენობა მოსკოვში, პეტერბურგსა თუ რუსეთის სხვა ქალაქებში ქართველი მეფეებისა და თავადების მიერ არის აშენებული; ჩვენ რომ დღეს ერთმანეთს მსგავსი პრეტენზი-

ბი წაუყენოთ, ეს არ შეუწყობს ხელს ჩვენი ხალხებისა და ეკლესიების მეგობრობას... გარდა ამისა, მინდა შეგახსენოთ, რომ როდესაც 1943 წელს რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია, საქართველოში არსებული ყველა რუსული სამწყსო და მონასტერი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას გადაეცა“. პატრიარქმა ასევე მკაცრად დაგმო ვლადიკავკაზისა და სტავროპოლის მიტროპოლიტ გედეონის მცდელობა „სამხრეთ ოსეთის ხალხისათვის სულიერი დახმარების აღმოჩენის შესახებ“ და დასძინა: „უპირველეს ყოვლისა, მეუფე გედეონმა უნდა იცოდეს, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორია საქართველოს უძველესი ტერიტორიაა, თავისი განცხადებით იგი მტრობას სთესს არა მხოლოდ ქართველებსა და ოსებს, არამედ ქართველებსა და რუსებს შორისაც“..

სამწუხაროდ, რუსეთის ეკლესიამ მკაფიო პასუხი ვერ გასცა, თუ რატომ ზღბა ყოველივე ეს, ვერც 1992 წლის ოქტომბერში, როდესაც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიმართა რუსეთის პატრიარქ ალექსი II-ს და სთხოვა, გამოეყენებინა თავისი ავტორიტეტი აფხაზეთში დატრიალებული სისხლისღვრის შესაჩერებლად, და ვერც შემდგომ.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიაში ყველაზე რთული არ ყოფილა არც ამოუცნობნიშნებიანი თვითმფრინავებით საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიების პერმანენტული დაბომბვა, არც ეკონომიკური ბლოკადა და არც ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა, ბევრად უფრო მძიმე და შეურაცხმყოფელი იყო 2006 წლის შემოდგომაზე ქართველთა დამამცირებელი დეპორტაცია რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან და მათი ღვენა ეთნიკური ნიშნის მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა საშიშ ზღვარს გასცდა. ამ ვითარებაში რუსეთის საპატრიარქოს მიერ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ს მიწვევა მოსკოვში მართლმადიდებელი ენციკლოპედიის მე-13 ტომის პრეზენტაციაზე დასასწრებად, სცილდებოდა ენციკლოპედიის პრეზენტაციის ფარგლებს. ვიზიტი 2007 წლის 1-5 მარტს შედგა. მრავალრიცხოვანი ქართული დელეგაცია, რომელსაც პატრიარქი ხელმძღვანელობდა, ფიქრობდა, მსჯელობდა, როგორი შედეგები ექნებოდა ამ ვიზიტს. ყველა ღელავდა, მშვიდად მხოლოდ მისი უწმიდესობა იყო. მან

პირველსავე ოფიციალურ შეხვედრაზე მკაფიოდ განაცხადა: „ჩვენ ჩამოვედით ფრიად საპასუხისმგებლო დროს, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები საგრძნობლად გაართულდა... ვიმედოვნებთ, რომ ეს ურთიერთობები უახლოეს მომავალში გაუმჯობესდება და მივხვდებით, რომ მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები უნდა იყოს სტაბილური და მეგობრული. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. არსებობს შესანიშნავი ბრძნული გამონათქვამი: დილით, ამომავალ მზეზე ადრე ხედავ მეზობელს... რუსეთს უნდა სჭირდებოდეს ერთიანი, მეგობრული საქართველო.“

პატრიარქმა 4 მარტს მოსკოვის მაცხოვრის საკათედრო ტაძარში, უწმიდეს ალექსი II-სთან ერთობლივი ღვთისმსახურების შემდეგ, მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: „პრობლემები, რომლებიც წარმოიშვნენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ღვთის მადლით, გადაწყდება ქართული სახელმწიფოს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წიაღში, ხოლო არჩევნები, რომელიც დღეს ტარდება აფხაზეთში, საიდანაც 300 ათასი მკვიდრი მცხოვრები გამოძევებულია, არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად“. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, როდესაც რუსეთის ფედერაციის რეგულარული სამხედრო ნაწილები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე და მოახდინეს ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია, რუსეთსა და საქართველოს შორის გაწყდა დიპლომატიური ურთიერთობა... 2008 წლის დეკემბერში გარდაიცვალა რუსეთის პატრიარქი უწმიდესი ალექსი II. რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოსკოვში პატივი მიაგო გარდაცვლილი პატრიარქის ხსოვნას. გამგზავრებამდე მან აღნიშნა: „ჩვენ შესაძლებელია შეხვედრა გვექნდეს რუსეთის ხელისუფლებასთან. ჩვენი ვიზიტი აღემატება იმ მისიას, რისთვისაც რუსეთში მივდივართ. მე მათ მთელი ჩვენი ერის სახელით მინდა ვუთხრა, რომ ქართველი ერი ვერასოდეს შეურიგდება იმას, რომ აფხაზეთი და ცხინვალი იყოს საქართველოს გარეშე.“ ილია II მოსკოვში შეხვდა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს. ძნელი და რთული იყო ეს შეხვედრა, სასაუბრო თემები, მაგრამ აუცილებელი. 2009 წლის სექტემბერში რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდმა ე. წ. აფხაზეთის ეკლესიის თხოვნაზე, მიეღო ის რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში, ოფიციალურად უარით უპასუხა და

განმარტა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე აღიარებს საქართველოს ეკლესიის კანონიკურ უფლებას.

2010 წლის 21 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქისათვის დაქვემდებარების შესახებ.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ პოლიტიკა რთული ხელოვნებაა, მაგრამ, როგორც აზვირთებულ ოკეანეში გემის ბრძენ წინამძღოლს შეუძლია მისი სამშვიდობოზე გაყვანა, მის უწმიდესობას შესწევს ძალა ურთულეს დიპლომატიურ ლაბირინთებში მშვიდად გაიაროს და თავისი ქვეყნისა და დედაეკლესიის ინტერესები დაიცვას უდიდესი ტაქტიკითა და ღირსებით.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობას ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1991 წლის 29 აპრილს თურქეთის ხელისუფლებამ სტამბოლის მერის მოადგილის მეშვეობით გამოიძახა მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი და მოუწყო დაკითხვა. თურქეთის ხელისუფლება XV საუკუნიდან არ ცნობს მსოფლიო საპატრიარქოს და კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქებს ადგილობრივი ბერძნული თემის ეკლესიის მეთაურებს უწოდებს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თურქეთის პრეზიდენტ თურგუტ ოზალისადმი გაგზავნილ წერილში ხმა აღიმალა მსოფლიო საპატრიარქოს პატივისა და ღირსების დასაცავად, დაგმო მსოფლიო პატრიარქის დაკითხვის ფაქტი და გამოთქვა რწმენა, რომ მსგავსი ინციდენტი არ განმეორდებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა გაამხნევა მსოფლიო პატრიარქი. „საქართველოს საპატრიარქო მუდამ თქვენთან იქნება“, – განუცხადა მას უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც დემოკრატიული მსოფლიოს რელიგიურ კონფესიათა ლიდერები თურქეთის ხელისუფლების განაწყენებას მოერიდნენ და შექმნილ ვითარებაში ღუმილი ამჯობინეს. თავის მხრივ, მსოფლიო საპატრიარქომ მკაცრად დაგმო რუსეთის იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და მოუწოდა რუსეთის საპატრიარქოს, თავი შეიკავოს რელიგიური სეპარატიზმის მხარდაჭერისგან.

1994 წლის მაისში კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოს I პატრიარქის რანგში პირველად ეწვია საქართველოს. ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საქართველოს ეკლესიამ ღირსეული მასპინძლობა გაუწია მას. 2003 წლის 19-24 სექტემბერს მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოს I კვლავ სტუმრობდა საქართველოს. მან იმოგზაურა ქუთაის-გაენათის, ხონის, ბათუმისა და სხალთის ეპარქიებში. მოილოცა ქართული სიწმიდეები. სამების საკათედრო ტაძრის დათვალიერების შემდეგ უწმიდესმა ბართოლომეოს I-მა განაცხადა: „ეს ტაძარი იქნება დიდი წარმატება თქვენი კათოლიკოს-პატრიარქისა, რომელსაც ბევრი რამ აქვს გაკეთებული, მაგრამ ეს იქნება გვირგვინი მისი მოღვაწეობისა“ „პატრიარქმა ბართოლომეოსმა აღნიშნა, რომ „რაც უფრო მეტი პრობლემების წინაშე დგას საქართველო, მით უფრო მეტად იზრდება ხალხის რწმენა და მათი მხურვალე დამოკიდებულება მართლმადიდებლობისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი პრობლემებთან შესაბრძოლებლად ძალას იღებს შემოქმედი ღმერთისგან.“

მსოფლიო პატრიარქის მიწვევით უწმიდესი და უნეტარესი ილია II არაერთხელ ჩავიდა კონსტანტინეპოლში, ეწვია ისტორიულ კაბადოკიას, მოილოცა ისტორიული საქართველოს – ტაო-კლარჯეთის – ეკლესია-მონასტრები, გაამხნევა თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველობა. 2011 წლის სექტემბერში თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა გააკეთა განცხადება თურქეთში სხვადასხვა რელიგიური დენომინაციებისათვის საკუთრების დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ იმავე წლის 26 სექტემბერს საგანგებო წერილით მიმართა თურქეთის პრემიერ-მინისტრს: „თქვენო აღმატებულებავ, მოგესალმებით ღრმა პატივისცემით და მოგმართავთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ერთი საკითხის გამო. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ანექსიის შემდეგ საქართველოს არ ჰქონდა საშუალება თავისი სუვერენული უფლებებისა და ეროვნული ინტერესების დაცვისა. ამ პერიოდში სასტიკად იდეგნებოდა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია და დაპატიმრებული იყო მისი მმართველი კათოლიკოს-პატრიარქი და ეპისკოპოსები. ამიტომაცაა, რომ 1930 წელს, როდესაც საერთაშორისო შეთანხმებით და თურქეთის სახელმწიფოს კანონმდებლობით განისაზღვრა რამდენიმე დენომინაციის სტატუსი,

მათ შორის ვერ მოხვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია... საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არაერთი უძველესი ეკლესია-მონასტერია, რომელიც ყოველთვის იყო საქართველოს ეკლესიის კანონიკურ იურისდიქციაში. ამჟამად კი ტიტულოვანი ეპისკოპოსების დაქვემდებარებაში შედის. ეს ეკლესია-მონასტრები არ შეიძლება იყოს არც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსი, არც სომხური და არც სხვა რომელიმე ეკლესიისა, რადგან ყველა ნიშნით ეს არის ქართული კულტურის ძეგლები. გთხოვთ, უახლოეს პერიოდში განიხილოთ ჩვენი ეკლესიის სამართლიანი თხოვნა თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების იურიდიული სტატუსისა და ეკლესია-მონასტრების საკუთრების შესახებ“. პატრიარქი 2011 წლის ოქტომბერში სტუმრობდა თურქეთის რესპუბლიკას, კონსტანტინოპოლში შეხვდა მსოფლიო პატრიარქს ბართოლომეოს I-ს, მონაწილეობდა მისი ინტრონიზაციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საღვთადასწავლო ღონისძიებებში. ორი უძველესი ეკლესიის მეთაურმა იმსჯელა მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ.

2014 წლის 5-9 მარტს კონსტანტინოპოლში შედგა პანორთოდოქსული შეკრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ხელმძღვანელობით. პანორთოდოქსული კრების მუშაობაში მონაწილეობდა 13 ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია – კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, მოსკოვის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, ელადის, ალბანეთის, პოლონეთის ეკლესიათა მეთაურები.

საეკლესიო კრების მონაწილეებს სიტყვით მიმართა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. მან ბრძანა: „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით გულითადად მოგესალმებით მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებსა და წარმომადგენლებს და აღვნიშნავ, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც მან უნდა განიხილოს საკითხები, რომლებიც მომავალი დიდი კრების წარმატებით ჩატარების წინაპირობად უნდა იქცეს.

რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის შიში, რომელიც არსებობს



მრევლის დიდ ნაწილში ამ საეკლესიო კრებასთან დაკავშირებით და მაქსიმალური სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ მის მომზადებას. თუმცა საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო კრებების მოწვევა ზდებოდა მწვალებლობისაგან ეკლესიის დაცვის და ჭეშმარიტი სწავლების განმტკიცების მიზნით. ეს კრება კი სხვა სახისაა, მისი მოწვევის საფუძველი და მიზეზი სულ სხვა არის.

დიდი კრების მიზანია, საერთაშორისო საზოგადოებას აჩვენოს მართლმადიდებელთა ერთობა. ამიტომაც აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, ეს შეკრება ჩატარდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოხდება დღის წესრიგში არსებულ ყველა საკითხზე კონსენსუსის (ყველას თანხმობის) მიღწევა და ყველას ინტერესის გათვალისწინება. ამასთან, კონსენსუსის წესით უნდა წარიმართოს მთავარი შეხვედრა. ეს არის რეალური გარანტია იმისა, რომ აღნიშნული კრება არ იქცეს ეკლესიათა შორის ურთიერთობის დაძაბვის მიზეზად და დამაბრკოლებლად მსოფლიოს წინაშე.

ვეთანხმებით იმ აზრს, რომ საჭიროა უკვე გავლილი და შეთანხმებული თემების ნაწილის ხელახლა განხილვაც, რათა, თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია. ამასთან, ათივე საკითხი, რაც შემუშავდა მოსამზადებელ შეხვედრებზე და რომელთა შესახებაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული 1968 წელს ჟენევაში გამართულ სხდომაზე, მომავალი კრების დღის წესრიგში უნდა შევიდეს.

მინდა აღვნიშნო უშუალოდ საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებული თემების შესახებაც:

ფრიად ვწუხვართ იმის გამო, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჯერ კიდევ თავისი კუთვნილი ადგილი არ უკავია კონსტანტინოპოლის ეკლესიის დიპტიქში. თუ ეს არ გამოსწორდება და ყველა თემა არ იქნება შეტანილი მომავალი კრების განსახილველ საკითხთა დღის წესრიგში, ჩვენთვის მასში მონაწილეობის მიღება ძალიან რთული იქნება.

მოგეხსენებათ ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არის ღია ჭრილობები საქართველოს სხეულზე. ირღვევა საეკლესიო კანონიკური ნორმებიც, როდესაც სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლები ჩვენთან შეუთანხმებლად და ჩვენი ნებართვის გარეშე ჩადიან აფხაზეთის ეპარქიაში, რომელიც,

ცხინვალის რეგიონთან ერთად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის განუყოფელი ნაწილია. მე არ შემძლია თქვენ წინაშე არ დავაფიქსირო ის ფაქტი, რომ საქართველოს ამ ორივე ეპარქიიდან 370000-ზე მეტი დევნილი და იძულებით გადაადგილებული პირია, რომლებიც დღეს ძალიან მძიმე გამოწვევების წინაშე იმყოფებიან; პრობლემურია ადგილზე დარჩენილთა მდგომარეობაც.

დაბოლოს, აღვნიშნავ, რომ ოც წელზე მეტია ჩვენს ქვეყანაში რთული ვითარებაა, ძმათა შორის დაპირისპირების მძიმე შედეგები საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი, ამიტომაც მტკივნეულად განვიცდით დღეს სირიასა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და ვლოცულობთ, რომ მშვიდობამ დაისადგუროს ამ ქვეყნებში.

კიდევ ერთხელ მოგესალმებით ყველას და შევთხოვ უფალს, ჩვენი 6-9 მარტის თავყრილობა იმედის მომცემი და ნაყოფიერი იყოს.“

ყოვლადუწმიდესი ბართოლომეოს I-ის აზრით, ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მჭიდრო თანამშრომლობა იქნება კარგი საფუძველი და „სერიოზული ძალისხმევა მართლმადიდებლურ სამყაროში ერთიანობის მისაღწევად“. პატრიარქი ბართოლომეოსი აუცილებლად მიიჩნევს პანორთოდოქსული კრების ჩატარების დაჩქარებას. მან ადგილობრივ ეკლესიებს, მოწვევასთან ერთად, წინასწარ ამცნო იმ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებზეც უნდა შეთანხმდნენ მორიგ პანორთოდოქსულ საეკლესიო კრებაზე. ესაა ათი პუნქტისგან შემდგარი პროგრამა:

1. მართლმადიდებლური დიასპორა: სახელმწიფო საზღვრებს გარეთ არსებული მართლმადიდებლური იურისდიქციის განსაზღვრების საკითხი.
2. ეკლესიის ავტოკეფალიის სტატუსის აღიარების პროცედურები.
3. ეკლესიის ავტონომიის სტატუსის აღიარების პროცედურები.
4. დიპტიქი: მართლმადიდებელი ეკლესიების კანონიკური ურთიერთაღიარების წესები.
5. დღესასწაულების აღნიშვნის საერთო-საეკლესიო კალენდარი.
6. ქორწინების საიდუმლოს აღსრულების წესები და შეზღუდვები.
7. მარხვის საკითხი თანამედროვე მსოფლიოში.
8. კავშირი სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან.

9. ეკუმენური მოძრაობა.

10. მართლმადიდებელი ქრისტიანობის წვლილი მშვიდობის, ძმობისა და თავისუფლების ქრისტიანული იდეალების დამყარების საქმეში.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ალექსანდრიის საპატრიარქოს ურთიერთობები 1917-1970-იან წლებში მხოლოდ საახალწლო, საადდგომო და საშობაო მილოცვებით შემოიფარგლებოდა. ალექსანდრიის უძველეს ეკლესიასთან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დაახლოების პროცესი დაიწყო 1976 წლიდან, როდესაც ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI სოხუმში შეხვდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარეს, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას. მიტროპოლიტმა ილიამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ალექსანდრიის პატრიარქზე. 1981 წლის 20-31 ივლისს ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა საქართველოს. უწმიდესმა და უნეტარესმა ალექსანდრიის პატრიარქთან ერთად მოილოცა საქართველოს მოქმედი ეკლესია-მონასტრები. უწმიდესი ნიკოლოზ VI საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურს დაჰპირდა მხარდაჭერას საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. იმ დროს, როდესაც ქართველი სწავლულებისათვის საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებში მუშაობა აუხდენელი ოცნება იყო, ალექსანდრიის პატრიარქმა განაცხდა: „დიდი სიამოვნებით მივიღებ თქვენ მიერ მოვლინებულ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც ალექსანდრიისა და კაიროს სამონასტრო ბიბლიოთეკებში დაცულ ქართულ ხელნაწერებს შეისწავლიან და მათ ფოტოაპირებს გადაიღებენ.“

დარბაზობაზე უნეტარესმა ნიკოლოზ VI-მ განაცხადა: „კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სახე საშუალებას მაძლევს ვთქვა, რომ დღეს საქართველოს ეკლესიაში ბატონობს სიბრძნე, სიყვარული და ძლიერება. იგი ძალზე ენერგიულად უძღვება ეკლესიის საჭეს და ღვთის შვილები უფლის მიერ დაკანონებული გზით მიჰყავს.“

1984 წლის 18–30 მაისს უწმიდესი და უნეტარესი ილია II ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა ალექსანდრიის საპატრიარქოს, დაათვალიერა ადგილობრივი სიწმიდენი, მოილოცა წმიდა ეკატერინეს მონასტერი სინას

მთაზუ, დაათვალიერა მონასტრის უნიკალური ბიბლიოთეკა, სადაც ქართული ხელნაწერი წიგნებიც არის დაცული. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მადლობა გადაუხადა ალექსანდრიის პატრიარქს და აღნიშნა: „ჩვენს ხალხებს დიდი ნიჭი მოჰმადლა უფალმა, ამიტომაც უფრო მძიმე იყო და არის ჯვარი ჩვენი ერებისა; თითქოს საქრისტიანოს საზღვრების დარაჯად დაადგინა უფალმა ისინი, ამიტომაც არიან უმეტესად გვეშულნი და ჯვარცმულნი, მაგრამ, ღვთის შეწევნით, კვლავაც მკვდრეთით აღმდგარნი და ამალლებულნი.“

ალექსანდრიის უძველეს საპატრიარქოსა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას შორის გულითადი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ალექსანდრიის პაპმა და პატრიარქმა ნიკოლოზ VI-მ განსაკუთრებით შეიყვარა საქართველო. 1981 წლიდან მოყოლებული, იგი ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა საქართველოში. საქართველოსაკენ მისი ასეთი ლტოლვა ახლობელთა გაცუბასაც იწვევდა. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ქართული სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვით ხვდებოდა სასურველ სტუმარს. უწმიდესი ნიკოლოზ VI-ის პოზიციამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. 1984 წლის ზაფხულში უნეტარესმა ნიკოლოზ VI-მ ამ სიტყვებით მიმართა ქართველ მრევლს: – მე ალბათ, მეტად ველარ შეგვხვდებით, მაგრამ ლოცვებით მუდამ თქვენთან ვიქნები.

ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI 1984 წლის 9 ივლისს გარდაიცვალა. მისი საქმე განაგრძეს უნეტარესმა პართენიოსმა და პეტრე VII-მ.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მიზანი იყო ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ძმური, მეგობრული ურთიერთობის დამყარება, მაგრამ მთავარი მაინც პირველი ოთხი საპატრიარქო იყო: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის. საქართველოს სამოციქულო ეკლესია უძველესი დროიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული იერუსალიმისა და ანტიოქიის ეკლესიებთან. V საუკუნეში პალესტინაში მოღვაწეობდა პეტრე ქართველი, რომელმაც დააარსა ქართული მონასტერი. აქედან მოყოლებული XIX საუკუნემდე ქართველები მრავლად იყვნენ წმი-

და მიწაზე არსებულ ქართულ მონასტრებში. ვახტანგ გორგასლის დროს უკვე აშენდა დიდი მონასტერი, რომელიც XI საუკუნის 30-50-იან წლებში განუახლებია ჯვრის მონასტრის სახელით გიორგი – პროხორე ქართველს. XIV საუკუნეში ქართველები გოლგოთას ფლობდნენ და მაცხოვრის საფლავის კლიტენი ქართველთა საკუთრება იყო. ისტორიულმა ქართველებმა ქართველების პოზიციები შეასუსტა იერუსალიმში, განსაკუთრებით – XIX საუკუნეში, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში ყოფნის დროს. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ყოველი მცდელობა იერუსალიმის საპატრიარქოსთან ურთიერთობის აღდგენისა XX საუკუნის 20–60–იან წლებში უშედეგო აღმოჩნდა. მხოლოდ 1977 წლის შემდეგ დაიწყო იერუსალიმის საპატრიარქოსთან ინტენსიური მოლაპარაკებები. 1980 წლის 29 მაისიდან 5 ივნისამდე მისი უწმიდესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იერუსალიმის პატრიარქის, ბენედიქტე I-ის მიწვევით იერუსალიმში იმყოფებოდა. მთელი მსოფლიო გააოცა იმ ფაქტმა, რომ ქართველ პატრიარქს აღტაცების შემახილებითა და ცრემლებით შეხვდნენ ქართველი ებრაელები, რომლებიც გამოხატავდნენ უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას მისი უწმიდესობისა და, მისი სახით, სრულიად საქართველოს მიმართ. ისრაელის რელიგიის საქმეთა მინისტრმა უწმიდესთან შეხვედრაზე განაცხადა: – ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება საქართველოს ებრაელებთან თბილი, მეგობრული ურთიერთობის თვალსაზრისით. საუკუნეთა მანძილზე ამ ურთიერთობებში არ ყოფილა არავითარი გაუგებრობა. მადლობა თქვენ ამისათვის.

ამ ოფიციალურ შეხვედრაზე პირველად დაისვა ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხი. იერუსალიმის პატრიარქ ბენედიქტესთან შეხვედრაზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განაცხადა: „ჩვენი ჩამოსვლის მიზანია, აღდგეს ის ძველი, ტრადიციული ურთიერთობანი, რაც გვქონდა ადრე. წარსულში ჩვენი ქვეყნების ავბედითობამ შეწყვიტა ეს ძმური ურთიერთობა და დღეს კი, ვფიქრობ, დადგა დრო იერუსალიმის ეკლესიამ შესრულოს ის დიდი მისია, რაც დედა ეკლესიას ეკუთვნის.“ 300 წლის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც წმიდა ქალაქ იერუსალიმს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური ესტუმრა.

1981 წლის 17-20 სექტემბერს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით

იმყოფებოდა მისი უნეტარესობა, წმიდისა ქალაქისა იერუსალიმის პატრიარქი დიოდოროს I, რომელმაც განაცხადა, რომ „ეს შეხვედრა იყო ისტორიული იმიტომ, რომ პირველად დიდი ხნის შემდეგ ჩვენ, ორი ეკლესიის მამათავრებს კვლავ მოგვეცა ერთობლივი თანამწირველობის შესაძლებლობა“. ქართველოლოგიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იერუსალიმის პატრიარქის დაპირებას, რომელიც მან კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სტუმრობისას აკადემიკოს ელენე მეტრეველს მისცა, რომ იგი ინსტიტუტს მიაწვდიდა ჯვრის მონასტერში დაცული იმ ქართული ხელნაწერების მიკროფილმებს, რომლებიც აქამდე არ იყო შესწავლილი. საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის აღდგა ისტორიული ურთიერთობანი.

1987 წლის ოქტომბერში უწმიდესი და უნეტარესი ილია II კვლავ ესტუმრა წმიდა ქალაქ იერუსალიმს. ამ ვიზიტის დროს მსოფლიომ თვალნათლივ დაინახა ქართველი ერის ტოლერანტობისა და სხვა ერებისადმი სანიშუო პატივისცემის ნაყოფი. ქართველი ებრაელები კვლავ დიდი სიყვარულით შეეგებნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს – დიდი ხნის წინ თბილისიდან, ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, ონიდან, კულაშიდან წასული ებრაელები მოდიოდნენ შვილებით, შვილიშვილებით და აღტაცებულნი ოვაციებს უმართავდნენ უწმიდესსა და უნეტარესს. იერუსალიმის მთავარმა ჟურნალმა სტატიამი – „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის პილიგრიმოზა იერუსალიმში“ – ასე დაახასიათა საქართველოს ეკლესიის საჭეთმყრობელი: „კათოლიკოს-პატრიარქი ილია II არის გულდია, დინამიური პიროვნება. მან საქართველოს უძველესი ეკლესია, თბილისი, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის ცენტრი, ძველი მცხეთა, როგორც სასულიერო დედაქალაქი, ახალი აყვავების გზით წაიყვანა. აღსრულდა პატრიარქის სურვილი, იერუსალიმში უკვე ქართველი ბერები და მონაზვნები არიან. ღვთის შეწევნით წმიდა მიწაზე ქართველებს აქვთ ადგილი, სადაც აშენდება მონასტერი. მართალია, ჯვრის მონასტერი ჯერჯერობით ისევ ბერძნების ხელშია, მაგრამ ღვთის შეწევნით დაუბრუნდება მის კანონიერ მფლობელს“. 2000 წელს ქრისტეშობის დიდ დღესასწაულზე მისი უწმიდესობა მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად კვლავ ჩაბრძანდა იერუსალიმში.

2012 წლის თებერვალში უწმიდესი და უნეტარესი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა წმიდა მიწაზე. ვიზიტის ფარგლებში იგი შეხვდა იერუსალიმის პატრიარქს უნეტარეს თეოფილეს, მოილოცა მაცხოვრის საფლავი. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით თბილისის ფერისცვალების მონასტრის მონაზვნებმა მოამზადეს 5 მეტრი სიგრძისა და 3,6 მეტრი სიგანის ოქრომკედით ნაქარგი გადასაფარებელი, რომელზეც გამოსახულია სიცოცხლის ხე ებრაელი ერის 12 შტოთი. შუაში გვირგვინს აქვს წარწერა დაბიტის ფსალმუნიდან: „უფალმა მწყსოს ერი თვისი, უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“. ეს გადასაფარებელი მიართვეს წმ. მეფე დაბიტის საფლავს. უწმიდესი და უნეტარესი ილი II შეხვდა ისრაელის პრეზიდენტს, შიმონ პერესს, პალესტინის პრეზიდენტს მაჰმუდ აბასს, იორდანის მეფეს, ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს; უწმიდესმა და უნეტარესმა მოილოცა ქართველთა ჯვრის მონასტერი. პატრიარქი ჩავიდა მდინარე იორდანეში. 26 თებერვალს სამების საკათედრო ტაძარში წირვის შემდეგ ილია II-მ შეაჯამა წმიდა მიწაზე ვიზიტის შედეგები და აღნიშნა: „წმიდა მიწაზე არის უდიდესი სიწმიდე, მაგრამ ისიც იცოდეთ, რომ, ამასთან ერთად, ასევე არის დიდი ბრძოლებიც. კეთილი და ბოროტი განსაკუთრებით წმიდა მიწაზე იბრძვის. ჩვენ, გარდა ამისა, რომ მოვილოცეთ სიწმიდეები, ასევე გვქონდა რამდენიმე შეხვედრაც. უპირველეს ყოვლისა, ვიყავით მაცხოვრის ყოვლადწმინდა საფლავზე. ეს მომლოცველობა იყო ჩემი მეოთხედ ჩასვლა წმიდა მიწაზე და მინდა გითხრათ, რომ ვერც ერთი წინა მოგზაურობა ვერ შეედრებოდა ამას. უფალი ძალიან ახლოს იყო საქართველოსთან და მე ეს შევიგრძენი, მაგრამ ამასთან ერთად ასევე ვიგრძენი, რამდენად უღირსი ვართ ყველანი, მთელი საქართველო, პირადად მე და რამდენად დიდია მოწყალეობა უფლისა. ჩვენ სხვა არაფერი შეგვეძლო და შევთხოვეთ უფალს, რომ მუდამ ჩვენთან იყოს, როგორც ბრძანებს დავით წინასწარმეტყველი: „უფალო, შენი ვარ, მაცხოვრე მე!“ შენ იცი, უფალო, რა გზებით უნდა მატარო, რომ მაცხოვრო მე! ჩვენ საქართველოდან შესაწირად წავიღეთ გადასაფარებელი წმიდა მეფე დავით წინასწარმეტყველის საფლავისათვის. ეს იყო რაღაც საოცარი ზეიმი, ისეთი გრძნობა დაგვეუფლა, თითქოს დავით მეფეც იღებდა

მონაწილეობას ამ ზეიმში და დავით მეფემ შეიწირა ჩვენი ძღვენი, როგორც უდიდესი საჩუქარი. საოცრება იყო მდინარე იორდანეში ჩასვლა. უფალი იდგა ჩვენ შორის და ჩვენ შევედით და ვეზიარეთ ამ მაღლსა და წყალობას. საოცარი იყო ასევე ჩვენი შესვლა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში... ჩვენ, ქართველი მორწმუნენი, იმდენი ვიყავით, რომ ხალხს ვერ იტევდა მონასტერი. „ქრისტე აღსდგა“, – ვგალობდით ქართველები. ამის შემყურე იქ მყოფნი გოცებულნი იყვნენ. ეს იყო შეერთება ცისა და ქვეყნისა! ჭეშმარიტად იქ გამოთლიანდა ცა და ქვეყანა“.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ანტიოქიის საპატრიარქოსთან ისტორიული ურთიერთობის აღდგენა. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IV-V სს.). ქართული სამწყსო ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა. ანტიოქიის პატრიარქებს შუა საუკუნეებში პრეტენზია ჰქონდათ ქართულ სამწყსოზე, მაგრამ XI საუკუნის 50-იან წლებში გიორგი მთაწმინდელის დასაბუთებული პასუხის შემდეგ, რომელმაც ანტიოქიის პატრიარქს შეახსენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა, პრეტენზიები შეწყდა. XV-XIX საუკუნეებში, მაჰმადიანთა მძლავრობის ხანაში, ანტიოქიის საპატრიარქო, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა, უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა, თუმცა საპატრიარქომ მოახერხა თავის გადარჩენა და აღმოსავლეთის (სირია, ლიბანი) ქრისტიანული ცენტრის ფუნქცია შეინარჩუნა. მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის დიდი ავტორიტეტის მქონე ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი, უნეტარესი ეგნატე IV 1981 წლის ოქტომბერში ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას. უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საპატიო სტუმარს დაათვალიერებინა თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, შესრულდა ერთობლივი წირვა. საზეიმო მიღებაზე გამოითქვა რწმენა, რომ ურთიერთობა, რომელიც ამ ორ ეკლესიას საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა, კიდევ უფრო გაღრმავდებოდა.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, როგორც საეკლესიო პოლიტიკის უდიდესმა მცოდნემ, ყოველთვის კარგად იცოდა, რომ მართლმა-



დიდებელ მსოფლიოში ექვსი ბერძნული საპატრიარქო ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრისას გადამწყვეტ როლს ასრულებდა. გარდა ამისა, საზღვარგარეთ არსებული ქართული ისტორიული სამონასტრო ცენტრების უმრავლესობა ამ ექვსი საპატრიარქოს ტერიტორიაზეა. ამიტომ ჩვენი ეკლესიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას ათენისა და სრულიად ელადის, კვიპროსის ეკლესიებთან. ჯერ კიდევ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტობის დროს, 1976 წლის 17–20 ივნისს, იგი იყო უშუალო მასპინძელი ათენისა და ელადის ეკლესიათა მრავალრიცხოვანი დელეგაციისა, რომელშიც 7 მიტროპოლიტი და 11 მღვდელი შედიოდა. მიტროპოლიტი ილიას ასეთი ჩანაწერი აქვს გაკეთებული: „პირველად ერთგვარი ეჭვის თვალით გვიყურებდნენ, იგრძნობოდა რალაც დაძაბულობა და უნდობლობა ბერძნების მხრიდან, შემდეგ თითქოს გალღვა ყინული... მათ გამოთქვეს სურვილი ჩვენთან თანამშრომლობისა, მოითხოვეს სტუდენტების გაცვლა. საქართველოს ეკლესიამ ხელიდან არ უნდა გაუშვას ეს მომენტი. სტუდენტების გაგზავნით მივალწევთ სამ მიზანს: 1. შევიძინებთ ბერძნული ენის სპეციალისტებს; 2. ქართული ეკლესია მათი მეშვეობით უფრო დაუკავშირდება ბერძნულ ეკლესიას; 3. ამ სტუდენტების მეშვეობით ჩვენი ეკლესია და ქართველი მეცნიერები დაუკავშირდებიან ათონის ივერთა მონასტერს და იქ დაცულ ქართულ ხელნაწერებს“.

უწმიდესისა და უნეტარესის ძალისხმევით ელადის ეკლესიასთან დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. 2002 წელს ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულოსი ჩამოვიდა საქართველოში, შეხვდა მის უწმიდესობას, წმიდა სინოდს, ქართველ მეცნიერებს, გამოხატა აღფრთოვანება საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების აღმავლობის გამო და საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავების სურვილი გამოთქვა. მან აღნიშნა: ჩვენი დღევანდელი თანამშრომლობა არის უმაღლესი გამოხატულება მოძმე ეკლესიების საჭეთმპყრობელთა ერთიანობისა და წარმოადგენს ბეჭედს გააზრებული, ორმხრივი სიყვარულისა და ურთიერთრწმენისა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ღვაწლითა და ლოცვა-კურთხევით საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას სხვადასხვა დროს ესტუმრნენ ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე,

რუმინეთის პატრიარქი თეოქსტიტე, ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის მეთაური დოროთეოსი, ვარშავისა და პოლონეთის მიტროპოლიტი ვასილი, სერბეთის პატრიარქი პავლე; ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურები: ჯერ – თეოდოსი, შემდეგ – ჰერმანე. უწმიდესი და უნეტარესი ილია I-ც სტუმრობდა მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიებს, ხვდებოდა არა მარტო ეკლესიათა მეთაურებს, არამედ – ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებსაც. მისი უწმიდესობა თავის მისასალმებელ სიტყვას ყველგან საქართველოს ისტორიის, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უნიკალურობისა და თავისთავადობის რაობის ახსნით იწყებდა. გასული საუკუნის 70-90-იან წლებში მსოფლიომ ძალიან ცოტა რამ იცოდა საქართველოზე, ქართველ ხალხზე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური იყო ქართველი ერის ის სულიერი წინამძღოლი, რომელსაც მსოფლიოსათვის უნდა გაეცნო ყოველივე ეს. ამ შეხვედრებმა, პატრიარქის საოცარმა პიროვნულმა ხიბლმა მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების თვალში კიდევ უფრო აამაღლა საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი. ამიტომ იყო, რომ 1990 წელს, როდესაც მსოფლიო საპატრიარქო აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია, ყველამ მხარი დაუჭირა და საგანგებო მოლოცვები გამოუგზავნა მის უწმიდესობას.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ისტორიულად, ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა განსხვავებულ რელიგიურ კონფესიებთან ურთიერთობას, რომელიც ურთიერთპატივისცემის პრინციპებს ეყრდნობოდა. შუა საუკუნეებში მონღოლების, ირანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი მეფეები და კათოლიკოს-პატრიარქები ცდილობდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მოკავშირეობით განემტკიცებინათ სახელმწიფოებრიობა და დაეცვათ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მიზნებს ემსახურებოდა ქართველ მეფეთა და კათოლიკოს-პატრიარქთა წერილები, გაგზავნილი რომაული კათოლიკური ეკლესიის მეთაურებისადმი. რომის კათოლიკურმა ეკლესიამ ისარგებლა აღმოსავლეთის ქვეყნების მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით და „პროპაგანდა დე ფიდეს“ ორგანიზაციის მეშვეობით აღ-

მოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის – საქართველოშიც, კათოლიკობის მქადაგებლად გამოგზავნა მისიონერები, რომელნიც ცდილობდნენ მოსახლეობის დარწმუნებას იმაში, რომ თუ მართლმადიდებლობას დატოვებდნენ და გადავიდოდნენ კათოლიკობაზე, რომის პაპი დაიცავდა მათ ირან-ოსმალეთის ძალმომრეობისაგან. XV საუკუნის 30-იან წლებში ქართველმა სასულიერო პირებმა ხელი არ მოაწერეს ფერარა-ფლორენციის კრების ოქმს, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის კათოლიკურთან გაერთიანებას ითვალისწინებდა.

ბევრი უბედურება გადაიტანა საქართველომ XVI-XIX საუკუნეებში: მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, ეკლესია-მონასტრების რბევა, მაგრამ მტკიცედ შეინარჩუნა მართლმადიდებლური სარწმუნოება. XVI-XVIII საუკუნეებში ირან-ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქართულ მიწა-წყალზე რომის პაპის მიერ გამოგზავნილმა მისიონერებმა მოახერხეს ქართველთა მცირე ნაწილის კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადაყვანა... XIX საუკუნეში სომხებმა, რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებაში თავიანთი მომხრეების მეშვეობით, იმპერატორ ნიკოლოზ II-ს გამოაცემინეს კანონი, რომლის თანახმადაც ქართველი კათოლიკეები სომხეთის მონოფიზიტური ეკლესიის იურისდიქციაში უნდა გადასულიყვნენ, ე.ი. გასომხებულიყვნენ. ამ ვითარებაში ქართველი მართლმადიდებლები გამოეყარნენ ისტორიული ძნელებლობის უამს სარწმუნოებაშეცვლილ თანამომხეებს. ეს დავა გაგრძელდა XX საუკუნის პირველ მეოთხედშიც. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა კირიონ II-მ წერილი გაუგზავნა რომის პაპს. „განგებამან ღმრთისამან, – აღნიშნავდა უწმიდესი კირიონ II, – არა უცხო ქმნა ეკლესიაი ჩუენი ჰრომთათვის დიდისა, პეტრე და ანდრია პირველწოდებულთა, მათ მოწაფეთა ქრისტეისათა, რომელთა თესლი უბიწოდ განაბნიეს, მართალსა სარწმუნოებისაი არს სიყვარული და თვისობაი ორთა ამათ ეკლესიისთაი.“ უწმიდესი კირიონ II ესარჩლებოდა ქართველ კათოლიკეებს, რომელნიც იდევნებოდნენ რუსულ-სომხური პოლიტიკის გამო საკუთარ სამშობლოში. „ვსასოებ, ვითარმედ უწმიდესობაი შენი არა უგულებელყოფს ქართველ კათოლიკეთა ეროვნულ-სარწმუნოებრივ ხასიათს“, – წერდა მისი უწმიდესობა. მართლმადიდებელი ქართველი

პატრიარქი გამოესაჩრა და კათოლიკური აღმსარებლობის ქართველებს, რომის პაპს მეგობრობა და თანამშრომლობა შესთავაზა.

საქართველოსა და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიათა შორის ურთიერთობა ეპისტოლურ ფორმას არ გასცილებია 1917-1977 წლებში. 1978 წელს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე) ესწრებოდა რომის პაპის პავლე II-ის დაკრძალვას, ხოლო 1980 წლის 5-6 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ვატიკანში, სადაც შეხვდა რომის პაპს. უწმიდესისა და უნეტარესის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „პაპი იოანე პავლე II შემხვდა კარებთან. გადავეხვიეთ ერთმანეთს, ქართულად მივმართე: „ქართველი ერისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახელით გულითადად მოგესალმებით. საქართველოს ეკლესია დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდა იმ ფაქტს, რომ პაპი პოლონელია, მცირე ერის წარმომადგენელი. იგი უფრო გაიგებს მცირე ერების პრობლემებს თანამედროვე მსოფლიოში“. პაპი ყურადღებით მისმენდა (თარჯიმანი თარგმნიდა), შემდეგ სხვა მაგიდასთან მივიდა, საიდანაც მოიტანა რუკების ატლასი, გადაშალა ევროპის რუკა, სადაც საქართველოც ჩანდა. დახედა და მერე მომმართა: ჩვენი ქვეყნები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს თავისი წარსულით. მოხაზა საქართველო და თქვა: სამხრეთით ძლიერი მუსლიმანური ქვეყნებია. მე დავუმატე: მათგან ბევრი განსაცდელი გვინახავს. პაპს აინტერესებდა ეკლესიისა და ხელისუფლების, კონსტანტინოპოლისა და რუსეთის საპატრიარქოსთან ურთიერთობის საკითხები.“

საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ დაათვალიერა ვატიკანის ბიბლიოთეკა, პაპის პირადი სამლოცველო, ვატიკანის ღირსშესანიშნაობანი. გადაწყდა, რომ ქართველი მეცნიერები დაემშავთ ვატიკანის არქივებში ქართულ დოკუმენტებზე სამუშაოდ. რომის პაპმა მის უწმიდესობას გადასცა ვატიკანის არქივებში დაცული იმ საბუთების მიკროფილმები, რომლებიც საქართველოს ისტორიას ეხებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განაცხადა: ჩვენი ეკლესიების გაყოფის მიუხედავად, ყოველთვის გვქონდა კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობა, საქართველოს ეკლესია

და ქართველი ხალხია ის დიდი ხიდი, რომელიც აერთიანებდა ევროპისა და აზიის ორ დიდ კულტურას.

გამართლდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მოსაზრება. პოლონური წარმოშობის ახალმა პაპმა დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური იდეოლოგიისა და სოციალისტური სისტემის რღვევის საქმეში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თბილისში გაიხსნა ვატიკანის საელჩო, კავკასიაში რომაულ-კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო.

1999 წელს საქართველოს პრეზიდენტისა და პატრიარქის მოწვევით საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა რომის პაპი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თბილისის აეროპორტში რომის პაპთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ეს ვიზიტი დიდი მნიშვნელობისაა როგორც საქართველოსათვის, ისე მთლიანად კავკასიისათვის. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და რომის პაპმა იოანე პავლე II-მ შეიმუშავეს ერთობლივი მიმართვა, რომელშიც აღნიშნული იყო: „ჩვენ ვიმყოფებით კავკასიის რეგიონში, საქართველოში, ამ განსაკუთრებული გეოპოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობის მქონე რეგიონში, რომელიც აერთიანებს ევროპისა და აზიის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურებს. დღეს ამ რეგიონში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სიტუაცია მეტად დაძაბულია. ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე მსოფლიო ვალდებულია მოახდინოს თავისი სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მობილიზება გლობალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. რომის ეკლესიასა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიებს შორის ურთიერთობა ძირითადად პოლიტიკურ, კულტურულ სფეროში ვითარდება“.

მიუხედავად ამგვარი ურთიერთობისა, 2003 წლის 15 სექტემბერს ვატიკანმა, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გვერდის ავლით, მონინდომა ქართულ სახელმწიფოსთან განსაკუთრებული ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც 27 მუხლისგან შედგებოდა და საქართველოში კათოლიკური ეკლესიის უფლებების გაფართოებისაკენ იყო მიმართული. საქართველოს საპატრიარქომ სპეციალური განცხადებით გააპროტესტა ეს ფაქტი და აღნიშნა, რომ ვატიკანს ასეთი ხელშეკრულება

არც ერთ მართლმადიდებლურ სახელმწიფოსთან არა აქვს გაფორმებული. ხალხი ქუჩაში გამოვიდა, ხელისუფლება იძულებული გახდა, ხელშეკრულება აღარ გაეფორმებინა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია პატივს სცემს იმ მცირერიცხოვან ქართველ თანამემამულეთა რელიგიურ გრძნობებს, რომელთა წინაპრებიც ისტორიული ძნელბედობის ჟამს კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადავიდნენ, მაგრამ არასოდეს დახუჭავს თვალს რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელთა აქტიური პროზელიტიზმის პოლიტიკაზე და მოთმინებით შეახსენებს თავის თანამემამულეებს, რომ ძნელბედობა იყო მათი წინაპრების კათოლიკობაზე გადასვლის მიზეზი. ერთიანი ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების საფუძველი საქართველოში ყოველთვის იყო მართლმადიდებლური სარწმუნოება და ეკლესია.

მრავალსაუკუნოვანია ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა. ამ ურთიერთობებში ნეგატიურს პოზიტიური სჭარბობს. VII საუკუნის დასაწყისიდან ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მოხდა ევქარისტული კავშირის გაწყვეტა, ვინაიდან სომხურმა ეკლესიამ არ მიიღო 451 წლის ქალკედონის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებანი; მიუხედავად ამისა, ქართველი და სომეხი ხალხი ერთად იბრძოდა არაბი, თურქ-სელჩუკი, მონღოლი, ირანელი და ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ. შუა საუკუნეებში ქართული სახელმწიფო და ქართველი მეფეები – ბაგრატ IV, დავით IV, გიორგი III, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე I, ვახტანგ V, ვახტანგ VI, ერეკლე II, თეიმურაზ II – ყოველნაირად ეხმარებოდნენ მტრებისგან შევიწროებულ სომხებს, რომლებიც ტოვებდნენ თავიანთ სამშობლოს და საქართველოს აფარებდნენ თავს. თუ XVI–XVIII საუკუნეებში ირანი და ოსმალეთი მართლმადიდებელ ქრისტიანებს სასტიკად სდევნიდა, სამაგიეროდ, სრულ თავისუფლებას აძლევდა კათოლიკეებსა და მონოფიზიტ სომხებს, რითაც ისარგებლეს ენჩიადინის სომეხთა კათოლიკოსებმა და დაიწყეს რელიგიური ექსპანსია საქართველოში. მათ აქ მიითვისეს მრავალი ეკლესია-მონასტერი და გადააკეთეს ისინი სომხურ ყაიდაზე.

XVI-XVIII საუკუნეებში ქართველთა გასომხება ძირითადად ოსმალთა მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებზე ხდებოდა. XIX საუკუნეში კავკასიაში დამკვიდრებულ რუსეთს ყველაზე საიმედო დასაყრდენად სომხები

მიანდა და ხელს უწყობდა ქართველი მაჰმადიანების თავიანთი მიწა-წყლიდან გაძევების ხარჯზე თურქეთიდან სომხების გადმოსახლებას (ძირითადად სამცხე-ჯავახეთში). XIX საუკუნეში ორი სომხური საკათოლიკოსო (ენშიაძინისა და კილიკიის) და ორი სომხური საპატრიარქო (იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის) დიდი სომხეთის აღდგენის იდეით იყო გატაცებული. თუ ეს ვერ მოხერხდებოდა ოსმალეთის იმპერიის ხარჯზე, მაშინ საქართველოს ახალ სომხეთად გადაქცევა იყო განზრახული. ამიტომ XIX საუკუნეში კავკასიის ცენტრად გამოცხადებულ თბილისში დატრიალდა სომხური კაპიტალი, გააქტიურდა მრავალრიცხოვანი სომხური დიასპორა. მათ ისარგებლეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებითა და რუსი ეგზარქოსების ხელშეწყობით და კიდევ უფრო გააძლიერეს რელიგიური ექსპანსია, ქართველთა გასომხება. ამის წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს ეპისკოპოსმა კირიონმა, ივანე გვარამაძემ, მიხეილ თამარაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ... მიუხედავად ამისა, ქართველობამ მაინც გაუწოდა დახმარების ხელი სომხებს 1914-1918 წლების პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთში დატრიალებული მასობრივი ხოცვა-ჟლეტისას და ათასობით ლტოლვილი შეიფარა...

1917 წლის 25 სექტემბერს თბილისში ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის გეგორქ V-ის (თბილელის) დეპეშა მოვიდა. იგი უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II-ს ულოცავდა კათოლიკოს-პატრიარქად არჩევას. საქართველოს ეკლესია თვლიდა, რომ, კონფესიური სხვაობის მიუხედავად, სომხურ სამოციქულო ეკლესიასთან ნორმალური ურთიერთობა აუცილებელი იყო. უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ წერილით მიმართა ყოველთა სომეხთა კათოლიკოს გეგორქ V-ს. ეს წერილი, ერთი მხრივ, დახვეწილი დიპლომატიისა და მეორე მხრივ, მართლმადიდებელი პატრიარქის არამართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურისადმი დამოკიდებულების ბრწყინვალე ნიმუშია. უწმიდესი კირიონ II წერდა: „მიმოვიხილა ვ გარემოსა ჩემსა და თვალთა გონებისა ჩემისა შევაცენებ ღვთისმომშიშსა ერსა ზედა ჰაიკანისასა ძმური ნათესაობით ქართლოსიან-ჰაოსიანთა... მოვიკითხავ, უწმიდესო მეუფეო, რათა წრფითა და ღვაწლითა ჩუენითა აღდგენილ იქნას ერთობა ჩვენდამი რწმუნებულთა ერთა. ერთობას ვიტყვი არა სარწმუნოე-

ბრიგ-დოგმატურსა, არამედ მოქალაქეობრივ-განმანათლებლობისასა, რათა დაემყაროს ჩუენ შორის ძმობაი და ურთიერთს გულისხმავყოთ. და რაითა სამშობლოს შინა ჩუენისა დაამკვიდროს სასუფეველი ღმრთისაი.“

1922 წელს თბილისში ჩამოვიდა აქ დაბადებული და თბილისის ნერსესის სახელობის სომხური სემინარიის ყოფილი სტუდენტი კათოლიკოსი გეგორქ V. იგი შეხვდა და ქართულ ენაზე ესაუბრა უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის. 1923-1940-იან წლებში ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობა ეპისტოლური ხასიათისა იყო. 1945 წლიდან ინტენსიური გახდა ურთიერთობები უწმიდეს კალისტრატესა და თბილისის სომხური ეპარქიის ყოფილ ეპისკოპოსს, იმხანად ყოველთა სომეხთა კათოლიკოს გეგორქ VI-ს შორის. სომხური ეკლესიის ახალი მეთაური კათოლიკოსი ვაზგენ I ხშირად სტუმრობდა საქართველოს. გასაოცარი იყო მისი ინტუიცია და დიპლომატიური ნიჭი. უკვე 1962 წლიდან იგი საახალწლოდ მისალოც ბარათებს უგზავნიდა ჯერ ილუმენ, შემდეგ არქიმანდრიტ, შემდეგ კი მღვდელმთავარ ილია შიოლაშვილს. ვაზგენ I 1961 წელს პირველად შეხვდა არქიმანდრიტ ილიას და განჭვრიტა მისი დიდი მომავალი. 1977 წლის 25 დეკემბერს კათოლიკოსმა ვაზგენ I-მა მცხეთაში განაცხადა: „ქართული ეკლესია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ძეგლია... ძეგლი, რომელიც ქართველი ერის სულს განასახიერებს. მე მწამს ამ სულის უკვდავება, როგორც მწამს უკვდავება თვით ქართველი ერისა.“

1978 წლის 12-14 მაისს უწმიდესი და უნეტარესი ილია II სომხეთს სტუმრობდა. ენშიაძინში კათოლიკოსმა ვაზგენ I-მა თავის ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩვენთან იმყოფება უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. უნდა აღინიშნოს, რომ იგი ახალი არჩეულია პატრიარქად. ამ უმაღლესი და უწმიდესი მსახურებისათვის საგრძნობლად ახალგაზრდაა, მხნე, ჯან-ღონით სავსე და, რაც მთავარია, დიდი ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებული... თავის სამშობლოში მას ყურს უგდებენ, მისი სწამთ, მისი სჯერათ, მას აფასებენ. ასეთი დიდი სიყვარული თავისი ერისა ბევრს არ ერგება წილად. ეს მან დიდი სულიერი სიმაღლით მოიპოვა“. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მადლობა მოახსენა სომეხთა კათოლიკოსს და უთხრა, რომ ის, რაც XII საუკუნეში დავით აღმაშენებელმა გააკეთა საქართველოსათვის, ის თქვენ



სომხეთის ეკლესიაში XX საუკუნის 50-70-იან წლებში შეძელითო.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ამის შემდეგ ბევრჯერ ესტუმრა სომხეთს ისევე, როგორც კათოლიკოსი ვაზგენ I სტუმრობდა საქართველოს.

1978 წლის ნოემბერში ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში, სადაც სომეხთა მეორე რელიგიური ცენტრი, კილიკიის სომეხთა საკათოლიკოსოა, მაჰმადიანმა ტერორისტებმა სომხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. მისმა უწმიდესობამ ოფიციალურ განცხადებაში დაგმო ეს ვანდალური აქტი და სომეხ ხალხს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა: „ჩვენ, ქართველები, – აღნიშნა მან, – ისტორიის დასაბამიდან ვცხოვრობთ უძველესი კულტურისა და ტრადიციის მქონე სომეხი ხალხის მეზობლად. ამ ხნის მანძილზე ერთად გადაგვიტანია მრავალი განსაცდელი, მტერთა შემოსევა და სხვა ბედუკუდმართობანი, და არ შეგვიძლია გულგრილი დავრჩეთ მათ თანამემამულეთა ტრაგედიის მიმართ“.

პატრიარქის ამ განცხადებამ საქართველოში მცხოვრები სომხების დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ამის დასტური იყო ახალქალაქელი ხ. ოვსებიანის გამონხაურება: „ვბედავ და მოგახსენებთ უდიდეს მადლობას თქვენ, საქართველოს დიდებულ კათოლიკოს-პატრიარქს. სომეხი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თქვენს მალალადამიანური და მოქალაქეობრივი სიყვარულით სავსე თანაგრძნობას“.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II გამოესარჩლა ენშიადინის საკათოლიკოსოს 1980 წელს, როდესაც საზღვარგარეთელი სომეხი კათოლიკენი ლანძღავდნენ და ამცრობდნენ მის მნიშვნელობას. ყოველივე ამას კარგად ხედავდა კათოლიკოსი ვაზგენ I და ცდილობდა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან ურთიერთობაში დაეცვა ტაქტი და ყოფილიყო მისი პატივისმცემელი. უწმიდესმა ილია II-მ სათანადო პატივი მიაგო კათოლიკოს ვაზგენ I-ის ხსოვნას 1994 წელს ენშიადინში და საგულისხმო სიტყვა წარმოთქვა: „დიდია მწუხარება სომხეთის სამოციქულო ეკლესიისა და სომეხი ხალხისა, იგი ემშვიდობება თავის ღირსეულ და ბრძენ მამამთავარს, რომელიც 39 წლის მანძილზე, ურთულეს პირობებში, იყო საჭეთმპყრობელი ენშიადინის უძველესი საკათოლიკოსო ტახტისა... იმ დროს, როდესაც შეზღუდული იყო კავშირი უცხოეთთან,

მან მოახერხა ურთიერთობა დაემყარებინა იქ მყოფ სამწყსოსთან, გაელრ-მავებინა მათში სამშობლოს სიყვარული, გაემთლიანებინა ერი... შევთხოვ უფალს, რათა მისი უკვდავი სული დააწესოს იმ სავანეში, რომელშიც სომეხი ხალხის დიდებული წინაპარნი განისვენებენ“.

კათოლიკოს ვაზგენ I-ის გზა განაგრძო კილიკიური წარმოშობის ახალმა კათოლიკოსმა გარეგინ I-მა, რომელმაც 1997 წელს იმოგზაურა საქართველოში, მოიხიბლა ჩვენი ქვეყნით, მისი დიდებული ტაძრებით, ისტორიით. სამწუხაროდ, იგი მალე გარდაიცვალა. ამის შემდეგ სომხურ ეკლესიაში გაძლიერდა ტენდენცია ქართული ეკლესია-მონასტრების მითვისების, ისტორიის ფალსიფიკაციისა. სომხური საკათოლიკოსოს ხელშეწყობით, ერევანში გამოდის რუკა-ცნობარები, სამეცნიერო წიგნები, რომლებშიც გაყალბებულია საქართველოს ისტორია, სომხურადაა გამოცხადებული 650-ზე მეტი ქართული ეკლესია. სომხურ საეკლესიო ინტერნეტ-საიტებზე ვრცელდება ისეთი ინფორმაციები, რომლებიც ხელს არ უწყობს ორი მეზობელი ხალხისა და ეკლესიის მეგობრულ ურთიერთობას.

ქართულ-სომხური ურთიერთობები იყო განხილვის მთავარი თემები 2011 წლის ივნისში საქართველოში ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსის, გარეგინ II-ის ოფიციალური ვიზიტის დროს. ილია II-მ სომხეთ-საქართველოს საზღვრისპირა სოფელ სადანლოში გარეგინ II-სთან შეხვედრისას განაცხადა: „იმედი მაქვს, რომ თქვენი ვიზიტი კიდევ უფრო განამტკიცებს ქართველ და სომეხ ხალხებს შორის ურთიერთობებს“. თავის მხრივ, გარეგინ II-მ აღნიშნა: „მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა ჩამოვსულიყავი საქართველოში. აქ ვიმყოფები როგორც თქვენი პირადი მოპატიჟებით, ასევე სომეხთა თემის კერძო მოწვევით. თქვენთან ერთად მინდა დავლოცო ჩვენი ერები, ჩვენი შთამომავლობა. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მათში ქრისტიანობის სიყვარული, მეგობრობა და ასევე რწმენა ღვთისადმი“. საქართველოს საპატრიარქოში ოფიციალური მიღებისას ილია II-მ აღნიშნა: „ღიდად ვაფასებ თქვენს ისტორიას, კულტურას, თქვენს წარსულს, გმირობას. როცა უჭირდა სომხეთს, უჭირდა საქართველოს და როცა უჭირდა საქართველოს, უჭირდა სომხეთსაც. ამიტომ ის ძმური ურთიერთობა, რომელიც ოდითგანვე არსებობდა ჩვენ შორის, კვლავაც უნდა გაგრძელდეს“. სომეხთა კათოლიკოსმა ოფიციალურ შეხვედრაზე ისაუბრა

საქართველოს სულიერი გაბრწყინებისა და წინსვლის შესახებ და მიანიშნა, რომ ჩვენი ეკლესია საქართველოში თავისი მოწოდების შესრულებისას გარკვეულ სიძნელეებს განიცდისო. საქმე ეხებოდა სომხური ეპარქიის იურიდიულ სტატუსს, სადავო ეკლესიების საკუთრებას. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ პირდაპირ მოახსენა სტუმარს: რა სტატუსიც ექნება საქართველოს ეკლესიას სომხეთში, იგივე სტატუსი ექნება სომხეთის ეკლესიას საქართველოში; რაც შეეხება ტაძრების საკითხს: ეს მოთხოვნები, რომლებიც არსებობს ქართველების მხრიდან სომხეთისადმი და თავის მხრივ, სომხეთის პრეტენზიები საქართველოს მიმართ, სამეცნიერო დონეზე უნდა განვიხილოთ. პატრიარქმა სტუმრებს განუმარტა: „არ შეიძლება ურთიერთობებსა და პრობლემებზე ცალმხრივად საუბარი. ურთიერთობა ორმხრივი უნდა იყოს. როცა ვსაუბრობთ ამა თუ იმ ეკლესიის დაბრუნებაზე, კარგად უნდა დადგინდეს, თუ ვის ეკუთვნოდა იგი წარსულში... ქართველებსაც გვაქვს ჩვენი მოთხოვნები. იმედი მაქვს, რომ თქვენი უწმიდესობა ხელს შეგვიწყობს ჩვენი ეკლესიებისა და მონასტრების დაბრუნებაში. ჩვენს ურთიერთობებში, რომელიც სამაგალითო უნდა იყოს, არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობა, ინტერესები ორმხრივად უნდა იყოს გათვალისწინებული“.

საქართველოს პატრიარქი თავის გამოსვლაში გულისხმობდა ისტორიულ ლორე-ტაშირის რაიონში, რომელიც 1921 წლამდე საქართველოს კუთვნილება იყო, არსებულ ეკლესია-მონასტრებს, მათ შორის ახტალის, ქობაიერის, ხაინანის, ახკერპის ეკლესიებს. სომხური მხარე მზად იყო ამ საკითხებზე დამატებითი კონსულტაციისათვის, მაგრამ 2011 წლის 5 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ რელიგიური გაერთიანებების შესახებ მიღებული კანონის შემდეგ ეს საკითხი, სამწუხაროდ, უბრალოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან, როგორც სომხური სამოციქულო ეკლესიის პრეს-სპიკერმა ვაჰან მელიქიანმა განაცხადა, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი მოსალოდნელი ნაბიჯი იყო... სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ამით საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა არად ჩააგდეს ქართველი ერისა და მისი სულიერი წინამძღოლის მოწოდება, საერთო-სახალხო განხილვის შემდეგ მიეღოთ რელიგიური გაერთიანების შესახებ კანონი.

ქართველ ხალხს ისტორიულად ახასიათებს სჯულშემქმნარებლობა და ტოლერანტობა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ნახევარმილიონიან სომხურ დიასპორას საქართველოში აქვს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სკოლები, თეატრი, პრესა, უმაღლეს სასწავლებელში – სომხურენოვანი განყოფილება, სომხური ეპარქია. ისტორია არ გვაპატიებს ჩვენი ორი ქვეყნისა და ხალხის ურთიერთობის გართულებას. მეცნიერებმა, პოლიტიკურმა და რელიგიურმა მოღვაწეებმა უნდა გავითვალისწინოთ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის გამოცდილება და შევინარჩუნოთ ურთიერთნდობა და ურთიერთპატივისცემა.

ისტორიულად საქართველო თავის თავს ევროპის ნაწილად მიიჩნევდა და ცდილობდა, მჭიდროდ დაჰკავშირებოდა ევროპულ ცივილიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიურ-კონფესიური თვალსაზრისით ევროპის განვითარებული ქვეყნები – ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია – სრულიად განსხვავებულნი იყვნენ საქართველოსაგან, მონღოლების, ირანისა და ოსმალეთის დამანგრეველი ლაშქრობების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მაინც ევროპის ქვეყნების დახმარების იმედი ჰქონდა. მართალია, XVI-XX საუკუნეებში ეს დახმარება სიტყვიერ მხარდაჭრას არ გასცილებია, მაგრამ საქართველოს ორიენტაცია არ შეცვლილა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ევროპის ქვეყნებთან კონტაქტებს იმ დროს ახერხებდა, როდესაც საბჭოთა კავშირი ჩაკეტილი სახელმწიფო იყო და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა – საგრძნობლად შეზღუდული.

1979 წლის 15 იანვარს იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II არჩეულ იქნა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად. ამან მას საშუალება მისცა მონაწილეობა მიეღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერთა შეხვედრებში. უწმიდესი და უნეტარესი ყველგან საუბრობდა საქართველოზე, მის ისტორიაზე, უძველეს სამოციქულო ეკლესიაზე. ამ შეხვედრებით მან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მსოფლიოს მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიების მეთაურებთან და მოიწვია ისინი საქართველოში. ამ შეხვედრებმა და პი-

რადმა კონტაქტებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს მართლმადიდებელ ეკლესიათა მიერ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. უწმიდესი და უნეტარესი ილია II 1963-1997 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში წევრობის პერიოდს ასე აფასებს: „საბჭოთა იზოლაციის დროს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ყოფნამ ჩვენს ეკლესიას საშუალება მისცა, რომ იგი მსოფლიოს გაეცნო როგორც დამოუკიდებელი ეკლესია. ასე რომ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში მართლმადიდებელი ეკლესიების ყოფნა ერთგვარად მათი მისიონერული მოღვაწეობის გაგრძელებასაც წარმოადგენდა.“

უწმიდესი და უნეტარესი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში სხვადასხვა დროს შეხვდა პროტესტანტული, ლუთერანული, ანგლიკანური ეკლესიების მეთაურებს, ამ ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებს, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლებს. მისმა შეხვედრებმა ახალი სტიმული მისცა ევროპაში ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებას. ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და რელიგიური ლიდერები აღტაცებას ვერ ფარავდნენ: მათ წინაშე მანამდე უცნობი ქრისტიანული აღმოსავლეთის დიდი ცივილიზაციისა და უძველესი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური იყო. მომხიბლავი გარეგნობა, დახვეწილი მანერები, ევროპული ცივილიზაციისა და თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ზოგადი პრინციპების ღრმა ცოდნა მათ ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურისადმი უდიდესი პატივისცემით განაწყობდა.

უწმიდესი და უნეტარესი სტუმრობდა აზიის ქვეყნებსაც. იგი შეხვდა და საქართველოს სამოციქულო ეკლესია გააცნო ეგვიპტის კობტთა პატრიარქს შენუდა III-ს, მალაბარიის ინდოელთა მონოფიზიტ პატრიარქ-კათოლიკოსს ბასილ მართომა მათე I-ს, ეთიოპიის მონოფიზიტ პატრიარქს აბუნა თეკლე-ჰაიმანოტს, სირიელ იაკობისტთა პატრიარქს მარი იაკობ III-ს, აღმოსავლეთის მონოფიზიტ პატრიარქს მაქსიმე V-ს. უწმიდესმა და უნეტარესმა ქართული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლა საქართველოში საპასუხო ვიზიტით ჩამოსულ სხვადასხვა ქვეყნის რელიგიურ და პოლიტი-

კურ ლიდერებს, მეცნიერების, ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებს. საქართველოს, ქართველების შესახებ საინფორმაციო მასალებს ბეჭდავდნენ ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის ქვეყნების წამყვანი გამოცემები.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II მსოფლიოში ცნობილი რელიგიური ლიდერია, მას დიალოგი შეუძლია არა მარტო არამართლმადიდებლური ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებთან, არამედ სხვა აღმსარებლობის ადამიანებთანაც. ამის დასტურია კავკასიის მუსლიმანთა ლიდერის, შეიხ ალას შუქურ ფაშა ზადესა და უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც აისახება ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობაში.

2001 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მუჰამედ ჰათამის მიწვევით უწმიდესი და უნეტარესი ილია II ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ირანში, შეხვდა პრეზიდენტ ჰათამსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერ ლიდერს ალი ჰამენესს. პატრიარქმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მათ: „მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნების – ირანისა და საქართველოს – რელიგიური ლიდერები და სასულიერო მოღვაწენი, ჩვენი ხელისუფალნი და საზოგადოება მზად არიან, რათა მსოფლიოს ვუჩვენოთ მაგალითი იმისა, რომ რელიგიური განსხვავებულობისა და წარსულში დაპირისპირების მიუხედავად, შეგვწევს უნარი ურთიერთპატივისცემისა, უნარი მშვიდობიანი და მეგობრული თანაარსებობისა“.

მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქი საოცრად შემწვანარებელია, იგი არაფერს არ თმობს, როდესაც საქმე ეხება სამშობლოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას. ამის მაგალითია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოსთან ურთიერთობა. როდესაც ამ ორგანიზაციამ განსხვავებულ კონფესიათა სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობათა განხილვა გადაზარდა ერთიანი მსოფლიო ეკლესიის შექმნის მცდელობაში, ერთობლივი ლოცვების ჩატარების შესაძლებლობასა და მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მიუღებელ გადაწყვეტილებებში, 1997 წლის 20 მაისს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ უარი თქვა ეკუმენურ მოძრაობაში

მონაწილეობაზე და გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უარს ამბობს ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოდის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან... მართლმადიდებლები არ მიიღებენ მონაწილეობას ეკუმენურ მსახურებაში, საერთო ლოცვებსა და ღვთის თაყვანისცემაში“.

პატრიარქის ამ გადაწყვეტილებას იმხანად სხვადასხვა შეფასება მიეცა, მაგრამ დრომ აჩვენა მისი მართებულობა. ამ ნაბიჯით ჩვენმა ეკლესიამ თავიდან აიცილა გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი ტენდენციების საეკლესიო სფეროში შეჭრა და დაიცვა მართლმადიდებელი ეკლესიის სიწმინდე.

თავისი თამამი ნაბიჯებით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია XX საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოს პოლიტიკური, სულიერი და კულტურული ცხოვრების ცენტრში აღმოჩნდა. ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები აღიარებდნენ, რომ ისინი ვეღარ ახერხებდნენ ეკლესიის საქმიანობის სრულ კონტროლს, მის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას. 1977-1990-იან წლებში თბილისს სტუმრობდნენ მსოფლიოს მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურები, პოლიტიკური მოღვაწეები. ისინი ხვდებოდნენ უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. თუ 1923-1977-იან წლებში თვალში საცემი არ იყო ის ფაქტი, რომ საპატრიარქო რეზიდენცია სულ 3-4 ოთახისგან შედგებოდა, ახლა უკვე ამკარა უხერხულობა იქმნებოდა. საბჭოთა იდეოლოგიური სამსახურები კვლავ აცხადებდნენ, რომ ქვეყანაში სინდისის თავისუფლება გარანტირებული იყო საბჭოთა კონსტიტუციით, რომ ეკლესიას ყველაფერი ჰქონდა, რაც სჭირდებოდა. მაგრამ 1977-1988-იან წლებში პატრიარქს საპატრიარქო რეზიდენცია არ ჰქონდა, სიონის საპატრიარქო ტაძრის გარშემო უსახური სახლები იყო ჩამწყვირებული. ხელისუფლებამ ერთხანს გრიგოლ ორბელიანის მოედანზე არსებული საზღვარგარეთთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობა დაუთმო საპატრიარქოს უცხოელი საპატიო სტუმრების მისაღებად.

ჯერ კიდევ 1967 წელს, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად ყოფნის დროს,

მეუფე ილიამ წმიდა სინოდის სახელით საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარეს მოსთხოვა საპატრიარქოსათვის დაებრუნებინათ 1923 წელს ჩამორთმეული რეზიდენცია. 1977 წლიდან ოფიციალური ხელისუფლება გრძნობდა, რომ შექმნილი უხერხული ვითარების გამოსწორება მხოლოდ საპატრიარქოსათვის რეზიდენციის გამოყოფით შეიძლებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 1984 წლის 2 თებერვალს განმეორებითი თხოვნით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. შევარდნაძეს და მოითხოვა საპატრიარქოსათვის ისტორიული შენობის დაბრუნება. მთავრობა ყოყმანობდა. ბოლოს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას გადაეცა ნახევრად ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სპორტკომიტეტის ყოფილი შენობა. 1990 წელს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა კატეგორიული მოთხოვნის შედეგად, ოფიციალური ხელისუფლება იძულებული გახდა, აღედგინა ისტორიული სამართლიანობა და 1923 წელს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის უკანონოდ წართმეული საპატრიარქო რეზიდენცია, სადაც მოღვაწეობდნენ უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი – კირიონი, ლეონიდე, ამბროსი – დაუბრუნა კანონიერ მფლობელს. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოს ისტორიულმა რეზიდენციამ დაიბრუნა თავისი ფუნქცია. აქ თამამად შეიძლება საპატიო სტუმრების, საერო და სასულიერო პირების მიღება და ღირსეული მასპინძლობა.



## საქართველოს ეკლესია საერთაშორისო ასპარეზზე

უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური 1917-1918 წლებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობის აღდგენას. 1811 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერატორმა – ალექსანდრე I-მა გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან გაწყდა მრავალსაუკუნოვანი კავშირი. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II მსოფლიო პატრიარქ ბასილი III-ს წერილში მოკლედ მოუთხრობდა 1811–1917 წლების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიას და აცხადებდა: „გულისხმავყოფ ბრძანებასა მოციქულისასა თანახმად ერთობისა მას სულისასა საკვირველისასა... სიყვარულით მოგიკითხავ, უნეტარესო მამაო, და წრფელითა გულითა გითხრა: „ქრისტე არს ჩვენს შორის“. ღვაწლი ჩემდა იქნების დაცვაი დოღმატთა მართლმადიდებლობისათა, რომელთა არცა გამცემელ ყოფილ არს ეკლესიაი ჩენი, გზად ჩემდა იქმნების ზრუნვაი კეთილდგომისათვის წმიდათა ღმერთისა ეკლესიათა და კეთილი წარმატებისათვის ერისა ჩემის ზღუდედ ჩემდა იქმნების კანონი.“ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო, რუსეთის ეკლესიის გავლენით, ერიდებოდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან ურთიერთობას XX საუკუნის 20-60-იან წლებში. ერთადერთი შემთხვევა უკავშირდება 1928 წელს, როდესაც მსოფლიო საპატრიარქომ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ახალ სტილზე გადასვლის გამო მხარდაჭერა სთხოვა.

ბოლშევიკური მმართველობის ხანაში სხვა მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიებთან პირადი კონტაქტები გაძნელებული იყო. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო საბჭოთა კავშირის მიერ მტრულად შერაცხილი სამხედრო ორგანიზაციის, „ნატოს“ წევრი ქვეყნის – თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა და ოფიციალური ხელისუფლება საქართველოს

მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას მსოფლიო საპატრიარქოსთან თავისუფალ ურთიერთობას უკრძალავდა. დღეს ხშირად კამათობენ იმის თაობაზე, თუ რამდენად იყო გამართლებული 1962 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II-ის თანხმობა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების შესახებ. ამ ორგანიზაციის ვეიდით მოწყობილ სამშვიდობო ფორუმზე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება, მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებისათვის მკაფიოდ განემარტათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის მნიშვნელობა და მოეთხოვათ მათგან ამ ავტოკეფალიის აღიარება. 1963 წელს შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია მონაწილეობდა კუნძულ როდოსზე გამართულ მართლმადიდებელ ეკლესიათა სამშვიდობო ფორუმში, რომელზეც საქართველოს ეკლესია ყველაზე ახალგაზრდა ავტონომიურ ეკლესიად გამოაცხადეს. ამას მოჰყვა მეუფე ილიას მწვავე რეაქცია. მან განუმარტა დამსწრეთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის უძველესი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესია და მოითხოვს შესაბამის პატივისცემას. როდოსიდან დაბრუნებულმა ეპისკოპოსმა ილიამ ვრცელ მოხსენებით ბარათში უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს აუხსნა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ირგვლივ შექმნილი ვითარება. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ მას დაავალა, ეშუშავა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის, მეცნიერებთან თანამშრომლობით მოეძია ავტოკეფალიის ისტორიული მტკიცებულებანი. დაიწყო ამ მიმართულებით დაძაბული მუშაობა. 1970 წლის 2 მარტს უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს სამუშაო დღიურში ჩაუწერია: „კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქი ჩვენს ეკლესიასთან არ არის კეთილად განწყობილი, ცნობილმა ვილაცამ (?) ყურში ბოროტად ჩაუჩურჩულა, ჩვენს პატრიარქობას არ სცნობს... ჩვენ ჩვენს გზას ვაგრძელებთ.“

მსოფლიო საპატრიარქოსთან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე ინტენსიური მოლაპარაკებები გაგრძელდა უწმიდესი და უნეტარესი ილია

II-ის ლოცვა-კურთხევით. 1978 წლის 1-4 ივნისს, პატრიარქის მოწვევით, თბილისში იმყოფებოდა მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ფილადელფიის მიტროპოლიტი ბართოლომეოსი (ახლანდელი მსოფლიო პატრიარქი) და შვედეთის მიტროპოლიტი პავლე. საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა პირველი სერიოზული მოლაპარაკება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე. 1978 წლის 16 ივნისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საპატრიარქო რეზიდენციაში შეხვედრა მოუწყო ქართველ მეცნიერებს. შეხვედრას ესწრებოდნენ პროფესორები: მ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, თ. ჯაფარიძე, პ. ზაქარაია, შ. ლომსაძე, ი. სიხარულიძე, გ. მამულია, ნ. ასათიანი, რ. სირაძე, ა. ბოგვერაძე, დ. გოგოლაძე, თ. ბერაძე, ი. ლოლაშვილი, ბ. ლომინაძე. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქართველ მეცნიერებს სთხოვა, ინტენსიურად ემუშავათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაზე. მანვე აღნიშნა, რომ მოსაგვარებელი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხი. საჭირო იყო, მყარი ისტორიული მტკიცებულებების მქონე საბუთებით დაემტკიცებინათ ბერძნული საპატრიარქოებისთვის, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაური V საუკუნიდან კათოლიკოსის, ხოლო XI საუკუნიდან – კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულს ატარებდა. მეცნიერებმა აღუთქვეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ ყველაფერს გააკეთებდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ინტერესების დასაცავად. მართლაც, უმოკლეს დროში შეიქმნა ნ. ლომოურის, ბ. ლომინაძის, დ. გოგოლაძის, ა. ბენდიანიშვილის ნაშრომები საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე.

1979 წლის 2-8 მაისს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თანმხლებ პირებთან ერთად სტამბოლში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის – უწმიდესი დიმიტრიოსის მიწვევით. „თითქმის რვაასი წელია, რაც კონსტანტინოპოლში არ ყოფილა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, –

განაცხადა მისმა უწმიდესობამ, – ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა და ღვთის ლოცვა-კურთხევით ჩამოვედი ამ ქალაქში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო ცენტრი ეკლესიური, კულტურული და სამეცნიერო ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. ჩვენი ეკლესია მუდამ გრძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება მსოფლიო საპატრიარქოს, ის მუდამ უნდა ყოფილიყო იმ ძალად, რომელიც დააკავშირებდა ავტოკეფალიურ ეკლესიებს.“ · საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შეხვდა მსოფლიო საპატრიარქოს მმართველ მღვდელმთავრებს, გაიმართა აზრთა გაზიარება მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობის საკითხებზე. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ შეხვედრაზე განაცხადა: „როდესაც წერილს ან მილოცვას გვიგზავნის კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო, სწორად არ არის მოხსენებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ისე როგორც წოდებულია V საუკუნიდან... საეკლესიო ფორუმებსა და კონფერენციებზე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია კანონიერად უნდა იკავებდეს თავის ადგილს... როცა ხდება კუთვნილი VI ადგილის დარღვევა, ეს გავლენას ახდენს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაზე და მის ავტორიტეტზე მთელ მსოფლიოში... ჩვენ გვსურს, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს... არ ვითხოვ ახალი რამის მოცემას ან დამტკიცებას, ჩვენ გვინდა აღვადგინოთ წინანდელი ჩვენი მდგომარეობა, რომელიც, სამწუხაროდ, 1811 წელს დაგვკარგეთ.“

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სახელით გამოსულმა ქალკედონის მიტროპოლიტმა მელიტონმა აღუთქვა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურს, რომ ეს საკითხები დადებითად გადაიჭრებოდა დასაბუთებული ისტორიული მასალების გაცნობის საფუძველზე.

დაძაბული მოლაპარაკებები II წელი გაგრძელდა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ავტოკეფალიისა და დიპტიხის საკითხებში არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა. 1982 წლის 3 ივლისს მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსისადმი გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერდნენ უწმიდესი და უნეტარესი ილია II და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის 13 მღვდელმთავარი, ნათქვამი იყო: „თუ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო

სადაცოდ მიიჩნევეს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ადგილს დიპტიხში, იმ შემთხვევაში საქართველოს საპატრიარქოს გაუჭირდება მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო საპატრიარქოს მიერ მოწყობილ ღონისძიებებში“.

საქართველოს საპატრიარქომ გააპროტესტა ის ფაქტი, რომ 1981 წელს საბერძნეთისა და კვიპროსის ეკლესიების მიერ შედგენილ კალენდარში საქართველოს ეკლესია არ იყო მოხსენიებული ისტორიულად მის კუთვნილ მე-რ ადგილზე. მის უწმიდესობას მოუბოდიშეს, რომ იძულებულნი იყვნენ დაეცვათ მსოფლიო საპატრიარქოს მიერ ავტოკეფალიური ეკლესიებისათვის განკუთვნილი რიგი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, ქართველ მეცნიერებთან კონსულტაციის შემდეგ, მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს დაუგზავნა დასაბუთებული, ისტორიული დოკუმენტებით გაჯერებული წერილები, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიასა და დიპტიხში მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის მისი კუთვნილი მე-რ ადგილის კანონიერებას ამტკიცებდა. პატრიარქმა ილია II-მ მოძმე ეკლესიებისგან წერილობითი მხარდაჭერა მოითხოვა. მისი უწმიდესობის მოთხოვნას დადებითად გამოეხმაურნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმიდესი პიმენი (1982 წ. 29. IX), პრადისა და ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტი დოროთეოსი (1982 წ. 16.VII), ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე (1982 წ. 16.V), ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი უწმიდესი ნიკოლოზ VI (1982 წ. 1.IX). მრავალმხრივ საგულისხმო იყო იერუსალიმის პატრიარქის დიოდოროსის პასუხი: „ძმური სიყვარულით მივიღეთ ჩვენთვის ძალზე საყვარელი თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობის წერილი, რომელმაც მოგვაგონა და უკან მოგვახედა ეკლესიური ფაქტებისაკენ, გვიჩვენა უძველესი დროიდანვე დადგენილად სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია... დაბეჯითებით მოგასხსენებთ, რომ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთსულოვნებით საქართველოს მოწამებრივმა, მაგრამ, ამავე დროს, დიდებულმა საპატრიარქომ უნდა მიიღოს თავისი შესაბამისი ადგილი კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დიპტიხში.“ უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის წერილს დაუყოვნებ-

ლივ უპასუხა მსოფლიო პატრიარქმაც: „მივიღე და შესაფერისი ყურადღებით გავეცანით ჩვენი წმიდა სინოდის კრებაზე ჩვენთვის ძალზე საყვარელი და სასურველი თქვენი უნეტარესობის და წმიდა სინოდის ძმურ წერილს, რომელიც შეეხება წმიდა დიპტიხში თქვენი ეკლესიის ადგილს ისტორიული და კანონიერი მონაცემებით. გაცნობებთ, რომ იგი განსახილველად გადაეგზავნა სინოდის საბჭოს.“

1988 წლის აგვისტოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მოწვევით, თბილისში ჩამობრძანდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი უწმიდესი დიმიტრიოსი, რომელმაც მოილოცა ქართული ეკლესია-მონასტრები, ხელოვნების მუზეუმში დაათვალიერა ქართული საეკლესიო სიწმინდენი. მსოფლიო პატრიარქი გააოცა ეკლესია-მონასტრებში მრევლის, ძირითადად ახალგაზრდობის, სიმრავლემ. საქართველოს საპატრიარქოში წმიდა სინოდის წევრებთან და ქართველ მეცნიერებთან გაიმართა მსჯელობა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის ცნობისა და მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიხში VI ადგილის დაკავების შესახებ. გადაწყდა, აღნიშნულ საკითხებზე გაგრძელებულიყო მოლაპარაკებები.

1988-1989 წლებში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ მიტროპოლიტები: ქრიზოსთომოსი და დამასკინოსი. უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ყველა სიტყვას, რომელიც აღიარების ტექსტში უნდა შესულიყო. მოლაპარაკებები იყო რთული, მაგრამ კონსტრუქციული. 1990 წლის 7 იანვარს (ძვ. სტ. 25 დეკემბერს), სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვის დამთავრების შემდეგ მიტროპოლიტმა ქრიზოსთომოსმა ოფიციალურად გამოაცხადა მსოფლიო საპატრიარქოს გადაწყვეტილება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიისა და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტულის აღიარების შესახებ.

1990 წლის 4 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ კონსტანტინოპოლში მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსის ხელმოწერით მიიღო ორი სიგელი:

„1. საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“, რომლის თანახმადაც მსოფლიო საპატრიარქო მთელი გადაწყვეტილება „ცნოს და დაამტკიცოს საქართველოს წმიდა ეკლესიის ავტოკეფალია და დამოუკიდებელი სტრუქტურა“.

2. კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქის – დიმიტრიოსის – განჩინებით, საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებული იქნა საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით, როგორც აღრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში. პატრიარქის ტიტულია: „მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსა“.

მისმა უწმიდესობამ გულითადი მადლობა მოახსენა მსოფლიო საპატრიარქოს ისტორიული სამართლიანობის აღდგენისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ დიპტიხის საკითხიც ასევე სამართლიანად გადაწყდებოდა.

საქართველო მოუთმენლად ელოდა მისი უწმიდესობის სამშობლოში დაბრუნებას. ერთი წელი სრულდებოდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის სისხლიანი დღეებიდან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მკაფიოდ აყენებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს. როგორც 1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა წინ უსწრებდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ისე მოხდა 73 წლის შემდეგაც. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის ცნობის სიგელებით ხელდამშვენებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაბრუნდა სამშობლოში. თბილისის აეროპორტიდან საპატრიარქო რეზიდენციამდე ბენიერებისაგან აცრემლებული, ერთ მუშტად შეკრული ქართველობა აცილებდა თავის ღირსეულ სულიერ წინამძღოლს. 28 მარტს სიონის საპატრიარქო ტაძარში წარმოთქმულ სიტყვაში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიულოცა ქართველ ერს ისტორიული დღე და აღნიშნა: „ამჯერად ხელთ გვაქვს ის საბუთები, რომელთაც საქართველო 1500 წლის მანძილზე ელოდა... ისინი იმდენად დიდი მნიშვნელობის საბუთებია, რომ ვერასდროს, ღვთის წყალობით და ღვთის ლოცვა-კურთხევით, ვერავინ ვეღარ შეახებს ხელს საქართველოს ეკლესიას.“ სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა მის უწმიდესობას, მარტო ეს ეყოფოდა ისტორიაში შესასვლელად.

## მღვდელმთავრობის 50, პატრიარქობის 35 და დაბადების 80 წლისთავის აღნიშვნა

2012-2013 წლები საქართველოში მისი უწმიდესობის სიუბილეო წლებია. 2013 წლის 25 დეკემბერს 35 წელი შესრულდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებიდან. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა საზეიმო წირვა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომელთაც უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს მიულოცეს საიუბილეო თარიღი და უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალჟამიერ სიცოცხლე. მანამდე, 14 დეკემბერს თბილისში „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართა II საერთაშორისო კონფერენცია „შემობრუნება სულიერებისაკენ“, რომელიც უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ეპოქას მიეძღვნა. 3 იანვარს უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ისათვის საიუბილეო თარიღების მისალოცად თბილისში ჩამობრძანდა ამიერკავკასიის მუსლიმთა სამმართველოს თავმჯდომარე, მისი აღმატებულება შეიხ ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშაზადე, რომელმაც გულითადად მიულოცა უწმიდესსა და უნეტარესს იუბილე და გადასცა ამიერკავკასიის მუსლიმთა სამმართველოს მთავარი ჯილდო „შეიხ ულ ისლამის სახელობის ბრილიანტის ორდენი“ – რელიგიებსა და ერებს შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის“. საიუბილეო დღეების დასკვნითი ღონისძიებები გაიმართა 2013 წლის 9-14 იანვარს. ამ დღეებში თბილისს ესტუმრნენ მსოფლიოს ადგილობრივი ეკლესიების დელეგატები: კონსტანტინოპოლისა და ახალი რომის მთავარეპისკოპოსი და მსოფლიო პატრიარქი ყოვლად უწმიდესი ბართოლომეოსი, სრულიად სერბეთის პატრიარქი, პეჩის მთავარეპისკოპოსი და ბელგრად-კარლოვაცის მიტროპოლიტი უწმიდესი ირინეოსი, ბულგარეთის პატრიარქის მოსაყდრე, ვარნისა და ველიკი პრესლავის მიტროპოლიტი კირილე, მთა-



ვარეპისკოპოსი პრადისა, მიტროპოლიტი სრულიად ჩეხეთისა და სლოვაკიისა უნეტარესი ქრისტეფორე, რუსეთის საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე მიტროპოლიტი ილარიონი; დელეგაციები ალექსანდრიის, ანტიოქიის, საბერძნეთის, კვიპროსის, ალბანეთის, პოლონეთის ეკლესიებიდან. 11 იანვარს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, სადაც სიტყვები წარმოთქვეს უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. უწმიდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს მიესალმნენ ყოვლად უწმიდესი კონსტანტინოპოლის და ახალი რომის მთავარეპისკოპოსი და მსოფლიო პატრიარქი, ყოვლადუწმიდესი ბართოლომეოსი (არხონდონისი), სრულიად სერბეთის პატრიარქი, პეჩის მთავარეპისკოპოსი და ბელგრად-კარლოვაცის მიტროპოლიტი, უწმიდესი ირინეოსი (გაგრილოვიკი), ბულგარეთის პატრიარქის მოსაყდრე, ვარნისა და ველიკი პრესლავის მიტროპოლიტი კირილე (კოვაჩევი), მთავარეპისკოპოსი პრადისა, მიტროპოლიტი სრულიად ჩეხეთისა და სლოვაკიისა, უნეტარესი ქრისტეფორე (პულეცი). სხდომაზე რუსეთის პრეზიდენტის ბატონ ვლადიმერ პუტინის მილოცვის ტექსტი წაიკითხა ბატონმა მიხეილ შვიდკოიძემ. მილოცვის ტექსტში ნათქვამი იყო – „უწმიდესი და უნეტარესი ილია II თავისი ერის უდიდესი წინამძღოლია, რომელიც საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე რთულ პერიოდებში თავისი ბრძნული სიტყვით მუდამ ახერხებდა მშვიდობის დამყარებას“. უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს საიუბილეო თარიღები მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა. 13 იანვარს თბილისში სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა საზეიმო წირვა, რომელსაც მრავალრიცხოვან მრევლთან, მთავრობისა და პარლამენტის წევრებთან ერთად დაესწრნენ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციები. პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა სამების საკათედრო ტაძარში გამოსვლისას ბრძანა:

„ჩემო საყვარელო ხალხო!

ჩვენ დღეს გულწრფელად ვზეიმობთ ჩვენი უსაყვარლესი პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადებიდან მე-80 და აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავს. უწმიდესმა და უნეტარესმა უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. იმ ჟამს, როდესაც ქრისტიანულ სამყაროში და განსაკუთრებით საქართველოში ათეისტური და ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართული ძალები მძლავრობდნენ, მისმა უწმიდესობამ ქართველ ერს გზა რომ არ დაჰბნეოდა, სწორი გეზი მისცა. უახლოეს წლებსაც თუ გავიხსენებთ, როდესაც გაურკვეველი ძალები კვლავ მძლავრობდნენ ჩვენს ქვეყანაში და უტევდნენ ჩვენს ტრადიციებს, ჩვენმა პატრიარქმა ბრძნულად მოუწოდა ერს, ეროვნული ტრადიციების გაფრთხილებისა და შენარჩუნებისკენ. ქრისტიანული სარწმუნოება ჩვენი კულტურის უდიდესი ნაწილია, ჩვენთვის ქრისტიანობა არ არის მხოლოდ აღმსარებლობა.

ჩვენ ბედნიერი ერი ვართ, რომ ასეთი სულიერი მამა გვყავს მისი უწმიდესობის, ჩვენი საყვარელი პატრიარქის, ილია II-ის სახით. ვულოცავთ მას ამ საიუბილეო თარიღებს და ვუსურვებთ მტკიცე ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ!

მინდა მადლობა გადავუხადო მის ყოვლადუწმიდესობას, მსოფლიო პატრიარქს, რომელმაც პატივი დაგვდო და ჩვენს პატრიარქს საიუბილეო თარიღები მიულოცა. დღეს ჩვენი პატრიარქის იუბილეს ზეიმობს მთელი ქართველი ერი, ზეიმობს მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელი ქრისტიანობა! დღეს ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი ულოცავს ჩვენს საყვარელ პატრიარქს დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავს.

მინდა ყველა სტუმარს დიდი მადლობა მოვახსენო იმისათვის, რომ ასეთი პატივი დასდეს ჩვენს ქვეყანას და ასე დააფასეს ჩვენი საყვარელი პატრიარქი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35 წლისთავს! გილოცავთ ყველას, ვულოცავ მთელ საქართველოს!

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, იდლეგრძელეთ, იხარეთ, იბედნიერეთ! მრავალჟამიერ!“.

წირვის დასასრულს უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს მიმართა: კონსტანტინოპოლის და ახალი რომის მთავარეპისკოპოსმა და მსოფლიო პატრიარქმა, ყოვლადუწმიდესმა ბართოლომეოსმა (არზონდონისი), რომელმაც აღნიშნა: „ეკლესიისადმი შეწირული თქვენი მოღვაწეობის ნაყოფს... მომავალი თაობები ოქროს ასოებით ჩაწერენ სისხლით მორწყული საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, ისევე, როგორც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი თქვენი სახელი ჩვენს გულებში.“

თქვენო უწმიდესობავ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსო, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტო, მეუფე ილია,

მართლმადიდებელი ეკლესიების საჭეთმპყრობელნო,

მაღალყოვლადუსამღვდელოესო და ყოვლადუსამღვდელოესო მეუფენო, ხელისუფლების წარმომადგენელნო,

მამანო, ძმანო და დანო, სულიერო შვილებო!

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა დღეს აღვლენილი საღმრთო ლიტურგიისთვის და ზიარებისთვის პატიოსანთა სისხლთა და ხორცთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ყოვლადწმიდა სამების ამ ტაძარში! „ეს არის მადლყ, სულის მაცხოვრებელი, რომელიც დაგვიცავს ღვთის სამართლიან სამსჯავროზე“ – ამბობდა წმ. მამა თეოდორე სტუდიელი. ყოველ წირვაზე ვმონაწილეობთ წმინდა ზიარების საიდუმლოში; იგი გვაერთებს ჩვენს ჯვარცმულ და აღდგომილ უფალთან იესო ქრისტესთან, რომელიც განკაცდა და ჯვარს ეცვა ჩვენთვის, ჩვენისა ცხოვნებისათვის!

ძმანო და სულიერო შვილნო, აქ ჩამოსვლისას არავითარი სხვა მიზანი არ გვაძმობრავებდა, გარდა ერთი სურვილისა, რომ დღეს თქვენთან ერთად ვყოფილიყავით და გაგვეზიარებინა საქართველოს ეკლესიის სიხარული, რომ გაგვეზიარებინა პირადად თქვენი სულიერი ზეიმი, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, საყვარელო ქრისტესმიერო ძმაო, საქართველოს პატრიარქო, მეუფე ილია! გვსურდა, თქვენთან ერთად გვეზეიმა საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე თქვენი აღსაყდრების 35 წლისთავი, რომელსაც თქვენი დაბადების 80 წლისთავიც დაემთხვა. ეს სიხარული ასევე მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის სიხარული და დღესასწაულიცაა, რადგან „თუ ევნებიან ერთსა ასოსა, მის თანა ელმინ ყოველთა ასოთა და

თუ იდიდებინ ერთი ასოი, მის თანა იხარებდენ ყოველნი ასონი!“

ჩამოველით, რათა თქვენთან ერთად პატივი მივაგოთ საქართველოსთვის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, ქართველი სამღვდლოებისა და ერისთვის ამ მნიშვნელოვან და ისტორიულ მოვლენას. და დღეს, ყველანი ერთად – სასულიერო პირები, პოლიტიკოსები, უბრალო მორწმუნე ერი, ვუფასებთ მეუფე ილიას იმ დიდ ღვაწლს, რომელიც თავისი მართალი გონებითა და მართალი სიტყვის ძალით მოიმუშაკა. ამ ძალას იგი იღებს ჩვენი სათნომყოფელი ღვთისგან, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესგან, თავისი პატიოსანი მსახურებით ღვთისა და ერის წინაშე. პატრიარქი ილია იღვწის მსგავსად იმ წმინდანებისა, რომლებიც ძნელ და ავბედით წლებში თავისი თავდადებით მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მისაბამ მაგალითად იქცნენ, რადგან ქრისტეს ერთგულები დარჩნენ და შეიქნენ ჭეშმარიტი აღმსარებელნი მართლისა სარწმუნოებისა, რომლებიც დღენიდაღა თავს განსაცდელში იგდებდნენ და მთელ თავის ძალისხმევასა და სიცოცხლეს უფალს სწირავდნენ.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, თქვენ, ვინც მოთმინებასა და გონიერებას უფლისაგან იღებთ, შეძელით ნათლად დაგენახათ რწმენას მოწყვეტილი ადამიანების სისუსტე და ვითარცა იესო ქრისტეს ჭეშმარიტმა მოწაფემ, უფლის სიტყვის ქადაგება დაიწყეთ.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, თქვენ აღასრულეთ სიტყვები წმინდა წერილისა: „ამით გცნან ყოველთა, რომ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთარს“. სიყვარულის მაგალითს აჩვენებთ, სიყვარულს ჰქადაგებთ და სიყვარულით ცხოვრობთ, ლოცვებს აღავლენთ და სიბრძნეს ღვთისას მოუხმობთ, რომელიც სწორედ სიბრძნესა და სიყვარულს უქადაგებს ეკლესიასა და მორწმუნე ერს. შიშითა ღვთისაითა შემოსილმა კარგად იცით, რომ უფალი, შობილი უწინარეს ყოვლისა ჟამისა, არის მცოდნე ადამიანური ლოგიკისა და მიზეზი ყოვლისა სიკეთისა. მიუხედავად ადამიანური სისუსტისა და წარმავლობისა, ყოველივე რაც თქვენ აკეთეთ, – აკეთეთ რწმენით, იმედითა და მოთმინებით. ამიტომ ღრმადპატივცემულო უწმიდესო და უნეტარესო პატრიარქო და ქრისტესმიერო ძმაო, ილია, გვაგონდება პოეტ კონსტანტინოს კავასისის ლექსი: „მოღალატე ბოლოს გამოჩნდება, საბოლოოდ მიდიელები (მტრები) უკუიქცევიან.“

დღეს თქვენს მფარველ წმინდანთან ერთად გეტყვით: „ცოცხალია ღმერთი, უფალი ძალთაი“, ღმერთი ისრაელისა და საქართველოსა, წმინდანთაწმიდა! ხოლო სადაც ღმერთია, იქ სასუფეველია და ყოველი იშვებს და ხარობს. და ვისაც ღმერთი სწამს და ადამიანს ღვთის სიყვარულით ემსახურება, მოყვასს უსამართლოდ არასოდეს მოექცევა, მას სული მამაცი და ღვთის მოყვარე აქვს!

უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო ილია, თქვენ მორწმუნე და სულიერი ადამიანი ხართ; და ღვთის სამსახური, რომელიც თქვენს ეკლესიასა და ხალხს გაუწიეთ, საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის ტოლფასია! თქვენი ღვაწლი შორსაა იმ დიდებისა და პატივისაგან, რასაც პატრიარქის ტიტული მოიცავს; თქვენ შემოიფარგლეთ მხოლოდ ლოცვით, მარხვით, ეკლესიის აღორძინებით, ერში იმედის გაღვივებით, ხატწერის აღორძინებით, საღმრთო საიდუმლოთა აღსრულებით, წმინდა ძღვნის შეწირვითა და თქვენი მრავალტანჯული ერის ნუგეშისცემითა და ტკივილის დაამებით! თქვენი პატრიარქობის ჟამს გამრავლდა თქვენი სულიერი შვილების რიცხვიც და ხარისხიც, რაც ძალიან გვახარებს. კიდევ უფრო მეტად ვხარობთ, როდესაც ვხედავთ, რომ თქვენი შვილიშვილები მოგართმევენ თქვენივე კეთილი შრომის ნაყოფს, რომელსაც თქვენ კვლავ ქრისტეს სწირავთ!

ეკლესიისადმი შეწირული თქვენი მოღვაწეობის ნაყოფი ხილული და ნათელია. მას მომავალი თაობები ოქროს ასოებით ჩაწერენ სისხლით მორწყული საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, ისევე როგორც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი თქვენი სახელი ჩვენს გულებში.

მაღლობას მოგახსენებთ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო იმ შესანიშნავი და ურიცხვი ღონისძიებებისთვის, რომლებსაც ჩვენი საქართველოში ჩამოსვლისას მუდამ აწყობთ. გამაღლობთ იმ თბილი და სიყვარულით სავსე სიტყვებისათვის, რომლებსაც ჩვენი მისამართით გამოთქვამთ ხოლმე და რაც ჩვენი პირველსაყდრის, კონსტანტინოპოლის ეკლესიის მიმართ თქვენი კეთილგანწყობის უეჭველი დასტურია. ჩვენს ორ ეკლესიას შორის მუდამ კეთილი ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა და იგი დღესაც გრძელდება. ორივე ეკლესია ამას თვალისწინებით უფროთხილდება. ამასთან, ჩვენს ორ საპატრიარქოს აერთიანებს წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული, რომელმაც ქრისტიანობა იქადაგა

არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, კავკასიის უფრო ვრცელ რეგიონში. ჩვენი ორი ეკლესია ასევე დაფუძნებულია იმ მტკიცე და შეუშუსვრელ კლდეზე, რომელიც არის უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ამ ერთობის ურყევი დადასტურება იყო ჩვენი წინამორბედი პატრიარქის, დიმიტრიოსის მიერ საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიისა და მისი საჭეთმპყრობლის საპატრიარქო ტიტულის აღიარება. ეს იმისთვის მოხდა, რომ საქართველოს ამჟამინდელმა და მომავალმა პატრიარქებმა ახალი შემართებით და განახლებული ენერგიით იღვაწონ მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად ქვეყანასა ზედა!

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, ღვთის მოწოდება უცვლელია საუკუნეების განმავლობაში. ამიტომაც, რომ რწმენის შესუსტებისა თუ მერყეობის წუთებში, განსაცდელისა და ძნელებლობის ჟამს თქვენ ერთი წამითაც არ გადაგიხვევათ ამ მოწოდებისგან და მთელი ამ 35 წლის განმავლობაში მედგრად იცავდით უფლის სიტყვას!

ჩვენ მოვალენი ვართ, რომ მორწმუნე ერს მივცეთ მოწმობა რწმენისა და თავდადებისა, რისი მაგალითიც თქვენ გვიჩვენეთ, უწმიდესო და უნეტარესო ძმაო!

თუმცა ჯვარი უფლისა, რომელსაც თქვენ ამ 35 წლის განმავლობაში ტვირთულობთ, აღმოჩნდა ტბილი, საამო, სულის განმწმენდელი და სიცოცხლის მომნიჭებელი! მაშ, განვაგრძოთ საკუთარი ჯვრების ტვირთვა ისეთივე შემართებით, როგორც ეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა – კონსტანტინოპოლისა და საქართველოს ეკლესიების წმინდანებმა შეძლეს საუკუნეების განმავლობაში. გეზის მიმცემი კი უნდა იყოს ჩვენივე ეკლესიაში დაფუძნებული ტრადიციები, ურიცხვი წმინდანებისა და მოწამეების დასი – საქართველოს განმანათლებელი წმიდა მოციქულთაწვრი ნინო, წმიდა დავით გარეჯელი, წმიდა დიდმოწამე ქეთევანი და სხვა უთვალავი წმინდანები, ღირსნი მამანი და დედანი, რომლებმაც თავისი ღოცვითა და სისხლით სიკვდილი დასთრგუნეს და მარადიულობაში გადავიდნენ.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, რაც ახლა მოგახსენეთ, ეს ყოველივე თქვენმა საიუბილეო თარიღებმა გაგვახსენა; ეს სიტყვები შთაგვაგონათქვენმა ხანგრძლივმა და ენერგიულმა საეკლესიო, სამწყემსმთავრო, საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ ასევე თქვენმა სწრაფვამ მართლმადიდე-

ბელთა შორის მშვიდობიანობისა და ერთიანობისკენ!

თქვენო უნეტარესობავ, თქვენი ნალვაწი იმის დასტურია, რომ ღმერთი მუდამ თქვენთან არის. ხოლო თუკი ჩვენ შორის სიყვარული და ღმერთია, არაფერმა არ უნდა შეგვაშინოს. ძალა გვეძლევა, რათა დავსძლიოთ ყოველივე, თუნდაც ის ჩვენი სულისა და ხორცისთვის მტკივნეული იყოს. თქვენ აღმოჩნდით მამაცი მებრძოლი ყველა ამ სფეროში.

ვაქებთ, ვადიდებთ და ვმადლობთ უფალს ყველა იმ წყალობისათვის, რაც თქვენ გიბოძათ და ვევედრებით ამ წმინდა ჟამისწირვით, რომ ჯანმრთელობა და დღეგრძელობა მიანიჭოს თქვენს უნეტარესობას, რათა განაგრძოთ თქვენი კეთილი და ღიდი საქმე, ამინ.

მოგართმევთ მცირე ძღვენს. ეს არის სანაწილე ხატი და საცეცხლური.

სრულიად სერბეთის პატრიარქმა, პეჩის მთავარეპისკოპოსმა და ბელგრად-კარლოვაცის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა ირინეოსმა (გავრილოვიკი) ამ სიტყვებით მიმართა უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს: „უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, მოგესალმებით სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, პირადად ჩემი, ჩვენი წმინდა სინოდისა და ჩვენი ადგილობრივი ეკლესიის მთელი სისავსის სახელით! გისურვებთ ღვთის კურთხევას თქვენი საიუბილეო თარიღების – საპატრიარქო ტახტზე მსახურების 35 წლისა და დაბადებიდან 80 წლის ზეიმთან დაკავშირებით.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, თქვენი დაბადების დროიდან დღევანდელ დღემდე უდიდესი ისტორიული მოვლენები განვითარდა, რაშიც თქვენ ქმედითი მონაწილეობა მიიღეთ. ამ ცვლილებებში თქვენ მონაწილეობდით არა მარტო თქვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მართლაც, მრავალი რამ მოხდა ამ პერიოდში. ეს ყოველივე ღვთის დაშვებით იყო. თქვენ, როგორც ეკლესიის საჭეთმპყრობელი, როგორც ქრისტეს ეკლესიის ღიდი მოძღვარი, სახარებისეული სიბრძნით პასუხობდით ყველა ამ გამოწვევას და საკუთარ მოვალეობად მიიჩნიეთ ეს საქმე არა მარტო საქართველოს ეკლესიის, არამედ მსოფლიო მართლმადიდებლობის წინაშე.

თქვენს სამღვდელმთავრო, საწინამძღვრო მსახურებაში თან გდევდათ ხელი ღვთისა და შეგეწეოდათ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრების, სამღვდელოებისა და კეთილმორწმუნე ქართველი ხალხის მხურვალე ლოცვა.

კომუნისტური სისტემის დამცრობის ჟამს და მომდევნო წლებში თქვენ დიდი სიბრძნით, მორჩილებით, სიმდაბლითა და სიკეთით განაგეთ ყოველივე და შეძელით კეთილად გემსახურათ და ღვთის საქმე გეკეთებინათ.

ქრისტიანული და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი ახალი ხელისუფლება საქართველოში, რომელმაც ქვეყნის მმართველობის საჭე აიღო, დღეს თქვენი დახმარებით მართავს სახელმწიფოს. ვხედავთ, რომ ეს არის საეკლესიო დასაერო ხელისუფლების სრული და ნამდვილი ურთიერთთანხმობა.

წინა წლებში ქვეყნისთვის უდიდესი ტრაგედია იყო, როდესაც ეკლესია და ხალხის უმრავლესობა ერთი გზით მიდიოდა, ხოლო საერო ხელისუფლება – სულ სხვა გზას ადგა. ეს იყო ნამდვილი ჯვარცმა ქრისტეს ეკლესიისა, ეკლესიური ცხოვრებისა! მაგრამ ამ დროს თქვენ შეძელით, გადაგელახათ ყველა დაბრკოლება და თქვენი შრომითა და თავდადებით წარმოაჩინეთ სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე ეკლესიის მნიშვნელობა.

დღეს მეტად გვახარებს, როცა ვხედავთ, რომ საქართველოს საერო ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი თქვენთან ერთადაა, სახელმწიფო კვერდით გიდგათ და მხარს გიჭერთ სახარებისეულ მოღვაწეობაში!

აღვაგლენთ ლოცვებს თქვენი გაძლიერებისა და სულიერი ძალების შემატებისთვის, რათა განაგრძოთ თქვენი ღვთივკურთხეული მოღვაწეობა! დაე, ამ სახელმწიფოს ყველა მმართველთან ერთად ბრძნულად გეცხოვროთ და მიგელწიოთ თქვენი მოქალაქეებისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნისთვის.

თქვენ კი, უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო, გისურვებთ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, რათა განაგრძოთ წმინდა სახარებისეული მოღვაწეობა თქვენს კეთილმორწმუნე ხალხში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და მთელი გულით ვხმობთ: *ispolla eti despota*, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო!

მინდა ჩვენგან სახსოვრად მოგართვათ კვერთხი, რომელიც არის სიმბოლო სამღვდელმთავრო ძალაუფლებისა, რათა ჩვენც მოგვიხსენიოთ თქვენს წმინდა ლოცვებში.“

ბულგარეთის საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, ვარნისა და ველიკოპრესლავის მიტროპოლიტმა კირილემ (კოვაჩევი) აღნიშნა: „უწმიდესო და



უნეტარესო მეუფეო, გულითადად გილოცავთ თქვენ და, თქვენთან ერთად, ყველა ადგილობრივი ეკლესიის წარმომადგენელს ქრისტეს შობის ნათლით შემოსილ დღესასწაულს! ერთად ვინართ ბეთლემის ვარსკვლავის აკიაფებით, რომელმაც წარმართა ჩვენი გზა საქართველოსკენ, ამ მშვენიერი და ღვთივკურთხეული ქვეყნისკენ. დაულალავად და სავსე გულით მაღლობა შევწიროთ უფალს, რომელმაც ისე შეგვიყვარა, რომ „წარმოგვიგზავნა ძე თვისი მხოლოდშობილი, რათა, ყოველი, რომელი მას ესავს, არა მოკვდეს, არამედ ჰქონდეს ცხოვრება საუკუნო“.

ქრისტეს შობის დღესასწაულით გახარებული, ამ საიუბილეო ზეიმზე, აღვასრულებ მეტად სასიამოვნო დავალებას, რომელიც ბუღვარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით დამეკისრა, რათა სხვა ადგილობრივ ეკლესიებთან ერთად, საქართველოს მოძმე ეკლესიაში მონაწილეობა მივიღოთ თქვენი აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღების აღნიშვნაში, რაც ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენაა და ყოველი ჩვენგანისთვის უდიდესი პატივია.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, თქვენი აღსაყდრება საქართველოს უძველეს ისტორიულ საპატრიარქო ტახტზე, რომელიც სულიწმინდის განგებით 35 წლის წინათ მოხდა, იყო არა მარტო ისტორიული მემკვიდრეობის გაგრძელება, არამედ უძველესი ქართული სულიერების, სამოციქულო მოღვაწეობისა და სახალხო პატრიოტული მსახურების აღორძინება, რამაც საქართველოს ეკლესია არნახულ სიმაღლეზე აღიყვანა!

თქვენი შემოქმედებითი აქტიურობა ამ რთულ გეოგრაფიულ რეგიონში და თქვენი მოღვაწეობა მისტიკური მართლმადიდებელი სულიერების აღორძინების საქმეში, მოციქულებრივ ნათელს ჰყვენს ქვეყანას და საქართველოს საზოგადოებას მძლავრ შუქურად ევლინება. ეს მით უფრო თვალსაჩინოა იმ უძძიმესი უღმრთო ისტორიული სტალინისტური რეჟიმის შემდეგ, რომელიც ბოლშევიკების ბელადის მშობლიურ ქვეყანაშიც კი მძვინვარებდა.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, ღვთისადმი მაღლიერებით მსურს დავამოწმო ჩემი უკიდურესად წრფელი გრძნობები თქვენდამი და თქვენი საჭეთმკყრობლური მოღვაწეობის მიმართ უდიდესი პატივისცემა, თავყვანისცემა.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ გიცხადებთ ჩვენს ღრმა პატივისცემასა და მადლიერებას ბულგარეთის ეკლესიის სამღვდელოებისა და ჩვენი სამწყსოს სახელით და გარწმუნებთ ჩვენს უცვლელ და მტკიცე სიყვარულში! ძმური სიყვარულით ვართ აღვსილნი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და შესანიშნავი ქართველი ხალხის მიმართ!

შთაგონებულნი ქრისტიანული სიყვარულით, დედაეკლესიის პანმართლმადიდებლური ერთობითა და ჩვენი მართლმადიდებელი ქვეყნების საერთო კეთილმორწმუნე მისწრაფებებით, ანგელოზთა დასთან ერთად ვღაღადებთ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზელა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!“

ვითხოვ თქვენს წმინდა ლოცვებს და ვრჩები მარად თქვენთვის მლოცველ ქრისტესმიერ ძმად.

ამ უდიდეს ზეიმზე მიიღეთ სახსოვრად ჩვენგან ჩვენი წმინდა წინამძღოლის, ტირნოველი პატრიარქ ეფიმეს ხატი და ილოცეთ ჩვენთვის ისევე, როგორც ჩვენ ვილოცებთ თქვენთვის.

მრავალჟამიერ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო!“

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამის მიტროპოლიტმა ილარიონმა (ალფეევი) თავის გამოცხადებაში აღნიშნა: „თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ნება მიბოძეთ, წაგვიკითხოთ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი კირილეს მოლოცვა:

„თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო და თანამსახურო. გულწრფელი სიხარულით მოგილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღებს – დაბადებიდან მე-80 და საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავს.

თქვენი ცხოვრება სიყრმიდანვე ეკლესიას ეძღვნებოდა და მისი მრავალწლიანი უწყვეტი მსახურებითაა აღბეჭდილი. თქვენი ცხოვრების გზის არჩევანი და მისი ერთგული მსახურება საწინდარია თქვენი უმდიდრესი სულიერი გამოცდილებისა და სამღვდელმთავრო სიბრძნისა.

თქვენ ღვთისგან ბოძებული გაქვთ სულიერი ნიჭი, რომელიც მიწიერ ცხოვრებაშივე გამოავლინეთ როგორც ქრისტეს ჭეშმარიტმა მსახურმა.

სწორედ ეს ნიჭია ის ფასდაუდებელი საუნჯე, რომელსაც თქვენ, საქართველოს ეკლესიის წინამძღოლი, დაუღალავად უნაწილებთ თქვენს სამწყსოსა მთელ მართლმადიდებელ სამყაროს, სახარების სიტყვებით: „არა აღანთიან სანთელი და დადგან იგი ქვეშე ზვიმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, რაითა ჰნათობდეს ყოველთა, რომელნი არიან სახლსა შინა.“

განვლილი წლების განმავლობაში თქვენ ბრძანდებოდით დიდი ისტორიული ძვრების მოწმე. თქვენი საპატრიარქო მსახურება განსაკუთრებული ეპოქა არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში, არამედ ჩვენი ორი ეკლესიის ურთიერთობაშიც, რომელიც თქვენი პირადი თვისებების გამო ინარჩუნებს გულწრფელობას, სიბოხსა და ქრისტესმიერ სიყვარულს.

თქვენი საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებიდან მოყოლებული, საქართველოს უძველესი ეკლესია გაძლიერდა რწმენასა და ღირსებაში, მნიშვნელოვნად გამრავლდა სამღვდლოება და სამწყსო, ტაძრები და მონასტრები.

ახლა, როდესაც თქვენ გარემოცული ბრძანდებით საკუთარი ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით, როდესაც მტკიცე რწმენის, ღვთის იმედის, სიბრძნისა და დაუღალავი შრომის ფასად კეთილი დიდება მოიპოვეთ მთელს მართლმადიდებლურ სამყაროში, პატივს მივაგებ თქვენს წარუვალ დამსახურებას ღვთისა და ერის წინაშე და მოვიხმობ ბრძენის სიტყვებს: „მართლის ნაყოფი სიცოცხლის ხეა და ბრძენი სულებს იზიდავს“.

ლოცვით ვუსურვებ თქვენს უწმიდესობასა და უნეტარესობას გაძლიერებას და ღვთის შეწევნას თქვენს მაღალ მსახურებაში. ხოლო თქვენს ყოველად ღირს სამწყსოს სულიერ გაძლიერებას რწმენასა და ქრისტესმიერ სიყვარულში.

ძმური სიყვარულით,

კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი.“

ნება მიბოძეთ, უწმინდესი პატრიარქი კირილეს მილოცვას და ვურთო ჩემი პირადი კეთილი სურვილები და გისურვოთ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე და საჩუქრად გადმოგცეთ ყოველდღშიდა ღვთისმშობლის ხატი, წმინდა რუსეთისა და წმინდა საქართველოს მფარველი! მრავაჟამიერ!“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თავის სამადლობელ სიტყვაში აღნიშნა: „თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, კონსტანტინოპოლისა და ახალი რომის მთავარეპისკოპოსო და მსოფლიო პატრიარქო, ბართოლომეო I, თქვენო უწმინდესობავ, სრულიად სერბეთის პატრიარქო, პენის მთავარეპისკოპოსო და ბელგრად-კარლოვაცის მიტროპოლიტო ირინეოს, ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ძმანო და დანო!

დღეს არის ხსენება წმიდა დავით წინასწარმეტყველისა. შევთხოვთ მას, რომ მშვიდობა, სიხარული და სიყვარული სუფევდეს საქართველოში და მთელ მსოფლიოში.

დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. და დღეს ჩვენ ვხედავთ ჩვენი ეკლესიის აღმავლობას, ჩვენი ეკლესიის დიდებას უფლის ძალითა და უფლის მადლით. როდესაც დავით წინასწარმეტყველმა ისრაელი გაამთლიანა და ზემოთ შედიოდა იერუსალიმში, მთელი ერი აქებდა მას. მაშინ დავითმა შეაჩერა მსვლელობა და უთხრა ხალხს: „უფალი მეფობს! ეს მე კი არ ვმეფობ, უფალი მეფობს!“ და აი, დღეს, როცა აღინიშნება ჩემი საიუბილეო თარიღები და ამბობენ, თითქოს მე რაღაც გავაკეთე, დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს ვიმეორებ: „უფალი მეფობს და უფალი აკეთებს ყოველივეს!“

მადლობელი ვარ, რომ თქვენ ჩამობრძანდით და მონაწილეობა მიიღეთ ჩვენს ზეიმში. ღმერთმა მოგცეთ მშვიდობა, სიხარული და სიყვარული, ამინ.

თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, მინდა გითხრა: ჩვენ გვეამაყება, რომ თქვენ ბრძანდებით კონსტანტინოპოლის პატრიარქი და დიდია თქვენი დამსახურება ქვეყნისა და მსოფლიოს წინაშე. ნიშნად ჩვენი პატივისცემისა და სიყვარულისა, მოგართმევთ დავით წინასწარმეტყველის ხატს, რომლის დღესასწაულიც დღესაა. ეს არის მინანქარში შესრულებული ხატი.

ჩვენთან არს ღმერთი!“

14 იანვარს საქართველოს საპატრიარქო რეზიდენციაში უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შედგა თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო სადისერტაციო კომისიის სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ: უწმიდესი და უნეტარესი ილია II, მანგლე-

ლი მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), ღვთისმეტყველების დოქტორები: ზიმბაბვესა და ანგოლის მიტროპოლიტი სერაფიმე, კონსტანტისა და ამოქოსტოსის მიტროპოლიტი ბასილიოსი, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი, გორლიცის ეპისკოპოსი პაისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე. საღისერტაციო საბჭომ 10 მეცნიერს მიანიჭა ღვთისმეტყველების დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეპისკოპოსად კურთხევიდან 2 თვის შემდეგ 1963 წელს გახსნა მცხეთის სამოძღვრო კურსები – სემინარია, 1988 – წელს თბილისის სასულიერო აკადემია, ხოლო პატრიარქობის 35 წლის საიუბილეო დღეებში შესაძლებელი გახდა თბილისის სასულიერო აკადემიაში ამოქმედებულიყო საღვთისმეტყველო საღისერტაციო საბჭო, სადაც მომავალში არაერთი დაინტერესებული, პერსპექტიული სასულიერო პირი დაიცავს საღოქტორო ღისერტაციებს.

უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის პატრიარქად აღსაყდრებიდან 35 და დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები გაგრძელდა მოსკოვში, სადაც 2013 წლის 21 იანვარს უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს მოსკოვის ქრისტე მაცხოვრის სახელობის ტაძრის სხდომათა დარბაზში საზეიმოდ გადაეცა „მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის“ პრემია. პრემიის გადაცემისას უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს სიტყვით მიმართა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა უწმიდესმა კირილემ, რომელმაც აღნიშნა: „უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ახლახან აღსაყდრების 35-ე და დაბადებიდან 80 წლისთავის იუბილე იზეიმა... იგი საპატრიარქო მსახურებას თავისი ქვეყნისათვის და სამწყსოსათვის მეტად რთულ პერიოდში ახორციელებს. იგი განამტკიცებს ქართველი ერის სულიერ ერთობას. მისი უწმიდესობა დიდ ძალისხმევას ანდომებს საეკლესიო ცხოვრების აღორძინებას, ეროვნული კულტურის განვითარებას, სახარებისეული საწყისების დამკვიდრებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ღრმა პატივისცემით სარგებლობს არა მარტო თავის ხალხში, არამედ მთელს მართლმადიდებლურ სამყაროში“. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მაღლობა გადაუხადა მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის საერთაშორისო ფონდს

საპატიო ჯილდოსათვის და აღნიშნა: „დღეს, როდესაც ამ პრემიას ვიღებ, მას მივიჩნევ არა როგორც ჩემი ღვაწლის შედეგს, არამედ როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართველი ხალხის დამსახურებას, რომელმაც მიუხედავად კომუნისტური და პოსტკომუნისტური პერიოდის სერიოზული სიძნელებისა, გამოავლინა უსაზღვრო სიყვარული ღვთისადმი და აღადგინა ათასობით ეკლესია-მონასტერი, აღადგინა სულიერება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენი დაჯილდოება მოხდა იმ ფონზე, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის დამოკიდებულება რთულია და მხოლოდ რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების ძალისხმევით არის შენარჩუნებული. სულიერი კავშირი და კეთილი ურთიერთობა... მე ადრეც არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის შეიძლება ნორმალური იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იზეიმებს სამართლიანობა და საქართველოს დაუბრუნდება ძირძველი ტერიტორიები – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რაც იქნება კავკასიაში რთული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი პირობა... ადრე თუ გვიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება და რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესია ყველასთვის“. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მოსკოვში ყოფნის დროს შეხვდა რუსეთის პრესიდენტს ბატონ ვლადიმერ პუტინს, ქართული დიასპორას წარმომადგენლებს.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II 2013 წლის 23-29 ივლისს რუსეთის გაქრისტიანების 1025 წლისთავთან დაკავშირებით ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა მოსკოვში, კიევსა და მინსკში შეხვდა პრესიდენტ პუტინს, პრესიდენტ იანუკოვიჩს და პრესიდენტ ლუკაშენკოს. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ მადლობა გადაუხადა უწმიდესს კირილეს მიწვევისათვის და აღნიშნა: „ათეისტური ეპოქიდან გამოსვლის პერიოდში ჩვენ მეტად რთული გზა განვლეთ – ეს იყო ჩვენი ეკლესიის ჩამოყალიბების პროცესი, მძიმე განსაცდელებით აღსავსე. ახლა ვცხოვრობთ გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მრავალი სულიერი და კულტურული ფასეულობა კარგავს თავის ძალას, მაგრამ სინამდვილეში ეს ფასეულობები არის სწორედ ის ხსნა, რომელიც გადაარჩენს ჩვენს ერებს. რწმენა, სასოება და სიყვარული, ჩვენი კულტურა და ლიტერატურა, ეს

ყველაფერი, იმისათვის უნდა შევინარჩუნოთ, რომ ჩვენმა ეკლესიებმა და ხალხებმა მომავალში განვითარება შეძლონ“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ქართველი ხალხის აღიარებული სულიერი ლიდერია, მისი სიტყვისა და საქმის სჯერათ არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. პატრიარქი ქართველი ერის გაერთიანების სიმბოლოა.

## უწმიდესი და უნეტარესი ილია II და საზღვარგარეთის სამონასტრო ცენტრები, დიასპორა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარშემო აერთიანებს სრულიად საქართველოს და საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს იქით მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, რათა ისინი არ მოსწყდნენ თავიანთ ისტორიულ ფესვებს. პატრიარქის ზრუნვის საგანი იყო და არის საზღვარგარეთის ქართული სამონასტრო ცენტრები.

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, ადრეული შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნის ჩათვლით, საზღვარგარეთ მრავალი ეკლესია-მონასტერი ჰქონდა. აქ მოღვაწე ქართველი ბერები ქმნიდნენ ორიგინალურ სასულიერო ჟანრის ნაშრომებს, თარგმნიდნენ ქართულიდან ბერძნულად ან ბერძნულიდან ქართულად ითარგმნებოდა ქრისტიანულ ლიტერატურაში ცნობილი თხზულებები. თუკი ასეთი მდიდარი და მრავალფეროვანია შუა საუკუნეების ქართული კულტურა, ამაში დიდია საზღვარგარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების წვლილი. ახლო აღმოსავლეთში განთქმული იყო საბაწმინდის, სინას, ჯვრის, შავი მთის, ხოლო დასავლეთში – ათონისა და პეტრიწონის მონასტრები. შუა საუკუნეებში წმიდა მიწაზე ქართველებს განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონდათ – გოლგოთაზე ქრისტეს საფლავის ეკლესიის კლიტენი მათ ეპყრათ და გაშლილი დროშებით ცხენზე ამხედრებულებს იერუსალიმში შესვლა შეეძლოთ. მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნეში ერთიანი საქართველო სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ დაიშალა, სამეფოთა მეფე-მთავარნი საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებს ყურადღებას არ აკლებდნენ. ირან-ოსმალეთის მძლავრობის ხანაში (XVI-XVIII სს.) საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პოზიციები შესუსტდა. XVI-XX საუკუნეებში, საქართველოს მიმართ ოსმალთა მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად, ისტორიული საქართველოს ტერ-



იტორიის ნახევარზე მეტი – ტაო-კლარჯეთ-ლაზეთი – და იქ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები საქართველოს საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა. XVI საუკუნეში ოსმალთაგან შევიწროებულმა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ ავტოკეფალია და მართლმადიდებლურ დიპტიხში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიულად კუთვნილი მე-5 ადგილი პოლიტიკურად გაძლიერებული რუსეთის ეკლესიას მიანიჭა. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებს თანდათან უცხოელები (ბერძნები და სომხები) დაეპატრონნენ და გულმოდგინედ დაიწყეს მონასტრებში არსებული ქართული კვალის წაშლა (ამის თვალსაჩინო მაგალითია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის გარშემო ატეხილი სკანდალიც). მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნე-სა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამოციქულო ეკლესია რუსეთის სინოდის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, ქართველი სასულიერო პირები მაინც წმიდა მიწისკენ, ათონისკენ, მიისწრაფოდნენ. ქართველ სამღვდლოებაში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებში ნამსახურები ბერები. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მცდელობა, 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებთან აღედგინა კავშირი, უშედეგო აღმოჩნდა. 1921-1970 წლებში, საბჭოთა „რკინის ფარდის“ პირობებში, ეს კიდევ უფრო გართულდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები – უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II და დავით V – სარეკომენდაციო წერილებს უგზავნიდნენ იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქებს, რათა ათონის ივერთა მონასტერსა და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადაღების უფლება მიეცათ კინორეჟისორ ირაკლი ონოფრიშვილისა და გურამ პატარაიასათვის, დაეშვათ იქ სამუშაოდ ქართველ მეცნიერთა ჯგუფი (ირაკლი აბაშიძე, გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე). უწმიდესმა და უნეტარესმა თავისი მღვდელმთავრობის პერიოდში, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო განყოფილების ხელმძღვანელმა, მიზნად დაისახა საზღვარგარეთულ ქართულ მონასტრებთან კავშირის აღდგენა.

მისთვის განსაკუთრებით ახლობელი იყო ათონის ივერთა მონასტერი. ამ მონასტრის ისტორიას მიუძღვნა მან თავისი საკვალიფიკაციო შრომა და ვრცელ დასკვნაში ათონის ივერთა მონასტრის როლი საქართველოს ისტორიაში მკაფიოდ განსაზღვრა. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად მსახურებისას იგი არაერთხელ შეხვდა ქართველ მეცნიერებს და მათთან ერთად იმსჯელა, რა უნდა გაკეთებულიყო ათონის ივერთა მონასტერთან დასაკავშირებლად. 1970 წელს მიტროპოლიტი ილია საქართველოსმეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ელენე მეტრეველს სწერდა: „ქალბატონო ელენე, გამახარა თქვენმა წერილმა და ზ. ალექსიძის „ეპისტოლეთა წიგნმა“. გმადლობთყურადღებისათვის. მეც მინდა გაგახაროთ სასიამოვნო ამბით. არქიმანდრიტ აბელის საშუალებით ვიპოვეთ გზა, რომლითაც დავუკავშირდებით ივერიის მონასტრის ხელნაწერებს. მივიღე წერილი თესალონიკის უნივერსიტეტის პროფესორ ტახიკოსისგან, რომელიც გვპირდება დახმარებას“. 1978 წლის სექტემბერში უწმიდესმა და უნეტარესმა საქართველოში მოწვეულ ათონის მთის გუბერნატორს, დიმიტრიოს ცამისს ვიზიტის ისეთი პროგრამა შესთავაზა და ქართული სტუმარმასპინძლობის ისეთი მაღლი აჩვენა, რომ აღფრთოვანებულმა გუბერნატორმა თბილისიდან გამგზავრების წინ განაცხადა: „ადამიანის ცხოვრებაში იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობს წუთები, როდესაც არ შეიძლება გამოითქვას გრძნობები, რომლებიც მას ეუფლება. ყველა სიტყვა, რომელიც შეიძლება მე ვთქვა, ღარიბი და უფერული იქნება ჩემს განცდებთან შედარებით“. ბატონ ცამისის სახით საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ძლიერი მხარდამჭერი იპოვა. 1979 წლის 5 დეკემბერს პატრიარქმა ათონის ივერთა მონასტრის საბჭოს მიმართა: „აღსდგეს ის კავშირი, რომელიც არსებობდა საქართველოსა და ივერიის მონასტერს შორის. ამ მიზნით ჩვენ გამოვთქვამთ სურვილს, რომ წარმოგზავნოთ თქვენთან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან სამი მეცნიერი, რომელნიც გადაიღებენ ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართული ხელნაწერების მიკროფილმებს“. უწმინდესი საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას საქართველოსათვის ათონის ივერთა მონასტრის მნიშვნელობას განუმარტავდა და მხარდამჭერას სთხოვდა, რათა მონასტერში გაგზავნილიყო ოთხი ქართველი ბერი, თან დასძენდა: „თუ ეს

შეველით, ჩვენს მეცნიერებსა და ეკლესიას ექნებათ მუდმივი კავშირი ამ სავანესთან და იქ დაცულ ძვირფას ქართულ ნივთებს ეყოლება თავისი კანონიერი პატრონი და გულშემატკივარი“.

უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში 1983 წელს განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ათონის ივერთა მონასტრის დაარსებიდან 1000 წლისთავი. მონასტრის საბჭოსადმი გაგზავნილ მილოცვაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ათონის ივერთა მონასტერი მარადღაჟს იყო და დარჩება საქართველოს სამოციქულო დედაეკლესიის სულის განუყოფელ ნაწილად. ილია II-ს ძალისხმევით, ათონის მონასტრების ბერები არაერთხელ ესტუმრნენ საქართველოს, მოილოცეს ქართული ეკლესია-მონასტრები, შეხვდნენ ქართველ სასულიერო პირებს, მეცნიერებს. პატრიარქთან შეხვედრებმა ისინი განსაკუთრებული მადლიერებით აღავსო. 1987 წლის 11 თებერვლით დათარიღებულ წერილში ისინი აღნიშნავენ: „შვილიერი გრძნობით ვუსურვებთ თქვენს ღირსეულ უნეტარესობას ჯანმრთელობას და ღვთაებრივ ძლიერებას, რათა მაცხოვრებელი სიტყვა უქადაგოთ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სამწყსოს. ვითხოვთ თქვენს ღვთაებრივ ლოცვებს და ყველანი, საერთო კრების წარმომადგენლები, ათონის წმიდა მთის ოცივე წმიდა მონასტრის წინამძღვრები, ვრჩებით უღრმესი პატივისცემით“. უწმიდესისა და უნეტარესის სურვილით საქართველოში ჩამოაბრძანეს ათონის კარის ღვთისმშობლის ხატის ასლი. წმიდა ათონის მთასთან, იქ არსებულ მონსტრებთან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მჭიდრო ურთიერთობა გრძელდება. ათონზე დაწერილი არაერთი ხატია დავანებული საქართველოში მოქმედ ეკლესია-მონასტრებში. ილია II-მ ათონის წმიდა მთის ვატოპედის მონასტრის ბერების სტუმრობისას (2011 წლის 17-24 თებერვალი) გაიხსენა ათონის წმიდა მთაზე თავისი სტუმრობა: „მახსენდება ჩემი ვიზიტი ათონის წმინდა მთაზე. იქ, კარეასში, სადაც ათონის მთის წმიდა კინოტი იკრიბება, ვიჯექი საპატრიარქო ტახტზე და ყველა ბერი ჩემ გარშემო იყო შემოკრებილი, მე გამოცდა მოვუწყე მათ. ასე ვუთხარი: ახლა უნდა გამოვცადოთ, როგორი თავმდაბლობა და მორჩილება გაქვთ. აბა, მომიახლოვდით და ყველამ დამლოცეთ-მეთქი. ზოგიერთი შემინდა და დაიბნა, მაგრამ ზოგიერთი მოვიდა

და მართლაც დამლოცა და ეს დალოცვა დღესაც მშველის და მომავალშიც შემეწევა“. 2011 წლის 20 თებერვალს სამების საკათედრო ტაძარში ათონის მთის ვატოპედის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ეფრემმა ამ სიტყვებით დაახასიათა უწმიდესი და უნეტარესი ილია II: „ის, რამაც განგვაცვიფრა, არის მთელი ქართველი ერის საოცარი ერთგულება და მიძღვნა თავისი პატრიარქისადმი! ჩემი აზრით, საქართველოს ეკლესიას ჰყავს თავმდაბალი პატრიარქი, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის უდიდესი მადლის ღირსი შეიქნა და ეს მოახდინა დედა ღვთისმშობელმა, რომ ამდენი წელია მას ხალხის მხრიდან ძლიერი მხარდაჭერა აქვს“.

XX საუკუნის ქართველ პატრიარქთა და საერო მეცნიერთა ოცნება, ჰქონოდათ კავშირი ათონის წმიდა მთაზე არსებულ ქართულ მონასტრებთან და იქ დაცულ ქართულ ხელნაწერებთან, რეალობად იქცა. დღეს ათონზე არაერთი ქართველი ბერი მოღვაწეობს. უწმიდესი და უნეტარესი ასეთივე დიდი მონდომებით შეუდგა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის კავშირის აღდგენას. იერუსალიმის პატრიარქთან, უწმიდეს ბენედიქტესთან შეხვედრისას ის პირველად შეეხო ჯვრის მონასტრის საქართველოს ეკლესიისათვის დაბრუნების საკითხს. მოლაპარაკებები გაგრძელდა პატრიარქ დიოდოროსის I-ის დროსაც. ილია II-მ კარგად იცოდა, რომ იერუსალიმის საპატრიარქოსათვის ძნელი გადასაწყვეტი იყო ეს საკითხი. მისი უწმიდესობა საქართველოს საერო ხელისუფლებას მეტი მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდა. 1987 წლის 5 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავდა: „იერუსალიმში ოფიციალური ვიზიტის დროს შევხვდი პატრიარქ დიოდოროს I-ს და დავაყენე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გადმოცემის საკითხი. როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძნები ჩვენს თხოვნას ენთუზიაზმით არ შეხვედრიან, თუმცა შეგვპირდნენ საკითხის განხილვას. საჭიროა მთავრობის დახმარება. წარმატების შემთხვევაში თქვენ დაიმსახურებთ ჩვენი ხალხის სამუდამო მადლიერებას“. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკითხის მოგვარებაზე მუშაობს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შექმნილი მეცნიერთა და ბიზნესმენთა ჯგუფი. ისრაელის მთავრობა, ქართველი ებრაელობა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას სრულ მხარდაჭერას უცხადებენ. ასეთ ვითარებაში

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერძენმა ბერებმა მონასტერში ქართველთა შეშვება შეზღუდეს, გაურკვეველ ვითარებაში დაზიანდა რუსთაველის ფრესკა. ამ სამწუხარო ფაქტების მიუხედავად, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისტორიული სამართლიანობა აღდგება და ჯვრის მონასტერი საქართველოს აუცილებლად დაუბრუნდება.

კათოლიკოს-პატრიარქმა 1980 წლის მაისში, ბულგარეთში ვიზიტის დროს, მოინახულა პეტრიწონის ქართველთა მონასტერი, რომელიც 1083 წელს ძმებ ბაკურიანისძეთა მიერ არის დაარსებული. ბულგარეთის პატრიარქმა უწმიდესმა მაქსიმემ განაცხადა, რომ მზად იყო ნებისმიერ დროს მიეღო ქართველი ბერები ამჟამად ბაჩკოვოს მონასტრად წოდებულ პეტრიწონში. უწმიდესმა და უნეტარესმა 1977-2007 წლებში მოილოცა საზღვარგარეთ არსებული ყველა ეკლესია-მონასტერი, სადაც კი ქართველებს უღვაწიათ, სადაც ქართული სიწმინდეებია დაცული, პატივი მიაგო ჩვენს სახელოვან და ისტორიის მიღმა დარჩენილ უსახელო გმირებს, რომელნიც ემსახურებოდნენ დედაეკლესიას, დედასამშობლოს. უწმიდესმა და უნეტარესმა მოახერხა დაკავშირებოდა 1927 წლიდან საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციიდან გასულ პარიზის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარ დეკანოზ ილია მელიას.

კათოლიკოს-პატრიარქი ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებითა და ინტერესით ადევნებდა თვალს ისტორიული საქართველოს იმ ნაწილის ცხოვრებას, რომელიც დღეს თურქეთის საქართველოდ – ტაო-კლარჯეთ-ლაზეთად არის ცნობილი. შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ-სულიერი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ისტორიაში განსაკუთრებულია ტაო-კლარჯეთის როლი. თითოეულმა წიგნიერმა ქართველმა იცის არტანუჯის, ოპიზის, ხანძთის, შატბერდის, პარეხის, ბერთას, წყაროსთავის, ანჩის, ოშკის, იშხნის, ხახულის, ბანას ეკლესია-მონასტრები, პატივს სცემს იქ მოღვაწე სასულიერო პირებს, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოს ისტორიაში. ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების, წმიდა ხატების, უნიკალური საეკლესიო წიგნების გარეშე ხომ წარმოდგენელია საქართველოს ისტორია. ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე იყო 14 საეპისკოპოსო: მაწყვერელის, კუმურდოელის, იშხნელის, ანჩელის, მტბეგარის, წურწყაბელის, ერუშნელის, ვალაშკერტელის, ანელის,

კარელის, ბანელის და დადემნელის, არზრუმელის... XVII საუკუნის 60-იან წლებში ეს საეპისკოპოსოები ოსმალებმა გააუქმეს. „ეპისკოპოსნი ივლტო-დიან კვალადცა, რომელთა არა ინებეს გამაჰმადიანება: ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს“, – დანაწევრებით წერდა ვახუშტი ბაგრატიონი. XIX საუკუნეში ისტორიული ტაო-კლარჯეთის ნაწილი დაუბრუნდა საქართველოს... 1921 წელს კი, საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტური თურქეთის მთავრობას შორის დადებული შეთანხმებით, ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში გადავიდა. საბჭოთა იმპერიის პერიოდში ისტორიულ ტაო-კლარჯეთთან დაკავშირება თითქმის წარმოუდგენელი იყო. გასული საუკუნის 70-იან წლებში კინოოპერატორებმა გურამ პატარაიამ და ირაკლი ონოფრიშვილმა ნახევრად არალეგალურად მაინც მოახერხეს ტაო-კლარჯეთის სიწმინდეთა გადაღება. ილია II-ის ლოცვა-კურთხევით წმიდა სინოდმა 1978 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომ აწყურის ეპარქიის ნაცვლად შექმნილიყო ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპარქია, ხოლო წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით, ახალციხის ეპისკოპოსის სამწყსოს დაემატა ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია, რომელიც აერთიანებს ამ ტერიტორიაზე ისტორიულად არსებულ 14 საეპისკოპოსოს. სინოდის ამ განჩინებით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იურისდიქცია განივრცო ისტორიული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საქართველოსა და თურქეთს შორის დამყარებული კეთილშეზობლური ურთიერთობის პირობებში შესაძლებელი გახდა ტურისტულ ჯგუფებში გაერთიანებულ მომლოცველთ მთელსა და ტაო-კლარჯეთის ქართული სიწმინდენი, შეხვედროდნენ თურქეთის ქართველობას. 2003 წელს უწმიდესი და უნეტარესი სინოდის წევრებთან ერთად ესტუმრა ტაო-კლარჯეთს, მოილოცა ხაზულის, ოშკის, იშხნის მონასტრები. მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოს I-თან, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპსა და პატრიარქ პეტრე VII-სთან ერთად იმყოფებოდა ისტორიულ კაპადოკიაში. პირველად, მრავალი საუკუნის შემდეგ, ღვთისმსახურება ალევლინა წმიდა ელენესა და კონსტანტინეს სახელობის ტაძარში. წირვას უმეტესად ქართველი მრევლი ესწრებოდა. ყველა გრძნობდა ისტორიული წუთების სიდიადეს. აღლევებული იყო უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ც. „წმიდა მამები ამბობენ, რომ არსებობს

სულთა კავშირი, – ბრძანა მან, – და ჩვენ გვწამს, რომ დღეს, ჩვენთან ერთად, აქ იმყოფებიან წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის, წმიდა ბასილი დიდისა და სხვათა, კაბადოკიელ მამათა და დედათა სულები. აღვაგლენთ ლოცვებს, რომ მშვიდობა, სიხარული, სიყვარული სუფევდეს ჩვენს შორის“. მსოფლიოს ასამდე ტელევიზია იღებდა ლიტურგიის მსახურებას, მილიონობით ადამიანი უცქერდა ამ ეკლესია-მონასტრების ისტორიულ პატრონებს – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და მის თანმხლებ ქართველებს. დედასამშობლოსთან სიახლოვის, ქართველობით გამოწვეული სიამაყის გრძნობა კიდევ უფრო გაუმძაფრდა თურქეთის ქართველობას. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, საქართველოში გაიმართა თურქეთში მცხოვრები ქართველების – „ჩვენებურების“ ხალხური სიმღერისა და ცეკვის კონცერტი. თურქეთის ქართველობა დედასამშობლოს, წინაპართა მიწის ყვილს გრძნობს... პატრიარქი არასოდეს ივიწყებს მათ: „განსაკუთრებული სიყვარულითა და მხურვალე გრძნობებით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძმებო, მცხოვრებნო სამშობლოს საზღვრებს გარეთ, მოგმართავთ თქვენ, მუსლიმანებო და ქრისტიანებო, ჩვენ სისხლითა და ხორციით ერთნი ვართ, მიუხედავად განსხვავებული რელიგიური შეხედულებებისა. განსოვდეთ, რომ თქვენი წინაპრები განისვენებენ საქართველოს წმიდა მიწაში. ნუ დაივიწყებთ, ვინა ხართ, განსოვდეთ ღვთისგან დალოცვილი ქართული ენა და საუკუნეთა მანძილზე შენარჩუნებული წმინდა ქართული ტრადიციები... ჩვენ მარად გვანსოვხართ და დღედაღამ ვლოცულობთ თქვენთვის, ჩვენი ერის გამთლიანებისთვის“. თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთაგან განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ლაზებთან კავშირი, რომელიც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გაძლიერდა. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით არაერთი ლაზი ჩამოდის საქართველოში, ბევრი მონათლა კიდევ. გაძლიერდა მათში ეროვნული სულისკვეთება, დანარჩენ ქართველებთან ისტორიული ერთობის განცდა. უწმიდესის ლოცვა-კურთხევით საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართულ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლაზური კულტურის შემსწავლელი ცენტრი, რომლის ინიციატივითაც ეწყობა საინტერესო ექსპედიციები, სამეცნიერო სიმპოზიუმები, გენეტიკური კვლევები.

ისტორიული უკუღმართობით 1921 წლიდან აღმოსავლეთ კახეთის

ნაწილი – ჰერეთი (საინგილო) – საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩა. ეს კუთხე საქართველოს ისტორიაში ცნობილი იყო ქრისტიანული სარწმუნოებისადმი თავდადებითა და ჩრდილო კავკასიაში წარმოებული მისიონერული საქმიანობით. აქ მოქმედი ქურმუნისა და გიშის საეპისკოპოსოები დიდ როლს ასრულებდნენ ქრისტიანული საქართველოს ისტორიაში. XVI საუკუნეში ირანელთა მხარდაჭერით ამ ტერიტორიაზე მძლავრობენ ლეკები, „ლეკიანობასთან“ ბრძოლა გაგრძელდა XVIII-XIX საუკუნეებშიც. 1917 წელს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, ისტორიული ჰერეთის – საინგილოს სამწყსო ბოლბელის ეპარქიაში შედიოდა. 1921 წლიდან, აგრესიული ათეიზმის ხანაში, ზერბაიჯანის კომუნისტურმა ხელისუფლებამ არაერთი ეკლესია-მონასტერი დაანგრია საინგილოში, დახოცეს სასულიერო პირები. მიუხედავად იმისა, რომ ინგილოთა ნაწილი მაჰმადიანია, ისინი თავიანთ თავს ქართველებად თვლიან და იმედის თვალი საქართველოსკენ აქვთ მოპყრობილი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საინგილოში სამოღვაწეოდ გაუშვა სასულიერო პირები, ხოლო 1997 და 2005 წლებში კავკასიის მუსლიმანთა საბჭოს თავმჯდომარის, შეიჰ ალახ შუქურ ფაშა ზადეს მიწვევით ორჯერ იმოგზაურა საინგილოში. უწმიდესმა და უნეტარესმა მოილოცა კახის, ბელაქნის, ზაქათალის რაიონებში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები, შეხვდა და ესაუბრა მოსახლეობას, გადასცა მათ საეკლესიო წიგნები, ხატები. უწმიდესი და უნეტარესი ასე აღწერდა საინგილოში სტუმრობას: „ყველა სოფელში, სადაც კი მივედი, ხალხი ანთებული გულებით, ანთებული სანთლებითა და პურ-მარილით გვხვდებოდა. ბევრი მათგანი სიხარულისგან ტიროდა. მთავარი ის იყო, რომ დედასამშობლოს მოწყვეტილმა იქაურმა ქართველებმა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ავბედობის გამო ახლა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, იგრძნეს, რომ ისინი უპატრონონი არ არიან... სწირად მესმოდა, როგორ ამბობდნენ: ჩვენ არაფერი გვინდა, ჩვენ მხოლოდ გვინდოდა დაგვენახა საქართველოს პატრიარქიო. რა თქმა უნდა, მათ ბევრი რამ სჭირდებოდათ, მაგრამ ყველაზე მეტად ისინი ჩვენს ყურადღებასა და გულის სითბოს საჭიროებენ“. პატრიარქის გადაწყვეტილებით, 2002 წლის



17 ოქტომბერს შეიქმნა ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქია, რომელმაც ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაც მოიცვა. 2009 წლის აპრილში კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვაკურთხევით შეიქმნა ხორნაბუჯისა და ჰერეთის საეპისკოპოსო, რომელიც მოიცავს დედოფლისწყაროს, კახეთის, ბელაქნის და ზაქათალის რაიონებს. 30 მაისს ახალი ეპარქიის მმართველად გამოირჩა არქიმანდრიტი მელქისედეკი, რომელიც 5 მაისს აკურთხეს ეპისკოპოსად. ეპისკოპოსი მელქისედეკი საინგილოში, კერძოდ, კახში, განსაკუთრებით კი ქურმუხში გიორგობის დღესასწაულზე წირავს ქურმუხის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. გიორგობის დღესასწაული ამთლიანებს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს. საინგილოში ისინი ერთად აღნიშნავენ ამ უდიდეს დღესასწაულს. უწმიდესი და უნეტარესი ილია II საპატრიარქოში ხშირად მასპინძლობს ისტორიული ჰერეთიდან ჩამოსულ სტუმრებს და აძლევს კურთხევას, იყვინ ერთგულნი თავიანთი სარწმუნოებისა და ისტორიული გენისა. 2001 წელს ირანის პრეზიდენტის, მუჰამედ ჰათამის მიწვევით ირანში ვიზიტისას მისმა უწმიდესობამ მონიხსულა ფერეიდან, შეხვდა იქაურ ქართველობას და გაამხნევა ისინი. პატრიარქის ფერეიდიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს მოაშურა არაერთმა იქაურმა ქართველმა. სამშობლოში ჩამოსული ფერეიდნელების პატრონი და მასპინძელია უწმიდესი და უნეტარესი ილია II. ფერეიდნელი ქართველები საქართველოს პატრიარქს ოცნების საქართველოდან ჩამოსულს უწოდებენ. იგი ხშირად იმეორებს ფერეიდნელთა საოცარ ლოცვას – „ღმერთს ებარებოდეთ“. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართულ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფერეიდნელი ქართველებისთვის ქართული ენის, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი კურსები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბერს ფიქრობს რუსეთის ფედერაციაში, უკრაინასა და ბალტიისპირეთში მცხოვრები ქართველების შესახებ.

XIX საუკუნეში საქართველო ჯერ რუსეთის იმპერიის პროვინციად, ხოლო XX საუკუნეში მოდერნიზებულ საბჭოთა იმპერიაში „სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკის“ სახით შედიოდა. ამ ორი საუკუნის მან-

ძილზე მრავალი ქართული ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, ბალტიისპირეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში. XX საუკუნის 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პატრიარქი არაერთხელ სტუმრებია მოსკოვს, სადაც ყოველთვის ხვდებოდა ქართული დიასპორის წარმომადგენლებს და განუმტკიცებდა დედასამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას.

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამა აიძულა ათასობით ჩვენი თანამემამულე საარსებო საშუალებების საძებნად გასულიყო ევროპისა და ამერიკის განვითარებულ ქვეყნებში. მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორები გაჩნდა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, ესპანეთში. არსებული მონაცემებით დაახლოებით მილიონზე მეტი ქართველია დღეს უცხოეთში, რომელთა შვილები და შვილიშვილები ევროპის სახელმწიფოთა კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრირდებიან. არსებობს იმის საშიშროება, ისინი გაუცხოვდნენ დედასამშობლოსგან, ქართული ფასეულობისგან. ამ ვითარების გათვალისწინებით, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 2002 წლის 17 ოქტომბერს გამართულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: 1. 2002 წლის 18 ოქტომბრიდან დაფუძნდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში დასავლეთ ევროპის ეპარქია; 2. ეპარქიის იურისდიქცია გავრცელდეს შემდეგი ქვეყნების ტერიტორიაზე – გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ბელგია (2009 წლის 30 აპრილიდან საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით დასავლეთ ევროპის ეპარქიას გამოეყო დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქია, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული – ს. ვ.), ჰოლანდია, ლუქსემბურგი, ავსტრია, შვეიცარია, დანია, ესპანეთი, პორტუგალია, იტალია; 3. დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველად დაინიშნა მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია). დასავლეთ ევროპის ეპარქიის უმთავრესი მისიაა სულიერი მზრუნველობა და მფარველობა ეპარქიაში შემავალ

ქვეყნებში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებზე, მათი ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვითშეგნების შენარჩუნება. დასავლეთ ევროპის ეპარქიაში 75-ზე მეტი სამრევლოა, სადაც ღვთისმსახურებას ასრულებს 20-ზე მეტი სასულიერო პირი. 2009 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ეპარქია, რომელსაც ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი დიმიტრი (შოლაშვილი). ეპარქიაში 12-მდე სამრევლოა, სადაც მოღვაწეობს 10-მდე სასულიერო პირი. დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქიას სამრევლოები აქვს ლონდონში, გლაზგოში, კარდიფში, უელსში, ბელფასტში. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიებია სამხრეთ ამერიკაში, რომელსაც ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი ნიკოლოზი (დათუაშვილი), ავსტრალიაში, რომელსაც ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი).

2009 წლის 14 მაისს წმიდა თამარ მეფის სახელობის ქართული ეკლესიის გახსნაზე პარიზში საგანგებოდ ჩაბრძანდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II და შეხვდა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებს. 2012 წლის 15-22 მაისს პატრიარქი კვლავ სტუმრობდა პარიზს. 20 მაისს მან საზეიმო წირვა აღავლინა წმიდა თამარ მეფის სახელობის ქართულ ეკლესიაში. წირვის შემდეგ ქადაგებისას მან მოუწოდა ჩვენს თანამემამულეებს, არ მოსწყდნენ თავიანთ ისტორიულ ფესვებს და ყველაფერი გააკეთონ, რათა მალე დაბრუნდნენ საქართველოში და თავიანთი ნიჭი, შესაძლებლობა მოახმარონ ქვეყნის აღმშენებლობას.

2011 წლის 4-15 თებერვალს უწმიდესი და უნეტარესი ილია II სტუმრობდა ლონდონს, სადაც საზეიმოდ გაიხსნა მაცხოვრის შობის ქართული ეკლესია. პატრიარქმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის წევრებთან ერთად ახლადგახსნილ ტაძარში წირვის შემდეგ დალოცა მრევლი და მოუწოდა მათ გაუფრთხილდნენ ჩვენს ეროვნულ ფესვებს, არ მოსწყდნენ მას და შვილები საქართველოს სიყვარულით აღზარდონ.

ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში მისი უწმიდესობა ბრძანებს: „სულიერება ხალხში თავდაპირველად გზას იკვლევს ცალკეულ მადლმოსილ პიროვნებათა წყალობით, შემდეგ ეს ნიჭი ეფინება მთელ ერს, აღამაღლებს მას, ამიტომაც პიროვნების როლი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესია. არიან

ადამიანები, ღვთის ნიშნით გამორჩეულნი, რომელნიც თესენ სიყვარულს, სათნოებას, ქმნიან, აშენებენ, თვითონ იწვიან და სხვას გზას უნათებენ“. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ის პიროვნებაა, რომელიც აერთიანებს სრულიად საქართველოს და XXI საუკუნეში, ამ ურთულესი გამოწვევების საუკუნეში, ქართველ ერს სულიერი და ზნეობრივი სიმტკიცის ძალას აძლევს, რათა წარმატებით დასძლიონ ყველა სიძნელე.

## პატრიარქი და ეროვნული მოძრაობა

უფალს მაღლობას უნდა სწირავდეს, სიამაყით ივსებოდეს და ბედნიერად მიაჩნდეს თავი იმ ერს, რომელსაც უფალმა ძნელბედობის ჟამს ბრძენი, დამთმენი და კაცთმოყვარე პატრიარქი მომადლა. ეკლესიის წინამძღოლმა, რომელიც გამოირჩევა აზროვნების დიაპაზონის სიდიდით, მოვლენების შეფასების სიზუსტით, ერის ცხოვრების კრიტიკულ მონაკვეთებში მუდამდლე აქტიური მონაწილეობით, ურთულეს პერიოდში ბეწვის ხიდზე გამოატარა საქართველოს ეკლესია და ქართველი ხალხი. მან განკუთვნილ სიმაღლეზე აიყვანა ეკლესიის ავტორიტეტი არა მხოლოდ მართლმადიდებელ მრევლში, არამედ სხვა სარწმუნოების ჩვენს მოქალაქეებშიც და საერთაშორისო სარბიელზეც ანგარიშგასაწევ ძალად გახადა იგი.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს ეკლესია, გარდა სულიერი საფუძვლისა, ქართული სახელმწიფოებრიობის უწყვეტობის, თაობათა შორის კავშირის, ეროვნული სულისკვეთების მუდმივობის გამომხატველერთადერთ ლეგალურად მოქმედ ინსტიტუტუტს წარმოადგენდა და, ბუნებრივია, 70 – 80-იან წლებში, როდესაც დისიდენტური და შემდეგ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ხანა დაიწყო, საქართველოს ეკლესიამ ფართოდ გაუღო კარი და თბილად ჩაიკრა გულში თავისი შვილები. პატრიარქის აღსაყდრების შემდეგ სიონის ეზოში სულ ახალგაზრდული ხმები ისმოდა. მოკლე პერიოდში მრევლის რაოდენობა ძალიან გაიზარდა. ეკლესია იქცა ეროვნული განწყობის ადამიანებისთვის შეკრებისა და შეხვედრის ადგილად. ეროვნულ მოძრაობაში ჩართული ადამიანი პრაქტიკულად ხდებოდა მრევლი. საინტერესო შედარება შეიძლება მოვიტანოთ ამ მხრივ რუს დისიდენტებთან, რომელთა შეხვედრების ადგილებს მაიაკოვსკისა და პუშკინის ძეგლების მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენდა.

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სახით საქართველოს ჰყავს სულიერი ლიდერი, რომელმაც ტაძრები ახალგაზრდების გულანთებულ ქრისტეანებად და, შესაბამისად, პატრიოტებად ჩამოყალიბების კერებად აქცია,

ერის ცხოვრების მნიშვნელოვან გარდამტეხ და გადამწყვეტ მომენტებში კი პირადი მაგალითით აჩვენა ლიდერისთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობისა და წინდახედულობის მაღალი დონე. საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების დროს მისი უწმიდესობის ქმედებები ამის ნათელი დადასტურებაა.

1989 წელს, როცა საქართველოში ეროვნულმა მოძრაობამ თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო, აფხაზეთის საკითხი განსაკუთრებულად გამწვავდა და ქვეყანაში სერიოზული დაძაბულობა შეიქმნა. საკავშირო ხელისუფლება ცდილობდა საქართველოს ეროვნული მოძრაობისთვის და, საერთოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეისთვის დაეპირისპირებინა აფხაზეთი სეპარატისტული მოძრაობა, რომელსაც ყოველნაირად ხელს უწყობდა და ახალისებდა. 18 მარტს სოფელ ლიხნში ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ ორგანიზებული კრება, რომელმაც მიიღო ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული გადაწყვეტილება, რამაც აფხაზეთისა და მთლიანად ქართული საზოგადოება აღაშფოთა. გაგრასა და სოხუმში ჩატარდა ქართველთა საპროტესტო აქციები. ერთ-ერთი აქციის შემდეგ ლესელიძიდან სოხუმისკენ მიმავალ ავტობუსს, რომელშიც მომიტინგეები ისხდნენ, თავს დაესხნენ. ხელისუფლებიდან მართული ამ კრიმინალური ქმედების გასაპროტესტებლად სოხუმში ჩატარდა აქცია, რომელშიც ბევრი აფხაზიც მონაწილეობდა. 9 აპრილისთვის დაიგეგმა კიდევ ერთი აქცია სოხუმში.

ეროვნული მოძრაობის ერთმა ნაწილმა 4 აპრილს მაშინდელი მთავრობის სახლის წინ აქცია დაიწყო ლიხნის შეკრების ორგანიზატორთა და ავტობუსზე თავდამსხმელთა დასჯის მოთხოვნით. ცოტა ხანში აქციის თემამ გარკვეული სახეცვლილება განიცადა და უპირობო მოთხოვნად საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დაისვა. აქციის ორგანიზატორებს მიაჩნდათ, რომ პოლიტიკური მოთხოვნის დაყენებით თავიდან იქნებოდა აცილებული კონფლიქტი ეთნიკურ ნიადაგზე, რომელიც 9 აპრილს სოხუმის აქციის დარბევას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. საბჭოთა კავშირში უკვე არსებობდა პრეცედენტები ხელოვნურად ინსპირირებული ეთნიკური კონფლიქტებისა (ფერგანა, ყარაბაღი, სუმგაიტი და სხვ.), რომელიც ერთი მხრივ ხალხთა ტრაგედიად იქცა და, მეორე მხრივ, კონფლიქტის ყველა მონაწილე

მხარე თავისუფლებისთვის ბრძოლის სწორი გზიდან ააცდინა და ერთმანეთთან ბრძოლაში მთლიანად დამოკიდებული გახდა მოსკოვზე.

5 აპრილიდან თბილისში აქციები მიმდინარეობდა, ასევე, სახელმწიფო ტელევიზიასთან და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. სასწავლებლებთან მიმდინარე აქციების მონაწილეებმა 8 აპრილს, ქალაქში ჯავშანტექნიკის გამოჩენის გამო, ტელევიზიის წინ მოიყარეს თავი და ერთ დიდ აქციად გაერთიანდნენ. ძირითადი აქცია კი კვლავ რუსთაველზე, მთავრობის სახლის წინ მიმდინარეობდა.

7-8 აპრილს ვითარება უკიდურესად დაიძაბა, – ქალაქში დემონსტრაციულად გამოჩნდა საბჭოთა არმიის ნაწილები. ამასთან, სსრკ-ის სხვადასხვა რეგიონებიდან დამატებითი სამხედრო შენაერთების ჩამოყვანაც დაიწყო.

ადგილობრივ ხელისუფლებას, პრაქტიკულად, ჩამოერთვა რესპუბლიკის მართვის სადავეები და სამხედროები წარმართავდნენ მოვლენებს. შექმნილმა ვითარებამ ხალხი კიდევ უფრო გააღიზიანა, რამაც აქციის მონაწილეთა რაოდენობა მკვეთრად გაზარდა. ხალხის სულისკეთება იმდენად ამაღლებული იყო, რომ მოსალოდნელ საფრთხეს არად აგდებდა და ნებისმიერი განსაცდელის დასახვედრად მზად იყო. სამშობლოს თავისუფლების თავდადებისთვის დაგროვილმა განცდამ და საზოგადოების უდიდესი ნაწილის ერთობამ ხალხში ყოველგვარი შიში გააქრო და ხალხი მზად იყო, ლაღად შეხვედროდა მსოფლიოს ყველაზე ჯალათ არმიას, თუმცა კონკრეტულად რას მოიმოქმედებდა ეს უკანასკნელი, ამაზე მსჯელობა არ მიმდინარეობდა.

9 აპრილის საბედისწერო მომენტს მხოლოდ საათი გვაშორებდა. მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორია კი ხალხს ვეღარ იტევდა. მიუხედავად გადაღლისა, გვიანი ღამისა და მოახლოებული საფრთხისა, ადგილიდან დაძვრახეც კი არავინ არ ფიქრობდა... ასეთ ვითარებაში მობრძანდა მისი უწმიდესობა აქციაზე.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სწორედ მისი უწმიდესობა იყო და არის 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის საფუძვლის ჩამყრელი. მისი უწმიდესობის უდიდესი დამსახურებაა, რომ ეროვნული იდეა და მოძრაობის ძირითადი ბირთვი სწორედ სიონის ეზოში და ტაძრის საკურთხეველში ჩამოყალიბდა. მისი უწმიდესობის ქმედებები, ებისტოლეები და ქადაგებები მხოლოდ სულიერი დატვირთვის მატარებელი არ არის, მათში ქართველი

კაცის ცხოვრების წესის განსაზღვრა, ზნეობრიობის ტრადიციული საფუძვლები და სახელმწიფოებრიობის მთავარი ღირებულებებიცაა წარმოდგენილი. ფაქტობრივად, სწორედ ეს ასპექტები იქცა ორიენტირებად ეროვნული მოძრაობის მოქმედებისთვის.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რაც უფალთან და ქართველ ერთან მისი უწმიდესობის მისტიკურ საუბარს გულისხმობს. ამ ერთი შეხედვით რთულად აღსაქმელი მოვლენის თვალსაჩინო მაგალითია 1987 წელს, აზვირთებული ეროვნული მოძრაობის დროს, საქართველოს ეკლესიის მიერ ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვა. ღვთის განგებულებითა და პატრიარქის ღვაწლით ამქვეყნად აღსრულებული დიდი მისტიკური აქტი ბიძგის მიმცემი გახდა იმისთვის, რათა ეროვნული მოძრაობის იდეური სულისკვეთება წმ. ილია მართლის იდეებს დაფუძნებოდა. წმიდა სინოდის განჩინების შესახებ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის ამბიონიდან ქადაგებაში მისმა უწმიდესობამ ბრძანა: „... ღვთის განგებით მოგვევლინა ილია, როგორც წინასწარმეტყველი და მქადაგებელი, როგორც „ხმა მღალაღებელი უდაბნოსა შინა“, სიტყვა მართალი და ჭეშმარიტი, რათა ბიბლიურ მოსესავით აელო მოწამებრივი ტვირთი ერის წინამძღვრისა. მისი გენია, მისი საოცარი ნებისყოფა მირონცხებული და შინაგანად მომზადებული აღმოჩნდა ამ ისტორიული მისიისათვის. თითქოს ილიაზე განმეორდა იერემია წინასწარმეტყველისადმი თქმული უფლის სიტყვები: „ვიდრე გამოხვიდოდი შენ საშოდან, მე განგწმიდე შენ, წინასწარმეტყველად ხალხთა დაგადგინე შენ“ (იერემია 1,4-5). მან იტვირთა ჯვარი სრულიად საქართველოსი და შეუდგა გოლგოთის აღმართს“ და მიმართა ახალგაზრდებს: “შეესთხოვე წმიდა ილია მართალს, იყოს აწ და მარადის გამორჩეულად მფარველი ჩვენი ახალგაზრდობისა, ჩვენი სტუდენტობისა. ამიერიდან ჩვენი ახალგაზრდობა მიმართავს მას განსაკუთრებული ლოცვით, და წმიდა ილია მართალიც ღვთის წინაშე მისი მეოხი იქნება“.

ურთულესია ჩვენთვის ამ მოვლენის მთელი სისავსით აღქმა, მაგრამ ცხადია, რომ სწორედ ამ ფაქტმა და მისი უწმიდესობის მიერ შესაბამის დროს და შესაბამისი მზაობის ვითარებაში გაკეთებულმა მოწოდებამ ეროვნული მოძრაობა გადაიყვანა ძირითად სისტემურ იდეებზე (გავითვალისწინოთ, რომ ამ დროისთვის საბჭოთა სისტემა ჯერ კიდევ მყარად იდგა). მისმა



უწმიდესობამ მთელი სიდიადით და სისწორით დაგვანახა წმიდა ვახტანგ გორგასალი, წმიდა დავით აღმაშენებელი, წმიდა გრიგოლ ხანძთელი... მათი მოღვაწეობა და ხედვები გახდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ ფასეულობებად. „სამშობლოს“ ცნება და მისი მსახურება საკრალურ ცნებათა რანგში, ანუ, აბსოლუტური, შეუვალი და არაფერზე არ დახურდა-ვებადი ღირებულების დონეზე აიყვანა. ყველანაირად ხელს გვიწყობდა, რომ სწორი გზით წავსულიყავით. მივყავდით უფლისკენ და იმავდროულად, ის გახდა ჩვენთვის სულიერი მეკავშირე ჩვენს წარსულთან, საქართველოს მეფეებთან და პატრიარქებთან, წმინდა მამებთან და თავდადებულ მამულიშვილებთან. გვაგრძნობინა წარსულის სუნთქვა და სულისკვეთება, დაგვაფიქრა აწმყოზე და მოგვცა მომავლის იმედი. მან ახლად გაგვააზრებინა საქართველოს საკაცობრიო მნიშვნელობა. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა ახლო ურთიერთობა გვქონოდა მასთან და გვქონდა ისეთი განცდა, რომ მისი სახით არამარტო მოქმედ პატრიარქს, არამედ ცოცხალ მრავალათასწლოვან საქართველოს ისტორიასვეხეზოდით.

მისმა უწმიდესობამ ათეისტური, წარმართული და გზააბნეული „საბჭოთა ხალხი“ მორწმუნე ადამიანებად გვაქცია. შეიძლება ითქვას, რომ თითო-თითოდ შეგვეკრიბა ტაძარში. ყველა გადაარჩინა ვინც უფალმა მისცა. უშურველად გასცემდა უფლისგან ბოძებულ სითბოსა და ენერგიას და პირადი ცხოვრებით გვაჩვენებდა თუ როგორ შეიძლება ადამიანი გიყვარდეს და მასში ცოდვა გპულდეს, იყო ადამიანებთან რბილი, თბილი და კეთილი და ამავდროულად, მათთან საქმეში პრინციპული, მტკიცე და შეუვალი. მისი უწმიდესობა ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ქართველი ერის ისტორიაში ის სიცარიელე ამოვსებულიყო, აღმდგარიყო ის წყვეტა, რომელიც საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლიდან მის აღსაყდრებად არსებობდა. პატრიარქი თავად გახდა ხიდი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. იგი არა მარტო მოქმედი პატრიარქი იყო, არამედ მრავალათასწლოვან საქართველოს ისტორიისა და სახელმწიფოებრიობის უწყვეტობის გამომხატველი ცოცხალი სიმბოლო.

უწმიდესიც ყოველთვის იქ იდგა, სადაც ერის სულიერი მამა უნდა მდგარიყო. როდესაც 1989 წლის 9 აპრილს გამთენიისას პატრიარქის აქციაზე მობრძანებაზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პატრიარქს ეროვნული

მოძრაობის მიერ ორგანიზებულ აქციებთან კავშირი წინა პერიოდებშიც ჰქონდა და იგი 1988 წლის ნოემბრის აქციას უკავშირდებოდა:

1988 წლის 22 ნოემბერს, წმ. გიორგის ხსენების წინა დღეს, მაშინდელი მთავრობის სახლის წინ შიმშილობის აქცია დაიწყო. მიმდინარე აქციის მოპირდაპირე მხარეს, ქაშუეთის წმიდა გიორგის ტაძარში, მწუხრის ლოცვაზე მისი უწმიდესობა მობრძანდა. განცხადება არ გაუკეთებია, მაგრამ აქციის მონაწილეებს სანთლები და ლოცვანნი გამოგვიგზავნა. შემდეგ ყოველდღე აგზავნიდა სასულიერო პირებს, რათა მოშიმშილეები ზიარებულ იყვნენ. მაღალი იერარქები და მოძღვრები აქციის მსვლელობის დროს იხდიდნენ პარაკლისს, ქადაგებდნენ და პირადი საუბრებით ამხნეებდნენ ხალხს. ეკლესიისა და მისი უწმიდესობის ასეთი მოქმედება აღქმული იყო როგორც აქციის არაპირდაპირი დალოცვა; უფრო მეტიც, უნდა ითქვას, რომ ამან შიმშილობას (სუფთა პოლიტიკურ ქმედებას) სიღრმისეული სულიერი დატვირთვა მისცა და იგი მძიმე მარხვის ფორმად აქცია.

ამიტომაც იყო, რომ 1988 წლის ნოემბრის აქცია, შიმშილობის ფორმით განხორციელებული ერთადერთი მასშტაბური აქცია, რომლის შეწყვეტაზე უწმიდესს ლოცვა-კურთხევა არ გაუცია, ყოველმხრივ წარმატებული აღმოჩნდა: დაკმაყოფილდა აქციის უმთავრესი მიზანი. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მცდელობა – მოკავშირე რესპუბლიკებისათვის სსრკ კონსტიტუციით ქაღალდზე მონიჭებული უფლება სსრკ-იდან საქართველოს გასვლისა არსებითად აეკრძალათ – მარცხით დამთავრდა. ასევე, აქციის მაქსიმალური ინტერესი, ქართველი ერის კონსოლიდირება მომხდარიყო და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი ღიად დასმულიყო, განხორციელდა. შიმშილობის ექვსი დღე გავიდა. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ აქცია 29 ნოემბერს საყოველთაო დიდი ერთობლივი მიტინგით უნდა დამთავრებულიყო. ამიტომ ყოველმხრივ ცდილობდნენ, აემულეებინათ აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები, აქციას ღამე შეეწყვიტათ. შესაბამისად, 28 ნოემბრის ღამე ფსიქოლოგიურად ყველაზე მძიმე და დაძაბული აღმოჩნდა. ერთი მხრივ, აქციის დასაშინებლად ქალაქში სამხედრო ტექნიკამ დაიწყო მანევრები, მეორეს მხრივ კი ხელისუფლების, ზოგიერთი პოლიტიკური ძალისა და საზოგადოებრიობის გარკვეულმა წარმომადგენლებმა, ეროვნული მოძრაობის გასატყეხად, ფსიქოზის შექმნა სცადეს. ასეთ

ვითარებაში, აქციაზე მისვლისა ბევრ პოლიტიკოსსა და ცნობილ პიროვნებას შეეშინდა, ბევრმა თავიდან აიცილა მისვლის პასუხისმგებლობა. სამაგიეროდ, გვიან ღამით აქციაზე მისი უწმიდესობა მობრძანდა. ამ ქმედებით მან, ფაქტობრივად, დაძაბული ვითარება გადატეხა და პროვოკაციებიც შეწყდა. აქციის მონაწილეებისთვის სიტყვით არ მოუმართავს, ვიდრე საფრთხე არსებობდა, მოშიშმილეთა შორის მდუმარედ იდგა. დარწმუნდა რა აქციის მონაწილეთა უსაფრთხოებაში, დალოცა ისინი და წაბრძანდა.

1988 წლის 29 ნოემბრის მიტინგი, რომელშიც საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური ძალა, საზოგადოება და ინდივიდუალურად, როგორც ჩვენი ქვეყნის შვილები, კომპარტიისა და კომკავშირის ფუნქციონერი წევრები, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ქართველთა ერთობის დღედ იქცა. უძალღესი საბჭოს სესია იძულებული გახდა, ქართული საზოგადოების მოთხოვნა გაეთვალისწინებინა.

28 ნოემბრის ღამეს და 9 აპრილს გამთენიისას პატრიარქის ქმედება აქციაზე იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ მის უწმიდესობას საფრთხეებისა და ვითარების ზუსტი შეფასების უნიკალური უნარი აქვს.

თავიდანვე აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, საკავშირო და ადგილობრივი ხელისუფლების შემადგენელი ჯგუფების ერთმანეთთან ძალაუფლებისა და გავლენისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების პირობებში, რაც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენდა და ამ ჯგუფების საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მიმართ ერთიანი ხისტი პოზიციის გამო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მათთვის მიუღებელი ფიგურა იყო და ყველანაირად ზღუდავდნენ მის საზოგადოებრივ აქტიურობას. ჩვენთვის მისი მობრძანება აქციაზე ცოტა მოულოდნელიც კი იყო: მოგვიწია ყოფნა მის უწმიდესობასთან რეზიდენციაში 8 აპრილის შუაღამემდე (გარკვეული ჯგუფის მხრიდან იყო მცდელობა, მის წინააღმდეგ სერიოზული პროვოკაცია განხორციელებულიყო, ეს საქართველოს უახლესი ისტორიის ძალიან მნიშვნელოვანი ეპიზოდია, მაგრამ ამ წერილის თემა არ არის) მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მას არ უსაუბრია, როგორც ჩანს, იმ დრომდე არ ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია. ზემოთ აღნიშნულ რომელიმე ჯგუფის წარმომადგენელს

მისი უწმიდესობა ცოტა ადრე რომ ჩაეყენებინა საქმის რეალურ ვითარებაში და მას ჰქონოდა სამოქმედო დრო, დიდი ალბათობით, მოვლენების განვითარების შეცვლა შესაძლებელი იქნებოდა.

დავუბრუნდეთ ისევ 9 აპრილს, გამთენიის, როცა უამრავი ადამიანი გულანთებული და შეუპოვარი ყოველგვარი განსაცდელის მისაღებად მზად იყო, სწორედ ამ დროს მობრძანდა მისი უწმიდესობა რუსთაველიის გამზირზე და აქციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა. ვინც 1988 წლის ნოემბრის აქციაზე პატრიარქის მოქმედების შესახებ იცოდა, მისთვის უწმიდესის გამოსვლა და განსაკუთრებით სიტყვები – საფრთხე რეალურია!“ – ძალიან მძიმე მოსასმენი იყო. თუმცა, აქციის მონაწილეთა მხრიდან, რომელთაც გულწრფელად (და არა ეგზალტაციის გამო, როგორც ზოგიერთებს სურთ წარმოაჩინონ) მიაჩნდათ, რომ ღვთისა და ერის წინაშე თავის მოვალეობას ასრულებდნენ, გააზრებული და შეთანხმებული გადაწყვეტილების შეცვლა დროის სიმციროსა და დაძაბულობის პირობებში შეუძლებელი აღმოჩნდა. ქაშუეთის ეკლესიის ეზოში გადასვლაზე აქციის მონაწილეებმა უარი განაცხადეს.

ეს არ იყო სულიერი მამის მიმართ დაუმორჩილებლობა ანდა უპატივცემლობა. ეს, უფრო, თავგანწირვისთვის მზადყოფი მებრძოლების სულისკვეთებას წარმოადგენდა. თვლიდნენ, რომ მისი უწმიდესობა, როგორც მზრუნველი მამა, ასრულებდა თავის მოვალეობას – მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას ცდილობდა, ხოლო ისინი მზად იყვნენ თავისი მოვალეობის შესასრულებლად – თვალის დაუხამხამებლად გაეწირათ სიცოცხლე სამშობლოს დასაცავად,

მისი უწმიდესობა, როგორც ერის მამას და ჭეშმარიტ ლიდერს უნდა ახასიათებდეს, ამ უმძიმეს წუთებშიც ინარჩუნებდა სიმშვიდეს და სხვებსაც ამისკენ მოუწოდებდა. მიმართვის შემდეგ რუსთაველიის გამზირზე ღუძილი ჩამოწვა. მისი უწმიდესობა ცდილობდა, შექმნილი ვითარების კიდევ ერთხელ გააანალიზებდა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება მომხდარიყო.

მაგრამ აქციის მონაწილეები სხვადასხვა გარემოების გამო პოლიტიკური მანევრის განხორციელების შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ.

დარბევის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ხელისუფლების წარმომადგენლებმა პატრიარქს მოლაპარაკების საბაბით შეხვედრა სთხოვეს. მისი

უწმიდესობა აქციიდან (მთავრობის სახლის წინა კიბეებიდან) პოლიციის კორდონს იქით, მთავრობის სახლის თაღებიან სივრცეში გაჰყვა მათ. მასთან ერთად იყვნენ მისი თანმხლები სასულიერო პირები და ამ წერილის ავტორი. ოფიციალურმა პირებმა მოსალაპარაკებლად შენობაში შესვლა შესთავაზეს. უწმიდესმა ამ წინადადებაზე უარი განაცხადა. დროის სიმცირის გამო სასწრაფო გადაწყვეტილება იყო მისაღები, ვინაიდან აქციის დარბევის დაწყება ყოველ წამს იყო მოსალოდნელი.

პატრიარქმა უმძიმესი სიტუაციიდან გამოსვლის პოვნის ბოლო მცდელობას მიმართა: მან ხელისუფლებას შესთავაზა, რომ უმჯობესი იქნებოდა ისინი თავად ჩამოსულიყვნენ ქვევით და შემდეგ ერთად გადასულიყვნენ ქაშუეთის ეკლესიაში მოსალაპარაკებლად. პატრიარქის ასეთი მცდელობა მიზნად ისახავდა მოვლენათა ეპიცენტრის ტაძრის ეზოში გადატანას. თუ ხელისუფლება და პატრიარქი ქაშუეთის ტაძარში იქნებოდნენ, შესაბამისად, ეს გამოიწვევდა აქციის მონაწილეთა ქაშუეთისკენ ბუნებრივ გადანაცვლებას. მოლაპარაკებაზე გამოსული პირი შევიდა შენობაში და მალევე უკან დაბრუნდა. პატრიარქის წინადადებაზე მან დადებითი პასუხი ვერ გასცა (ვისთან იყო ეს გადაწყვეტილება შეთანხმებული, არ უთქვამს). ცოტა ხნის შემდეგ, როცა პატრიარქი დარწმუნდა, რომ მისმა ბოლო მცდელობამ შედეგი არ გამოიღო, ხელით გასწია მის წინ მდგომი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელსაც მისი შეკავება უნდოდა, გაარღვია მილიციის კორდონი (მილიციელებმა ვერ შეჰკადრეს უწმიდესს წინააღმდეგობის გაწევა) და მოშიშნულეებთან დაბრუნდა. იგი აქციის მონაწილეებთან ერთად დადგა, როგორც ერთ-ერთი რიგითი ჯარისკაცი ქართული ლაშქრისა. დაძაბულობის პიკის მიუხედავად, არც ტელევიზიასთან გამართული აქცია გამორჩენია მხედველობიდან და ლოცვა-კურთხევა მოგვცა მის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. როდესაც დარბევა დაიწყო, აქციის მონაწილეებმა და ხელისუფლებამაც, ბუნებრივია, ყველაფერი გააკეთეს, რათა პატრიარქი უვნებლად გაეყვანათ საშიში ტერიტორიიდან.

ძნელი სათქმელია, რამდენად შეიცვლებოდა ქვეყანაში არსებული ვითარება, მისი უწმიდესობის მცდელობებს რომ დაჰყოლოდა ხალხი, ან შემდეგ როგორ განვითარდებოდა პროცესები. დანამდვილებით და მკაფიოდ კი შეიძლება ერთი რამ ითქვას: მისი უწმიდესობის სახით ერს ჰყავს

ლიდერი, რომელიც უმძიმეს წუთებშიც კი ინარჩუნებს წონასწორობასა და სიმშვიდეს, ითვალისწინებს ყველა დეტალს და ზრუნავს თითოეულ ადამიანზე. მას ურთულეს სიტუაციაშიც კი არ ტოვებს საღი აზრი, ბოლო წამამდე მომართულია პრობლემის მოგვარებაზე და არა უმოქმედობის გასამართლებლად საბაბის მოძებნაზე – „სიტუაციას მე მაინც ვერ შევცვლი“, „ჩემზე დამოკიდებული არ არის“, „ჩემზე რას იტყვიან“ და ასე შემდეგ და ასე ამგვარად. როცა გადამწყვეტი მომენტები დგება, იგი არად აგდებს პირად ავტორიტეტსა თუ თავმოყვარეობას და იქცევა ისე, როგორც ქართულ საქმეს სჭირდება.

9 აპრილის უმძიმეს წუთებში მისი უწმიდესობის მიერ განხორციელებული ქმედება ხსნის ათეული წლების განმავლობაში მოსახლეობაში მისი ურყევი მაღალი ავტორიტეტის საიდუმლოს არსს – სხვის გადასარჩენად საკუთარი თავისა და ავტორიტეტის არგაფრთხილება გახდა მისი უწმიდესობის მაღალი ავტორიტეტის მთავარი საფუძველი. კეთილი საქმის წარმატებით დამთავრებისთვის, სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისთვის და, თუნდაც, ერთი ადამიანის გადარჩენისა და მისი სწორი გზით წარმართვისათვის მას შეუძლია საკუთარი ავტორიტეტის არაღჩაგდება; ისევე, როგორც საკუთარი პერსონის წინა პლანზე არწარმოჩინების თვისება გახდა საფუძველი მისი გამორჩეულობისა.

9 აპრილის შემდეგ პატრიარქი კიდევ უფრო აქტიურად გვერდით ედგა ხალხს და შეძლებისდაგვარად ცდილობდა სწორი მიმართულება მიეცა მომხდარი მოვლენის შეფასებისა და დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის საქმისთვის. იმავდროულად, იღვწვოდა სამშობლოსათვის შეწირულთა ჯეროვანი პატივის მიგებისა და მათი ოჯახების ტრაგედიის შესამსუბუქებლად. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ 25 წლის განმავლობაში ერთხელაც არ წამოსცდენია, მინიშნებაც კი არ ჰქონია – „დაგვეჯერებინათ ჩემთვის“ ან „ჩემი აზრი რომ გაგეთვალისწინებინათ, მსხვერპლი შეიძლება ნაკლები ყოფილიყო“ და სხვა, რაც მისი დიდბუნებოვნების კიდევ ერთი გამოვლინებაა.

ეს და სხვა ფაქტები ცხადყოფს, რომ მისი უწმიდესობა თავისი დიდი რწმენით, ლოცვის მაღლით, სიმტკიცით, სულიერი ფუნქციითა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობით მუდამ საზოგადოებრივ-პოლი-

ტიკური ცხოვრების ავანგარდში იყო და არის. ბევრად განაპირობა მისი უწმიდესობისა და საქართველოს ეკლესიის ქმედებებმა სანუკვარი მიზნის – საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების – განხორციელება.

საქართველოს პატრიარქის მზერა ყოველთვის მიმართულია მომავლისკენ. დღეს უკვე ახალი ამოცანებია გადასაჭრელი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ცხოვრების ამაღლებულ მიზნებს უსახავს თითოეულ ადამიანსა და მთლიანად საზოგადოებას. ფართო მასშტაბით ამკვიდრებს ერში სულიერსა და ზნეობრივ-მორალურ ღირებულებებს, ჯანსაღ ეროვნულ ტრადიციებს, ქართული ცხოვრების წესის მაღალ სტანდარტებს. დღეს სწორედ იგი წარმოადგენს ერთიანი ეროვნული ცნობიერების დაცვისა და საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის თვითმყოფადობას შენარჩუნების გარანტს.

მისი უწმიდესობა თავისი ახალი მოწოდებით – **ღმერთი, სამშობლო, ადამიანი** – მისწრაფვის, რათა გათითოკაცებული ქართული საზოგადოება თავისი უფლებებისა და მოვალეობების მცოდნე და დამცველ თავისუფალ პიროვნებათა ერთობად იხილოს, აქციოს იგი ერთიან შეკრულ მრევლად, რომელიც მის წინაშე მდგარ თანამედროვე გამოწვევებსა და პრობლემებს ღვთის შეწევნით აუცილებლად დასძლევს.

## გარდაქმნა და საბჭოთა კავშირის დაშლა

1991 წლის 8 დეკემბერს მსოფლიოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა: არსებობა შეწყვიტა ზესახელმწიფომ – **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა**. მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან საბჭოთა კავშირის გაქრობა თავისთავად ერთმნიშვნელოვან მოვლენას არ წარმოადგენდა. პრაქტიკულად, ადგილი ჰქონდა ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ, მაგრამ ამავე დროს განსხვავებულ მოვლენას: საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური სისტემის მსხვერველს და საბჭოთა კავშირის დაშლას დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოებად. ორივე მოვლენა დროსა და სივრცეში ერთდროულად განვითარდა. სწორედ ამით იყო გაპირობებული ის, რომ უზარმაზარი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის მქონე და თავისი ჰეგემონისტური ბუნებით ცნობილი ზესახელმწიფო დიდი სისხლისღვრისა და ომების გარეშე დაიშალა.

დასავლური სამყაროს (დასავლეთ ევროპის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატების) ბრძოლა საბჭოთა სახელმწიფოს (საბჭოთა რუსეთის – საბჭოთა კავშირის) წინააღმდეგ რამდენიმე პერიოდს მოიცავს. 1917-1941 წლებში დასავლური სამყარო ბრძოლის ფორმებად იყენებდა საბჭოთა ხელისუფლების არცნობას, ქვეყნის შიგნით ანტისაბჭოთა ძალების მხარდაჭერასა და სამხედრო ინტერვენციას, ეკონომიკურ ბლოკადას, დანარჩენი მსოფლიოსაგან საბჭოთა კავშირის იზოლაციას. ეს ბრძოლა უშედეგოდ დასრულდა. 1941-1945 წლებში დასავლური სამყარო ორი მიზნის მიღწევას ესწრაფოდა: გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებასა და საბჭოთა კავშირის მაქსიმალურად დასუსტებას. 1945-1985 წლებში დასავლური სამყაროს, რომლის ლიდერობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უპირობოდ იგდო ხელთ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სტრატეგია ასეთი იყო: საბჭოთა კავშირის დაშლა უნდა დაწყებულიყო საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური სისტემების მსხვერველით. 1985–1991 წლებში დასავლურმა სამყარომ უკვე მოპოვებული



წარმატებებით ისარგებლა და საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციის, საბჭოთა კავშირის დაშლის კომპლექსური (სისტემური) პროგრამა აამოქმედა. ასე დაიწყო „გარდაქმნა“ („Перестройка“) – საბჭოთა სისტემის ლიკვიდაცია და საბჭოთა კავშირის დაშლა.

\* \* \*

1985 წელს დაწყებული „გარდაქმნა“ (საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის კომპლექსური პროგრამა), რომლის ფორმალური იდეოლოგობა **მიხეილ გორბაჩოვს** ხვდა წილად, არ ყოფილა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში მომწიფებული აზრის შედეგი. „გარდაქმნა“ საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ (დასავლურ სამყაროში) დაიგეგმა და მის მიმდინარეობაზე კონტროლი ქვეყნის გარედანვე ხორციელდებოდა. **საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო ელიტა, მთლიანობაში აღებული, იმდენად უუნარო აღმოჩნდა, რომ „გარდაქმნის“ საბოლოო მიზანი ვერ ამოიცნო.** მიხეილ გორბაჩოვის მიერ დეკლარირებული „გარდაქმნა“ ქვეყნის პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ ხრუშჩოვ-ბრეჟნევის ეპოქის ცნობილ პოპულისტურ ღონისძიებებს შეადარა და გარკვეულწილად ირონიითაც კი შესცქეროდა ემოციებით დატვირთულ მიხეილ გორბაჩოვის გამოსვლებს. თავდაპირველად ისე ჩანდა, რომ ამ გამოსვლებში საგანგაშოზე ბევრად მეტი საანეკდოტო მასალა იყო. თუმცა ასე მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა. „გარდაქმნის“ გეგმა არ ითვალისწინებდა საბოლოო მიზნების (საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის) თავიდანვე გაცხადებას. „გარდაქმნა“ დაიწყო XX საუკუნის 20–30-იან წლებში ჩამოყალიბებული ე. წ. „ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის“ კრიტიკით, პოლიტიკური რეპრესიების დაგმობით (ნიკიტა ხრუშჩოვის საყვარელი თემები), ეკონომიკის განვითარების დაჩქარების, ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესების, სოციალური პრობლემების გადაჭრის, განიარაღების მოთხოვნით (ლეონიდ ბრეჟნევის საყვარელი თემები). შემდეგ პოპულარული გახდა ლოზუნგი, რომელიც სოციალიზმისათვის „ადამი-

**ანური სახის“** მიცემას მოითხოვდა. ამ ლოზუნგის არსში სერიოზულად გარკვევა არც არავის უცდია. დაიწყო იმისი ოსტატური პროპაგანდა, რომ კერძო სექტორის წახალისების, მრავალპარტიულობის დამკვიდრების, აღმოსავლეთ ევროპის დათმობის, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (მაგალითად, ავღანეთის) შინაურ საქმეებში სამხედრო–პოლიტიკური ჩარევის შეწყვეტის სანაცვლოდ შენარჩუნებული იქნებოდა ზესახელმწიფო – საბჭოთა კავშირი. ხრუშჩოვ-ბრეჟნევის ეპოქაში ფორმირებული საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო ელიტა იმდენად უსუსური აღმოჩნდა, რომ მოსალოდნელი საფრთხე ვერ შენიშნა, ვერ გააცნობიერა ელემენტარული ჭეშმარიტება: **საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციის შემთხვევაში თვით საბჭოთა კავშირის არსებობას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა.** „გარდაქმნის“ იდეოლოგიები, ერთი მხრივ, საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური სისტემის ნგრევით შემოფოთებულ პოლიტიკურ და სამხედრო ელიტას საბჭოთა კავშირის შენარჩუნების გარანტიას აძლევდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, მოკავშირე რესპუბლიკებში სულ უფრო მზარდ ეროვნულ მოძრაობას ფარულად „საბჭოთა იმპერიის“ ნგრევისაკენ მოუწოდებდნენ.

მიხეილ გორბაჩოვმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდს (1964–1982 წწ.) „უძრაობის“ წლები უწოდა. მიხეილ გორბაჩოვს პოლიტიკური მოსაზრებით არ უთქვამს, რომ „უძრაობის“ და თანაც „დიდი უძრაობის“ პერიოდი დაიწყო არა 1964 წლიდან, არამედ გაცილებით ადრე და იგი ერთნაირად ეხებოდა როგორც ნიკიტა ხრუშჩოვის (1953-1964 წწ.), ისე ლეონიდ ბრეჟნევის (1964-1982 წწ.) მმართველობის პერიოდებს. პროცესი შეუქცევადი იყო და იგი გაგრძელდა 1982-1985 წლებშიც (იური ანდროპოვისა და კონსტანტინე ჩერნენკოს მმართველობის პერიოდში) ანუ იმ პერიოდში, რომელსაც „კატაფალკებით რბოლას“ უწოდებენ.

საბჭოთა სისტემის ნგრევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის ტენდენციებმა თავი იჩინა ჯერ კიდევ იოსებ სტალინის მმართველობის პერიოდში. ამ ტენდენციების შესახებ იმხანად არავინ საუბრობდა. ასეთი განწყობილება გაგრძელდა იოსებ სტალინის სიკვდილის (1953 წ.) შემდეგაც. იოსებ სტალინის მიერ შექმნილ სისტემას სტაბილურობის რამდენიმე სარტყელი ჰქონდა, რის გამოც მისი ერთი შეტევით, ერთ-

ბაშად მოსპობა წარმოუდგენელი იყო. სტაბილურობის თითოეული სარტყელი ცალ-ცალკე უნდა დაძლეულიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მთელი სისტემის საბოლოოდ მოსპობას დიდი დრო დასჭირდებოდა. **იოსებ სტალინის მიერ შექმნილი სისტემის სტაბილურობის უკანასკნელი სარტყელი მოისპო მიწის გაყიდვის დაკანონებით.** ეს კი რუსეთში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა, ანუ სისტემის ნგრევა დაახლოებით 50 წელი გაგრძელდა.

ნიკიტა ხრუშჩოვის მოღვაწეობის არსი გამოიხატებოდა შემდეგში: **სხვადასხვა გარემოების წყალობით მოპოვებული ძალაუფლებისა და ზესახელმწიფოს მართვის სადავეების შენარჩუნება.** ყოველივე ეს კარგად ჩანს 1953–1956 წლებში განვითარებული მოვლენების შუქზე: ლავრენტი ბერიას მკვლელობა, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა (მინისტრები, მოადგილეები, სამმართველოების უფროსები) განადგურება მოსკოვსა და მოკავშირე რესპუბლიკებში; იოსებ სტალინის მომხრეების ე.წ. „ანტიპარტიული ჯგუფის“ განადგურება; მოკავშირე რესპუბლიკების პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლა; საკადრო ცვლილებები არმიასა და ფლოტში და სხვ.

ნიკიტა ხრუშჩოვისეულმა „დათობამ“ ნიადაგი მოუშხადა მიხეილ გორბაჩოვისეულ „გარდაქმნას“, ნიკიტა ხრუშჩოვმა ჩაატარა ექსპერიმენტი, რომელმაც პასუხი გასცა კითხვებს: 1) რამდენი წელი შეიძლება გასტანოს ზესახელმწიფოში „მმართველობითმა აბსურდმა“; 2) რამდენი წელი შეიძლება ტაკიმასხარამ გაუმართლებელი, გაუაზრებელი ექსპერიმენტებით გეგმაზომიერად ანგრიოს ზესახელმწიფო. დღეს ამ კითხვაზე ჩვენ შეგვიძლია ზუსტი პასუხი გავცეთ: **ათი წელი.**

„დათობისა“ და „გარდაქმნის“ პერიოდების შედარებისას ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: მიხეილ გორბაჩოვს გვერდში ედგა კარგად ორგანიზებული, უდაოდ ნიჭიერი და განათლებული ადამიანების ჯგუფი, ნიკიტა ხრუშჩოვი კი „მმართველობით აბსურდში“ პრაქტიკულად მართოდმართო მოქმედებდა. დღეს ჩვენ ვერ ვუპასუხებთ მეტად მნიშვნელოვან კითხვას: საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციასა და საბჭოთა კავშირის დაშლაში ვის ეკუთვნის პირველობა – მიხეილ გორბაჩოვს თუ ნიკიტა ხრუშჩოვს? თუმცა ამ კითხვას 1964 წელს გარკვეულწილად უპასუხა

ოთხმოცდაათი წლის უინსტონ ჩერჩილმა: „ამჟამად ცოცხალია ადამიანი, რომელმაც საბჭოთა ქვეყანას იმაზე 1000-ჯერ მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე მე. ესაა ნიკიტა ხრუშჩოვი. მოდით, ტაში დავეუკრათ მას!“

ნიკიტა ხრუშჩოვის მოღვაწეობის შეფასებისას აუცილებელია დაისვას კითხვა: XX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგის პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ როგორ დაუშვა იოსებ სტალინის შემდეგ ზესახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში ისეთი მედროვის მოსვლა, როგორც ნიკიტა ხრუშჩოვი იყო? მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება პოლიტიკურ და სამხედრო ელიტას, იმ პოლიტიკოსებს და სამხედროებს, რომელთაც 1953 წელს ნიკიტა ხრუშჩოვი იმავე მოტივით გააპირველკაცეს, რა მოტივითაც 1613 წელს რუსეთის საერობო კრებამ მეფედ აირჩია ყველა კანდიდატს შორის უარესი – ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ფიზიკურად დაუძღურებული (გადაადგილება უჭირდა) და გონებასუსტი მიხეილ რომანოვი. იოსებ სტალინი ისე გარდაიცვალა, რომ საბჭოთა კავშირში არ არსებულა სახელმწიფო ხელისუფლების ცვლის მექანიზმი. კონსტიტუცია ფარატინა ქალაღდს წარმოადგენდა; ყველა დონის არჩევნები (მათ შორის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსიც) მასკარადად იყო ქცეული; ზესახელმწიფო კონსტიტუციისა და კანონების გვერდით ავლით იმართებოდა; უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებზე, ყველა კანონზე და კონსტიტუციაზე მაღლა იდგა ერთი ადამიანის ნება. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ **იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო ხელისუფლებისათვის ბრძოლა, რომელიც არაფრით არ იყო რეგლამენტირებული. ეს იყო „ბრძოლა წესების გარეშე“.**

იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებისთვის დაწყებულ “წესების გარეშე ბრძოლაში” ნიკიტა ხრუშჩოვს შემთხვევით არ გაუმარჯვია. ჯერ კიდევ იოსებ სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და სამხედრო ელიტაში, ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მომწიფდა აზრი, რომელიც შეიძლება შემდგენიერად გამოიხატოს: „**იოსებ სტალინის მმართველობის დასასრული არ უნდა გამხდარიყო ლავრენტი ბერიას მმართველობის დასაწყისი**“. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში ორმოცდაცამეტი წლის ლავრენტი ბერიას მოსვლა იმას ნიშნავდა, რომ კრემლში ქართველთა

ბატონობა კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა.

ნიკიტა ხრუშჩოვის „მმართველობითი აბსურდის“ პერიოდის (1953–1964 წწ.) მთავარი უარყოფითი შედეგი მაინც ის იყო, რომ დაიწყო საბჭოთა სისტემის, საბჭოთა კავშირის თვითკომპრომეტაციის პროცესი. ამ პროცესის დაწყება უმთავრესად გაპირობებული იყო არა დასავლური სამყაროს სპეცსამსახურების მიზანსწრაფული მოქმედებებით, არამედ პირველ რიგში, პირადად ნიკიტა ხრუშჩოვის, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის და იმდროინდელი პოლიტიკური და სამხედრო ელიტის უგუნური, ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობით. ამ უგუნურების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა ის, რომ ეკონომიკისა და სოციალურ ურთიერთობათა სფეროში, გრძელვადიანი პროგრამების შემუშავების პროცესში, უგულვებლყოფილი იყო მეცნიერების როლი.

1964 წლის ოქტომბერში განხორციელებული გადატრიალების შედეგად საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში **ლეონიდ ბრეჟნევი** მოვიდა. ისევე, როგორც 1953 წელს, 1964 წელსაც ადვილი ჰქონდა „ბრძოლას წესების გარეშე“. ხელისუფლების გადაცემის კონსტიტუციური მექანიზმი კვლავაც არ არსებობდა. ნიკიტა ხრუშჩოვის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა ლეონიდ ბრეჟნევის მხრიდან ძალიან გაბედულ ნაბიჯს წარმოადგენდა. მანამდე იგი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტიურობით, არ იყო გაბედული, რისკიანი ადამიანი.

სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა: საერთოდ, რატომ დადგა ლეონიდ ბრეჟნევის გაპირველკაცების საკითხი? ნიკიტა ხრუშჩოვის გადაყენებას საკმაოდ გამოცდილი ადამიანები ამზადებენ. მათ კარგად იცოდნენ, თუ რა არარაობას წარმოადგენდა ლეონიდ ბრეჟნევი, თუმცა არჩევანი მაინც მასზე შეაჩერეს. ეს განპირობებული იყო ორი მიზეზით: თუ ნიკიტა ხრუშჩოვის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება გამჟღავნდებოდა, შეთქმულები ყველაფერს ლეონიდ ბრეჟნევს გადააბრალებდნენ; შეთქმულების წარმატების შემთხვევაში ლეონიდ ბრეჟნევი კი გაპირველკაცდებოდა, მაგრამ, შეთქმულთა აზრით, გარკვეული პერიოდის შემდეგ მისი თავიდან მოცილება ადვილი იქნებოდა.

მართალია, ლეონიდ ბრეჟნევი არ განეკუთვნებოდა თანამდებობრივი დაწინაურებისათვის, ხელისუფლებისათვის აქტიურად მებრძოლ ადამიანებს, მაგრამ

ეს იმას სულაც არ ნიშნავდა, რომ იგი ზედმიწევნით კარგად არ ფლობდა ხელისუფლებისათვის ბრძოლის მეთოდებს. ეს ცოდნა ლეონიდ ბრეჟნევმა შესანიშნავად გამოიყენა მისივე თანამებრძოლების ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობიდან განდევნის პროცესში. ლეონიდ ბრეჟნევი ნიჭით, პოლიტიკოსისათვის აუცილებელი ალლოთი, გამოცდილებით, მიზანდასახულობით, გაბედულებით ბევრად ჩამოუვარდებოდა ნიკიტა ხრუშჩოვს. **ლეონიდ ბრეჟნევს არ ჰქონდა არც პოლიტიკოსის, არც დიპლომატის, არც მხედართმთავრის ნიჭი.** ეს იყო გაუნათლებელი ადამიანი. თუ ყველა მონაცემს გავაანალიზებთ, ცხადი გახდება, რომ ლეონიდ ბრეჟნევი შეიძლება ყოფილიყო სამეურნეო ხაზით – კოლმეურნეობის თავმჯდომარე ან ქარხნის დირექტორი, პარტიული ხაზით – სკკპ საქალაქო ან რაიონული კომიტეტის მდივანი. ამ თანამდებობებზე მუშაობამაც მას დიდად შეუშლიდა ხელს ორი უარყოფითი თვისება – სიზარმაცე და ლოთობა. თუ იოსებ სტალინის ოცდაათწლიანი მმართველობის შემდგომ შესაძლებელი გახდა ნიკიტა ხრუშჩოვისნაირი უღირსის ზესახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში მოსვლა, ცხადია, არაფერია საკვირველი იმაში, რომ ნიკიტა ხრუშჩოვის ათწლიანი „**მმართველობითი აბსურდის**“ შემდეგ საბჭოთა კავშირში ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა კიდევ უფრო უღირსი ლეონიდ ბრეჟნევი. **ნიკიტა ხრუშჩოვმა დაამტკიცა, რომ სახელმწიფო შეიძლება სულელმაც მართოს, ლეონიდ ბრეჟნევმა კი დაამტკიცა, რომ სახელმწიფო შეიძლება საერთოდ არ მართოს...**

ლეონიდ ბრეჟნევის მოსვლა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა წყობილების, საბჭოთა კავშირის **თვითკომპრომეტაციის** პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდებოდა და შეუქცევადი გახდებოდა.

ნიკიტა ხრუშჩოვი გარემოცვისათვის ასე თუ ისე უმართავი პიროვნება იყო, მისი მოქმედების პროგნოზირება ძნელი გახლდათ. პოლიტიკურ და სამხედრო ელიტას, უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო და პარტიულ თანამდებობებზე მყოფ ადამიანებს გარანტირებული არაფერი ჰქონდათ. ლეონიდ ბრეჟნევს კი გარემოცვა, უფრო ზუსტად კლანი, მართავდა. კლანი ქვეყანას მარცხავდა და მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნავდა. საბჭოთა კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში კლანური მმართველობის დამყარებას მოჰყვა კლანური მმართველობის დამყარება მოკავ-

შირე რესპუბლიკების ხელმძღვანელობასა და უფრო დაბალ რგოლებშიც (ოლქებში, ქალაქებში). კლანების ძალაუფლება შეუზღუდავი იყო როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე (რესპუბლიკებში, ოლქებში, ქალაქებში). ლეონიდ ბრეჟნევის კლანის ნება კანონზე და თვით კონსტიტუციაზე მაღლა იდგა. რატომ არ გაუწია კლანური მმართველობის დამყარებას წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ? ნიკიტა ხრუშჩოვის „მმართველობითი ქაოსის“ ათწლეულის შემდეგ პოლიტიკური და სამხედრო ელიტა მშვიდ ცხოვრებას ესწრაფოდა, კლანური მმართველობა კი სწორედ მშვიდი ცხოვრების საწინდარი იყო. **პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ სახელმწიფოს ინტერესები უგულვებელყო, უწყებრივ ან რეგიონალურ კლანებში მოკალათდა და მშვიდი ცხოვრება დაიწყო. ნიკიტა ხრუშჩოვისეული „მმართველობითი ქაოსი“ ლეონიდ ბრეჟნევისეულმა „მშვიდმა მმართველობამ“ შეცვალა.**

ლეონიდ ბრეჟნევის კლანმა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფუნქციონირების მითვისება XX საუკუნის 70-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო. ეკონომიკის ნგრევაც ამ პერიოდიდან განსაკუთრებით ძლიერდება. **კლანურმა აზროვნებამ საერთოდ ჩაკლა სახელმწიფოებრივი აზროვნება.** საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბება დაიწყო „**ჩრდილოვანმა ეკონომიკამ**“. ჩრდილოვანი ეკონომიკა ნთქავდა სახელმწიფო ეკონომიკას, ბატონობდა მასზე.

„ჩრდილოვანმა ეკონომიკამ“ და სახელმწიფო ქონების დარცვამ მოშალა საბჭოთა (სახელმწიფო) ეკონომიკა, კორუფციის დამკვიდრებამ ხელისუფლების ყველა რგოლში (განსაკუთრებით – შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურასა და სასამართლო სისტემაში) ძირი გამოუთხარა სოციალურ და პოლიტიკურ სისტემას. ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის დასასრულისათვის (XX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს) საბჭოთა კავშირში ფუფუნებით ცხოვრობდა დაახლოებით 600 ათასი ოჯახი (2,5-3 მილიონი ადამიანი). ყოველწლიურად ამ ოჯახების მიერ მოხმარებული ფულის საერთო რაოდენობაში (100%) ოფიციალური შემოსავლით (ხელფასით) მიღებული ფული მხოლოდ 1-3%-ს უდრიდა. ამ 600 ათასი ოჯახიდან უმრავლესობას შეადგენდნენ ე.წ. ნომენკლატურული მუშაკები, რომლებიც „ჩრდილოვანი ეკონომიკიდან“ იღებდნენ უკანონო შემოსავალს, ან ჰქონდათ სხვა უკანონო შემოსავალი.

ცხადია, ლეონიდ ბრეჟნევი უძლური იყო შეექმნა ხელისუფლების შეცვლის საიმედო სისტემა. ეს სისტემა უნდა დამყარებოდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას. ხელისუფლების შეცვლის საიმედო, კონსტიტუციური მექანიზმის არარსებობა ლეონიდ ბრეჟნევის სიცოცხლის ბოლო წლებში ამწვავებდა ხელისუფლებისათვის ბრძოლას. ამის გამო ლეონიდ ბრეჟნევის გარდაცვალებაც საიდუმლოებითაა მოცული.

ლეონიდ ბრეჟნევის პოლიტიკური მემკვიდრე **იური ანდროპოვი** (1982-1984 წწ.) საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში მოვიდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში. 1967 წელს ლეონიდ ბრეჟნევა, თვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის მოულოდნელად, სასწრაფოდ, შეითთხნილი ბრალდებით თანამდებობიდან გაათავისუფლა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. სემიჩასტნი** და მის ნაცვლად იური ანდროპოვი დანიშნა. ლეონიდ ბრეჟნევის გარდაცვალების დროისათვის (1982 წ.) იური ანდროპოვს უკვე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. მან დაძლია კონკურენტ კონსტანტინე ჩერენკოსა და მისი მომხრეების წინააღმდეგობა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში აღმოჩნდა. იური ანდროპოვი იყო ადამიანი, რომელიც კარგად უთავსებდა ერთმანეთს **გარეგნულ ლიბერალიზმსა და შინაგან სისასტიკეს**.

1983 წლის ივნისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე იური ანდროპოვმა განაცხადა: 1) სათანადო დონეზე არ იყო შესწავლილი საბჭოთა საზოგადოება, კერძოდ, ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი, განსაკუთრებით ეკონომიკური, 2) ყოველივე ზემოთ თქმული გახდა მიზეზი იმისა, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მოქმედებდა ემპირიულად, არარაციონალურად, ცდებითა და შეცდომებით. იური ანდროპოვის ეს სიტყვები მაშინვე სხვადასხვაგვარად იქნა გაგებული, ეძებდნენ ქვეტექსტს. ერთ-ერთი ვერსიით იური ანდროპოვს უნდოდა ეთქვა: საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობა, საბჭოთა იდეოლოგია მეცნიერებს არ აძლევდა საშუალებას რეალურად, ობიექტურად შეეფასებინათ საბჭოთა სისტემა, მისი განვითარების კანონზომიერებანი და მიღწეული შედეგები.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში მოსუ-



ლი იური ანდროპოვი თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე ერთადერთ მიზანს ისახავდა: **ზესახელმწიფოს მიყვანა სრულ აბსურდამდე**. ამ მიზნის მიღწევისათვის ბრძოლას იგი ოსტატურად ნიღბავდა, მაგალითად, ისეთი პოპულისტური ღონისძიებით, როგორც იყო შრომითი დისციპლინის აღდგენა წარმოებებსა და დაწესებულებებში.

იური ანდროპოვის სიკვდილი ისევე საიდუმლოებითაა მოცული, როგორც ლეონიდ ბრეჟნევისა. იური ანდროპოვის პოლიტიკური მემკვიდრე **კონსტანტინე ჩერნენკო** (1984-1985), მართალია, უკვე მძიმედ ავადმყოფი მოვიდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში, მაგრამ არსებობს ვერსია, რომ მისი გარდაცვალებაც ხელოვნურად დააჩქარეს.

ლეონიდ ბრეჟნევის გარდაცვალების (1982 წ.) შემდეგ ვინც არ უნდა მოსულიყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში, საბჭოთა სისტემის, საბჭოთა კავშირის შენარჩუნება შეუძლებელი იყო, დასავლურ სამყაროს სპეცსამსახურებს იმდენად ძლიერი პოზიცია ჰქონდათ, რომ არასასურველი პოლიტიკური ლიდერის თავიდან მოცილება მათთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. დასავლური სამყაროს სპეცსამსახურების დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა ის, რომ საბჭოთა პოლიტიკურ და სამხედრო ელიტას საბჭოთა სისტემის, საბჭოთა კავშირის გადარჩენის გეგმის მონახაზიც კი არ გააჩნდა, ხოლო დასავლურ სამყაროს კი უკვე მზად ჰქონდა საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის კომპლექსური პროგრამა.

იოსებ სტალინის გარდაცვალებით ახალი ეპოქა დაიწყო საბჭოთა სისტემის ისტორიაში – დაიწყო ნგრევა. ნგრევის პერიოდი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. იგი მოიცავს ნიკიტა ხრუშჩოვის „**მმართველობითი ქაოსის**“ პერიოდს (1953-1964 წწ.), ლეონიდ ბრეჟნევის „**მშვიდი მმართველობის**“ პერიოდს (1964-1982 წწ.), იური ანდროპოვისა და კონსტანტინე ჩერნენკოს მმართველობის პერიოდს ანუ „კატაფალკების რბოლის“ პერიოდს (1982-1985 წწ.). საბჭოთა სისტემის ლიკვიდაცია და საბჭოთა კავშირის დაშლა დასრულდა მიხეილ გორბაჩოვის მმართველობის პერიოდით ანუ „**გარდაქმნის**“ პერიოდით (1985-1991 წწ.).

„გარდაქმნის“ პერიოდში (1985–1991 წწ.) საბჭოთა სისტემის ლიკვიდაცია და საბჭოთა კავშირის დაშლა მეთოდურად ხორციელდებოდა. 1986

წლის 19 ნოემბერს მიღებული იქნა კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ. 1988 წლის 26 მაისს მიღებული იქნა კანონი კოპერაციის შესახებ. ამ ორი კანონით დაიწყო საბჭოთა სისტემის ეკონომიკური და სოციალური საფუძვლების ნგრევა. 1988 წლის ზაფხულში აზერბაიჯანის შემადგენლობაში არსებული მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო დადგენილება სომხეთთან შეერთების შესახებ. ამით დაიწყო საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სისტემის ნგრევა. 1989 წელს „გარდაქმნის“ გეგმის თანახმად საბჭოთა კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ გამოცხადდა „სახალხო დეპუტატთა ყრილობა“. წინასწარვე იყო ცნობილი, რომ ყრილობაზე ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალების ბალანსი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ იქნებოდა – მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენიტეტს მოითხოვდნენ. შემდეგ დაიწყებოდა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული ავტონომიური წარმონაქმნების მოკავშირე რესპუბლიკებიდან გასვლისათვის მოძრაობა. მოსკოვი ამ პროცესების მართვას ვეღარ შეძლებდა. 1991 წლის აგვისტოში მოსკოვში დაიწყო წინასწარ დაგეგმილი „პუტჩი“. მიხეილ გორბაჩოვმა „პუტჩი“ შესანიშნავად გამოიყენა „გარდაქმნის“ მოწინააღმდეგე ძალების გამოაშკარავებისა და განადგურებისათვის. 1990-1991 წლებში სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს საბჭოთა კავშირში შემავალმა მოკავშირე რესპუბლიკებმა. 1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთს, უკრაინასა და ბელორუსიას შორის დადებული ბელოვეჟის შეთანხმებით საბჭოთა კავშირმა, როგორც სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

საბჭოთა სისტემის ნგრევამ და საბჭოთა კავშირის დაშლის პირველმა ნიშნებმა, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ იოსებ სტალინის სიკვდილის (1953 წ.) შემდეგ იჩინა თავი. ეს პროცესი შეუქცევადად განვითარდა ნიკიტა ხრუშჩოვისა (1953-1964 წწ.) და ლეონიდ ბრეჟნევის (1964-1982 წწ.) მმართველობის წლებში. საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ სისტემური ხასიათი მიიღო 1985 წლიდან „გარდაქმნის“ დაწყებით.

ის, რაც „გარდაქმნის“ წლებში დაინგრა, სამ იერარქიულ დონედ შეიძლება წარმოვიდგინოთ: **პირველი იერარქიული დონე** წარმოდგენილი იყო: ა)

მსოფლიოს სოციალისტური სისტემით (პოლიტიკური თვალსაზრისით), ბ) ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოთა (ეკონომიკური თვალსაზრისით), გ) ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციით (სამხედრო თვალსაზრისით). „გარდაქმნის“ გეგმის თანახმად, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1989-1990 წლებში, სწორედ პირველი იერარქიული დონე იქნა ლიკვიდირებული. **მეორე იერარქიული დონე** წარმოდგენილი იყო თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკით. რესპუბლიკებში მუდამ შეიმჩნეოდა ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალების დაპირისპირება. 1922-1953 წლებში ცენტრიდანული ძალების ყოველგვარი ქმედება სასტიკად იხვებოდა. ამავე დროს 1922-1953 წლებში ყველა მოკავშირე რესპუბლიკა განიცდიდა გარეშე ძალის გავლენას. მაგალითად, ლიტვა, ლიტვია და ესტონეთი დასავლეთ ევროპის ცივილიზაციის გავლენას განიცდიდა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და აზერბაიჯანი აღმოსავლური ანუ ისლამური ცივილიზაციის გავლენის სფეროს წარმოადგენდა, საქართველო დასავლური სამყაროს ღირებულებებს მიიჩნევდა იდეალად. საბჭოთა კავშირის დეცენტრალიზაციის პროცესი ნათლად იკვეთებოდა ნომენკლატურული კლანების ჩამოყალიბების ფონზე. ასეთ ნომენკლატურულ კლანებს განეკუთვნებოდნენ: **დნეპროპეტროვსკი – კიევი (უკრაინა), სვერდლოვსკი – ურალი, ჩრდილო კავკასია, ლენინგრადი, მოსკოვი** (რუსეთი).

საბჭოთა კავშირი მთლიანობაში ალებული წარმოადგენდა მიზანსწრაფულ სისტემას, მაგრამ სისტემის საბოლოო მიზნად კომუნიზმის ამენების გამოცხადება მოკლებული იყო ყოველგვარ რეალობას.

1985-1991 წლებში საბჭოთა სისტემის ნგრევა ამგვარად განხორციელდა:

**პირველ ეტაპზე** არსებობდა ძლიერი და ერთიანი **საკავშირო ცენტრი**. მოკავშირე რესპუბლიკებს მხოლოდ ამ ცენტრთან ჰქონდათ კავშირი. საგარეო კავშირურთიერთობანი საერთო იყო და იმავე ცენტრიდან იმართებოდა. არსებობდა ერთიანი სახელმწიფო საზღვარი. **მეორე ეტაპზე** ძლიერი ძველი ცენტრის ნაცვლად შეიქმნა რამდენიმე ცენტრი. ამ პერიოდისათვის აღარ არსებობს ერთიანი სახელმწიფო საზღვარი, ახალი ცენტრები დამოუკიდებელ (სუვერენულ) სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაერთიანდნენ (1991 წ.). ყოველი ცენტრი დამოუკიდებლად ახორციელებდა საგარეო კავშირურთიერთობებს.

საბჭოთა კავშირის დაშლაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს მოკავშირე რესპუბლიკებმა. მოკავშირე რესპუბლიკები სამართლებრივი თვალსაზრისით დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. ამასთან ერთად, რუსეთი, უკრაინა და ბელორუსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები იყვნენ. 1988–1991 წლებში მოკავშირე რესპუბლიკებში მიმდინარეობდა თვისობრივად ახალი ელიტის ჩამოყალიბება. წარმოიშვა ახალი რეგიონალურ-ადმინისტრაციული, იდეოლოგიური, ეკონომიკური, ძალოვანი ელიტები. ისინი ლეგალურად მოქმედებდნენ. ახალი ელიტის დაპირისპირებას ძველ ცენტრთან „გარდაქმნის“ ფარული რეჟისორი მხარდაჭერას უცხადებდა და ყოველმხრივ ახალისებდა. ლიტვაში ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის ოფიციალურად გამოცხადებამდე ჩამოყალიბდა „ქვეყნის დაცვის დეპარტამენტი“.

მოსკოვში ჩამოყალიბდა ძველი (საკავშირო) ცენტრის პარალელური სტრუქტურა – მართვის დამოუკიდებელი ცენტრი (რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობა). ახალმა ცენტრმა მიითვისა ძველი ცენტრის საერთო-საკავშირო ფუნქციები. ახალი (რუსეთის) ცენტრი შემდეგ გარიგებაზე წავიდა მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრებთან და მათი დახმარებით ტერიტორიული დანაკარგების საფასურად თავიდან მოიცილა ძველი (საკავშირო) ცენტრი. მეთოდურად, ერთმანეთის მიყოლებით ინგრეოდა მოკავშირე რესპუბლიკების კავშირები ძველი ცენტრთან (ინფორმაციული, ფინანსური და სხვ.). ბალტიისპირეთის ქვეყნებმა საზღვარზე აამოქმედეს საბაჟო. შემდეგში მიაღწიეს იმას, რომ საბჭოთა კავშირის დეპუტატთა საბჭოების ყრილობამ ეკონომიკური ექსპერიმენტის შესახებ მიღებული დადგენილებით დააკანონა ამ საბაჟოს მოქმედება. ძველი ცენტრის უგულვებელყოფის ფონზე მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრები ცდილობდნენ საკავშირო ბიუჯეტიდან მიეღოთ რაც შეიძლება მეტი. მოკავშირე რესპუბლიკების ახალი ელიტა ამას ძალიან ადვილად ახერხებდა, ახერხებდა არა დიპლომატიური ნიჭის წყალობით, არამედ იმიტომ, რომ ეს პროცესი სანქცირებული იყო იმ ძალთა მიერ, რომელმაც შეიმუშავა „გარდაქმნა“ – საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის კომპლექსური პროგრამა.

საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის

გვემაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (სკკპ), როგორც საბჭოთა სისტემის და ზესახელმწიფოს წარმართველი პოლიტიკური ძალის, ნეიტრალიზაციას. სკკპ დასუსტება და ნეიტრალიზაცია ადვილი საქმე არ იყო. „გარდაქმნის“ გეგმა ამ შემთხვევაშიც უნაკლო აღმოჩნდა. ამ გეგმის თანახმად, უნდა მომხდარიყო „გარდაქმნის“ მოწინააღმდეგე სკკპ ელიტის (პოლიტიკური მოღვაწეები, დიპლომატები, სამხედროები და ა.შ.) დარაზმვა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის პროვოცირება. ეს სცენა შესანიშნავად იქნა გათამამებული 1991 წლის აგვისტოში. „პუტჩის“ ლიკვიდაციის შემდეგ კომუნისტური ელიტა ერთი ხელის მოსმით იქნა ნეიტრალიზებული – საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ პოლიტიკური ასპარეზი დატოვა.

1991 წლის აგვისტოს „პუტჩის“ დამარცხებით მიხეილ გორბაჩოვმა, მართალია, „გარდაქმნის“ (ე. ი. საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის) მოწინააღმდეგე ძალები უმტკივნეულოდ ჩამოაშორა პოლიტიკურ ასპარეზს, მაგრამ დასავლური სამყაროსათვის პირადად მან ფუნქცია დაჰკარგა. მიხეილ გორბაჩოვმა “გარდაქმნის” პროგრამის რეალიზებაში, “გარდაქმნის” მომხრე და მოწინააღმდეგე ძალების დაპირისპირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ახალ როლს მას აღარ სთავაზობდნენ. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მიხეილ გორბაჩოვისეული იდეა, როგორც აღვნიშნეთ, “გარდაქმნის” პროგრამას “ეწინააღმდეგებოდა. 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ მიხეილ გორბაჩოვი, მართალია, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტად რჩებოდა, მაგრამ თვით ზესახელმწიფოს დღეები დათვლილი იყო. ძველი (საკავშირო) ცენტრი პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებდა, საბჭოთა კავშირს სივრცეში დამოუკიდებლად ამოქმედდა თხუთმეტი ცენტრი. საბჭოთა კავშირის დაშლა უკვე რეალობა იყო. რჩებოდა მხოლოდ ფორმალური აქტი. ეს დღეც შორს აღარ იყო. 1991 წლის 8 დეკემბერს ბელორუსიაში, ბელოვეჟში, რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსის შეთანხმებით საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა.

საბჭოთა კავშირის დაშლით (1991 წ.) არ დასრულებულა საბჭოთა სისტემის ლიკვიდაცია. ეს პროცესი, სულ მცირე, ათი წელი მაინც გაგრძელდა და XXI საუკუნის დამდეგს დასრულდა.

1990–1991 წლებში ცენტრიდანულმა ძალებმა აშკარად ძლიერ ცენტრისკენულ ძალებს – ძველი (საკავშირო) ცენტრი ბუტაფორიად იქცა. ამ პროცესის თანადროულად მიმდინარეობდა მეორე, პარალელური პროცესი: ძველი ცენტრის დიქტატს თავდაღწეული ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები – ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები – იმთავითვე ექცეოდნენ დასავლური სამყაროს რომელიმე ქვეყნის გავლენის ქვეშ, ხოლო ყველა რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციასთან ერთად, საბოლოო ჯამში, აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის სფეროში.

რატომ განხორციელდა ასე წარმატებით 1985-1991 წლებში საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის გეგმა („გარდაქმნა“)? უმთავრესი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ 1953-1985 წლებში, ე.ი. სანამ ამოქმედდებოდა საბჭოთა სისტემისა და საბჭოთა კავშირის ნგრევის კომპლექსური გეგმა („გარდაქმნა“), მანამ მომზადდა ნიადაგი „გარდაქმნისათვის“. ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში დასავლურმა სამყარომ, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თანამოაზრეები გაიჩინა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, დიპლომატიურ კორპუსში, ძალოვან სტრუქტურებში, საინფორმაციო ცენტრებში, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფო უწყებაში. დასავლური სამყაროს სპეცსამსახურებს ჰქონდათ აბსოლუტურად ზუსტი ინფორმაცია საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო ელიტისა და თანამდებობის პირთა ოჯახის წევრების განწყობათა შესახებ. დასავლეთის სპეცსამსახურებს ინფორმაცია ჰქონდათ არა მარტო უწყების პირველ პირთა, არამედ უმნიშვნელოვანესი უწყებების სხვა თანამდებობის პირთა განწყობილებების, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელობის შესახებ. იმდროინდელი საბჭოთა პოლიტიკური ელიტა იდგა დილემის წინაშე: საბჭოთა წყობილების უცვლელად შენარჩუნება ნიშნავდა იმას, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკიდან მიღებული შემოსავლის (ფულის) ლეგალიზებას ვერასდროს ვერ მოახდენდნენ. არსებული (საბჭოთა) კანონმდებლობით ისინი დამნაშავეთა სამყაროს განეკუთვნებოდნენ და პოლიტიკური ვითარების შეცვლის შემთხვევაში კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებოდნენ. ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზება შესაძლებელი გახდებოდა მაშინ, თუ მოხდებოდა საბჭოთა სისტემის და, შესაბამისად, არსებული საკანონმდებლო ბაზის ლიკვიდაცია. დაგროვილი ფული ჩრდილოვან ეკონომიკასთან კავშირში მყოფ პოლიტი-

კურ და სამხედრო ელიტას ახალი სახელმწიფო სისტემის (კაპიტალიზმის) პირობებში კარგი ცხოვრების გარანტიას აძლევდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ **ჩრდილოვან ეკონომიკასთან კავშირში მყოფი პოლიტიკური და სამხედრო ელიტის დიდი ნაწილი პირდაპირ ან არაპირდაპირ დასავლური სამყაროს სპეცსამსახურების მოკავშირე გახდა, საბჭოთა სისტემის ნგრევაში ჩაება.**

ხშირად ყურადღება არ ექცევა, ან შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა, ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს: მეორე მსოფლიო ომის (1939–1945 წწ.) შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით კი იოსებ სტალინის გარდაცვალების (1953 წ.) შემდგომ საბჭოთა კავშირში, მოსახლეობის ყველა ფენაში, განსაკუთრებით ინტელიგენციაში, თავისთავად, ბუნებრივად, დასავლური სამყაროს სპეცსამსახურების აქტიურობის გარეშე დღითიდღე იზრდებოდა იმ ადამიანების რიცხვი, რომელიც აიდეალურად ცხოვრების დასავლურ წესს, ხოლო ყოველგვარი საბჭოური მათთვის მიუღებელი და აუტანელი ხდებოდა. ეს იყო სრულიად კანონზომიერი შედეგი საბჭოთა სისტემის თვითკომპრომეტაციისა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის წლებში. ეს ადამიანები, მათი რიცხვი კი 1985 წლისათვის მილიონებით განისაზღვრებოდა, „გარდაქმნის“ (ე.ი. დასავლური სამყაროს სპეცსამსახურების გემის) ბუნებრივ მოკავშირედ იქცნენ.

ნიკიტა ხრუშჩოვი იოსებ სტალინის ადვილას! – იყო თუ არა ეს შემთხვევითობა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა! „**სულელების“ ეპოქის დადგომა კანონზომიერება იყო.** ის სისტემა, რომელიც დაუშვებს ნიკიტა ხრუშჩოვისნაირი ვიგინდარების ზესახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში მოსვლას, ხოლო ათი წლის შემდეგ კიდევ უფრო ვიგინდარა ლეონიდ ბრეჟნევის გაპირკველკაცებას, განწირულია დაღუპვისათვის. იოსებ სტალინს შემთხვევით არ უხმარია გამოთქმა „**სულელების დრო**“. ნიკიტა ხრუშჩოვი ერთი „**სულელთაგანი**“ იყო. მას გვერდს უმშვენებდნენ: ვიანესლავ მოლოტოვი, გიორგი მალენკოვი, ნიკოლოზ ბულგანინი, ლაზარ კაგანოვიჩი, კლიმენტ ვოროშილოვი. ვინც არ უნდა მოსულიყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში, შედეგი იგივე იქნებოდა. არცერთ მათგანს საბჭოთა სისტემის გარდაქმნისათვის საჭირო არც გონებრივი შესაძლებლობა და არც სურვილი არ გააჩნდა. „გარდაქმნამ“

ლოგიკურად გააგრძელა ის, რაც 1953–1985 წლებში ხდებოდა.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან და 70-იანი წლების დამდეგიდან საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის გეგმა იმიტომ დაგვირგვინდა წარმატებით, რომ იგი 1953–1985 წლებში საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესების მეცნიერულ ანალიზს ემყარებოდა, ყველა ნიუანსი უაღრესად ზუსტად იყო გათვლილი. არის ასეთი გამოთქმა: „ის, რაც იქმნება საუკუნეების განმავლობაში – ინგრევა წამებში. ის, რაც იქმნება წლების განმავლობაში – ინგრევა საათებში“. „გარდაქმნა“ ამის დადასტურებას წარმოადგენდა.

დასასრულ, უნდა ვუპასუხოთ კითხვას: საბჭოთა სისტემის ლიკვიდაცია და საბჭოთა კავშირის დაშლა კანონზომიერება იყო თუ შეთქმულების შედეგი? საბჭოთა სისტემა, საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის (1939–1945 წწ.) შემდგომ რომ ძირეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გარეშე დიდხანს ვერ იარსებებდა, ეს კანონზომიერება იყო. ამ მდგომარეობამდე საბჭოთა სისტემა, ობიექტური მიზეზების გამო, დასავლური სამყაროს ზემოქმედების გარეშე მივიდა. კანონზომიერება იყო ისიც, რომ იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ (1953–1964 წწ.) საბჭოთა კავშირში ვერ დაიწყო ძირეული რეფორმები. საბჭოთა კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას, რეფორმების გატარების არც სურვილი და არც ინტელექტუალური შესაძლებლობა არ გააჩნდა, ზესახელმწიფო იმ პოლიტიკოსთა ხელში აღმოჩნდა, რომელთა შეხედულებები XX საუკუნის 20-30-იან წლებში ჩამოყალიბდა და რომლებიც ანგარიშს ვეღარ უწევდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარ ცვლილებებს. ასე მომწიფდა ხელსაყრელი პირობები იმ შეთქმულების ორგანიზებისათვის, რომლისთვისაც დასავლური სამყარო დიდხანს და გულდასმით ემზადებოდა. შექმნილმა ვითარებამ დასავლურ სამყაროს საშუალება მისცა აემოქმედებინა და წარმატებით განეხორციელებინა საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციის, საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური სისტემის დაშლის კარგად გააზრებული პროგრამა, რომლის ბოლო (სისტემური) ეტაპი ისტორიაში „გარდაქმნის“ (1985–1991 წწ.) სახელწოდებით შევიდა.



## სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვის მაგალითი

XX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია 1991 წლის დეკემბრის ბოლო დღეებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მიერ საპატრიარქო რეზიდენციაში გამართულ შეხვედრებს. პატრიარქი შეხვდა იმდროინდელი მთვარობისა (ზვიად გამსახურდია) და ოპოზიციის (თ.სიგუა, ჯ. იოსელიანი თ. კიტოვანი) წარმომადგენლებს.

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ ხელისუფლების სათავეში ზვიად გამსახურდიას მთავრობა მოვიდა. იგი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი დ ქვეყანამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა. საქართველოს პირველ პრეზიდენტად 1991 წლის 9 აპრილს ზვიად გამსახურდია აირჩიეს. ცხადია, ჯერ კიდევ არსებულმა საბჭოთა კავშირმა ამგვარ ქმედებას მძიმე რეაქციით უპასუხა. ეს იყო ეთნოკონფლიქტების გაღვივება აფხაზეთსა და შიდა ქართლში, არაქართველი მოსახლეობის წიაღში (ჯავახეთსა და ქვემო ქართლში). ამას დაერთო პარლამენტის გარეთ დარჩენილი პარტიების დაპირისპირება ეროვნულ ხელისუფლებასთან.

ქართველმა ხალხმა, საზოგადოებამ, სამწუხაროდ, ვერ გაითვალისწინა საქართველოს ისტორიის გაკვეთილები. ქვეყანას ერთსულოვნება და მონოლითურობა სჭირდებოდა. საქმე საწინააღმდეგოდ მიმდინარეობდა. ანტიქართულ პროცესებს, რომლებიცაფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიმძაფრად მიდიოდა, დაემატა ის, რომ ქართველობა ურთიერთდაპირისპირებასა და მიტინგების ცეცხლში გაეხვია. ეროვნული ხელისუფლება არ აღიარებდა ოპოზიციას. ეს უკანასკნელიც ბევრშემთხვევაში არ გამოირჩეოდა სიბრძნით.

ილია II მთელი სიგრძე-სიგანით გრძნობდა შექმნილი ვითარების სერიოზულობას. არაერთგზის სცადა მისი განმუხტვა. პატრიარქმა კონკ-

რეტული შეფასება მისცა ქვეყანაში მიმდინარე პროცესს: „დღეს ჭეშმარიტ რწმენას ურწმუნობა კი არ უპირისპირდება, არამედ ცრუ სარწმუნობა, რომელსაც ჭეშმარიტების დიდი პრეტენზია აქვს. ნამდვილ თავისუფლებას თვითნებობა და თავაშვებულობა ცვლის, რომელიც ისევ ურცხვად იჩემებს თავისუფლების სახელს“. პატრიარქი ხმამაღლა აფრთხილებდა საზოგადოებას, რომ ურთიერთდაპირისპირებითა და გაუთავებელი მიტინგებით ვერაფერს გახდებოდნენ: „გონიერნი მაშინ ვიქნებით, თუ საქმის კეთებას დავიწყებთ არა ლანძღვით, არამედ ერთმანეთის გვერდში ამოდგომით, ერთმანეთის მოსმენით, ურთიერთგაგებით კარგი იდეების გაზიარებით. სხვა გზა არ არსებობს, სხვა გზა დამღუპველია“. პატრიარქს არ მოსწონდა საპროტესტო მოძრაობის ტალღა, რომელსაც 1991 წლის 4 სექტემბერს არასასურველი ინციდენტი მოჰყვა. 1991 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ქვეყანაში მიმდინარე პროცესები უმართავი იყო. 22 დეკემბერს ტყვიაც გავარდა და საქართველოში შიდა ომი დაიწყო. ყოველივე ეს ჭეშმარიტი ქართველისათვის კატასტროფას ნიშნავდა. განსაკუთრებულად დელავდა ილია II. 1991 წლის 23 დეკემბერს მან მწვავე გაფრთხილებით მიმართა ერს:

„უშიშესია დღევანდელი მდგომარეობა, საქართველო მისუღია დაღუპვის პირამდე; იღვრება ქართველთა სისხლი. საქართველოს ემუქრება სამოქალაქო ომი. ვხედავთ რა დაძაბულ სიტუაციას, მოუწოდებთ დაპირისპირებულ მხარეებს დიალოგისაკენ, რათა მშვიდობიანი გზით გადაწყვეტილიყო პრობლემები, თავიდან აგვეცილებინა ძმათა სისხლისღვრა. დიალოგი მართლაც შედგა, მაგრამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ვგრძნობთ რა მომავალ მძიმე შედეგებს, საქართველოს ეკლესიის, სამღვდელთა და მორწმუნე ერის სახელით, კიდევ ერთხელ მოგმართავთ დაპირისპირებულ მხარეებს: გამოიჩინეთ სიბრძნე და გონიერება, იგრძენით პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე და ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაწყვიტოთ სადავო საკითხები; მომავალი თაობა დააფასებს თქვენს კეთილგონიერებას“. 1. ეფიქრობ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. უკიდურესად კრიტიკულ მომენტში, ერის სულიერი მამა გონიერებისკენ მოუწოდებს თავის სულიერ შვილებს. სამწუხაროდ პატრიარქის შეგონება-ღალადისი არ იქნა შესმენილ-გათვალისწინებული... სამწუხარო შედეგამაც არ დააყოვნა.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების განმუხტვისათვის აქტიურად იბრძოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაც. მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გადადგმული, როცა აკადემიკოსები: ანდრია აფაქიძე, ნოდარ ამალლობელი, გურამ გველესიანი და ამ სტატიის ავტორი მოსალაპარაკებლად ვეწვიეთ ოპოზიციის ხელმძღვანელებს, რომლებსაც სასტუმრო საქართველოს სარდაფი დაეკავებინათ (ამ დროს მთავრობა პარლამენტის შენობის სარდაფში-ბუნკერში იმყოფებოდა). რუსთაველის პროსპექტიპრაქტიკულად ბრძოლის პოლიგონი იყო. ჩვენი უვნებლად მიყვანა ოპოზიციამდე უზრუნველყო იმდროინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გენერალმა დავით სალარიძემ. ოპოზიციის „შტაბში“ შევხვდით თენგიზსიგუას და თენგიზ კიტოვანს, მათთან სერიოზული საუბარი გაიმართა (შეგახსენებთ, რომ ბატონი თენგიზ სიგუა მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი იყო და მასთან ურთიერთობა არ გაგვჭირვებია). დროდადრო სხვადასხვა ოპოზიციონერებიც შემოდიოდნენ და საუბარში იღებდნენ მონაწილეობას, მათ შორის აქტიურობით გამოირჩეოდა გენერალი ლევან შარაშენიძე. ოპოზიციონერები მათი გამოვლის მიზეზადქვეყანაში შექმნილ ვითარებას ასახელებდნენ. ცნობილია, რომ დეკემბრამდე თ.კიტოვანი გვარდიასთან ერთად პრაქტიკულად განუდგა სახელმწიფოს. მათ გარკვეული წინადადებები ჰქონდათ, რომელთა საბოლოო შედეგი მთავრობის გადადგომა უნდა ყოფილიყო. აკადემიკოსთა შუამდგომლობამ შერიგების ან მორიგების თაობაზე არ გაჭრა. გაწბილებულები დავბრუნდით ოპოზიციის სამყოფლიდან. ერთი რამ მინდა აღვნიშნო. მომეჩვენა, რომ ოპოზიცია ჩვენი იქ ყოფნის მომენტში არც ისეთ დიდ ძალას ფლობდა, რომ სამთავრობო ძალებს გამკლავებოდა. სულიერად კი შემართულები იყვნენ. იმავე საღამოს, 25 დეკემბერს, მე შევხვდი უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს. მან მოიწონა აკადემიის ეს ნაბიჯი და მთხოვა მიმელო მონაწილეობა დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრაში, რომელიც პატრიარქის ინიციატივით საპატრიარქოს რეზიდენციაში იმართებოდა. მე და რამდენიმე მღვდელმსახური პატრიარქის ე.წ. შემრიგებელთა დელეგაციას წარმოვადგენდით. საღამოს 8 საათზე საპატრიარქოში მოვიდნენ დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლები (5-7 კაცი თითოეული მხრიდან). სხდომა ჩატარდა საპატრიარქოს დღე-

ვანდელ სატრაპეზო ოთახში. ეს ოთახი გადატიხრული იყო (დღეს იგი უფრო ვრცელია).

ილია II-მ ჩვეული სიდინჯით გამოიკითხა ვითარება. მოუსმინა მხარეთა წარმომადგენლებს, შემდეგ გულში ჩამწვდომი კრიტიკული სიტყვებით მიმართა მათ: „მიუხედავად იმისა, რომ სულში და ხასიათში გვიზის სიჩქარე, სულსწრაფობა უნდა დავიოკოთ, ხომ ფაქტია, რომ ვჩქარობთ, ბევრ შეცდომას ვუშვებთ“. აზრთა გაცვლის შემდეგ პატრიარქმა ასეთი მოთხოვნით მიმართა დაპირისპირებულ მხარეებს:

1. ორივე მხარემ შეინარჩუნოს პოზიციები;
2. შეჩერდეს გამოსვლები;
3. პრეზიდენტმა გააკეთოს განცხადება, რომ ხალხი წავიდეს სახლებში;
4. დანიშნოს უზენაესი საბჭოს სესია;
5. ტელევიზიაში დანიშნოს ოპოზიციის საათი;
6. განთავისუფლდნენ პოლიტპატიმრები;
7. აღიარებული იქნეს ოპოზიცია.

ეს საკითხები პატრიარქმა განსახილველად დააყენა. სხდომის მონაწილეებმა მიიღეს ესწინადადებები, თუმცა მკვეთრად არ ჩამოაყალიბეს თავიანთი აზრები. საჭიროდ მიიჩნიეს ამ საკითხების თავიანთ ბანაკებში უფრო ფართოდ განხილვა. პატრიარქიც ასე ფიქრობდა. ქვეყნის გადარჩენისათვის როგორმე უნდა შეჩერებულიყო შეიარაღებული დაპირისპირება.

მეორე დღეს, 26 დეკემბერს შეიკრიბა იგივე შემადგენლობა პატრიარქის რეზიდენციაში. სამწუხაროდ მხარეებმა არ გამოამჟღავნეს შერიგების სურვილი, ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანდა, მომლაპარაკებლები არ იყვნენ აღჭურვილნი საკითხის გადაჭრის რწმუნებით. ისინი მხოლოდ ამბის მიმტან-მომტანის როლს ასრულებდნენ.

ერთი დღის შემდეგ სრულიად აშკარა გახდა, რომ დაპირისპირებულთა შეჩერება შეუძლებელი იყო. მხარეებმა არ შეისმინეს სალი აზრი და პატრიარქის გულმხურვალე შეგონება. შედეგი? შედეგი მეტად მძიმე იყო; 1991 წლის დეკემბრის ბოლო დღეებში სამოქალაქო დაპირისპირებამ ზენიტს მიაღწია, რაც 1992 წლის იანვარს პირველ დღეებშიც გაგრძელდა და ზვიად გამსახურდიას მთავრობასამხედრო ძალით იქნა დამხობილი.

ქვეყანა სამოქალაქო ომმა მოიცვა. დიდი იყო მატერიალური ზარალი, მაგრამ უფრო მეტი და მნიშვნელოვანი სულიერი კრიზისი იყო. ილია II წერილით აღნიშნავდა: „ძმათა სისხლის ღვრით გამოწვეული ტკივილი ბოლომდე გაცნობიერებული არ არის. ტრაგედია მოხდა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელ სწორ გზას ვერ ვიპოვით, თუ მოვლენებს მიუკერძოებლად არ გავანალიზებთ და ყველასათვის სამწუხარო შედეგის მიზეზებს არ აღმოვფხვრით. საქართველოს ისტორიაში მოხდა მეტად საკვალალო ფაქტი: ერი დაიყო, ქალაქებსა და სოფლებში, სამსახურებში, მოსახლეობა დაუპირისპირდა ერთმანეთს, დაუპირისპირდნენ თაობები, ოჯახის წევრები“. ეს მართლაც ტრაგედია იყო ქვეყნისათვის. ამ უმძიმესი მდგომარეობის არსებობის დადასტურება მე შემიძლია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე. 1991 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ბრძანებულებით დავინიშნე უნივერსიტეტის რექტორად. უნივერსიტეტში მძიმე მდგომარეობა დამხვდა. სწავლა ჯერ არ იყო დაწყებული (იწყებოდა, როგორც წესი, 1 სექტემბერს). რაც მთავარია, აქაც დიდი დაპირისპირება იყო (პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს შორის): ერთი ნაწილი ზვიად გამსახურდიას უჭერდა მხარს, ე.წ. ზვიადისტები, მეორე კი მისი წინააღმდეგი იყო.

გასული საუკუნის 90-იანი წლების უნივერსიტეტის, პროფესორისა და სტუდენტობის დიდი დამსახურება იყო ის, რომ ეს დაპირისპირება არ გადაზრდილა რაიმე სერიოზულ კონფლიქტში. პროფესორები რომელთაც კარგად იცოდნენ უნივერსიტეტის ფასი, ესმოდათ მისი დანიშნულება, როლი ქვეყანაში, თავის სიმაღლეზე აღმოჩნდნენ და ამ რთული ვითარებიდან ღირსეულად გამოვიდნენ. უნივერსიტეტი დარჩა ქვეყნის ეროვნული ორიენტაციის განმსაზღვრელად, პირველ უმაღლეს სასწავლებლად, ალმა-მატერად. უნდა შევნიშნო, რომ უნივერსიტეტის მაღალი ავტორიტეტი აღიზიანებდა მაგანს და ყოველგვარად ცდილობდა მის ტალახში გასვრას. ათასგვარმა ინსინუაციებმა და ცილისწამებამ ვერაფერი დააკლო ამ დიდ დაწესებულებას. იგი ისტორიაში დარჩა როგორც მაგალითის მიმცემი, ერის სამსახურში მყოფი „თეთრი ტადარი“. ამას ადასტურებს, მიუხედავად სირთულეებისა, გასული საუკუნის 90-იან წლებში გაწეული დიდი სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობა.

ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებას წარმართვა სჭირდებოდა. აქაც განუსაზღვრელია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის როლი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მწვავე ეთნოკონფლიქტების პირობებში, როცა ქვეყანა ჭეშმარიტად ქართული მიწების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დადგა, სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე, როცა ახლადმოსულ ხელისუფლებას საქმის რაციონალური წარმართვა უჭირდა, ილია II-მ თავს იღო მეტად მძიმე ტვირთი და სახელმწიფოს საერო და სასულიერო თავკაცის მისია. პატრიარქი შეუდგა ერის სულიერი გამთლიანების მეტად რთულ პროცესს. იგი, როგორც რეალური სახელმწიფო მოღვაწე აქტიურ პოლიტიკურ ნაბიჯებსაც ღებდა.

ილია II-მ 1992 წლის ოქტომბერში პროტესტით მიმართა რუსეთის პატრიარქს ალექსი II-ს და აფხაზეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო ბრალი დასდო რუსეთის იმ ძალებს, რომელთათვისაც მიუღებელი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მეტად მნიშვნელოვანი იყო გაეროს გენერალური მდივნის, ბუტროს ბუტროს-გალისადმი ილია II-ის მოთხოვნად დაეცვა მსოფლიო თანამეგობრობას საქართველო რუსეთის აგრესიისაგან. პატრიარქმა ასევე მოსთხოვა რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს, ადკვეთილიყო რუსეთის ტერიტორიიდან შეიარაღებული ბანდღავგუფებების („ბოევიკების“) შემოსვლა, რუსეთის სამხედრო ბაზებიდან სამხედრო ტექნიკის შემოტანა და მწვავე აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

ილია II საქართველოს ხელისუფლებასაც მოუწოდებდა, გადაეღვა ქმედითი ნაბიჯები ეროვნული შერიგების, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების, საერთაშორისო აღიარების, ქართველი ერისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის.

ფაქტი ერთია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან ერთად მთელი თავისი მოღვაწეობით 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებისა და შემდგომ ქვეყანაში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ საქართველოში ერთიანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის ბრძოლის ჭეშმარიტი მებრძოლი იყო.

**„ეკლესიათა მშენებელი“.  
საქართველოს პატრიარქი და საეკლესიო აღმშენებლობა**

საქართველოს ისტორიაში, თითქოსდა, კანონზომიერადაა ქცეული, რომ ქვეყნის პოლიტიკურ აღმავლობას ყოველთვის უსწრებდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აღორძინება, ერისა და ბერის ერთიანობა. იგივე განმეორდა XX საუკუნის მიწურულსაც.

1977 წელს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ინტრონიზაციის შემდეგ დედა- ეკლესიის როლი და ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს წელი სრულიად სამართლიანად ახალი ეპოქის დასაწყისად მიიჩნევა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ს აღსაყდრებისას საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილს წარმოადგენდა, რომლის ოფიციალური იდეოლოგია ათეიზმი იყო. მართალია, მორწმუნეთა უფლებები საკანონმდებლო დონეზე იყო დაცული, მაგრამ სწორად ეს კანონები ფარატიანა ქალაქს წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, ისიც უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის 20-30-იანი წლების ბოლშევიკების ანტირელიგიური კამპანია უკვე მნიშვნელოვნად ჩამცხრალი იყო, მაგრამ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა კომუნისტური რეჟიმისთვის თითქოსდა სისხორცეულად ქცეულიყო. სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის დევნა-შევიწროებამ თავისი სავალალო როლი შეასრულა. 1977 წლისათვის ოფიციალურად საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში 15 ეპარქია არსებობდა, რომელთაც 6 მღვდელმთავარი უძღვებოდა. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ოთხი ეპარქიის დროებით მღვდელმთავრად ითვლებოდა. ოთხ დიდ ეპარქიას კი ეპისკოპოსი საერთოდ არ ჰყავდა. საქართველოში მოქმედებდა 60-მდე ეკლესია. საქართველოს ისტორიაში ჩვენს ეკლესიას მსგავსი შევიწროება არ განუცდია არაბების, მონღოლების, ირანელებისა თუ თურქების ბატონობის ფაშაც კი. ასეთი იყო ის რეალობა, როდესაც საპატრიარქო ტახტი დაიკავა კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა,

პატრიარქი ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობდა „სუდარა გადაფარებული ეკლესიის“<sup>1</sup> აღორძინებას. მოგვიანებით კათოლიკოს-პატრიარქი იხსენებდა: „მძიმე წლები გამოიარა საქართველოს ეკლესიამ განსაკუთრებით ათეისტურ პერიოდში; ძალიან მძაფრი იყო დაპირისპირება ბოროტსა და კეთილს შორის. ყველაზე მეტად იღვენებოდა მართლმადიდებლობა. მაგალითად, ახალციხეში არ იყო არცერთი მართლმადიდებლური ეკლესია და იყო ბაპტისტების სამლოცველო სახლი, რადგან იმდროინდელი ხელისუფლებისათვის ამას არ ჰქონდა ღირსი მნიშვნელობა. მუდამ ვახსენებდი ხოლმე ახალციხის მოსახლეობას: თუ თქვენ ქართველები ხართ, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია როგორ არ უნდა გქონდეთ-მეთქი?! მათ შეისმინეს ეს სიტყვები და ჯერ კიდევ კომუნისტების პერიოდში აქ მართლმადიდებლური ტაძარი გაიხსნა. რელიგიის რწმუნებულს მაშინ ვუთხარი: „სხვა არაფერი რომ არ გეკეთებინათ, მარტო ეს საქმე ბევრ რამეში შეგეწეოდათ!“<sup>2</sup>

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში უწმიდესმა მიზნად დაისახა ქვეყანაში დახურული და დანგრეული ტაძრების აღდგენაზე ზრუნვა. პირდაპირი მოწოდება არსებულ რეჟიმთან კონფრონტაციას ნიშნავდა, რასაც შესაძლებელია უკუშედეგი გამოეწვია. მორწმუნეთა ღვენა-დაშინება საბჭოთა რეჟიმისათვის უცხო არ იყო. მისმა უწმიდესობამ გადაწყვიტა, საქართველოს მოსახლეობისა და მისი მთავრობისათვის შეეხსენებინა მორწმუნეთა უფლებები. სწორედ ამ მიზნით საქართველოს ეკლესიის კალენდარში 1979 წელს იბეჭდება ამონარიდები საქართველოს კონსტიტუციიდან სინდისის თავისუფლების შესახებ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებიდან, რომელიც ეხებოდა რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას. განსაკუთრებით საინტერესოა ეს უკანასკნელი დოკუმენტი, რომელშიც ძირითადად საუბარია მორწმუნეთათვის (საჭირო იყო არანაკლებ 20 წევრისა) მსახურებისთვის შესაბამისი სამლოცველო შენობების (ტაძრები ამ დოკუმენტში შენობებადაა დასახელებული) გადაცემის წესზე, ასევე მათი შემდგომი განკარგვისა და

<sup>1</sup> ეს სიტყვები მის უწმიდესობას ერთ-ერთმა სასულიერო პირმა უთხრა.

<sup>2</sup> უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ქადაგება ილიაობის დღესასწაულზე სიონის საპატრიარქო ტაძარში, 2 აგვისტო, 2004, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №28 (286), 2004.



მოვლა-პატრონობის პირობებზე. ფაქტობრივად, ამ დოკუმენტების დაბეჭდვა საპატრიარქოს ოფიციალურ გამოცემაში ნიშნავდა ლოცვა-კურთხევის მიცემას მორწმუნეთათვის ზრუნვა ახალი ტაძრებისა და სამლოცველობის გახსნაზე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ამბიონიდან მიმართავდა მორწმუნე ერს, აღდგინათ ეკლესია-მონასტრები და პასიურობისათვის ხელისუფლების კრიტიკასაც არ ერიდებოდა. პატრიარქი 1986 წელს მრევლს მიმართავდა: „მაგრამ მე მინდა ყურადღება იმათ, ვინც თავისი სულისთვის ზრუნავს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, უმოქმედო, მიტოვებული ტაძრების მოვლა-პატრონობისაკენ მივაქცევინო. საქართველოში უამრავი უმოქმედო ტაძარია, რომელიც მოუვლელობის გამო ინგრევა. მართალია, არსებობს ძეგლთა დაცვის კომიტეტი და სახელმწიფოც გამოყოფს თანხებს ძეგლების აღსადგენად, მაგრამ ეს საქმეს ვერ შევლის, რადგან ტაძარს თვითონ ხალხი არ იცავს და არ უვლის. ამის მიზეზი ისაა, რომ სახელმწიფოს მიდგომა ამ საკითხისადმი არალოგიკურია – ადამიანს ეუბნებიან და ასწავლიან, რომ ღმერთი არ არსებობს და მერე იმავე ადამიანს ტაძრის დაცვას სთხოვენ. მასაც ვეღარ გაუგია, თუ ღმერთი არ არსებობს, ტაძარი ვიღას სჭირდება და ვისთვის უნდა იცავდეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის ადგილიც კი, სადაც ტაძრის მხოლოდ საძირკველია დარჩენილი, წმიდათაწმიდაა, რადგან იქ თავის დროზე წირვა-ლოცვა სრულდებოდა და მორწმუნეთა ლოცვა, ვითარცა სვეტი, ზეცისა და ღვთისკენ მალდებოდა. ამგვარ ადგილს ანგელოზი განუშორებლად იცავს და იმ კურთხეულ დღეს ელოდება, როცა აღდგენილ ტაძარში წირვა-ლოცვა ისევ შესრულდება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ დღევანდელ პირობებში ყველაზე დიდი შესაწირავი უმოქმედო ეკლესიათა მოვლა-პატრონობა, მათი დაცვა, გასუფთავება, აღდგენაა. თქვენც გექნებათ ამგვარი სურათი ნანახი. სოფელში დგას ეკლესია, რომლის სახურავზეც მთელი ტყეა ამოსული. მოსახლეობა გულგრილად უყურებს ამ ფაქტს და ვერ გრძნობს, რომ ტაძართან ერთად მისი სულიც ინგრევა. ეკლესიებს პირველ რიგში თვითონ ხალხმა უნდა უპატრონოს და პასუხისმგებლობა იგრძნოს მათი ბედის გამო.“<sup>3</sup>

<sup>3</sup> უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მიიჩნევს, რომ უმოქმედო ეკლესიების მოვლა-პატრონობა დღეს ღვთისათვის ყველაზე დიდი შესაწირია, 1986 წ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ტომი II, თბ., 1997 წ. გვ. 224.

XX ს-ის 80-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში საგრძნობი ცვლილებები მოხდა. საბჭოთა კავშირში დაწყებულმა „პერესტროიკამ“ ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვნად შეასუსტა ეკლესიის შევიწროება. კომუნისტ თუ კომკავშირელ აქტივისტებს უკვე აღარ ავალებდნენ საეკლესიო დღესასწაულებზე ეკლესიის კარიბჭესთან დარაჯობას და იმათ დასმენას, ვინც წირვას ესწრებოდა. ამას დაემატა საქართველოში ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპის დაწყება და ხალხის მასობრივი მიბრუნება ეკლესიისაკენ. მოკლე ხანში ჩვენი ტაძრები უკვე მრევლს ვეღარ იტევდა, საშობაო თუ სააღდგომო წირვისას ათასობით ადამიანი ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე თუ ახერხებდა მოხვედრას.

XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან საქართველოში დაიწყო პროცესი, რომელსაც ნაკლებად შეიძლება პარალელი მოვუძებნოთ საქართველოს ისტორიაში. მოკლე ხანში ასობით ახალი ტაძარი აიგო ქვეყნის მასშტაბით. თითქოს თანამედროვე ქართველობა ამით ინანიებდა XX საუკუნის 20-30-იან წლებში ჩადენილ ცოდვას, როდესაც ტაძრების დანგრევა, სამეურნეო და „საზოგადოებრივი“ დანიშნულებით მათი გადაკეთება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. საბჭოთა პერიოდში რამდენიმე რაიონში საერთოდ მოქმედი ტაძარი არ არსებობდა. „მებრძოლი ათეიზმის პერიოდში“ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლამ შედეგად ის მოიტანა, რომ უამრავი სოფელი საერთოდ ეკლესიის გარეშე დარჩა. ძველი ტაძრები ნანგრევებად ქცეულიყო. განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში. ყოველივე ეს ისტორიას კუთვნილებად იქცა. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში დაწყებული ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობას თავისი მასშტაბებით ანალოგი ნამდვილად ძნელად თუ მოეძებნება ჩვენი ერის წარსულში, რა თქმა უნდა, ამის ხელშემწყობი უპირველესად მისი უწმიდესობა გახლდათ, რომელიც პირადად ჩადიოდა ყველა ახალი ტაძრის კურთხევაზე. ყველგან ეს მოვლენა სახალხო ზეიმად იქცეოდა.

ეკლესია-მონასტრების მშენებლობის მასშტაბები კარგად ჩანს მცხეთა-თბილისის ეპარქიის მაგალითზე. XXI საუკუნის დასაწყისისთვის ეპარქიაში მოქმედებდა 158 ტაძარი, საიდანაც XX საუკუნის 80-90-იან

წლებში აიგო 82 ეკლესია.<sup>4</sup> ორათეულზე მეტი კი ნანგრევებიდან აღადგინეს. აქვე უნდა, ითქვას ისიც, რომ საბჭოთა პერიოდში, რა თქმა უნდა ყველა პარტიული ლიდერი როდი იყო ეკლესიისადმი კრიტიკულად განწყობილი. ფარულად ბევრი მათგანი ტაძარშიც დადიოდა და საეკლესიო დღესასწაულებსაც აღნიშნავდა. XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში კი საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერები უშუალოდ ერთვებიან ეკლესიისათვის საჭირობო საკითხების გადაწყვეტაში. მათ შორის, ეკლესიისათვის ტაძრების გადაცემის პროცესში. ამ პერიოდს იხსენებს იმ ხანად საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი: „ბევრს დღესაც ჰგონია, რომ კომუნისტური ეპოქა რელიგიისა და სამღვდლოების არსებობას არ ცნობდა, არადა, ცენტრალურ კომიტეტში, მინისტრთა საბჭოსთან სპეციალური სამსახური არსებობდა, რომელიც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობებს არეგულირებდა.

მის უწმიდესობასაც პირადად პირველად მაშინ შევხვდი, როდესაც რესპუბლიკის ხელმძღვანელი გავხდი.

ვერ ვიხსენებ ვერც ერთ წინადადებას, რომლითაც საპატრიარქოს, პირადად პატრიარქს მოუმართავს ჩვენთვის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობის დროს და იგი დადებითად არ გადაწყვეტილა.

პატრიარქის თხოვნითა და წინადადებით აღდგა მეტეხის ეკლესიაც.

დღესაც ცხადად მახსოვს ის ემოცია, პირველად მეტეხის ტაძრის გუმბათზე ჯვარი რომ დავინახე, როდესაც სანაპიროთი აეროპორტისკენ მივდიოდით... მეტეხის ბედი მალევე გაიზიარეს გელათის მონასტერმა და ბოლნისის სიონმა. მანამდე ორივე ისტორიულ ძეგლთა სამმართველოს დაქვემდებარებაში იყო. პატრიარქის თხოვნით, ისინი საქართველოს ეკლესიას გადაეცა და მოქმედი გახდა... ერთ-ერთი შეხვედრის დროს, რომელიც ცენტრალურ კომიტეტში, ჩემს კაბინეტში შედგა, უწმიდესმა საჩუქრად ჯვარცმული მაცხოვრის ხატი გადმომცა და მითხრა:

– არსებული სასულიერო სემინარია არასაკმარისია ჩვენი ქვეყნის

<sup>4</sup> ირ. გუნია, მცხეთა-თბილისის ეპარქიის ტაძრები, თბ., 2002. დასახელებულ ნაშრომში მოცემულია მოკლე ცნობები მცხეთა-თბილისის ეპარქიაში არსებულ ეკლესია-მონასტრებზე, მათ შორის – ახლად აშენებულ ტაძრებზე.

სულიერი განვითარებისათვის... კარგი იქნება, და საქართველო არის იმის ღირსი, რომ ჩვენ სასულიერო აკადემიაც გვქონდეს.

რადგან სიონის საკათედრო ტაძრის ეზოშივე მდებარეობდა უწმიდესის რეზიდენცია, გადავწყვიტეთ, სასულიერო აკადემიისთვისაც შესაფერისი ფართობი მიმდებარე ტერიტორიაზე გამოგვეყო. მოსახლეობას ალტერნატიული საცხოვრებელი შევთავაზეთ, გამოთავისუფლებულ ფართობზე კი სასულიერო აკადემია განთავსდა.“<sup>5</sup>

1987-1988 წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II რამდენჯერმე შეხვდა საქართველოს და თბილისის პარტიულ ლიდერებს. საუბრის თემა შეეხებოდა არსებული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობას და საპატრიარქოსათვის გადაცემას. განსაკუთრებით მწვავედ იდგა თბილისში გაუქმებულ ეკლესიებში წირვა-ლოცვის განახლების, დანგრეული თუ დანგრევის პირას მყოფი ტაძრების აღდგენის საკითხები. ამ შეხვედრების შემდეგ გადაწყდა ნაძალადევი აბანოდ გადაკეთებული ეკლესიის (ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესია) კვლავ აღდგე-

<sup>5</sup> მაღლიერების ნიშნად კათოლიკოს-პატრიარქმა ჯუმბერ პატიაშვილს 1988 წლის 4 იანვარს წერილი გაუგზავნა. „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილს

ბატონო ჯუმბერ,

გელათის, იყალთოს, გრემის ცნობილ აკადემიათა გაუქმების შემდეგ 800 წელი ელოდა ქართველი ხალხი საქართველოში უმძლესი სასულიერო სასწავლებლის გახსნას და ახლა ეს კურთხეული დღე დადგა.

დადგა იგი, რა თქმა უნდა, უფლის შეწევნით; დადგა იგი უშუალოდ თქვენი მხარდაჭერითა და დახმარებით.

ეს არის ის საქმე, რომლის სიდიადეს ერთბაშად ვერ აღიქვამს ადამიანი.

ეს არის ის საქმე, რომლის აღსრულებისთვის თაობები იტყვიან მაღლობას.

ზომ ჭეშმარიტად ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც სხვისთვის სიხარულის მინიჭება შეუძლია; და რაოდენ უსაზღვრო უნდა იყოს ბედნიერება იმ პიროვნებისა, ვისაც ძალუძს, ღვთის განგებით, დიდი და ნამდვილი სიხარულით გაახაროს მთელი ერი.

ერთ – ერთი ასეთი სიხარული მოუტანეთ თქვენ ჩვენს ხალხს, ამიტომაც უღრმეს მაღლობას გწირავთ და გლოცავთ; მაღლობას გწირავთ ჟურნალ „ჯვრის ვაზის“ გამოცემის გაზრდის გამოც.

თქვენი თანადგომა ნუმც მოგვკვლავდეს.

ღრმა პატივისცემით

ილია მეორე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“.

აღნიშნული წერილი ინახება ჯ. პატიაშვილი პირად არქივში. იხ. ჯ. პატიაშვილი, ოცდასამი წლის შემდეგ, თანავტორი ელბა ფოლადაშვილი, თბ., 2013, გვ. 49-52.

ნა, ნარიყალაზე წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის აშენება, მეტეხის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის საპატრიარქოსათვის გადაცემის, თეატრისათვის ახალი ფართის გამოყოფის საკითხი. 1988 წლის 7 ივლისის განკარგულებით, საქართველოს სასულიერო აკადემიას ახალი ტერიტორია დაეთმო, ყოფილი ქარვასლის შენობა. ანალოგიური სურათი იყო მთელს საქართველოში. ათწლეულების შემდეგ ჩვენს უძველეს ტაძრებში კვლავ აღევლინა წირვა-ლოცვა და გაისმა გალობის ხმა. არსებული რეალობის ოფიციალურ გაფორმებას წარმოადგენდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1990 წლის აპრილის დადგენილება, – „რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მართლმადიდებელი ეკლესიის და საქართველოს საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა გამოცხადდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად“.<sup>6</sup>

XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე საფუძველი ეყრებოდა ახალ ქართულ სახელმწიფოს. საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას უბრუნდებოდნენ თავისი სულიერი შვილები. თითქოსდა ისტორია განმეორდაო. ისევე როგორც X-XI სს-ში, ერის პოლიტიკურ აღმავლობას წინ უსწრებდა ქვეყნის სულიერი კათარზისი, ასევე მოხდა ჩვენს დროშიც. საქართველოს დამოუკიდებლობის ბრძოლის გზაზე ეკლესიამ უდიდესი როლი შეასრულა. რელიგიურმა და პოლიტიკურმა აღმავლობამ თავისთავად დაბადა აზრი ახალი კათედრალის აგებისა, რომელიც ახალი ქართული სახელმწიფოს სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II წმ. სამების ტაძრის მშენებლობის დაწყებისას აღნიშნავდა: „დღეს საფუძველი ეყრება წმიდა სამების ტაძარს და ამით საფუძველი ეყრება ძლიერ საქართველოს. საქართველო ეძებს თავის დასაყრდენს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს საყრდენი ძლიერია იმ შემთხვევაში, თუ ერი არის მრავალრიცხოვანი, ზოგიერთი ფიქრობს, რომ სახელმწიფო ძლიერია მაშინ, თუ მას გააჩნია ძლიერი შეიარაღებული ძალები. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ძლიერია ერი იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია დიდი მეცნიერება და მაღა-

<sup>6</sup> ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, თბ., 2013, გვ. 62.

ლი კულტურა. ეს ყველაფერი საჭიროა, აუცილებელია, მაგრამ პირველი და აუცილებელი არის ერის სულიერი ძლიერება. აი, სწორედ ამისთვის ვართ მოწოდებულნი და ამით ვიწყებთ ჩვენი ერის განმტკიცებას... ეს სულიერი ძლიერება და ქვეყნის გამოთლიანება განუყოფელია“.

ამ სიტყვების ჭეშმარიტება ჩვენმა დრომაც დაადასტურა. საქართველოში არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური კრიზისის მიუხედავად, წმ. სამების ტაძარმა მართლაც რომ ერის გამაერთიანებლის როლი შეასრულა. ხალხს უჭირდა, მაგრამ უკანასკნელ დანაზოგს სწირავდა კათედრალის მშენებლობას და ამით სულიერ სიმხნევეს იძენდა. ათიათასობით ადამიანმა შეიტანა თავისი წვლილი ტაძრის აგებაში.

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ თუ არა მისი უწმიდესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, წმიდა სამების საკათედრო ტაძარი არ აიგებოდა. აქ არ იგულისხმება მარტოოდენ იდეის დაბადება. ტაძრის პროექტირებისა და მშენებლობის ნებისმიერი დეტალი კათოლიკოს-პატრიარქთან თანხმდებოდა. იგი იყო ამ უდიდესი საქმის სულის ჩამდგმელი და მორგანიზებელი ძალა.

საქართველოს საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის საკათედრო ტაძრის მშენებლობის თაობაზე ოფიციალური მიმოწერა 1988 წლის აგვისტოში დაიწყო. ამ დროს საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდა. არც ეროვნული მოძრაობა იყო ფართოდ გაშლილი. ადვილი არ იყო ხელისუფლების დარწმუნება და კათედრალის აგების იდეაში მხარდაჭერის მოპოვება. ამ დროს, მთელი სისრულით, მხოლოდ მის უწმიდესობას ჰქონდა წარმოდგენილი, რა მუხტს შემატებდა ჩვენს ნაციონალურ თვითშეგნებას ახალი საკათედრო ტაძრის აგება. რა როლს შეასრულებდა ეს წამოწყება ეკლესიისაკენ მთელი ერის შემობრუნების საქმეში. მაგრამ ყოველივე ამის გაცხადება საქმეს დააზიანებდა და ამიტომაც, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის, ირაკლი ანდრიასის სახელზე მიწერილ წერილში პატრიარქი ახსენებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავს და ახალი საკათედრო ტაძრის აგებას ამ თარიღს უკავშირებს. ეს წერილი, როგორც ითქვა, არის პირველი დოკუმენტი, რომლითაც წმ. სამების ტაძრის ისტორია იწყება.

„მშრომელთა დეპუტატების საბჭოს თბილისის  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს  
ბატონ ირაკლი ანდრიაძეს  
ბატონო ირაკლი,

მოგესხნებათ, როგორი უძველესი, მრავალფეროვანი და ბრწყინვალეა ქრისტიანული ხანის ქართული კულტურა. ეს შედეგია 1500-წლოვანი დამოუკიდებელი ქართული ეკლესიის არსებობისა. სწორედ დამოუკიდებელი ეკლესიის წყალობით მიეცა საშუალება ეროვნულ სულს აღორძინებისა. შეიქმნა ქართული მწერლობის, მხატვრობის, არქიტექტურის, გალობის, მინანქრის, ოქრომჭედლობის... უბადლო ნიმუშები, ყოველივე ის, რითაც ჩვენ დღეს სამართლიანად ვამაყობთ.

ამაში დიდია ღვაწლი ჩვენი წმინდა მეფის ვახტანგ გორგასალისა. მისი წყალობით, მისი მეცადინეობით საქართველოს ეკლესიას უკვე V საუკუნეში მიენიჭა ავტოკეფალია.

როგორც ვიცით, წელს ფართოდ აღნიშნა 1000 წელი რუსეთის გაქრისტიანებიდან. რუსეთის ეკლესიამ მიიღო გადაწყვეტილება ამ ზეიმთან დაკავშირებით ახალი ტაძრის აშენების შესახებ. მთავრობამ მხარი დაუჭირა აღნიშნული იდეის განხორციელებას და დღეს უკვე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები.

ჩვენს ეკლესიას არანაკლები ისტორია აქვს. ამ რამდენიმე ხნის წინ შესრულდა საქართველოს საპატრიარქოს დამოუკიდებლობის 1500 წელი. კარგი იქნებოდა, რომ საქართველოშიც აშენდეს ტაძარი, რომელიც სიმბოლურად იქნება გამომხატველი ჩვენი ავტოკეფალიური ეკლესიის თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიისა. ეს ეკლესია უნდა იყოს გამორჩეული თავისი მასშტაბითაც და არქიტექტურითაც.

იმედია, ჩვენი ხელისუფლებისთვისაც მისაღები იქნება ეს წინადადება. მთავრობის თანხმობის შემთხვევაში გამოცხადებული იქნება კონკურსი და უკეთესი პროექტის მიხედვით დაიწყება მშენებლობა. სასურველია, ეს საკათედრო ტაძარი აიგოს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში.

გთხოვთ, დაგვეხმაროთ აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტაში და შესაფერისი ადგილის შერჩევაში.

## ღრმა პატივისცემით

### ილია II

#### სრულიად საქართველოს

#### კათოლიკოს-პატრიარქი<sup>7</sup>.

ქალაქის მთავრობა დიდი გულისყურით მოეკიდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივას და უმოკლეს ხანში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევა საკათედრო ტაძრისათვის ადგილის შერჩევა. დაიწყო მომავალი ტაძრისათვის ადგილის ძიება. აღნიშნული საკითხის ირგვლივ იმსჯელეს 23 ნოემბერს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სტუმრობისას. პატრიარქს გააცნეს კომისიის მუშაობის წინასწარი შედეგები. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ტაძრის აგება მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ბარათაშვილის აღმართის ზედა ტერასაზე. ამას მოჰყვა საუკეთესო პროექტის შესარჩევად კონკურსის გამოცხადება.

ფართო საზოგადოებამ თბილისში წმ. სამების საკათედრო ტაძრის აგების იდეა პირველად 1989 წლის აპრილში შეიტყო. 5 მაისს კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თბილისის მთავარ არქიტექტურულ-დაგეგმარებით სამმართველოში ქართველ არქიტექტორებს შეხვდა. უწმიდესი გარკვეულ მოთხოვნებს აყენებდა არქიტექტორთა წინაშე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მომავალი საკათედრო ტაძარი. მან სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. პატრიარქი შეეხო კათედრალის არქიტექტურულ ფორმებსა და გადაწყვეტის რამდენიმე დეტალსაც: „მძიმე დღეები დაუდგა საქართველოს, – აღნიშნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, – მაგრამ ეს უბედურება გვაიძულებს, მომავალზეც ვიფიქროთ. მეოცე საუკუნე მეტად მნიშვნელოვანი საუკუნეა, წინააღმდეგობებით სავსე. მეცნიერებასა და ტექნიკაში გადაიდგა გიგანტური ნაბიჯები, მაგრამ სულიერი და მარადიული პრობლემები ბევრისათვის მეორეხარისხოვანი გახდა. მატერიალური სიუხვე არ არის საკმარისი ბედნიერებისათვის, პირიქით, შეიქმნა ვაკუუმი, რომელსაც ვერაფრით შევავსებთ, თუ არა რწმენით, რომელიც ისევე გვესაჭიროება, როგორც ჰაერი და წყალი...

ბევრს ახსოვს ცარიელი სიონი. კათოლიკოს-პატრიარქის წირვასაც

<sup>7</sup> საქართველოს საპატრიარქოს არქივი, დოკ. №14500.



კი რამდენიმე კაცი ესწრებოდა. ახლა, ღვთის წყალობით, დადგა ჟამი მოქცევისა; დღევანდელმა რელიგიურმა აქტიურობამ გვაფიქრებინა, რომ აუცილებელია ახალი ტაძრის აშენება, მით უმეტეს, რომ შესრულდა 1500 წელი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ თარიღთან დაკავშირებით, აიგოს ტაძარი წმინდა სამების სახელზე, სადაც იქნება ტრაპეზებიც საქართველოს ეკლესიის წმინდანთათვის, ყურადღება უნდა გამახვილდეს ვახტანგ გორგასლის ღვაწლზეც ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

რაც შეეხება ტაძარს, მისი დაპროექტებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არ არის მხოლოდ ისტორიული ძეგლი, ტაძარი კარიბჭეა კაცსა და ღმერთს შორის. იგი უნდა იყოს დიდი, თანამედროვე, მაგრამ არა ჩვენს ისტორიულ და კულტურულ ფესვებს მოწყვეტილი.

კარგი იქნება, თუ მისი ინტერიერი მოპირკეთდება თლილი ქვით, რომელზეც დაბალი რელიეფით გამოისახება ბიბლიური სცენები, ხოლო ექსტერიერის ქვის პერანგი ასევე დაბალი რელიეფით დაიფარება, ოღონდ, აქ იქნება ჩვენი ერისა და ეკლესიის ამსახველი სიუჟეტები. უნდა მიექცეს ყურადღება კათაქმეველთა წესის დაცვას, რომლის აღდგენასაც ახლა ვცდილობთ.

გვეკითხებიან, თუ რატომ არ არის ჟიურის შემადგენლობა გამოცხადებული. ჩვენ არ გვინდა, წინასწარ ვინმე შევზღუდოთ, იქნებ, ჟიურის წევრად დასახელებულს სურვილი ჰქონდეს კონკურსში მონაწილეობისა. შემდეგ კი ყველა მასალას, რაც წარმოდგენილი იქნება კონკურსზე, ერთად შევკრავთ, დავურთავთ მათ ავტორთა ფოტოებს, ბიოგრაფიებს და გამოვცემთ წიგნად, რათა შთამომავლობა იცნობდეს ყველას, ვინც ამ დიდ საქმეში მონაწილეობდა“.

1990 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, მხატვრის სახლში, წმ. სამების საკათედრო ტაძრის საკონკურსო პროექტების გამოფენა გაიხსნა, რომელზეც გამარჯვებული ვერ გამოვლინდა და საჭირო გახდა მეორე ტურის ჩატარება. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების არქიტექტურული მრავალფეროვნება. ბევრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მოდერნიზმი საეკლესიო არქიტექტურაში, ნაწილი, პირიქით, იწონებდა ამგვარ ტენდენციას. მისი უწმიდესობაც

არ ჩქარობდა გადაწყვეტილების მიღებას და ამიტომაც გადაწყდა რამდენიმე თვეში საკონკურსო პროექტების გამოფენის მოწყობა. მეორე ტური 2 სექტემბერს გაიხსნა.<sup>8</sup> პირველ ტურთან შედარებით, არქიტექტორებმა გაცილებით სრულყოფილი ნამუშევრები წარმოადგინეს. საბოლოოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გამარჯვებულად ახალგაზრდა არქიტექტორი არჩილ მინდიაშვილი დაასახელა.

ხუროთმოძღვარნი, ოდითგანვე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადგილს, სადაც უნდა აღემართათ თავიანთი ქმნილება. თვეობით დაედებდნენ ისეთ ტერიტორიას, სადაც ჰარმონიულად შეერწყმოდა ერთმანეთს გარემო და ტაძარი.

ქართულ ეკლესია-მონასტრების ხილვისას უპირველესად აღტაცებაში მოჰყავხარ არქიტექტორის გადაწყვეტილებას: რა საოცარი გუმანით შეურჩევია ადგილი ტაძრისათვის! ტაო-კლარჯეთის, სამცხის, ქართლ-კახეთის, გურია-აჭარისა თუ იმერეთ-სამეგრელოს ძეგლები განა ისეთი ესთეტიკურ სიამოვნებას მოგვანიჭებდნენ, სხვა რელიეფზე რომ ყოფილიყვნენ აგებულნი. ჩვენი ხუროთმოძღვარნი საოცრად უთავსებდნენ გარემოს მომავალი ტაძრის ფორმასა და მასშტაბებს. თუ რა მნიშვნელობა აქვს ტაძრისა და მშენებლობის ადგილის შეხამებას ზოგადად ძეგლის აღქმაში, კარგად ჩანს მცხეთის ჯვრის მაგალითზე. იგი ისეა შერწყმული მცხეთის თავზე აღმართულ მთას, რომ მნახველს ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ მთიდან იყოს ამოზრდილი. ანდა ავიღოთ ბანას შესანიშნავი კათედრალი. ტაოს ეს ნაწილი საკმაოდ ხრიოკია, მიუხედავად ამისა, ხუროთმოძღვარმა მაინც მოძებნა ისეთი ადგილი, სადაც ბუნება თავად ქმნის ფერთა ჰარმონიას. ტაძრის ფასადი შედერწილია მოყვითალო ნათალი ქვით და საოცრად მიესადაგება გარემოს.

რომელი ერთი ძეგლი ჩამოვთვალოთ.

ეს საკითხი ყველა ქვეყნისა და ეპოქის არქიტექტორთა საფიქრალი იყო და არის.

შესაბამის საკათედრო ტაძრის მშენებლობის დაწყებამდე ამავე პრობლემის წინაშე დადგა ჩვენი საზოგადოებაც. ყველას კარგად ესმოდა, რომ

<sup>8</sup> სამების საკათედრო ტაძრის პროექტის შერჩევისათვის ჩატარებული კონკურსის ორივე ტურის ვრცელი მიმოხილვა, ნამუშევართა სათანადო შეფასებით მოცემულია ნაშრომში: ჯ. საპუშია, ასე შენდებოდა თბილისის წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, თბ. 2010, გვ., 56-114.

მომავალი ქმნილება ჰარმონიულად უნდა შერწყმოდა გარემოს და ქალაქის ორგანულ ნაწილად ქცეულიყო. ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე, როდესაც მხოლოდ პროექტების განხილვა მიმდინარეობდა, არქიტექტორები და ხელოვნებათმცოდნეები საგანგებოდ მიუთითებდნენ წმ. სამების ტაძრის კომპლექსის ქალაქის დაგეგმარებაში ფაქტად „ჩასმის“ აუცილებლობაზე.

მეორე ტურის შემდეგ თითქოს გადაწყვეტილი იყო მომავალი ტაძრის ავლაბრის პლატოზე აგება. მაგრამ სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა ახალი ადგილის ძიება. უპირველესი მიზეზი იყო ის, რომ 1991-1992 წწ. შემდეგ, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახლდათ ბარათაშვილის აღმართის ზედა ტერასის გამოთავისუფლება მშენებლობისათვის. ამ პერიოდისათვის საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი რეალური გზა იყო ქალაქის ცენტრალურ ნაწილში თავისუფალი ადგილის მოძიება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა კათედრალისა და საპატრიარქო რეზიდენციის განთავსება. დიდი სჯაბასის შედეგად გადაწყდა, რომ წმ. სამების ტაძრისათვის ვაკეში, სტუდქალაქის ტერიტორიაზე გამოეყოთ ადგილი.

ვაკეში საპატრიარქო რეზიდენციის გადატანა აშკარად გამოიწვევდა ქალაქის ამ ნაწილში ქალაქდაგეგმარებით სირთულეებს. ამ პერიოდში საქართველოს საპატრიარქოში გამართული შეხვედრისას ვაკის სტუდქალაქის პარალელურად, ვარიანტის დონეზე, მომავალი კათედრალის ასაგებად შეირჩა ასევე ავლაბარში „მეგობრობის პარკის“ ტერიტორია. ამ მოსაზრებას თავიდანვე ბევრი მხარდამჭერი გაუჩნდა, რასაც არაერთი დადებითი ფაქტორი განაპირობებდა. ჯერ ერთი „მეგობრობის პარკის“ ტერიტორია გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ვაკის სტუდქალაქისა, მეორე, ამ ადგილზე აგებული კათედრალი თბილისის უამრავი ადგილიდან იქნებოდა შესაძინევი და მესამე, მას თავისუფლად შეეძლო დედაქალაქის ამ ნაწილში დომინანტის როლის შესრულება. საბოლოოდ, 1995 წლის სექტემბერში, წმ. სამების საკათედრო ტაძრის ასაგებად შეირჩა ისან-სამგორის რაიონში, ელიას უბანში არსებული „მეგობრობის პარკის“ ტერიტორია.<sup>9</sup>

1994 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლის დღესასწაულზე, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პა-

<sup>9</sup> ვრცლად იხ. ვ. სამუშია, ასე შენდებოდა თბილისის წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, გვ.38-54.

ტრიარქმა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის დაფუძნება გამოაცხადა. 1995 წლის ივლისიდან ფონდს სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი ირაკლი ანდრიაძე.

1995 წლის 23 ნოემბერს ელიას მთაზე მომავალი საკათედრო ტაძრის ქვაბულის ამოღება დაიწყო. 1996 წლის 3 მარტს საძირკველი ეკურთხა.

საძირკვლის კურთხევის შემდეგ, პირველ ეტაპზე, მშენებლობა საკმაოდ კარგი ტემპით მიმდინარეობდა. მაგრამ მალე სიძნელებმა იჩინა თავი. მისი უწმინდესობის განწყობა, რწმენა იმისა, რომ ტაძარი აუცილებლად აიგებოდა, ყველას უდიდეს ენთუზიაზმს უნერგავდა. მწირი დაფინანსების პირობებში ტაძარი ნელ-ნელა მიიწევდა 0.00 ნიშნულისაკენ. ამის პარალელურად 1998 წელს საკათედრო ტაძრის სამხრეთით აიგო წმ. ილია თეზბიტელის ხის ეკლესია (1999 წლის 2 მარტს, გამთენიისას ხის ეკლესია გაურკვეველ ვითარებაში დაიწვა. 2000 წლისათვის წმ. ილია თეზბიტელის ახალი ქვის ეკლესიის შენება დაიწყო).

2000 წლისათვის კათედრალის მიწისქვეშა ნაწილი დასრულებული იყო. სწორედ 2000 წლიდან გამოჩნდა კათედრალის გენერალური სპონსორი, ბიძინა ივანიშვილი, რომლის ფინანსური დახმარებითაც აიგო ეს გრანდიოზული ტაძარი.

ძირითადი კარკასის მშენებლობა 2001 წლის მიწურულისთვის უკვე დასრულებული იყო. 2002 წლის იანვარ-მარტში გუმბათის ყელის მშენებლობა წარმოებდა.

წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ისტორიაში ერთ-ერთი ძირითადი ეტაპი დასრულდა 2002 წლის 31 მარტს, როდესაც გუმბათზე ბოლო ბეტონი ჩაისხა. კათედრალი მთელი გრანდიოზულობით ამოიწია თბილისის თავზე.

2002-03 წწ-ში ძირითადად ტაძრის მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობდა. 2003 წლის 6 დეკემბერს წმ. სამების საკათედრო ტაძარზე ჯვარი აღიმართა.

წმ. სამების საკათედრო ტაძარი მფარველად მოვევლინათბილისს და სრულიად საქართველოს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან წმიდა სამების საკათედრო ტაძარი ყველაზე მასშტაბურია. დედაქალაქში იგი თითქმის

ყველა წერტილიდან ჩანს. უშუალოდ კათედრალი ორი – მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილისაგან შედგება. საერთო სიმაღლე ნულოვანი ნიშნულიდან ჯვრის ჩათვლით 86.10 მეტრია (უშუალოდ ჯვარი 7,5 მეტრის სიმაღლისაა). ლავრის მიწისქვეშა ნაწილში ორი სართული მდებარეობს. ტაძრის ფუნდამენტი 14,07 მეტრის სიღრმეზეა (ქვედა სართულის იატაკი 13,07 მეტრზეა. ამას ემეტება ერთმეტრიანი ფუნდამენტი). წმ. სამების ტაძრის საერთო სიმაღლე, ამ მონაცემებით, 100,17 მეტრია (86.10+14.07). წმ. სამების ტაძრის სიგრძე 70,450 მეტრი, სიგანე კი 64.68 მეტრია.<sup>10</sup>

2004 წლის გაზაფხულზე გადაწყდა, წმიდა სამების საკათედრო ტაძარი 23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე ეკურთხე-ბინათ. რამდენადაც ცნობილია, მთლიანად კომპლექსში 12 ეკლესიაა: უშუალოდ კათედრალში განთავსებულია 10 ეკლესია: წმ. სამების საკათედრო ტაძარი, ხარების ეკლესია, მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია, წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია, წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, ყოველთა წმიდათა სახელობის ეკლესია, თორმეტი მოციქულის სახელობის ეკლესია, წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია. კომპლექსის სამხრეთ კარიბჭესთან აღმართულია წმ. ილია თეზ-ბიტელის სახელობის ეკლესია, ხოლო დასავლეთ (ცენტრალურ) კარიბჭის თავზე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

2004 წლის 23 ნოემბერი, წმ. სამების საკათედრო ტაძრის კურთხევა, სრულიად საქართველოსათვის უდიდეს დღესასწაულად იქცა. ამ დღეს დილიდანვე ათასობით მორწმუნე ეწვია ელიას მთას. წმიდა სამების საკათედრო ტაძრის კურთხევა დილის 7 საათზე დაიწყო და იგი ჩაატარეს – ნინოწმინდისა და საგარეჯოს ეპისკოპოსმა ლუკამ, სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ და გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ. ტრაპეზის კურთხევა დაასრულა მისმა უწმიდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, რის შემდეგაც დაიწყო სადღესასწაულო წირვა.

<sup>10</sup> ტაძრის მოცულობის მიმოხილვა მოცემულია ნაშრომში, ჯ. სამუშია, ასე შენდებოდა თბილისის წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, გვ., 160-202.

კურთხევიდან თითქმის ათმა წელმა განვლო. ტაძარი ყოველთვის საესეა მლოცველებით. და ასე იქნება უკუნითსი უკუნისამდე. წმიდა სამების ტაძრის კარიბჭეს მილიონობით ადამიანი გადააბიჯებს. გაივლის წლები, საუკუნეები, წმ. სამების საკათედრო ტაძარი კი დარჩება ჩვენი ერის შეურყეველი რწმენის, ერთობის, შეძარტების სიმბოლოდ. უფლის ნებით, ის შეასრულებს ღმერთსა და კაცთა შორის კარიბჭის ფუნქციას.

ერთ წერილში ძნელია მთელი სისრულით წარმოჩნდეს ყველა ის მიღწევა, რომელიც ბოლო ათწლეულების მანძილზე განიცადა საეკლესიო არქიტექტურამ. თუ რა მდგომარეობა სუფევდა ამ მიმართულებით გასული საუკუნის 80-იან წლებში, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სამების საკათედრო ტაძრის ასაგებად გამოცხადებული კონკურსის პირველი ტურის მასალების ვიზუალური დათვალიერება. ჩვენს არქიტექტორებსა და მშენებლებს იმხანად ეკლესიათა აგების გამოცდილება თითქმის არ გააჩნდათ. ამიტომაც პროექტთა უმეტესობა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობას უფრო წააგავდა, ვიდრე ღვთის სახლს. დღეს კი, წლების შემდეგ, რა შესანიშნავად ჩანს ამ საუკუნის წამოწყების დედააზრი. საქმე მართლოდენ ერთი კონკრეტული ტაძრის, თუნდაც საკათედრო ტაძარი ყოფილიყო, აგებაში როდი მდგომარეობდა. მისი უწმიდესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-მ შესანიშნავად განჭვრიტა, რომ ეს მშენებლობა ჩვენი ერის სულიერი აღმავლობის საწინდრად იქცეოდა. იმავედროულად, ეს წამოწყება ათწლეულობით მივიწყებული საეკლესიო არქიტექტურის, მხატვრობის, ჭედურობისა თუ სხვა დარგთა აღორძინების საფუძველი გახდებოდა.

## 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი და საქართველოს ეკლესია

*2008 წლის აგვისტოს მოვლენების გახსენება რთულია, ჩვენს ტკივილთან არის დაკავშირებული და არასასიამოვნო მოვლენებთან ჩვენი ისტორიისა. ამავე დროს, მინდა აღვნიშნო, რომ ის, რაც ხდებოდა, იმან გამოაჩინა თითოეული ადამიანის, მთელი საზოგადოების მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება მამულისადმი და ბოლო ხანებში განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეპიზოდია“*  
(მთავარეპისკოპოსი ანდრია გვაზავა).

2008 წლის აგვისტოს დამდეგს საქართველოსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის ინტენსიური სროლები დაიწყო, რის შედეგადაც რამდენიმე ადამიანი დაიჭრა და დაიღუპა. ორივე მხარე სროლის დაწყებაში ერთმანეთს ადანაშაულებდა. 7 აგვისტოსთვის საქართველოს შეიარაღებული ძალების 10 ჯარისკაცი იყო დაღუპული.

7 აგვისტოს სრულიადსაქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დაპირისპირებულ მხარეებს შერიგებისა და ურთიერთშორის არსებული პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრისკენ მოუწოდა: გამოვთქვამთ ჩვენს დიდ შეშფოთებასა და გულისტკივილს სამაჩაბლოში ბოლო დღეებში შექმნილი მდგომარეობის გამო.

სისხლი და მსხვერპლი ჩვენს შორის არსებულ სიტუაციას კიდევ უფრო გაამწვავებს და უფსკრულს გააღრმავებს. ამიტომაც მოვუწოდებთ როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე ოსურ მხარეს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანის სიცოცხლე და ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება, ყველაფერი გააკეთონ, რათა შეწყდეს საომარი დაპირისპირება და პრობლემები მშვიდობიანი გზით გადაწყდეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლება სამშვიდობო პოლიტიკის გატარების მომხრეა. ვიმედოვნებთ, ოსური მხარეც არ გაამწვავებს

ვითარებას. ოსებს და ქართველებს საუკუნოვანი ნათესაობა, მეგობრობა და, რაც მთავარია, ქრისტიანული რწმენა გვაერთიანებს და უნდა შევძლოთ მშვიდობიან თანაცხოვრებას სისხლის გარეშე მივალწიოთ.

მივმართავ საქართველოს ეკლესიის სასულიერო პირებს და მორწმუნე ერს – გააძლიერონ ლოცვა მშვიდობისათვის“.

7 აგვისტოს, საღამოს, საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, ქართულმა მხარემ სროლის ცალმხრივად შეწყვეტა გამოაცხადა. პრეზიდენტმა კონფლიქტის მხარეებს „ნებისმიერ ფორმატში“ მოლაპარაკებისკენ მოუწოდა. საპასუხოდ, სეპარატისტების თავდასხმებმა ქართულ სოფლებზე უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, სოფლები – ავნევი, თამარაშენი, ერედვი, ნული და ფრისი სასტიკად დაიბომბა, ქურთას პოლიციის შენობა მოწინააღმდეგის არტილერიის ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მოექცა, მშვიდობიანი მოსახლეობა სოფლებიდან გაიხიზნა.

7 აგვისტოს, ღამით, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს საპასუხო სამხედრო ოპერაცია ქალაქ ცხინვალზე კონტროლისა და რეგიონში წესრიგის დასამყარებლად. ამ დროისთვის 58-ე რუსული არმია როკის გვირაბის გავლით უკვე შემოსული იყო ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე.

8 აგვისტოს ქართულმა ჯარმა რამდენიმე სოფელი (მუგუთი, დიდმუხა, დმენისი, სარაბუკი და სხვ.) დაიკავა და ცხინვალის მისადგომებთან იმყოფებოდა. ზოგიერთმა ნაწილმა ქალაქში შესვლაც მოახერხა. რუსული სამხედრო ქვედანაყოფები საომარ მოქმედებებში ჩაებნენ; პარალელურად, რუსულმა ავიაციამ საქართველოს სხვა რეგიონების, მათ შორის, გორის და ფოთის, აგრეთვე, სტრატეგიული ობიექტების (ვაზიანის სამხედრო ბაზა, მარნეულის სამხედრო აეროდრომი და ა. შ.), საჰაერო დაბომბვებიც დაიწყო. მსოფლიოს არაერთი სახელმწიფოს ლიდერმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ რუსეთს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდა.

8 აგვისტოს საქართველოს საპატრიარქომ სპეციალური განცხადება გაავრცელა: „საქართველოს საპატრიარქო კიდევ ერთხელ დიდ შემფოთებას და გულისტკივილს გამოთქვამს ცხინვალის რეგიონში შექმნილი მდგომარეობის გამო. ცნობილია, რომ არის მსხვერპლი და დაჭრილები როგორც სამხედრო შენაერთებში, ასევე მშვიდობიან მოსახლეობაში.



სრულიადსაქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მოუწოდებს საქართველოს ეკლესიის მრევლს, გააძლიერონ ლოცვა მშვიდობისათვის, იკითხონ ფსალმუნნი და პარაკლისები.

დღეს, საღამოს 7 საათზე, სრულიადსაქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წმიდა სამების საკათედრო ტაძარში აღავლენს სამშვიდობო ლოცვას. ამავ დროს, ანუ 19.00 სთ-ზე საქართველოში ყველა მოქმედმა ტაძარმა უნდა ჩაატაროს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისი. გარდა ამისა, ტაძრებში ყოველდღე უნდა ჩატარდეს წირვა-ლოცვა საომარი მოქმედების შეწყვეტამდე“.

9 აგვისტოს ცხინვალის მისადგომებთან ბრძოლები გრძელდებოდა, რის შემდეგაც რუსეთის 58-ე არმიის ქვედანაყოფები და საჰაერო ძალების ფსკოვის 76-ე საჰაერო დივიზია ცხინვალში შევიდნენ. რუსეთის სამხედრო ავიაციამ ლიახვის ხეობის ცხრავე ქართული სოფელი, აგრეთვე, სენაკის სამხედრო ბაზა, ფოთის პორტი, ვაზიანის აეროდრომის ასაფრენი ბილიკი და ონის რაიონის სოფლები წედისი და ბარი დაბომბა; სამხედრო ნაწილები, აფხაზურ ძალებთან ერთად, კოდორის ხეობაში შეიჭრნენ; ქალაქ კორში ყუმბარები ე. წ. კომბინატის დასახლებაში საცხოვრებელ კორპუსებს მოხვდა. დაიღუპა ათეულობით ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოსახლე.

9 აგვისტოს სრულიადსაქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოსა და ლუდუშაურის კლინიკაში დაჭრილი მეომრები მოინახულა. მან აკურთხა, ანუგემა და გაამხნევა დაჭრილები და გადასცა მათ ფულადი თანხა, შვიდგზის ლოცვები და ნუგბარი. საქართველოს ეკლესიის ყველა ეპარქიის სასულიერო პირები თავ-თავიანთ სამწყსოებში რჩებოდნენ, დადიოდნენ სოფლებსა და ქალაქებში, ნუგემს სცემდნენ ხალხს, მათთვის გასაჭირის შემსუბუქებას ცდილობდნენ.

კათოლიკოს-პატრიარქმა მსოფლიო თანამეგობრობას საქართველოში სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტის საქმეში ქმედითი დახმარების აღმოჩენა სთხოვა. მან შემდეგი შინაარსის განცხადება გამოსცა: „საქართველოს ეკლესია გამოხატავს დიდ მწუხარებას ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო და თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა და დაჭრილთა ოჯახებს – როგორც ქართველებს, ისე ოსებს. ეს ჩვენი საერთო ტრაგედიაა,

მაგრამ აუცილებელია ყველამ იცოდეს და, განსაკუთრებით, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობამ (ისევე როგორც აფხაზეთში მცხოვრებმაც), რომ მათ ქართველები არ ებრძვიან და მათი გაძევება არავის სურს. საქართველო თავისი საზღვრების მთლიანობას იცავს. ეს სურვილი სამართლიანია და ამას საერთაშორისო ნორმებიც ითვალისწინებს.

ყველამ იცის, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომია საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების შედეგია, რომელიც ჩვენს ისტორიულ ტერიტორიაზე მხოლოდ 80-90 წლის წინ შეიქმნა და იგი არ უნდა იქნას გამოყენებული სეპარატიზმის საფუძვლად.

ამ მიწა-წყალზე საუკუნეთა მანძილზე ქართველებთან ერთად ყოველთვის მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ოსებიც, ისევე როგორც აფხაზეთში – აფხაზები. ჩვენ კვლავაც მოსურნენი ვართ მშვიდობიანი თანაცხოვრებისა, მაგრამ ქართველი ერი ვერასოდეს შეეგუება თავისი საზღვრების ხელყოფას. საქართველოს არასდროს მიუტაცია სხვისი ტერიტორია, მაგრამ თავისას ბოლომდე დაიცავს. ასე რომ, ეს არის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლა და არა – ეთნოკონფლიქტი.

საქართველოს ეკლესია ყოველთვის იყო და არის პრობლემების სამართლიანი და მშვიდობიანი გზით გადაჭრის მომხრე, ხოლო მშვიდობა სამართლის გარეშე ვერ დამყარდება. ამიტომაც მივმართავთ რუსეთის ხელისუფლებას – შეწყვიტონ სრულიად გაუმართლებელი აგრესიული ქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე და თავისი მხარდაჭერით ნუ წაახალისებენ სეპარატისტულ ძალებს.

ასევე მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას და საერთაშორისო საზოგადოებას – გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რათა შეჩერდეს სისხლისღვრა და პოლიტიკური და სხვა გზები გამოიძებნოს სამართლიანობის აღსადგენად.

ეს არ არის მხოლოდ საქართველოსთვის და, თუნდაც, მხოლოდ კავკასიისთვის საჭირო ქმედება. აქ, ევრაზიის შესაყართან, მრავალი ქვეყნის ბედი წყდება.

საქართველოს ისტორია – განსაცდელების ისტორიაა. ჩვენ შევძლებთ გავუძლოთ შექმნილ პრობლემებსაც. მთავარია, დროულად გადაიდგას სწორი ნაბიჯები, რათა სიტუაცია კიდევ უფრო არ გართულდეს.

ლოცვას დიდი ძალა აქვს. ყველას კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, გააძლიეროთ ღვთისადმი ვედრება“.

10 აგვისტოს საქართველოს ჯარის ნაწილებმა ცხინვალის მისადგომებთან გადაინაცვლეს. ცხინვალთან წარმოებული ბრძოლების დროს დაიჭრა რუსეთის 58-ე არმიის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ხრულიოვი. რუსულმა ხომალდებმა საქართველოს შავიზღვისპირეთი დაბლოკეს, დასავლეთ საქართველოში სახმელეთო ჯარები შევიდნენ, სამხედრო ავიაციამ ქალაქი გორი და მისი მიმდებარე სოფლები, აგრეთვე, საავაციო ქარხნის „თბილავიამშენის“ ტერიტორია დაბომბა.

11 აგვისტოს თბილისში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი, აგრეთვე, ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს (უკრაინის, პოლონეთის, ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის) მეთაური ჩამოვიდა. რუსულმა ავიაციამ ცხინვალის რეგიონის და გორის რაიონის სოფლებზე, აგრეთვე, თბილისსა და მის შემოგარენზე, საჰერო შეტევა განახორციელა; სენაკის სამხედრო ბაზა და ზუგდიდის პოლიციის სადგური რუსმა სამხედროებმა დაიკავეს; გორიდან ქართული სამხედრო ნაწილების არაორგანიზებული უკანდახვეა დაიწყო.

რუსეთის არმიის ნაწილების სამხედრო მოქმედებების შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის სამღვდელთა, ეკლესია-მონასტრები; სერიოზულად დაზიანდა სოფელ ხეთის, იკორთის, ქემერტის, სვერის ეკლესიები; ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტის, მეუფე ისაიას (ჭანტურია) რეზიდენციის ტერიტორიაზე, სოფელ ზემო ნიქოზში, 32 ჭურვი ჩამოვარდა. მეუფე ისაია და ადგილზე მყოფი სხვა ადამიანები სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩნენ.

რამდენიმე დღით ადრე ზემო ნიქოზში სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსი მეუფე ანდრია (გვაზავა) იმყოფებოდა, რომელიც შემდგომში იკონებდა: „როცა ჩავედით ნიქოზში, ვნახეთ იქ მდგომარეობა. ამ დროს ქართული ნაწილები ცხინვალში შესვლას ცდილობდნენ... მივედით მეუფე ისაიასთან. მასთან საუბრის შემდეგ გადაწყდა იქიდან დედების გამოყვანა. თვითონ მეუფემ ნიქოზის დატოვებაზე უარი განაცხადა და დარჩენა ირჩია, რაც სრულებით გასაგები და ბუნებრივიც იყო. მეორე დღეს დედები გამოვიყვანეთ. მეუფის რეზიდენცია ჯერ დაბომბილი არ იყო“.

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის რეზიდენციის დაბომბვის ფაქტს მეუფე ისაია ასე იხსენებდა: „ვერ გეტყვით, რატომ მოხდა მონასტრის დაბომბვა. ეზოში სამი მანქანა იდგა... შესაძლოა, დაბომბვის საბაბიც ეს გახდა. თავიდან ვეცადეთ, მონასტრის მანქანა მოგვერიდებინა სროლებს და ცოტა მოფარებულ ადგილში დავაყენეთ, თუმცა, ვერც იქ გადაურჩა დაცხრილვას. მონასტრის საკუთრებაში გვყავდა ასევე ერთი მიკროავტობუსი, რითაც სოფლების მოსახლეობას ვემსახურებოდით. იმ დღეებში ამ ავტობუსით გავხიზნეთ მოსახლეობა, სხვა ტრანსპორტი აღარ არსებობდა.

შემდეგ მამა ანტონს ვთხოვე, ჩამოსულიყო ახალგორიდან, რათა აქ ერთი მოძღვარი მაინც ყოფილიყო. ამგვარად, ეზოში იდგა ჩემი მანქანა, მიკროავტობუსი და მამა ანტონის მანქანა. არ ვიცი, რა იფიქრეს და, შესაძლოა, ამ მანქანების დანახვამ განაპირობა მონასტრის დაბომბვა...

წირვის შემდეგ ყველანი სატრაპეზოში ვისხედით, ცოტა გაგვიგრძელდა საუბარი. იმ დღეს ჩვენთან ერთად იყო ერთი ჩვენი მეზობელი, რომელმაც ორი ღამე გაატარა მონასტერში. თვითმფრინავების ხმა რომ შემოგვესმა, მან გარეთ გაიხედა, შევძახეთ, შემოსულიყო და, როგორც კი მობრუნდა, ჩვენი დაბომბვაც დაიწყო.

ჩვენი სატრაპეზო ერთსართულიანი ნაგებობა იყო, მის გვერდით სენაკები გვქონდა. მარტო იმ ადგილას 12 ჭურვია ჩამოვარდნილი, შეიძლება მეტიც. ეს ნაგებობები მონასტრის ტერიტორიაზე არსებულ სასახლესაა მიშენებული, რომელიც შემადღებულ ადგილზე დგას და ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენს. ამიტომ, თითქოს მოფარებულ ადგილას ვიყავით, მაგრამ სასახლეს დაცემული ჭურვი შემდეგ ჩვენს ოთახს დაეცა. ყველანი ერთ ოთახში ვიყავით და მართლა ღვთის წყალობა იყო, რომ უკლებლივ ყველა გადავრჩით! ენით აუწერელად შემზარავი იყო ეს დაბომბვა“.

თვითმფრინავებით დაბომბვის შედეგად სამონასტრო ნაგებობა მთლიანად დაიწვა, სრულიად განადგურდა ეპარქიის ბიბლიოთეკა და არქივი. მეუფე ისაიამ სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი მორჩილები და სტუმრები ზიფათს გაარიდა. უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, მონასტერში მხოლოდ იგი და მამა ანტონი დარჩნენ. საომარი მოქმედებების მიუხედავად, მათ წირვები არ ჩაუგდიათ, ღვთისმსახურება ჩვეულებრივ განაგრძეს.

სოფელში დარჩენილი ადგილობრივი მცხოვრებლები, უმთავრესად, მო-

ხუცები, დაბომბვების დროს თავს სარდაფებს აფარებდნენ. სოფლის მოსახლეობის საქონელი უპატრონოდ იყო მიტოვებული. გაჩნდა დიზინტერიის გავრცელების საშიშროება.

12 აგვისტოს რუსეთის სამხედრო ნაწილებმა საქართველოს შეიარაღებული ძალები ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან გამოდევნეს. იმავე დღეს მათ გორი, ფოთი და საქართველოს რამდენიმე სხვა ქალაქი და რაიონი დაბომბეს, რის შედეგადაც რამდენიმე ადამიანი დაიღუპა.

შექმნილ ვითარებაში გორი მოსახლეობის ნაწილმა დატოვა – ახალგაზრდებმა, ქალებმა და ბავშვებმა; მამაკაცები და მოხუცები დარჩნენ. ქალაქში დარჩენილ მოსახლეობას სჭირდებოდა ყველაფერი: წყალიც, პურიც და დაცვაც.

მთავარეპისკოპოს ანდრეას თქმით, „ამ დღეების განმავლობაში ჩვენთან იყვნენ და თავდალებით იღვწოდნენ სასულიერო პირები – მცხეთა-თბილისის ეპარქიის, თბილისის წმიდა სამების მონასტრის სამძო, დასავლეთ ევროპის სასულიერო დასის წარმომადგენლები... აქ ჩვენ სარდაფი გვაქვს. დაბომბვა იწყებოდა საღამოს პირზე და დილით იყო ძირითადი დაბომბვა. ყველა ჩავდიოდით სარდაფში. რამდენიმე ღამის გათენება სარდაფში მოგვიწია...“

ასე გაგვქონდა ეს დღეები, ერთმანეთს ვამხნევებდით... ყოველდღე იყო ლიტურგიები, მსახურება ტაძარში არ შეწყვეტილა. ერთად ვმსახურებდით ყველა, ვაზიარებდით მრევლს... ჩვენ გამოვდიოდით დღისითაც და წირვის შემდეგ ვუვლიდით ქალაქს ნაკურთხი წყლის სხურებით, ვცდილობდით მოსახლეობის განმტკიცებას, დამშვიდებას, ნუგეშისცემას. სასულიერო პირები იყვნენ თავიანთი მსახურების ადგილზე სოფლებშიც, მათ შორის, იქაც, სადაც აქტიური საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა.

ამ დროს გვიგზავნიდნენ პირველადი მოხმარების აუცილებელ ნივთებს – საკვებს და საწვავს. საწვავს იმიტომ, რომ ჩვენს ეკლესიას გააჩნია მცირე საცხობი, რომელიც ემსახურება საეპისკოპოსო რეზიდენციასთან არსებულ უპოვართა სასადილოს, მათთვის პურს აცხობს. ეს ჩვენი საცხობი ერთი კვირის განმავლობაში გახდა ერთადერთი ადგილი ქალაქში, სადაც პური ცხვებოდა. კეთდებოდა სადილი, ცხვებოდა პური და უსასყიდლოდ ურიგდებოდა მოსახლეობას. გაზი, რა თქმა უნდა, გადაიკეტა, რადგან გაზი

საშიშია, რათა ხანძარი არ მოხდეს. ამიტომ, ჩვენი საცხოვრებელი დიზაინის საფუძველზე მუშაობდა.

ყველასთვის თვალსაჩინო იყო, რომ საქართველოს ეკლესია და, უპირველეს ყოვლისა, მისი წინამძღოლი და მამამთავარი, ჩვენი პატრიარქი დგას ქვეყნისა და ერის სამსახურში და სრულებით იზიარებს განსაცდელს, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას.

ეს არ არის რაღაც განსაკუთრებული, ეს არის ის ყოველდღიური ცხოვრება, რასაც ეკლესია განახორციელებს. ეს არის ის ყოველდღიური მსახურება, რომელიც არის მიღებული მართლმადიდებელ ეკლესიაში: მშვიერობა დაპურება, მწყურვალთა დაწყურება, მწუხარება ნუგეშისცემა, ობოლთა, ავადმყოფთა და პატიმართა მოკითხვა და მიცვალებულთა დაკრძალვა. ეს არის ეკლესიის ცხოვრება და მის ყოველდღიურობას წარმოადგენს.

უბრალოდ, განსხვავება ის იყო, რომ ეს საგანგებო მდგომარეობაში აღესრულებოდა, თუმცა ისიც მინდა ვთქვა, რომ თუკი ყოველივე ამას ადამიანი არ აკეთებს ყოველდღიურ ყოფაში, როდესაც აქვს ამისთვის ყოველგვარი პირობები, – განსაცდელის ჟამს ამას ვეღარ გააკეთებს, ამისთვის სულიერი ძალები არ ექნება. ანუ თუ ეს არის შენი ყოველდღიური ცხოვრების წესი, მაშინ ამის ერთგული დარჩები განსაცდელის ჟამსაც და რაც არ გაგიკეთებია მშვიდობიანობის დროს, მით უფრო ვერ გააკეთებ ამას მაშინ, როდესაც ამის შესაძლებლობა შეზღუდულია და შენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

ამიტომ, მე ვერ ვიტყვი, რომ რაღაც განსაკუთრებული გააკეთა ეკლესიამ; ჩვენ გავაკეთეთ ის, რასაც ეკლესია მუდამ ადასრულებს და რაც უნდა გავგვეკეთებინა ღვთისა და ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის წინაშე“.

12 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოდიოდა. სამშვიდობო ინიციატივით ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი თბილისში ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის – საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ჩამოვიდა. მან მებრძოლ რუსულ და ქართულ მხარეებს ჩიხიდან გამოსვლის ექვსპუნქტიანი გეგმა შესთავაზა.

იმავე დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ რუსეთის პრეზიდენტს – დიმიტრი მედ-

ვედევს მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც ცეცხლის სასწრაფოდ შეწყვეტისა და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოუწოდა. მიმართვაში კათოლიკოს-პატრიარქი, სახელდობრ, აღნიშნავდა: „თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, მოგმართავთ თქვენ, რუსეთის პრეზიდენტსა და მთავარსარდალს საქართველოსთვის და არა მარტო ჩემი ქვეყნისთვის მძიმე დღეებში.

როგორც ცნობილია, რუსული თვითმფრინავები ბომბავენ ქართულ სოფლებსა და ქალაქებს – მართლმადიდებლები კლავენ მართლმადიდებლებს!

დაზოცილთა და დაჭრილთა შორის არიან ბავშვები, ქალები, მოხუცები, ჟურნალისტები... სულ ახლახანს დაბომბეს ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ისაიას რეზიდენცია, რომელიც საკათედრო ტაძრიდან 50 მეტრითაა დაშორებული. თვითონ მეუფე და მისი მორჩილები სასწაულით გადარჩნენ. იბომბება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები...

ასე რომ, რუსი მეომრების მიერ არ ხდება მხოლოდ ქართული სამხედრო დანიშნულების ობიექტების გაუვნებელყოფა, როგორც ამას რუსი ჟურნალისტები აცხადებენ.

რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ იმასაც, თითქოს ქართველები არიან ოკუპანტები, რომელთაც მოაწვევს გენოციდი, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ტყუილია.

ჩვენ გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას ათასობით გარდაცვლილის, – როგორც ქართველის, ისე ოსებისა და რუსების გამო და დიდად ვწუხვართ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იყო და არის პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრე. ჩვენ აღრეც ამის შესახებ არაერთხელ ვაცხადებდით და ახლაც იგივეს ვიმეორებთ. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ცხინვალის რეგიონი, – სამხრეთ ოსეთი არის ძირძველი ქართული მიწა, სადაც ოსთა ძირითადი ნაწილი XVII საუკუნეში გადმოსახლდა, ხოლო ოსეთის ავტონომია გასული საუკუნის 20-იან წლებში კომუნისტების მიერ შეიქმნა.

ამიტომაც, საზღვრების მთლიანობის აღდგენის მცდელობა არ შეიძლება შეფასდეს როგორც თავდასხმა ანდა ეთნოკონფლიქტი. ეს იგივეა, რომ

მოულოდნელად რუსეთს შეექმნას პრობლემა ნოვეკოროდთან ან სმოლენსკთან მიმართებაში და მან დაიცვას თავისი ტერიტორია. მითუმეტეს, რომ თქვენს ქვეყანას აქვს მსგავსი გამოცდილება ჩეჩნეთში.

ბატონო პრეზიდენტო, მე იმედი მაქვს თქვენი კეთილგონიერებისა.

ამ ომში ვერავინ იქნება გამარჯვებული.

რუსულ-ქართულ ურთიერთობებში მძიმე პერიოდები ყოფილა, მაგრამ სიტუაცია ღია საომარ მოქმედებამდე არ მისულა. ამიტომაც, ეს არის განსაცდელი არა მარტო საქართველოსთვის, ანდა რუსულ-ქართული ურთიერთობისთვის, არამედ რუსეთისთვისაც.

აღნიშნული სიტუაციის გაგრძელება კატეგორიულად დაუშვებელია. ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ვიდრე სრულად არ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მუდამ იქნება დაძაბულობა და კონფლიქტის საშიშროება. ერთადერთი გამოსავალი ცეცხლის უსწრაფესად შეწყვეტა და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებაა, რათა აღდგეს სამართლიანობა. სადაც არ არის სამართლიანობა, იქ არ არის მშვიდობაც!

ვფიქრობ, ღვთის შეწევნით დავძლევეთ დაპირისპირებას და მშური ურთიერთობა კვლავ განახლდება.

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ხალხები მშვიდობითა და კეთილდღეობით“.

კათოლიკოს-პატრიარქმა ანალოგიური შინაარსის მიმართვა რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინსაც გაუგზავნა.

12 აგვისტოს ილია II-ს მხარდამჭერი წერილი მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოს I-მა გამოუგზავნა. იგი აღნიშნავდა: „უწმიდესა და უნეტარესს, სრულიადსაქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ქრისტეს მიერ საყვარელ ძმას და თანამწირველ ილია II-ს.

მშური და უფლისმიერ ამბორით გაუწყობთ: გულდამძიმებულნი თქვენთვის მოყენებული ტკივილის გამო, ცრემლიანი თვალებით უკვე რამდენიმე დღეა თვალყურს ვადევნებთ ღვთის მორწმუნე ქართველ ერზე მოულოდნელად თავს დატეხილ ტრაგედიას: უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლის ღაღადი ყურთ ჩაგვესმის. ჭრილობებით მიყენებული ტკივილი, ძალდატანებით გადაადგილებულთა უბედურება, საყვარელ ადამიანთა დანაკარგით გლოვა, უპასუხოდ დარჩენილი გასაჭირი, მიტოვებულ, უძლურ მოხუცთა შიში, რომელიც განიცადა ერთნაირად ქართველმა და ოსმა ხალხმა. თქვენი ჯვარი



დღეს ჩვენი ჯვარიც ხდება. თქვენთან ერთად ჩვენც ვგლოვობთ და გულს გვტკენს საქართველოზე თავს დატეხილი უბედურება.

მუხლს ვიდრეკთ მშვიდობის მთავრის წინაშე, სულის სიღრმიდან ვევედრებით და ლოცვებს აღვაველებთ უფლის მიმართ, რათა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეოხებით, დიდმოწამე გიორგის და მოციქულთასწორის წმიდა ნინოს შეწევნით თქვენს ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგუროს, შვება მიეცეს დატანჯულ ერს, ხოლო მტრის მშვილდები შემუსროს და „საჭურველი და ფარები დაწუას ცეცხლითა“ (ფს. 45, 10), დასრულდეს მართლმადიდებელ ქრისტიანთა ძმათაშკველელი ომი, დამყარდეს ღმრთივმონიჭებული ერთსულოვნება კავკასიის მოწამებრივ მიწაზე.

წმინდაო ძმაო, მედგრად იდექით ქარიშხლის წინაშე, რადგან თქვენ ხართ ნუგეშინისმცემელი და მეოხი ღირსეული ქართველი ქრისტიანი ხალხისა. უწყვეტი ლოცვითა და დიდი სიყვარულით გვიგულებთ თქვენ გვერდით, თანამოსაგრეობით, თანაგრძნობით და ღვთისადმი სასოებით. ვეამბორებით თქვენს ღირსეულ უნეტარესობას მხურვალე ქრისტესმიერი ამბორით. ღმერთი სიყვარულისა და მშვიდობისა იყავნ თქვენ თანა“.

13 აგვისტოს, დილით, რუსული სამხედრო ნაწილები და ოსური შეიარაღებული ფორმირებები ზემო ნიქოზში შევიდნენ. მათ სოფელში დარჩენილი რამდენიმე ადგილობრივი მოსახლე მოკლეს, გაძარცვეს სახლები, წაიღეს ყველაფერი, რაც მოეწონათ ან, უბრალოდ, ხელში მოხვდათ. მოსახლეობა უძძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაროდორებმა ეპარქიის მთავარი საკათედრო ტაძარიც გაძარცვეს. ოკუპანტების ნაწილი სოფელში დარჩა, ნაწილმა კი გზა გორისკენ განაგრძო. რუსული ფორმირებები გორში სხვა მიმართულებებიდანაც შევიდნენ.

13 აგვისტოს, საღამოს, ქართული საჯარისო ნაწილები გორიდან გავიდნენ. ქალაქში ჯერ გაუგებარი შეიარაღებული ფორმირებები (ოსები, კაზაკები და სხვ.) შევიდნენ, ხოლო შემდეგ, 24 საათის ინტერვალით, რუსული რეგულარული საჯარისო ნაწილები. ამ დროისთვის გორში საშინელი ძარცვა-გლეჯის პროცესი მიმდინარეობდა – მაროდორებმა მშვიდობიანი მოსახლეობა გაძარცვეს, რასაც ამ უკანასკნელთა შორის მსხვერპლი მოჰყვა. რუსმა სამხედროებმა გორის შესასვლელთან დასავლეთ საქართველოსკენ მიმავალი ცენტრალური საავტომობილო ტრასა გადაკეტეს.

ასეთი უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, გორში დარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობა უაღრესად ღირსეულად იქცეოდა, მოქალაქეებმა ძალზე მაღალი თვითშეგნება გამოავლინეს, ვინმეს ან რომელიმე დაწესებულების გაძარცვის ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა.

მთავარეპისკოპოს ანდრიას მოგონებიდან: „შექმნილ ვითარებაში ჩვენი სამღვდელთა, რაც მასზე იყო დავალებული, მაქსიმალურად აკეთებდა. ძალზე გვეხმარებოდა ის თანადგომა და მხარდაჭერა, რომელიც ჩვენი უწმინდესის და, ზოგადად, საპატრიარქოს მხრიდან იგრძნობოდა. ჩვენ დავურეკეთ პატრიარქს და რჩევა ვკითხეთ. აქ ყოფნა მარტო ჩემი ყოფნა არ იყო, ჩემთან ერთად იყვნენ სასულიერო პირები და დედეები.

პასუხისმგებლობა არ იყო მხოლოდ საკუთარ თავზე, იყო იმ ადამიანებზე, რომლებიც ჩვენ გვერდით იყვნენ და ვფიქრობდით, ისინი აქაურობას გაგვერიდებინა. როდესაც პატრიარქს ამის შესახებ ვუთხარით, მან თქვა, ყველა დარჩესო. როდესაც მისი სიტყვები მოვისმინეთ, მაშინ გულზე მოგვეშვა... რასაკვირველია, ეს სიტყვები ყველას გადავეცი, რადგან მათაც სჭირდებოდათ ეს შინაგანი ღერძი, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ისინი აქ უნდა იყვნენ, და ასეთია ეკლესიის კურთხევა და მისი პოზიცია... დედეებმა ჩვენთან ერთად გადაიტანეს ყველაფერი, რაც იმ დღეებში ხდებოდა“.

14 აგვისტოს შეიარაღებული პირები სამთავისისა და გორის ეპარხის რეზიდენციაში შეიჭრნენ. მეუფე ანდრია: „ჩვენთან ხალხი მოდიოდა ნაშუადღევს, როცა პური ცხვებოდა. მოსახლეობა საცნობთან გროვდებოდა, როდესაც ინტენსიური სროლა ატყდა. შეშინებულმა ხალხმა თავი ეკლესიას შეაფარა. ამ დროს ეზოში შემოვიდა შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი. შერეული ეროვნების ხალხი იყო – ოსებიც, რუსებიც...“

მათთან გავედი. ჩვენი სასულიერო პირები, დედეები და ხალხი კედელთან ჰყავდათ მიყენებული, მეც კედელთან დამაყენეს. ძალზე ნერვიულობდნენ. ჩემი და სამების ლავრის მანქანები გარეთ იდგა. ერთ-ერთი ადამიანი, ალბათ, მათი მეთაური, ყვიროდა, მანქანების გასაღებები მომეცითო. მომიწია მეც ხმის აწევა, რა გაყვირებს, აქ არავინ არის შეიარაღებული, ვართ სასულიერო პირები და ქალები. რაც გინდა, მოკიდე იმას ხელი და წადი, არავინ გეუბნება უარს! უცბათ, ეს ადამიანი თითქოს გამოფხიზლდა, დამშვიდდა. უფრო ძარცვის ინტერესი ჰქონდათ, ჯიბეები ყველას გაუჩხრიკეს და, ბო-

ლოს, წასვლისას ერთმა ჯვარი მაჩვენა, მეც ქრისტიანი ვარო“.

14 აგვისტოს სრულიადსაქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს გორსა და ნიჟოზში შესასვლელად სამშვიდობო კორიდორის გაკეთება სთხოვა, რაც რუსულმა მხარემ შეასრულა. ამ მნიშვნელოვანი მისიის განხორციელებაში პოზიტიური როლი შეასრულა რუსეთის ეკლესიის საგარეო ურთიერთობების განყოფილების თავმჯდომარემ მიტროპოლიტმა კირილემ.

15 აგვისტოს თბილისში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ჩამოვიდა. საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის 6-პუნქტიან გეგმას. მომდევნო დღეს გეგმას ხელი რუსეთის პრეზიდენტმაც მოაწერა, რის შემდეგაც რამდენიმე დღის განმავლობაში რუსეთის საჯარისო ნაწილებმა და სხვა შეიარაღებულმა ფორმირებებმა, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გარდა, საქართველოს სხვა ტერიტორია თანდათანობით დატოვეს.

15 აგვისტოს კათოლიკოს-პატრიარქი, სასულიერო პირებისა და მონაზვნების დიდ ჯგუფთან ერთად, გორში შებრძანდა. იგი შეხვდა ქალაქში დარჩენილ მოსახლეობას, რომელიც სასოწარკვეთილების ზღვარზე იდგა, ანუგეშა ისინი, სურსათ-სანოვაგე, პირველადი ჰიგიენის საგნები და მედიკამენტები გადასცა. პატრიარქის ჩასვლას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისმა დანახვამ, უდიდესმა სითბომ და სიყვარულმა განსაცდელში მყოფი ადამიანები გაამხნევა და სულიერად გააძლიერა.

გორის შემდეგ ილია II ცხინვალიდან ერთი კილომეტრით დაშორებულ სოფელ ზემო ნიჟოზს ეწვია. გზად, სოფელ შინდისში, მან მონახულა ის ადგილი, სადაც გააფთრებული ბრძოლების შედეგად ქართველი ჯარისკაცები დაიღუპნენ.

შემდგომში პატრიარქი იხსენებდა: „ეს იყო ის პერიოდი, როდესაც ვერც უბრალო ადამიანები, ვერც საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები (მათ შორის, წითელი ჯვარი) და პრესის წარმომადგენლები ვერ ახერხებდნენ იქ შეღწევას. მოვინახულეთ დარჩენილი მოსახლეობა და, რა თქმა უნდა, ჩვენი მღვდელმთავრები და სასულიერო პირები, რომელთაც დიდი საფრთხის მიუხედავად, არ დატოვეს ეს ეპარქიები“.

მიტროპოლიტ ისაიას მოგონებიდან: „15 აგვისტოს რამდენიმე ადამიანი ვისხედით და ვსაუბრობდით, როგორ უნდა მიგვეხედა სოფლისთვის და, აი, ამ დროს ატყდა ზარების რეკვა. უწმიდესი ჩამობრძანდა. ეს, იცით, რას ჰგავდა? აი, დიდი უამინდობის მერე ყველა ღრუბელი რომ გადაიყრება, ყველაფერი განათლება და მზე რომ გამოვა. მაშინ ჩვენ ვირწმუნეთ, რომ ამით დასრულდა ჩვენს თავზე მოწეული განსაცდელი“.

კათოლიკოს-პატრიარქი ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიას რუსი სამხედრო პირის, საბრძოლო მოქმედებების ზონის კომენდანტის, გენერალ ვ. ბორისოვის თანხლებით ეწვია. ილია II ნიქოზში დარჩენილ მოსახლეობასაც შეხვდა, ისინიც მამამვილურად გაამხნევა; სასულიერო პირებმა მათაც დაურიგეს სურსათ-სანოვარე, პირველადი ჰიგიენის საგნები და მედიკამენტები. მას შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სწორედ მონასტერი იყო ის ადგილი, საიდანაც ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის პროლექტების დარიგება.

ტაძარში ლოცვის შემდეგ, სამრევლო სკოლის შენობაში შეხვედრა გაიმართა. მეუფე ისაია: „პატრიარქთან ერთად გენერალი რომ იყო აქ ამოსული, მას ვუთხარი, ნახეთ, როგორ დაგვბომბეს-მეთქი? მან მიპასუხა, გეფიცებით, მეც მოვხვდი დაბომბვაშიო. ამაზე მე მას მივუგე: კი, მაგრამ, თქვენ ზომ სამხედრო პირი ხართ-მეთქი. აღარაფერი უთქვამს...“. გენერალმა ბორისოვმა პირობა დადო, რომ მაროდინობა შეწყდებოდა – ამისთვის ადგილზე დახვრეტის ბრძანება იყო გაცემული და, ამიტომ, ძარცვას ვეღარავინ გაბედავდა. დაპირების მიუხედავად, მშვიდობიანი მოსახლეობის დაყრახლება და ძარცვა-გლეჯვა შემდგომში კვლავაც გაგრძელდა, თუმცა ოდნავ შემცირებული მასშტაბით.

მიტროპოლიტი ისაია: ”მაროდინობის ფაქტები ხშირია და ამის შესახებ რუსმა სამხედროებმა კარგად იციან. ძარცვა მხოლოდ ღამდამობით კი არა, დღისით-მზისითაც ხდებოდა... ჩვენი ახლობელი მოვიდა და შემატყობინა, ოსები სოფლიდან ძროხებს მიერეკებიანო. საქონელს მანქანით გავედევნეთ. ოსებმა რომ დაგვინახეს, ერთ-ერთმა ავტომატიანმა გამართული ქართულით მომმართა: ”გაჩერდი! სად მიდიხარ?“ ვუთხარი, საქმე მაქვს-მეთქი და რუსების პოსტს მივადექი. სამხედროებს მივმართე: თქვენ ზომ გაქვთ ბრძანება, აღკვეთოთ ძარცვა და ახლა გაარკვიეთ, რო-

გორ უნდა მოიქცეთ, ხომ ხედავთ, ნიქოზიდან ცხინვალისკენ მიერეკებიან საქონელს-მეთქი. მათ თავიდან მომიშორეს, არაფერი მოიმოქმედეს. თუმცა, როდესაც უკან მოვბრუნდი, ცოტა ხნის შემდეგ იმ პოსტის მეთაური მოვიდა და მითხრა, საქონელი უკან მოვაბრუნეთო. დიდი მადლობა გადავუხადე...

ერთი შემთხვევა იყო ასეთი – ფეხბურთის სტადიონია ქვევით, ხელოვნურ საფარიანი. შევიდნენ რუსი ჯარისკაცები სტადიონზე, ხელოვნური საფარი დაახვეს და წავიდნენ... ერთხელ, სამი საათის განმავლობაში რუსულ ბლოკოსტზე ვიდექით... ვხედავდით, როგორ ეზიდებოდნენ ქართული სოფლებიდან ნამარცვს, – წინ და უკან დადიოდნენ „ნივით“. მორიგ რეისზე ეს მანქანა საბარგულში ჩატენილი ტახტით ვიხილეთ, საბარგული ახდილი იყო და ტახტიც ყველას დასანახად, სანახევროდ გარეთ იყო გამოშვებული. ეს ყველაფერი დღისით-მზისით და რუსი სამხედროების თვალწინ ხდებოდა...“.

15 აგვისტოს, კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივით, კონფლიქტის ზონიდან ოთხი დაჭრილის გამოყვანა და ექვსი გარდაცვლილი ადამიანის გადმოსვენება მოხერხდა. ილია II-ის თხოვნით, სასულიერო პირებმა აღნიშნული საქმიანობა შემდგომშიც განაგრძეს. რუსმა სამხედროებმა გორის და ცხინვალის რაიონების სოფლებში მიმოსვლის, მიცვალებულთა გადმოსვენების, დაჭრილი და, ზოგადად, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანების საომარი მოქმედებების ზონიდან გამოყვანის უფლება მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებს მისცეს.

საქართველოს ხელისუფლება და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას სასულიერო პირებთან – მთავარეპისკოპოს ანდრეასთან, მიტროპოლიტ ისაიასთან, დეკანოზ ტარიელ სიკინჭალაშვილთან, მცხეთა-თბილისის, რუის-ურბნისის, სამთავისისა და გორის და ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიების მღვდელმსახურებთან მჭიდრო კოორდინირებით წარმართავდნენ. მორალურად და ფიზიკურად ყველაზე რთული 26 აგვისტოს ცხინვალიდან 43 ქართველი ჯარისკაცის თითქმის გახრწნილი ცხედრების გადმოსვენება იყო. როდესაც სახელდახელოდ მოწყობილი საფლავებიდან მათი ამოსვენება მიმდინარეობდა, პარალელურად, სეპარატისტები რუსეთის ხელისუფლების მიერ მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებას ზეიმობდნენ.

17 აგვისტოს, თბილისის ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში გამართული წირვის შემდეგ, საკვირაო ქადაგებაში ილია II-მ ბრძანა: „ორი დღის წინ ჩვენ მოგვეცა საშუალება ჩავსულიყავით გორსა და ნიქოზში. ამ საქმეში ჩვენ რუსეთის ეკლესია დაგვეხმარა. მადლობელი ვარ რუსეთის საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარის, მიტროპოლიტ კირილესი, რომლის ძალისხმევითაც ეს გახდა შესაძლებელი.

ჩვენ ვიყავით იმ რეგიონში, სადაც საშიში მდგომარეობაა. ეს ადგილები დღეს თითქმის დაცლილია, მოსახლეობა, ძირითადად, გახიზნულია. გვქონდა შეხვედრა ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ისაიასთან და გორისა და სამთავისის მთავარეპისკოპოს ანდრიასთან, შეეხვედით ხალხს, იქ დარჩენილ მოსახლეობას, რომლებიც სასოწარკვეთაში არიან.

ჩვენმა ჩასვლამ იქ იმედი ჩაიტანა; ჩვენ ვანუგეშეთ ჩვენი ძმები და დები, ჩვენი სულიერი შვილები. ყველაფერი გავაკეთეთ, რათა იმედი ჩაგვესახა მათთვის. მათ ყველაფერი აკლიათ, ახლა იქ სიტუაცია არეულია, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მდგომარეობა შეიცვლება.

მინდა ყველას გითხრათ: დღეს, როგორც არასდროს, ერი უნდა იყოს ერთ მუშტად შეკრული. გვჭირდება ერთი ძალა, ერთი ნება, რომ ვძლიოთ მტერს. დღეს ყველანი დათრგუნულები ვართ, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენი ჯარია დათრგუნული. ჩვენ გვესმის თქვენი განსაცდელი, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ დამარცხებულნი არ ვართ!“

რამდენიმე დღეში საქართველოს საპატრიარქომ შემდეგი შინაარსის მიმართვა გაავრცელა: „მოგმართავთ ქრისტესმიერი სიყვარულით და ღრმა მწუხარებით გაცნობებთ, რომ ა. წ. 8 აგვისტოდან დაიწყო საომარი მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე, რის შედეგადაც გარდაიცვალა, დაიჭრა და დაზარალდა მრავალი ადამიანი. თბილისს მოაწყდა იძულებით გადაადგილებულთა ახალი ტალღა, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათეულ ათასს შეადგენს. მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

ლტოლვილებს არა აქვთ საჭმელი, ტანსაცმელი, ღამის გასათევია, ელემენტარული საყოფაცხოვრებო ნივთები, პირველადი მოხმარების საგნები და მედიკამენტები. განსაკუთრებით საჭიროა კარვები, საბნები, ბალონის გაზქურები, ლეიბები, სარეცხი საშუალებები, ტანსაცმელი, ჭურჭელი, გასაშლელი სკამები, მაგიდები, ფქვილი, შაქარი, ბურღულეული, მშრალი საკვები, ზეთი,

მარილი, კონსერვები. ასევე გვესაჭიროება წამლები: ტკივილგამაყუჩებელი, დასამშვიდებელი და სხვა...

თუ გაქვთ შესაძლებლობა, მაღლიერნი ვიქნებით, თუ შეეწევით უმწეოდ დარჩენილთ, დახმარება შეგიძლიათ გამოგზავნოთ საქართველოს საპატრიარქოს სახელზე“.

ავვისტოს ომის დღეებში ეკლესია-მონასტრებმა დიდი როლი შეასრულეს მშვიდობიანი მოსახლეობის გადარჩენის საქმეში. ხალხის ნაწილმა თავი ატენის ხეობაში დედათა მონასტერს, აგრეთვე, ატენის სიონს შეაფარა, ნაწილმა – ქვათახევის მამათა მონასტერს, ზოგმაც სხვა მონასტერს მიაშურა. ეკლესია-მონასტრებში თავშეფარებულ რამდენიმე ათას ადამიანს დახმარებას საქართველოს საპატრიარქოს, ცალკეული ეპარქიების მრევლის წარმომადგენლები, ბიზნესმენები უწევდნენ. იმ დღეებში ეკლესია იყო, ფაქტობრივად, ერთადერთი პუნქტი, სადაც პურისა და საკვების მიღება შეიძლებოდა.

25 ავვისტოს რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – დუმამ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარა, რასაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ს შემდეგი შინაარსის განცხადებით გამოეხმაურა: „საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის აქტიური საომარი მოქმედებები დასრულდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გრძელდება დაპირისპირება ჩვენს ქვეყნებს შორის და იგი უფრო საშიშ ფაზაში გადადის, რაც დღეს, 25 ავვისტოს, რუსეთის დუმის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის), – ძირძველი ქართული მიწების დამოუკიდებლობის აღიარებაში გამოიხატა.

ოღითგანვე საქართველო იყო სხვადასხვა კულტურებისა და ცივილიზაციების გადაკვეთის ადგილი, ამასთან, ხშირად მათი შეჯახების არენაც.

ყველა დაპირისპირებულ მხარეს თავისი მიზანი ამოძრავებდა, ჩვენს ერს კი, ბუნებრივია, ჰქონდა თავისი ინტერესი – ტერიტორიული მთლიანობის და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ეს ინტერესი ჩვენთვის დღესაც უცვლელია და ჩვენ, ჩვენი წინაპრების მსგავსად, შევეცდებით ამ მიზანს ვემსახუროთ.

განსაკუთრებით სამწუხაროა ის, რომ რუსეთი და საქართველო ორივე

მართლმადიდებელი ქვეყანაა და დაპირისპირება და ომი სწორედ ერთ-მორწმუნე ერებს შორის მოხდა.

უნდა გვახსოვდეს, ეშმაკი ყოფს, ღმერთი კი აერთიანებს.

რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობით მსოფლიოში ხელი ეწყობა სეპარატიზმს და, ამიტომაც, საერთაშორისო საზოგადოება ვალდებულია, ხმა აღიმადლოს ამის წინააღმდეგ.

სეპარატიზმი გადამდები, ცენტრიდანული, საშინელი ძალაა, რომელიც ანგრევს სახელმწიფოს საფუძვლებს და, თუ მას სერიოზული გაქანება მიეცა, დედამიწას ქაოსი მოიცავს. მცირე ერები ყველა სახელმწიფოშია და მათ რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოინდომონ, ბუნებრივია, დაიწყება დაუსრულებელი ომები.

მივმართავ რუსეთის პრეზიდენტს, ბატონ ღიმიტრი მედვედევს და პრემიერ-მინისტრს, ბატონ ვლადიმერ პუტინს – საქართველოდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოყოფა მეტად საშიშია თვითონ რუსეთისათვის. ეს მისცემს ბიძგს თქვენს ქვეყანაშიც სეპარატიზმის განვითარებას და მომავალში თქვენ გაცილებით მეტი პრობლემები გექნებათ, ვიდრე ეს დღეს საქართველოშია. ამაზე ღირს დაფიქრება.

იმ დროს, როცა უკვე დაიდვარა ოსების, რუსების, ქართველების სისხლი, ჩვენ შორის ვითარების კიდევ უფრო გამწვავება დაუშვებელია. დუმის დადგენილება ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებული გადაწყვეტილებაა და ჩვენივე ქვეყნების კეთილდღეობისთვის გთხოვთ, იგი არ დააკანონოთ“.

სამწუხაროდ, 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ფაქტს ქართველი ხალხი, საქართველოს სახელმწიფოს მოსახლეობა არასდროს შეურიგდება.



## მეგობრობა გზად და ხილად. ილია II-ის ვიზიტები საზღვარგარეთ

2007 წლის 1 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დელეგაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ილია II-ის მეთაურობით მოსკოვში გაემგზავრა. მის უწმიდესობას თან ახლდნენ მრავალრიცხოვანი ოფიციალური და არაოფიციალური პირები: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, სასულიერო პირები, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ოფიციალურ დელეგაციაში იყვნენ: ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), ზუგდიდისა და ცაიშის მთავარეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე, „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი აკადემიკოსი რონი მეტრეველი, არქიმანდრიტი დავით (ჭინჭარაული), თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის პრორექტორი დეკანოზი გიორგი (ზვიადაძე), არქიდიაკონი დემეტრე (დავითაშვილი), ქართული ტელემაუწყებლობა „ივერია“-ს ხელმძღვანელი გიორგი ანდრიაძე, „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ კოორდინატორი ერეკლე ჟორდანიას, სახელმწიფო მინისტრი ინტეგრაციის საკითხებში ზინაიდა ბესტაევა.

არაოფიციალურ დელეგაციაში იყვნენ: ხონისა და სამტრედიის მთავარეპისკოპოსი საბა (ვიციბერია), ვანისა და ბაღდათის მთავარეპისკოპოსი ანტონ (ბულუხია), დეკანოზი მიქაელ (ბოტკოველი), დეკანოზი ზაქარია (მაჩიტაძე), დეკანოზი ბასილი (კიკვაძე), მონაზონნი: ალექსანდრა, ელენე, მარიამი, ქეთევანი, კინორეჟისორები: ელდარ შენგელაია, რეზო ჩხეიძე, მსახიობი გოგი ხარაბაძე; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი შორენა თეთრუაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს რელიგიათაშორის

ურთიერთობის კოორდინატორი ლელა ჯეჯელავა, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე პროფესორის სერგო ვარდოსანიძე, პროფესორი ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, საპატრიარქოს გამომცემლობის თანამშრომელი ირინა აბულაძე, პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი, მომღერალი თამარ ჭოხონელიძე, სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი.

სპეციალური რეისი მოსკოვის დროით 11 საათსა და 30 წუთზე დომოდეოვოს აეროპორტში დაეშვა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას მოსკოვის აეროპორტში დახვდნენ: კალუგისა და ბოროვსკის მიტროპოლიტი კლიმენტი, ისტრინის მთავარეპისკოპოსი არსენი, ეგორევსკის ეპისკოპოსი მარკი, „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მთავარი რედაქტორი პროფესორი სერგეი კრავეცი, დეკანოზი ალექსანდრე აბრამოვი, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ირაკლი ჩუბინიშვილი, საელჩოს თანამშრომლები.

ოფიციალური დელეგაციის წევრები დაბინავდნენ სასტუმრო „დანილოვსკაიაში“, არაოფიციალური დელეგაცია – სასტუმრო „აკადემიჩესკაიაში“. მცირე დასვენების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II თანმხლებ პირებთან ერთად ესტუმრა საქართველოს საელჩოს, ესაუბრა საელჩოს თანამშრომლებს. უწმიდესმა და უნეტარესმა დალოცა ისინი და აღნიშნა, იმ ურთულეს ვითარებაში, რომელიც დღეს რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა შორის არსებობს, საქართველოს საელჩო ყველაფერს აკეთებს თავისი თანამემამულეების ინტერესების დასაცავად. საქართველოს ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ირაკლი ჩუბინიშვილმა დიდი მოწიწება და მადლიერება გამოხატა მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მიმართ და გამოთქვა იმედი, რომ აღნიშნული ვიზიტი პოზიტიურ შედეგს გამოიღებდა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში.

2 მარტს მოსკოვში დილიდანვე ბარაქიანად თოვდა, ციოდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორისათვის შეკრებილიყო „ბაღშია გრუზინსკაიაზე“ მდებარე წმიდა გიორგის ეკლესიაში, სიყვარულითა და იმედით შეხვედროდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს, წმიდა სინო-

დის წევრებს, საქართველოდან ჩასულ სტუმრებს. წმ. გიორგის ეკლესიაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და მის თანმხლებ პირებს დახვდა ქართველი მოძღვარი მამა მაქსიმე (ჭანტურია). ტაძარში გალობდა წმ. სამების ვაჟთა გუნდი. უწმიდესმა და უნეტარესმა დალოცა მრევლი და მოუწოდა მათ, შეენარჩუნებინათ სულიერი სიმტკიცე და სამშობლოს სიყვარული ... თქვენ გელოდებათ თქვენი სამშობლო – ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა მისმა უწმიდესობამ.

იმავე დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ოფიციალური დელეგაციის წევრებთან ერთად საპატრიარქო რეზიდენციაში შეხვდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ, უწმიდეს ალექსი II-ს.

**მოსკოვისა და სრულიად რუსეთის კატრიარქის,  
უწმიდესი ალექსი II-ის სიტყვა სრულიად  
საქართველოს კათოლიკოს-კატრიარქთან,  
უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-სთან უმხვედრავში**

გულითადად მოგესალმებით თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, მივესალმები თქვენს ღირსეულ თანამგზავრებს წმიდა თავადი დანიელის უძველესი მონასტრის კელღებში.

მოხარულნი ვართ, მივილოთ მოძმე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი, რომელთანაც ერთმორწმუნე რუსეთს ამდენი საერთო აქვს: საუკუნოვანი კულტურული კავშირები, სულიერი სიახლოვე და ხალხთა ურთიერთობები, ისტორიული გზების გაერთიანება მრავალი წლის მანძილზე.

სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ჩემი და თქვენი ურთიერთობა, რომელიც ითვლის მრავალ წელს, ახლაც საკმაოდ ინტენსიური და გულითადია. გასული წლის ივლისში ჩვენ შევხვდით მსოფლიო რელიგიურ ლიდერთა სამიტზე მოსკოვში. ჩვენი შეხვედრისას დავრწმუნდით იმაში, რომ ჩვენ ვართ თანამოაზრენი იმ საკითხებში, რომლებიც აღელვებს თანამდეროვე კაცობრიობას.

თქვენმა ამჟამინდელმა ვიზიტმა საშუალება მოგვცა, კვლავ შევხვედროდით ერთმანეთს და გვესაუბრა არა წერილების საშუალებით, არამედ „პირისპირ“ (III, იოან.14). განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ამჯერად ჩვენ საშუალება გვექნება ერთად ჩავატაროთ საღვთო ლიტურგია უფლის მადლით აღდგენილ და თქვენივე მონაწილეობით ნაკურთხ ქრისტე-მაცხოვრის ტაძარში. სწორედ ერთობლივი ლიტურგია, როდესაც ჩვენ ერთი ბავით და გულით ვადიდებთ უფალს, გამოხატავს ჩვენს სრულ ერთიანობას უფალში და ყველაზე მეტად გვაერთიანებს.

გვსურს, რომ რწმენაში ერთიანობა გავრცელდეს ჩვენი ხალხების ურთიერთობის ყველა სფეროში. ჩვენ მუდამ ვლოცულობთ ამისთვის. დარწმუნებული ვართ, სწორედ ეს სურთ ჩვენი ეკლესიების ერთგულ შვილებს.

მიუხედავად პოლიტიკური ვითარების ცვალებადობისა, რაც, ისახება საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში, ნიშან-

დობლივია ის, რომ, ღვთის წყალობით, ტრადიციული მჭიდრო კავშირები ჩვენს ეკლესიებს, მათ წინამძღვრებს, მსახურებსა და მორწმუნეებს შორის რჩება თბილი და მეგობრული.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სამშვიდობო მოღვაწეობას, რომელიც თვით ქრისტემ დააკისრა ეკლესიას. ვიცით, თუ რამდენად დიდია მართლმადიდებელი ეკლესიის და პირადად თქვენი უწმიდესობის ავტორიტეტი ქართულ საზოგადოებაში, რაც ყოველგვარ პოლიტიკურ უთანხმოებაზე მაღლა დგას, მსგავსად სამების დიდებული საკათედრო ტაძრის გუმბათზე აღმართული ცხოველმყოფელი ჯვრისა. ეკლესიის დადებითი, გამამთლიანებელი ფუნქციის გაძლიერება, რასაც ხალხისთვის სულიერი აღორძინება მოაქვს, – აი, რას ეფუძვნება ჩვენი იმედი საქართველოს მომავალი კეთილდღეობისა, მისი საზოგადოებრივი ძალების შეთანხმებისა და ჩვენი ხალხების მუდმივი, ურყევი მეგობრობისა.

თქვენი უწმიდესობის ახლანდელი ვიზიტი დაკავშირებული ქრისტე-მაცხოვრის ტაძარში „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ XII ტომის პრეზენტაციასთან, რომელშიც შესულია უამრავი სტატია რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის შესახებ. ეს არის რუსი და ქართველი მეცნიერების ერთობლივი მუშაობის უდიდესი შედეგი. ის დაეხმარება მკითხველს, გეცნოს საქართველოს უძველესი ეკლესიების ისტორიას და შეიტყოს ბევრი რამ ქართველი ხალხის ცხოვრების შესახებ. ჩვენ ვაფასებთ როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში მცხოვრებ ქართული საზოგადოების ღვაწლს ჩვენი ერთობლივი სულიერი მემკვიდრეობის შენარჩუნებაში, რომელიც აახლოებს ჩვენს ერთმორწმუნე ხალხებს. სასიხარულოა ისიც, რომ თქვენთან ერთად აქ იმყოფებიან ქართული მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

2002 წელს ჩვენ გადმოგვცეს საქართველოს მოქალაქეთა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა მიმართვა სიმბოლურად მილიონი ხელმოწერით, რომელიც მიმართული იყო ორი ქვეყნის ხელმძღვანელობისადმი და მოუწოდებდა „ძმური, კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისაკენ ორ ერთმორწმუნე ხალხს შორის“. ამ მოძრაობაში, სახელწოდებით „რუსეთი – ჩემი მეზობელი“, მონაწილეობა მიიღეს ზურაბ წერეთელმა, გიორგი დანელიამ, ზურაბ სოტკილავამ, ნანი ბრეგვაძემ. მაშინ მე

ვთქვი, რომ მართლმადიდებელი ეკლესია მთავარი შემაერთებელი რგოლია ჩვენ შორის, თანაც შევახსენე, რომ პოლიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ ხალხის ნება. ამ სიტყვებს დღესაც ვიმეორებ.

ყველაზე რთულ დროსაც კი, როდესაც, ბოლოდროინდელი პოლიტიკური დაპირისპირების მსგავსად, ადვილი არ იყო რუსეთის ვიზის მიღება, ვცდილობდით ყველაფერი გაგვეკეთებინა, რაც ჩვენზეა დამოკიდებული. იანვარში მოსკოვს ეწვია ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი, რომელიც წარმატებით გამოვიდა XV საერთაშორისო სამობაო საგანმანათლებლო საკითხაზე, აგრეთვე წმიდა ტიხონის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ყოველწლიურ კონფერენციაზე, სადაც მეუფე ემზადება დისერტაციის დასაცავად.

ჩვენ ვცდილობთ, უზრუნველყოთ რუსეთში მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორისათვის სულიერი საზრდო და ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე. ვიმედოვნებთ, რომ თქვენ ამას მიხვდით, როდესაც ბრძანდებოდით დღეს წმიდა დიდმოწამე გიორგის ტაძარში „გრუზინიში“. იმ ტაძრებთან ერთად, სადაც მიმდინარეობს ღვთისმსახურება ქართულ ენაზე, მსგავსი ტაძრის გახსნა იგეგმება ვორონეჟშიც. ჩვენ შორის მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველები ჩვენი უახლოესი ძმებია. ბევრ მათგანს ღირსეული, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

2 მარტს მოსკოვის მაცხოვრის სახელობის ტაძრის სხდომათა დარბაზში გაიმართა „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მე-13 ტომის პრეზენტაცია. ენციკლოპედიის ამ ტომში ვრცელი მონაკვეთი ეთმობა საქართველოს ისტორიას, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიის ისტორიას. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს პირველი რუსულენოვანი წიგნია, რომელიც ცნობილი ქართველი ისტორიკოსების მონაწილეობით უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მეთვალყურეობით შეიქმნა. პრეზენტაციას უძღვებოდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმიდესი ალექსი II.

„მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მე-13 ტომის პრეზენტაციას ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტ-

როპოლიტი თეოდორე, ზუგდიდისა და ცაიშის მთავარეპისკოპოსი გერასიმე, ხონისა და სამტრედიის მთავარეპისკოპოსი საბა, ბაღდათისა და ვანის მთავარეპისკოპოსი ანტონი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორი დეკანოზი გიორგი (ზვიადაძე), არქიმანდრიტი დავითი (ჭინჭარაული), დეკანოზი მიქაელ (ბოტკოველი), არქიდიაკონი დემეტრე (დავითაშვილი), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს ტელესტუდია „ივერიის“ ხელმძღვანელი გიორგი ანდრიაძე, „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ კოორდინატორი საქართველოში დოცენტი ერეკლე ჟორდანიას, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, კინორეჟისორები: რეზო ჩხეიძე, ელდარ შენგელაია, მიხეილ ჭიაურელი (უმცროსი), მსახიობი გოგი ხარაბაძე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი შორენა თეთრუაშვილი, პროფესორი ნესტან (ელისაბედ) კირთაძე; მოსკოვის ქართული დიასპორას წარმომადგენლები, მოსკოვის წმ. გიორგის ეკლესიის ღვთისმსახური დეკანოზი მაქსიმე (ჭანტურია).

პრეზენტაციაზე რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას წარმომადგენდნენ: კრუტიცკისა და კოლომენსკის მიტროპოლიტი იუვენალი, სამოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი კირილი, კალუგისა და ბოროვსკის მიტროპოლიტი კლიმენტი, ტიხვინის მთავარეპისკოპოსი კონსტანტინი, ეოგრევსკის ეპისკოპოსი მარკი, „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მთავარი რედაქტორი სერგეი კრავეცი.

პრეზენტაციას დაესწრნენ: რუსეთის სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერი ლ.კ. სლისკა, რუსეთის ფედერაციას საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. პ. ტორშინი, მოსკოვის მერი ი. მ. ლუჟკოვი, რუსეთის კულტურის მინისტრი ა. ს. სოკოლოვი, რუსეთის სამრეწველო-სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ე.მ. პრიმაკოვი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი ა. დ. ნეკიპელოვი, მართლმადიდებელ ხალხთა საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი ვ. ა. ალექსეევი, რუსეთის მეცნიერების, კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, პრესის, ტელევიზიის წარმომადგენლები.

პრეზენტაციაზე სიტყვები წარმოთქმეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი II-მ, სრულიად საქართველოს პატრიარქმა

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, პროფ. სერგეი კრავეცმა, აკადემიკოს-  
მა თამაზ გამყრელიძემ, მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა, აკადემიკოსმა  
ალექსანდრე ნეკიპელოვმა, აკადემიკოსმა ევგენი პრიმაკოვმა.



## მოსკოვისა და სრულიად რუსეთის კატრიარქის, უწმიდესი ალექსი II-ის გამოსვლა

თქვენო უწმიდესობაგ!

ღრმად პატივცემულო მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე იური მის-  
ეილისძეგ!

ყოვლადსამღვდელონო, მღვდელმთავარნო, საზედამხედველო, მზრუნველ-  
თა, საზოგადოებრივი, სამეცნიერო საბჭოებისა და „მართლმადიდებლური  
ენციკლოპედიის“ გამოცემის საქველმოქმედო ასოციაციის პატივცემულო  
წევრებო! პატივცემულო სტუმრებო! დანო და ძმანო!

დღეს შევიკრიბეთ „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მორიგი  
XIII ანბანური ტომის საზეიმო წარდგენაზე. ეს ფუნდამენტური გამოცე-  
მა ხორციელდება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ და ყვე-  
ლა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის, სასულიერო და საე-  
რო მეცნიერთა თანადგომით, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან, ჩვენი  
ქვეყნისა და საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო, საგანმანათლებლო და  
კულტურულ ცენტრებთან საქმიანი თანამშრომლობით.

ეს უნიკალური სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტი ჩაფიქრებუ-  
ლი იყო ჯერ კიდევ 10 წლის წინ და ქრისტეშობიდან 2000 წელთან  
დაკავშირებით გამოვიდა ჩვენი „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ I  
ტომი. დღეს კი უკვე წარმოვადგენთ XIII ანბანურ ტომს და საერთო ჯამ-  
ში გამოცემის 14 ტომს.

ამ ხნის განმავლობაში ჩამოყალიბდა ძლიერი და მრავალმხრივი  
სააგტორო კოლექტივი, გაძლიერდა სამეცნიერო რედაქციები, ხოლო  
ჩვენ მიერ 10 წლის წინ შექმნილი საეკლესიო-სამეცნიერო ცენტრი  
„მართლმადიდებლური ენციკლოპედია“ ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერ-  
თი ყველაზე ავტორიტეტული სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესე-  
ბულება არა მარტო საეკლესიო, არამედ ჩვენი ქვეყნის საერო მეცნიერე-  
ბასა და კულტურაში.

საეკლესიო-სამეცნიერო ცენტრმა გააერთიანა მოსკოვისა და სანქტ-პე-  
ტერბურგის, ნიჟინი-ნოვგოროდისა და ყაზანის, ეკატერინბურგისა და ნო-  
ვოსიბირსკის მეცნიერები. საკმარისია იმის თქმა, რომ ამჟამად მოქმედებს

საეკლესიო-სამეცნიერო ცენტრის „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ 10-ზე მეტი წარმომადგენლობა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთის მრავალ ქვეყნებში: უკრაინასა და ბელორუსიაში, საქართველოსა და ბულგარეთში, საბერძნეთსა და იტალიაში, პოლონეთსა და სერბეთში.

სწორედ ამან მოგვცა შარშან საშუალება დაგვესახა ძალიან რთული, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სრულიად შესრულებადი ამოცანა – გადავსულიყავით წელიწადში ორი ტომის გამოცემიდან სამი ტომის გამოცემაზე. დღეს ჩვენ წარმოვადგენთ მეცამეტე ტომს.

საეკლესიო-სამეცნიერო ცენტრის – „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მთავარ ამოცანას წარმოადგენს მრავალტომიანი ფუნდამენტური ენციკლოპედიის სამეცნიერო მომზადება და გამოცემა, მაგრამ „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მიერ დღეისათვის დაგროვილი ინტელექტუალური და ორგანიზატორული პოტენციალი, მისი სამეცნიერო ავტორიტეტი გვაძლევს საეკლესიო-სამეცნიერო ცენტრის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი გაფართოების საშუალებას.

5 წლის წინ დაიწყო ყოველკვირეული სატელევიზიო პროგრამა „მართლმადიდებლური ენციკლოპედია“, შეიქმნა ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ინტერნეტ-პორტალი „www.sedmica.ru“, დაიწყო ღრმა სამეცნიერო კვლევები ჰაგიოგრაფიის, XX საუკუნის რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სფეროში. 2004 წელს საეკლესიო-სამეცნიერო ცენტრის ბაზაზე შეიქმნა XX საუკუნის რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სპეციალური არქივი, სადაც იგზავნებოდა ჩვენი ისტორიის ამსახველი ბევრი უნიკალური დოკუმენტი.

საეკლესიო-სამეცნიერო ცენტრმა „მართლმადიდებლურმა ენციკლოპედიამ“ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივთან თანამშრომლობით დაიწყო მუშაობა იმ საეკლესიო მასალების დაწვრილებით დასაბუთებულ აღწერაზე, რომლებიც დაცულია სახელმწიფო არქივში. ეს მუშაობა სრულდება და მალე გვექნება ამ დოკუმენტების მონაცემების თანამედროვე ელექტრონული ბანკი.

2005 წელს სამეცნიერო-საეკლესიო ცენტრ „მართლმადიდებლურ ენციკლოპედიასთან“ იქმნება კინოწარმოების მსხვილი ცენტრი, რომელიც რუსეთის ცენტრალური არხებისათვის ქმნის ყოველწლიურად რამდენიმე

ფილმს. ფართო აღიარებასა და კინოკრიტიკოსთა მაღალ შეფასებას იმსახურებენ ისეთი ფილმები, როგორიცაა: 10-სერიანი ფილმი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ „მიწიერი და ზეციური“, 5-სერიანი ფილმი პირველ ქრისტიანთა ისტორიის შესახებ, მომლოცველობა „მარადიულ ქალაქში“, ფილმები „წმიდა გიორგი“, „შფოთიანი დრო“, „ჯვარი სვასტიკის წინააღმდეგ“, „სტალინი და მესამე რომი“, „რუსეთის ეკლესიის ანგელოზი ხალხთა მამის წინააღმდეგ“ და მრავალი სხვა.

2006 წლიდან საეკლესიო-სამეცნიერო ცენტრმა ჩვენი კუთხევით დაიწყო ყოველკვარტლური სამეცნიერო ჟურნალის – „ეკლესიის ისტორიის ცნობარის“ გამოცემა, რომელიც ამ წლიდან უკვე მიეწოდება რუსეთის ყველა მსხვილ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ბიბლიოთეკას.

ცენტრის მრავალმხრივი მოღვაწეობა ხორციელდება არა მარტო მეცნიერების, ღვთისმეტყველების, ისტორიკოსების, ხელოვნებათმცოდნეების, მუსიკათმცოდნეების, მხარეთმცოდნეების თანამშრომლობის წყალობით, არამედ იმ საყოველთაო მხარდაჭერის წყალობითაც, რომელიც ჩვენმა უნიკალურმა პროექტმა მიიღო ფედერალურ სამინისტროებსა და სააგენტოებში, მოსკოვის მთავრობაში, ვოლოგდის, ირკუტსკის, მოსკოვის, მურმანსკის, სამარის ოლქების ხელმძღვანელობებში. ის ხორციელდება ისეთი საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების მხარდაჭერით, როგორებიცაა: „გაზმრეწვი“, „შემსალარო“, „მოსკოვის ბანკი“, „გაზმრეწვბანკი“, „საბაზო ელემენტი“ და სხვა.

მინდა ხაზი გავუსვა იმ როლს, რომელიც ამ პროექტის მხარდაჭერაში, მის ჩამოყალიბებაში შეასრულა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინმა. ჯერ კიდევ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ყოფნისას მან ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ ამ პროექტს ხორცი შესწმოდა, შემდგომში კი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტობისას, გააგრძელა მასზე ზრუნვა.

უნდა აღინიშნოს, რომ „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ გამოცემას წინ უძღოდა რთული სამუშაო, რომელიც განახორციელა მიტროპოლიტმა მაკარიმ (ბულგაკოვმა) სამეცნიერო გამოცემა „მართლმადიდებლურ ენციკლოპედიაში“ და შექმნა მრავალტომიანი „რუსეთის ეკლესიის ისტორია“. მაშინ ამ გამოცემას ერქვა სპასო-პრეობრაჟენსკის ვარლამის

მონასტრის გამოცემა. სწორედ მაშინ, მოსკოვის 850 წელთან დაკავშირებით, როდესაც მოსკოვის მთავრობის მხარდაჭერით დასრულდა „რუსული ეკლესიის ისტორიის“ გამოცემა, ჩვენ იური ლუჟკოვთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება საეკლესიო-სამეცნიერო ცენტრის – „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ შექმნის შესახებ.

ამ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩვენს საზოგადოებრივ საბჭოს, რომელმაც გააერთიანა ცნობილი თანამედროვე პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები. 2001 წელს „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ გამოცემასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი საბჭოს შექმნა 4 წლის წინ, რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო დუმის თავმჯდომარის, ბორის გრიზლოვის გადაწყვეტილებამ უხელმძღვანელოს ამ საბჭოს განამტკიცა ამ გამოცემის ავტორიტეტი და ხელი შეუწყო მისი საგანმანათლებლო მოღვაწეობის გაფართოებას.

ჩვენ დღეს წარმოვადგენთ „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ განსაკუთრებულ ტომს, ჩვენს სამუშაო პროცესში ალბათ ყველაზე რთულს. ეს ტომი იწყება ვრცელი და რთული სტატიით გრიგოლ პალამას შესახებ, დიდ მამაზე და მართლმადიდებელი ეკლესიის მასწავლებელზე. ტომში შესულია მნიშვნელოვანი სტატიები ისეთ სულიერ მოძღვრებზე, როგორებიც არიან გრიგოლ სინელი და გრიგოლ სასწაულმოქმედი, ვრცელი სტატია უფლის საფლავის ტაძარსა და დავით წინასწარმეტყველზე, ჰუმანიზმის ქრისტიანულ გაგებაზე და დალესტნის რელიგიური ისტორიის შესახებ.

ტომში ცენტრალური ადგილი უჭირავს სტატიების ბლოკს, რომელიც ეძღვნება ქრისტიანობის ისტორიას საქართველოში და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ვფიქრობ, რომ პირველად რუსულ ენაზე გამოდის საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და თანამედროვე ცხოვრების, მისი ტაძრებისა და სიწმინდეების, მისი მონასტრებისა და საეკლესიო-ისტორიული მოღვაწეების ასეთი ვრცელი და მრავალმხრივი სამეცნიერო აღწერა. სტატიებზე მუშაობა მიმდინარეობდა არაერთი წელი, მასში მონაწილეობას იღებდა ათეულობით ადამიანი როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში. არ დავმაღავ, რომ იყო სირთულეები, დაკავშირებული სხვადასხვა ისტორიულ მიდგომასთან და გარკვეულ პოლიტიკურ გავლენასთან.

მაგრამ ჩვენი საერთო სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ და ჩვენი ეკლესიების ძმური თანამშრომლობა გახდა საწინდარი ნაყოფიერი და წარმატებული მუშაობისათვის.

მთელი გულით მადლობას ვუხდი მის უწმიდესობას, უწმიდესსა და უნეტარეს ილიას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს იმ დიდი თანადგომისათვის, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, მისმა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გაუწიეს საეკლესიო-სამეცნიერო ცენტრს. მსურს მის უწმიდესობას გადავცე სერტიფიკატი „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ ყველა გამოცემულ და გამოსაცემ ტომზე, აგრეთვე სამეცნიერო ცენტრის მიერ შექმნილი კინოფილმების კოლექცია. ტრადიციულად პრეზენტაციებზე ჩვენ ვასახელებთ „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ ყველაზე აქტიურ ავტორებს, მის თანამდგომებს და კინოტელეკომპანია „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ თანამშრომლებს.

კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი უწმიდესსა და უნეტარეს ილიას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს თამაზ გამყრელიძეს.

**მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდესმა პატრიარქმა ალექსი II-მ გადასცა სერტიფიკატები „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ სრულ გამოცემაზე უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს თამაზ გამყრელიძეს.**

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის გამოსვლა

თქვენო უწმიდესობავ ალექსი II, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქო, უწმიდესო მწყემსმთავრებო, ქალბატონებო და ბატონებო!

გულითადად მოგესალმებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და მოსკოვში ჩამოსული ჩვენი დელეგაციის სახელით.

ჩვენ ჩამოვედით ფრიად საპასუხისმგებლო დროს, როდესაც რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ურთიერთობები საგრძნობლად გართულდა. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამისა, ჩვენმა მართლმადიდებელმა ეკლესიებმა და ხალხმა შეინარჩუნეს ძმური ურთიერთობები და კეთილი გრძნობები ერთმანეთის მიმართ. ვიმედოვნებთ, რომ ურთიერთობები ჩვენს სახელმწიფოებსა და ხელმძღვანელებს შორის უახლოეს მომავალში გაუმჯობესდება და მივხვდებით, რომ მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები უნდა იყოს სტაბილური და მეგობრული. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. არსებობს შესანიშნავი ბრძნული გამონათქვამი: დილით ამომავალ მზეზე ადრე ხედავ მეზობელს. საქართველოს სჭირდება ერთიანი მეგობრული რუსეთი. ჩვენ ძლიერ ვაფასებთ თქვენს კულტურას, პოეზიას, ლიტერატურას, რუსულ ფილოსოფიას. ჩვენი ხალხი პატივს სცემს გმირ რუს ხალხს. მე თვით დავწრბუნდი ამაში, როდესაც ჩვენი ღირსი და ღმერთშემოსილი მამის, სასწაულმოქმედი სერგი რადონეჟელის საფარველქვეშ რვა წელი გავატარე მოსკოვის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის კედლებში. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ რუსეთსაც სჭირდება ერთიანი და მეგობრული საქართველო. ეს დაძაბულობა, რომელიც წარმოიშვა ამ ბოლო დროს ჩვენს სახელმწიფოებს შორის, ჩვენთვის არაბუნებრივია და ზიანი მოაქვს ორივე მხარისთვის.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ვიზიტი ხელს შეუწყობს დაძაბულობის მოხსნას ჩვენს სახელმწიფოებს შორის და დაიწყება ახალი ეტაპი რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის განვითარებაში.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ გამოცემის ფაქტი არის ჩვენი დროის უდიდესი მოვლენა. მან გააერთიანა მთელი მართლმადიდებლური სამყარო სამეცნიერო ძიებებში

და საშუალება მისცა მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელ მეცნიერებს, გამოეთქვათ თავისი მოსაზრება იმ რთული მოვლენების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ადგილობრივი ეკლესიების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. ამ გამოცემით რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღმართა ხიდეები ჩვენს ეკლესიებს, ხალხსა და სახელმწიფოებს შორის. ჩვენმა ეკლესიებმა განვლეს ისტორიული ჩამოყალიბების, სულიერი სრულყოფისა და ნაციონალური თვითშეგნების სრული გზა. ჩვენს ისტორიაში არაერთი თეთრი ლაქაა, რომლებიც ჩვენს მეცნიერებს უნდა გამოეკვლიათ, რათა უამრავ კითხვაზე გაეცათ სათანადო და ობიექტური პასუხი.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალ თემაზე მუშაობდნენ გამოჩენილი ქართველი და რუსი მეცნიერები, რომლებიც სწორად და ობიექტურად აშუქებდნენ დასმულ საკითხებს და ცდილობდნენ, მუდმივ კონტაქტში ყოფილიყვნენ ჩვენი ეკლესიების ხელმძღვანელობასთან და „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოსთან. ენციკლოპედია ხშირად ეხებოდა საკითხებს, რომლებსაც სხვადასხვა ეკლესია სხვადასხვანაირად განმარტავდა. ამ შემთხვევაში ჩვენი მეცნიერები ატარებდნენ სათანადო კონსულტაციებს რედაქციის პასუხისმგებელ თანამშრომლებთან.

„მართლმადიდებლური ენციკლოპედია“ იმდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რომ დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში საჭირო გახდება მისი ახალი გამოცემა და მაშინ ჩვენ გვექნება საშუალება დავხვეწოთ ის უზუსტობები, რომლებიც გვხვდება პირველ გამოცემაში.

კიდევ ერთხელ მაღლობას ვუხდი მის უწმიდესობას მოსკოვში მოწვევისათვის და ძმური მასპინძლობისათვის. იმედს გამოეთქვამ, რომ წელს შედგება თქვენი საპასუხო ვიზიტი საქართველოში. საქართველო დიდი სიხარულითა და სიყვარულით ელოდება თქვენ ჩამობრძანებას, თქვენო უწმიდესობავ.

თქვენ იყავით და ხართ „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ გამოცემის ბრწყინვალე იდეის სულისჩამდგემელი. მრავალჟამიერ თქვენ! გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისა და წმიდა მართლმადიდებლობის საკეთილდღეოდ.

## **მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარის, მოსკოვის მერის, იური ლუშკოვის მისასალმებელი სიტყვა**

თქვენო უწმიდესობავ! ღრმადპატივცემულო რუსული და ქართული ეკლესიების მღვდელმთავრებო და მოძღვრებო, დანო და ძმანო, ქალბატონებო და ბატონებო!

ჩემთვის დიდი პატივია მონაწილეობის მიღება „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ XIII ტომის ამ უჩვეულო, შეიძლება ითქვას, ისტორიულ პტენენტაციაში.

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რომლებიც თან ახლავს „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ გამოცემაზე მუშაობას. ჩვენ ვქმნით ყველაზე მასშტაბურ რელიგიურ ენციკლოპედიას, როგორც კი ოდესმე შექმნილა. ვფიქრობ, რომ „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ გამოცემის საზედამხედველო, მზრუნველთა და საზოგადოებრივი საბჭოების ყველა წევრისათვის მისი უწმიდესობისათვის დახმარება საპატიო და სასიამოვნოა. ჩვენთვის მართლაც დიდი პატივია ამ მუშაობაში მონაწილეობა და მისი კეთილსინდისიერად შესრულება.

ჩვენ უკვე ათი წელია ვმუშაობთ. ამ ათწლეულს უკვალოდ არ ჩაუვლია. ახალი იდეების ძლიერი მდინარე შეერწყა აზრთა, ისტორიული ფაქტების, სამეცნიერო პრობლემების, მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიასა და მომავალზე ფიქრის ოკეანეს. ენციკლოპედიაზე მუშაობამ საოცარი ძალით გააერთიანა თავის გარშემო უამრავი ხალხი.

თავდაპირველად, როდესაც ხდებოდა „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ ორგანიზებული ფორმირება და ინტელექტუალური საფუძვლის მხარდაჭერა, ჩვენ ვაფასებდით იმ მნიშვნელობას, რომელიც ახლა უკვე შეიძინა ამ გრანდიოზულმა სამუშაომ. მან გააერთიანა მართლმადიდებელი ხალხი, მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთიანობა უფრო გაძლიერდა ამ სამუშაოს რეალიზების დროს. „მართლმადიდებლური ენციკლოპედია“ – ეს არის ყველა ქვეყნის მართლმადიდებლობის ენციკლოპედია, სადაც ის წარმოადგენს ნაციონალური კულტურის ფორმირების საფუძველს ან არსებობს როგორც საზოგადოების სერიოზული კონფესიონალური შემადგენელი ნაწილი. ენციკლოპედიის გამაერთიანებელი მნიშვნელობა, როგორც



მნიშვნელოვანი ფაქტორი, წარმოქმნილი ამ უდიდესი ნაშრომის არსიდან, ვფიქრობ, მომავალში უფრო გაძლიერდება.

XIII ტომის ძირითადი შინაარსი – სტატიები, მიძღვნილი მართლმადიდებლობისადმი საქართველოში: ქართული ეკლესიის წარმოქმნა, ჩამოყალიბება და განვითარება, ქართული ღვთისმეტყველება, მსახურების თავისებურებები, საეკლესიო ხელოვნება, მშენებლობა, მუსიკა, ხატწერა და სახალხო წეს-ჩვეულებები. ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა იმ სიღრმისა და მასშტაბურობის აღნიშვნა, რომლებიც მართლმადიდებლობამ საუკუნეების მანძილზე შეიძინა ქართველ ხალხში.

ძალზე მნიშვნელოვანია დღეს ამის აღნიშვნა, როდესაც რუსეთსა და საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობებში გაჩნდა პრობლემები, მაგრამ არა ორ ძმურ ეკლესიას შორის და არა რუსეთსა და საქართველოს ხალხს შორის.

მუშაობა XIII ტომის სტატიებზე, რომლებიც მიეძღვნა ქართულ მართლმადიდებლობას, წარმოებდა რუს და ქართველ მეცნიერთა ერთობლიობაში იმ დიდი სურვილით ორივე მხრიდან, რომ წარმოადგინონ ქართული მართლმადიდებლური ტრადიცია მთელი თავისი სიმდიდრით. ვფიქრობ, ჩვენი საერთო ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გავფანტოთ ღრუბლები, წარმოქმნილი ჩვენს თავზე, რომლებიც ადრე არასოდეს ჩრდილავდნენ ჩვენს ხალხის ძმურ ურთიერთობებს.

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თამაზ გამყრელიძის სიტყვა

თქვენო უწმინდესობავ – მოსკოვისა და სრულიად რუსეთის  
პატრიარქო!

თქვენო უწმინდესობავ – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქო!

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

მე გამოვიდვარ აქ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით, აგრეთვე როგორც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მოგეხსენებათ, ჩვენი აკადემიების წარმომადგენლებმა დიდი წვლილი შეიტანეს რუსული „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ XII ტომის შექმნაში, რომლის პრეზენტაცია დღეს აქ ხდება და რომლის უდიდესი ნაწილი ეძღვნება საქართველოს ისტორიისა და კულტურის აღწერას, აგრეთვე ქრისტიანობის გავრცელებისა და განვითარების ისტორიას საქართველოში.

ცნობილია, რომ ქრისტიანობა საქართველოში ვრცელდება ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში და ოფიციალურ რელიგიად ცხადდება მეოთხე საუკუნის დასაწყისში; ამავე პერიოდს განეკუთვნება წმიდა წერილის პირველი თარგმანები ქართულ ენაზე, შესრულებული ორიგინალური ქართული დამწერლობით.

აღმოსავლური ქრისტიანული სამყარო იმით განსხვავდება დასავლურისგან, რომ აღმოსავლურ სამყაროში საღვთო წიგნები იმთავითვე ითარგმნებოდა ადგილობრივ ეროვნულ ენებზე, მაშინ როდესაც დასავლურ ქრისტიანულ სამყაროში რომის კათოლიკური ეკლესია კრძალავდა მსგავს თარგმანებს. ქადაგება და ლიტურგია აქ სრულდებოდა მხოლოდ ლათინურად. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ დასავლურ სამყაროში ადრექრისტიანულ ეპოქაში არ შექმნილა ნაციონალური დამწერლობები და ლიტერატურული ენები და მოსახლეობა ამ არეალში არ ჩამოყალიბებულა ამ უძველეს პერიოდში ცალკეულ ეროვნულ ერთეულებად; მხოლოდ XV-XVI საუკუნეებში იქმნება ბიბლიის მარტინ ლუთერისეული გერმანული თარგმანები და ბიბლიის

ამ თარგმანს გერმანულ ენაზე გოეთე მიიჩნევდა გერმანელთა, როგორც თვითმყოფადი ერის ფორმირების დასაწყისად. ამისგან განსხვავებით, აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში ბიბლიის თარგმანები ჩნდება ეროვნულ ენებზე იმთავითვე, ამა თუ იმ ხალხის მოქცევისას, რაც ხელს უწყობდა მათ ჩამოყალიბებას ცალკეულ ერებად საკუთარი ლიტერატურული ენითა და ორიგინალური დამწერლობით. ასე მოხდა ეს უძველეს ეპოქაში საქართველოში, ასე მოხდა ეს მოგვიანებით სლავურ სამყაროში.

„წმ. მოციქულთა სწორის კონსტანტინე-კირილეს ცხოვრების“ აღწერაში არსებობს ცნობები იმის შესახებ, თუ რა კამათი იყო ამ საკითხის ირგვლივ რომის კათოლიკურ ეკლესიასა და ქრისტიანულ სლავურ სამყაროს შორის. კონსტანტინე-კირილე ამბობდა, რომ ყოველ ხალხს აქვს უფლება ადილოს უფალი თავის საკუთარ ენაზე. იმ ხალხებს შორის, ვინც უკვე უძველესი დროიდან საკუთარ ენაზე ლოცულობს და ღმერთს საკუთარ, ეროვნულ ენაზე ადიდებს კონსტანტინე-კირილე ასახელებს იბერიელებს, ანუ ქართველებს.

ჩვენს ქრისტიანულ კულტურებს შორის მეგობრობა, დაწყებული ჯერ კიდევ აღრექრისტიანულ ხანაში, უეჭველად უნდა გაგრძელდეს; უნდა აღვადგინოთ და განვამტკიცოთ სულიერი კავშირი და კეთილი ურთიერთობა ჩვენს ხალხებსა და ჩვენს კულტურებს შორის, რომელიც არსებობს უძველესი დროიდან. დარწმუნებული ვართ, რომ ეს სულიერი კავშირები გაგრძელდება კიდევ უთვალავი წელი, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო  
კალატის პრეზიდენტის მკვლედი პრიმაკოვის გამოსვლა  
„მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“  
XIII ანბანური ტომის პრეზენტაციაზე**

თქვენო უწმიდესობებო! მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდესო პატრიარქო! უწმიდესო და უნეტარესო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო!

თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობებო!

დღევანდელი შეხვედრის ძვირფასო მონაწილეებო!

ჩვენი დროის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ გამოჩენა ამჟვეყნად.

ჩვენს დაჩქარებულ ტექნოგენურ საუკუნეში „მართლმადიდებლური ენციკლოპედია“ გვახსენებს კაცობრიობის უდიდესი სულიერი სიმდიდრის, მისი კულტურული ღირებულებების შესახებ, რომელთა შენარჩუნებაში დიდი წვლილი მიუძღვის ეკლესიას. ცივილიზაციის ვერანაირი მონაპოვარი ვერ გაგვიყვანს ჩვენ პროგრესის ახალ დონეზე საზოგადოების სულიერი, ზნეობრივი და კულტურული განვითარების გარეშე.

„მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ XIII ტომის გამოსვლა ორმაგად ღისშესანიშნავია. მისი ძირითადი ნაწილი შედგება მასალებისგან საქართველოსა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ. ამ მასალების განთავსება ნათლად მოწმობს იმაზე, რომ „მართლმადიდებლური ენციკლოპედია“ მოწოდებულია შეასრულოს მნიშვნელოვანი გამაერთიანებელი როლი რუსეთისათვის, რათა ძმურ კავშირში გააერთიანოს სხვადასხვა ხალხები და პირველ რიგში ისინი, ვინც აირჩია მართლმადიდებლობა როგორც კომპასი, რომელიც გვიჩვენებს მიმართულებას ცხოვრებაში.

საქართველო უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა, მსოფლიოს ერთ-ერთი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელიც ყოველთვის მედგრად იცავდა მართლმადიდებლურ სწავლებას.

უძველესი დროიდან ქართველი ხალხი აწარმოებდა პრაქტიკულად განუწყვეტელ ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ – სპარსელების, ოსმალების, ზვარაზმელების, მონღოლების და სხვების, ვინც ქვეყნის დაპყ-

რობასთან ერთად ცდილობდა თავისი სარწმუნოების დამკვიდრებასა და ქრისტიანობის აღმოფხვრას.

ერთმორწმუნე რუსეთი გახდა მეგობარი და დამცველი დაუძღვრებულნი საქართველოსთვის.

ქართველმა ხალხმა უდიდესი როლი შეიტანა მართლმადიდებლობის დაცვაში. საქართველოს ისტორიაში არის უამრავი მაგალითი მოწამებრივი სიკვდილისა, რომელიც საქართველოს მოქალაქეებმა ქრისტეს რწმენისთვის მიიღეს.

ისტორია მოწმობს, რომ ჩვენი ხალხების ურთიერთობა და თანამშრომლობა სასიკეთოა ორივე მხარისთვის. ქართულ კულტურაში, ცივილიზაციაში უდიდესი წვლილი შეიტანა რუსეთმა, ისევე როგორც საქართველომ რუსულ ცივილიზაციასა და კულტურაში. ჩემი აზრით, მართებული არ უნდა იყოს მსჯელობა, ვინ უფრო მეტად და ვინ ნაკლებად ისარგებლა ორი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თანამეგობრობით. მით უმეტეს, ამით არ უნდა იყვნენ დაკავებულები ისინი, ვინც ითვლებიან თავიანთი ქვეყნის პატრიოტებად. პატრიოტი ნაციონალისტიისაგან განსხვავდება იმით, რომ უანგაროდ შეყვარებული თავის სამშობლოზე არ ამტკიცებს, რომ ის უკეთესია სხვის სამშობლოზე, რომლითაც სამართლიანად ამაყობს სხვა ადამიანი, სხვა ხალხი.

რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებს ახლა ვერ ვუწოდებთ საუკეთესოს, მაგრამ ეს წარმატალია. იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ახლა ამოტივტივდნენ, ჩვენი ურთიერთობის ისტორიაში არანაირი საფუძველი არ გააჩნიათ. ეს არის მთავარი. მაგრამ არ შეიძლება ზედაპირულად მოვეკიდოთ იმას, რაც ამდემებს ურთიერთობას ჩვენს ქვეყნებს შორის. ვიმედოვნებ, რომ ორივე მხრიდან ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ გამოვიდეთ ამ არასახარბიელო მდგომარეობიდან.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ხალხების ძმობისა და მეგობრობის ღიადი ისტორია ხელს შეგვიწყობს ამაში. უნდა გვახსოვდეს ისტორიის გაკვეთილები, ხოლო ორიენტირად ჩვენს ყოველდღიურობაში უნდა იყოს მარადიული სულიერი ფასეულობები.

**რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის  
პიცე-პრეზიდენტის  
ა. დ. ნიკიპელოვის სიტყვა**

თქვენო უწმიდესობავ, უწმიდესო ალექსი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქო!

თქვენო უწმიდესობავ, უწმიდესო და უნეტარესო ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო!

ღრმადპატივცემულო პრეზენტაციის მონაწილეებო!

პატივცემულო კოლეგებო!

„მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ შექმნის პირველივე დღეებიდან მასში მონაწილეობას რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტები, უნივერსიტეტები და აკადემიური ცენტრები ეკატერინბურგში, ნოვოსიბირსკში და რუსეთის სხვა ქალაქებში. ასობით ჩვენი მეცნიერი გახდა ავტორი და სამეცნიერო რეცენზენტი ცოდნის ამ უნიკალური კრებულისა, ჩვენი წამყვანი სპეციალისტები შედიან ენციკლოპედიის სამეცნიერო საბჭოში, კურირებას უწევენ მთელ მონაკვეთებს ისტორიაში, არეოლოგიაში, ხელოვნებათმცოდნეობაში.

ჯერ კიდევ 2000 წელს ჩვენი თანამშრომლობა „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ შექმნაში დადასტურებული იყო ხელშეკრულებით რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას შორის, რომელიც ხელმოწერილი იყო მისი უწმიდესობის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ალექსისა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის იური ოსიპოვის მიერ. შარშან ეს ხელშეკრულება გაგრძელდა კიდევ 5 წლით.

ჩვენ თავიდანვე ნათლად და მკაფიოდ წარმოგვედგინა, რომ არ არსებობს არანაირი განსაკუთრებული მეცნიერული ჭეშმარიტება და განსაკუთრებული რელიგიური ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება ერთია, ისე როგორც ერთია ჩვენი სამყარო. სახელმწიფოში ათეიზმის დამკვიდრების დროს ხელოვნურად წარმოქმნილი კედელი საეკლესიო და საერო მეცნიერებას შორის სრულიად არაბუნებრივია და მას ზიანი მოაქვს როგორც ეკლესიისთვის, ისე მეცნიერებისთვის.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას შესაძლოა სხვა სამეცნიერო დაწესებულებებზე უკეთ წარმოედგინა ეს. მის ნამდვილ და საპატიო წევრებს შორის ყოველთვის იყვნენ გამოჩენილი საეკლესიო მეცნიერები. საკმარისია გავიხსენოთ ცნობილი ისტორიკოსი მიტროპოლიტი მაკარი (ბულგაკოვი), რუსეთის ეკლესიის ისტორიის ავტორი წმ. ფილარეტი (დროზდოვი), მიტროპოლიტი ფილარეტი (ამფითეატროვი) და ანტონი (ვადკოვსკი), ნიკანორი (კლიმენტიევსკი) და იოსებ სამაშკო, არქიეპისკოპოსები ფილარეტი (გუმილევსკი) და საბა (ტიხომიროვი), ეპისკოპოსი ევგენი (ბოლზოვიტინოვი) და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა წარმომადგენლები. 2000 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა იური ოსიპოვმა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს, უწმიდეს ალექსის გადასცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პროფესორის დიპლომი ეკლესიის ისტორიის სფეროში უდიდესი დამსახურებისათვის.

ერთ-ერთი დამადასტურებელი საეკლესიო და საერო მეცნიერების ერთობისა ჭეშმარიტების ძიებაში არის მოსკოვის მიტროპოლიტი მაკარის (ბულგაკოვის) სახ. პრემიის აღდგენა გამოჩენილი ისტორიული შრომებისათვის, რომელიც ენიჭება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და მოსკოვის მთავრობის მიერ.

„მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“, როგორც თანამედროვე სამეცნიერო ენციკლოპედიური გამოცემის შექმნის დროს, გამოყენებულ იქნა რუსეთის დიდ ენციკლოპედიაზე მუშაობის გამოცდილება, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით გამოდის. ჩვენ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ ამ ორი სამეცნიერო-ენციკლოპედიური ცენტრის თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას.

რუსეთის დიდ ენციკლოპედიაზე მუშაობა დაიწყო 2002 წელს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განკარგულებით და „რუსეთის დიდი ენციკლოპედიის“ გამოცემის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის იური ოსიპოვისა და პასუხისმგებელი რედაქტორის სერგეი კრავცის თაოსნობით. დღეს მზად ვართ წარმოვადგინოთ „რუსეთის დიდი ენციკლოპედიის“ ექვსი ანბანური ტომი და ცალკე ტომი, მიძღვნილი რუსეთისადმი.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელით მსურს გადავცე უწმიდეს

ალექსის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ და უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ სერტიფიკატები „რუსეთის დიდი ენციკლოპედიის“ სრულ გამოცემაზე.

**ა. ნეკიპელოვმა გადასცა სერტიფიკატები რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების წინამძღვრებს, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს თამაზ გამყრელიძეს.**

\* \* \*

პრეზენტაციის დასასრულ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ უწმიდეს ალექსი II-ს, რუსეთის ეკლესიის სინოდის წევრებს, ბატონებს ი. ლუქკოვს, ე. პრიმაკოვს, ს. კრავცს, ა. სოკოლოვს, ა. ნეკიპელოვს, ქალბატონ ლ. სლისკას საჩუქრად გადასცა ორი ტომი სამტომეულისა „ნათელი ქრისტესი – საქართველო“, რომლის გამოცემა ქართულ ენაზე მოსკოვში, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის სიტყვებით, „კიდევ ერთხელ მიუთითებს ჩვენს ხალხებსა და ეკლესიებს შორის ურღვევ მეგობრულ ურთიერთობებზე“. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა ტრაპეზი. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა უწმიდესმა ალექსი II-მ კიდევ ერთხელ გამოხატა კმაყოფილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალრიცხოვანი დელეგაციის მოსკოვში ჩასვლასთან დაკავშირებით და იმედი გამოთქვა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში არსებული პრობლემების სამართლიანად მოგვარებისა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განაცხადა – ეს ვიზიტი არ არის მარტოოდენ „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ პრეზენტაციასთან დაკავშირებით. იგი ისტორიული მნიშვნელობისაა. ქართველ და რუს ხალხებს ბევრი რამ აქვთ საერთო და ჩვენმა ეკლესიებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა ამ ბოლო დროს რუსეთსა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის წარმოშობილი პრობლემები მოგვარდეს. საქართველო დაინტერესებულია ძლიერ ერთიან რუსეთთან მეგობრობით, ძლიერი ერთიანი სტაბილური საქართველო რუსეთის სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოებასა და სიმშვიდეს ნიშნავს.



3 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მეთაურობით ზაგორსკის სასულიერო აკადემიას ეწვია. აქ 1952-1960 წლებში უწმიდესი და უნეტარესი ილია II ჯერ სასულიერო სემინარიაში, ხოლო შემდეგ სასულიერო აკადემიაში სწავლობდა. ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში დაიცვა დისერტაცია თემაზე „ათონის ივერიის მონასტრის ისტორია“. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ: პროფესორები ნ. მურავიოვი და ა. გეორგიევსკი. მისი უწმიდესობისათვის ნაცნობია ზაგორსკის ლავრის ყველა კუთხე-კუნჭული. აქ სწავლის პერიოდი ჩვენი ცხოვრების ძვირფასი წლები იყო, – აღნიშნა მისმა უწმიდესობამ. დელეგაციამ დაათვალიერა ზაგორსკის მუზეუმი, თავიანთი სცა წმიდა სერგი რადონეჟელის საფლავს. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ პანაშვიდი გადაუხადა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს უწმიდეს ალექსი I-ს. ტრაპეზზე, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა ზაგორსკის აკადემიაში, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სიყვარულით და პატივისცემით გაიხსენა თავისი აღზრდილი პედაგოგები. საუბარი იმდენად უშუალო და გულახდილი იყო, რომ მასპინძლები მოიხიბლნენ და ოფიციალური შეხვედრა გულითად, მეგობრულ შეხვედრად გადაიქცა... ზაგორსკიდან გამოტყორცნილი სიტბო მოსკოვში დაგვხვდა, ყველანი ვგრძნობდით, რომ დამაბულობა თანდათან განიმუხტა.

იმავე საღამოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციამ დაათვალიერა ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ზურაბ წერეთლის დაარსებული ხელოვნების მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია ავტორის მიერ შექმნილი მონუმენტური ხელოვნებისა თუ ქანდაკების უნიკალური ნიმუშები, საქართველოსა და რუსეთის ეკლესიათა მეთაურების ბრინჯაოს ქანდაკებანი. მუზეუმში იმყოფებოდნენ მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეები.

## ერთობლივი ლიტურგია

4 მარტს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმიდესმა ალექსი II-მ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საღმრთო ლიტურგია ჩაატარეს ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძარში. ლიტურგიის დამთავრებისას უწმიდესმა პატრიარქმა ალექსი II-მ მიმართა ტაძარში მყოფთ:

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ყოვლად უსამღვდელოესო მღვდელმთავრებო, ქრისტეს მიერ საყვარელო მამებო, ძმებო და დებო!

*ყველას გილოცავთ კვირა დღეს, ხოლო მოზიარებებს – ქრისტეს წმიდა საიდუმლოს ზიარებას. დღეს, დიდმარხვის კვირა დღეს, ჩვენ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვართან ერთად ჩავატარეთ საღმრთო ლიტურგია, გვქონდა ევქარისტული ერთობა. ვატარებდით რა დღეს საღმრთო ლიტურგიას ჩვენს საყვარელ სტუმრებთან – უწმიდესსა და უნეტარეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან ერთად, ვლოცულობდით იმაზე, რომ ღმერთმა ყველა, ერთი ბარძიმიდან მოზიარენი, გაგვაერთიანოს სული წმიდის მადლით. უფლის ტახტთან ერთად მდგომარენი ჩვენ ვგრძნობთ სულთა სრულ ერთიანობას ქრისტესკენ სწრაფვაში. რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენგანი ამ წუთებში ლოცულობდა არა მარტო საკურთხეველსა და ეკლესიაში მყოფთა ერთიანობაზე, არამედ მართლმადიდებელ ხალხზე, რომელიც რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყსოს წარმოადგენს. ჩვენი ორი ეკლესია იყო, არის და ყოველთვის დარჩება ურთიერთმოსიყვარულე ძმურ ეკლესიად.*

*სახარებაში მაცხოვარი იოსე ქრისტე გვეუბნება, რომ მორწმუნენი შეადგენენ „ერთ სამწყსოს“, რომელსაც „ერთი მწვეში“, თვით მაცხოვარი ჰყავს (იოან. 10,16). რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ქრისტიანებს შორის არავითარი ზღვარი არ არსებობს. ჩვენ ქრისტეს ერთიანი სამწყსო ვართ, რაც კიდევ ერთხელ გავნიცადეთ დღეს. ჩვენ ვლოცულობთ და ვაგრძელებთ გულმოდგინე ლოცვას იმაზე, რომ ჩვენი ხალხის ერთიანობა სარწმუნოებაში დაგვეხმაროს ჩვენი ქვეყნების არა მატო კეთილშეზობლური ურთიერთობის, არამედ სრული ურთიერთგაგების, თანამშრომლობის აღსადგენად.*

ჩვენ გვწამს ლოცვის საკურნებელი და განმახლებელი ძალისა. ეს განსაკუთრებით აშკარაა ჩვენთვის, როდესაც ვიმყოფებით ქრისტე-მაცხოვრის ამ განახლებულ ტაძარში, რომელიც გახდა ჩვენი ხალხის სიმბოლო უღმერთოების დიქტატურის დროს მის მიერ გადატანილი ტანჯვის შემდეგ. გვახსოვს, თქვენო უწმიდესობავ, თქვენი მონაწილეობა ამ ტაძრის კურთხევაში, გვახსოვს თქვენს მიერ წარმოთქმული სიტყვა. ვიცით, როგორი რწმენითა და სიყვარულით აღმართეთ თქვენ, წმიდა სერგის ლავრის აღზრდილმა, ყოვლადწმიდა ცხოველმყოფელი სამების დიდებული ტაძარი საქართველოს დედაქალაქში. გვწამს, რომ ის საუკუნეების განმავლობაში დარჩება როგორც ქართველი ხალხის განახლების, მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის სიმბოლო.

გულითადად მივესალმები თქვენი უწმიდესობის თანამგზავრებს, რომლებიც თქვენთან ერთად ჩამობრძანდნენ „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ ახალი ტომის ერთობლივ წარდგენაზე, სადაც სტატიები საქართველოსა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ მომზადებულია ჩვენი ორი ქვეყნის მეცნიერთა მიერ.

დღეს ერთად ლოცულობენ მართლმადიდებელი რუსები და მართლმადიდებელი ქართველები. დღეს მოსკოვის ქრსტიე-მაცხოვრის საკათედრო ტაძარსა და თბილისის საკათედრო ცხოველმყოფელი სამების ტაძრის გუნდები ერთად აღიღებენ უფალს. არაფერი აერთიანებს ისე, როგორც ერთობლივი ლოცვა! დაე, ამ კეთილი საქმის ნაყოფი იყოს ის, რომ ჩვენ უკეთ გავუგოთ ერთმანეთს. ვიცით, რომ ჩვენი სულიერი ერთიანობა არის უფლის ნების ასრულება.

დღევანდელი დღის ლოცვის სამახსოვროდ ვთხოვთ, თქვენო უწმიდესობავ, მიიღოთ ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატის ასლი. რუსული მართლმადიდებელი ეკლესია ეთაყვანება ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი თავისი წმიდა სახით არის ქალაქ მოსკოვისა და ჩვენი სამშობლოს მფარველი, მის წინაშე მრავალჯერ ულოციათ განსაცდელის ჟამს. 1993 წელს, როდესაც რუსეთი სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე დადგა, ვლადიმირის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი გადაბრძანებული იყო ღვთის განცხადების საკათედრო ტაძარში. არასოდეს დამავიწყდება, როგორი რწმენითა და სასოებით, თვალცრემლიანი,

სანთლებით ხელში, მუხლმოდრეკით ლოცულობდა ხალხი და ევედრებოდა უფალს აეცილებინა ჩვენი სამშობლოსათვის სამოქალაქო ომი. იმ ფირფიტაზე, რომელიც მიკრულია ამ სასწაულებრივი ხატის ასლი, წერია, რომ ზეციური დედოფლის ეს წმიდა ასლი გადაეცემა თქვენს უწმიდესობას და უნეტარესობას ქრისტეს მაცხოვრის ტაძარში ჩვენი ერთობლივი მსახურების სამახსოვროდ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი საეკლესიო ძმური კავშირი ხელს შეუწყობს ჩვენს ხალხებსა და ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირის განმტკიცებას.

ვილოცაეთ!

**ილია II-ის სიტყვა მოსკოვისა და  
სრულიად რუსეთის  
პატრიარქთან ალექსი II-სთან  
ერთობლივ ღვთისმსახურებაზე**

თქვენო უწმიდესობავ ალექსი II, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქო, უსამღვდელოესო მწყემსმთავრებო, ძმანო და დანო!

„აჰა, ესერა რაი-მე კეთილ ანუ რაი-მე შუენრიე, არა-მე დამკვიდრებაი ძმათაი ერთად“ (ფს. 132, 1).

დღეს, ორი ავტოკეფალური ეკლესიის წინამძღვრებისა და წარმომადგენლების ერთობლივი საღმრთო ლიტურგიის დროს, ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვხატეთ ძმური გრძნობები. ჩვენ ვიმყოფებით ქრისტე-მაცხოვრის დიდებულ ტაძარში. გვწამს სულთა ერთობისა და ვიმედოვნებთ, რომ დღეს ჩვენს ერთობლივ საღმრთო ლიტურგიას ესწრებოდნენ და ღლოცვით გვეწოდნენ რუსეთისა და საქართველოს დიდებული წინაპრები.

ჩვენი ხალხები ერთიანი მართლმადიდებლური რწმენით არიან გაერთიანებულნი; ეზიარებიან ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს სისხლსა და ხორცს ერთი ბარძიმიდან და გაერთიანებულები არიან საღმრთო სიყვარულით, ჩვენ პასუხს ვაგებთ ერთმანეთის წინაშე, მოციქული პავლეს სიტყვებით „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ ჯგუელი იგი ქრისტესი“ (გალატ. 6, 2).

გვწამს, რომ ის პრობლემები, რომლებიც წამოიშენენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ღვთის მადლით გადაწყდება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში; ხოლო არჩევნები, რომელიც დღეს ტარდება აფხაზეთში, იმ დროს როცა 300 ათასი ადამიანი გამოძევებულია საკუთარი სამშობლოდან, არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად. მიუხედავად სირთულეებისა, სამღვდელოების ნაწილი და მორწმუნენი ამ რეგიონებიდან მჭიდრო ურთიერთობაში არიან ჩვენთან და შეძლებისდაგვარად ჩამოდიან კიდევაც. მისასალმებელია ისიც, რომ მიუხედავად პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირებისა წარსულში, ჩვენმა ხალხებმა – ქართველებმა, აფხაზებმა, ოსებმა შეინარჩუნეს ნათესაური, მეგობრული გრძნობები, რაც გამოიხატება ურთიერთობაში და ურთიერთგაგებაში. გვწამს, რომ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დადებითად იმოქმედებს სტაბილურობის აღდგენაზე როგორც მთელი კავკასიის რეგიონში, ასევე რუსეთთან ურთიერთობაში არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ-ეკონომიკურ სფეროში და ა. შ. საქართველოს სჭირდება მეგობრული რუსეთი, ისე როგორც რუსეთს სჭირდება ერთიანი საქართველო და სტაბილური მშვიდობიანი კავკასია.

თქვენო უწმიდესობავ, იმედი გვაქვს, რომ თქვენი მაღალი ავტორიტეტი ხელს შეუწყობს საქართველოს მთლიანობის აღდგენას და ჩვენს ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ნდობის განმტკიცებას, რაც უეჭველია დადებითად იმოქმედებს ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობებზე.

ვიმედოვნებთ, რომ წელს, ჩვენი შეთანხმების თანახმად, ღვთის შეწევნით განხორციელდება თქვენი ვიზიტი საქართველოში. საქართველო სიყვარულით მოელის თქვენს ჩამობრძანებას. ჩვენი უდიდესი პატივისცემისა და ძმური სიყვარულის ნიშნად გადმოგცემთ, თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს ხატს, რომელიც დაწერილია ბოდბის მონასტრის დედეების მიერ, სადაც განისვენებს საქართველოს ზეციური მფარველი. ეს ხატი ექვსი წელი დასვენებული იყო წმინდანის საფლავზე. დაე, მოციქულთა სწორი წმიდა ნინოს ლოცვა შეგეწიოთ თქვენ მრავალჯამიერ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისა და მთელი მართლმადიდებლობის საკეთილდღეოდ. ამინ.

\* \* \*

წირვის შემდეგ გაიმართა ოფიციალური სადილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას გულთბილი სიტყვებით მიმართეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა უწმიდესმა ალექსი II-მ და მიტროპოლიტმა კირილემ. საპასუხო სიტყვაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ მადლობა მოახსენეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს მასპინძლობისათვის. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განაცხადა: – პოლიტიკოსებმა უნდა მოუსმინონ სასულიერო პირებს და გაითვალისწინ-

ნონ მათი რჩევები, ეს დაეხმარება მათ მრავალრიცხოვანი პრობლემების მოგვარებაში.

იმავე საღამოს ქართულმა დიასპორამ მოსკოვში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენის, ბატონ ლევან ვასაძის ინიციატივით ოფიციალური ვახშამი გამართა რესტორან „პრალაში“ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის პატივსაცემად.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ შემდეგი სიტყვებით მიმართა ქართული დიასპორის წარმომადგენლებს: „ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე არაერთხელ ჰქონია დიდი განსაცდელი, მაგრამ ღვთის შეწევნით დაუძლევია იგი. ვფიქრობთ, დღევანდელი პრობლემებიც დროებითია და საქართველო თავს დაადწევს მას. მშობლიური მიწა, ფესვები თქვენ გიხმობენ თქვენს სამშობლოში“.

5 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია მოსკოვიდან სამშობლოში გამოემგზავრა. დელეგაციის წევრთა ერთმა ნაწილმა დომოდედოვოს რაიონში მოინახულა დედა თამარის (მარჯანიშვილის) მიერ დაარსებული წმიდა ნინოს მონასტერი, სადაც ქართველებს გულთბილად შეხვდნენ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესისათვის საჩუქრად გამოატანეს დედა თამარის პორტრეტი.

## საჭიროა სულიერი მჯერა...

ინტერვიუ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან

– თქვენო უწმინდესობავ, სააღდგომოდ რუსეთის ხელისუფლებამ დროებით აღადგინა პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა თბილისსა და მოსკოვს შორის. როგორ მიაღწიეთ ამ შეთანხმებას?

– დახმარებისთვის საქართველოში რუსეთის ელჩს მივმართეთ. ჩვენი თხოვნა დაკმაყოფილდა. ხალხმა ეს დიდ მაღლიერებად აღიქვა. ძალიან გაგვიხარდა, რომ რუსეთმა ასეთი ნაბიჯი გადადგა. მაგრამ ავჯობებს, თუ აღდგება ნორმალური სავიზო რეჟიმი და სატრანსპორტო ურთიერთობა რუსეთ-საქართველოს შორის. ჩვენ თავისუფალი მიმოსვლა გვაქვს თურქეთთან, ხოლო რუსეთთან – არა. ეს პარადოქსია.

– მოსკოვის საპატრიარქო მხარს გიჭერთ?

– უწმინდესი პატრიარქი ალექსი II ყოველთვის იზიარებს ჩემს მიმართებას. ყველაფერს აკეთებს, რომ არა მარტო ჩვენს ეკლესიებს შორის იყოს მეგობრული ურთიერთობა, არამედ სახელმწიფოებს შორისაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება.

– მოსკოვსა და თბილისს შორის რატომ გაჩნდა ასეთი ღრმა კრიზისი?

– პოლიტიკური გრიზისი აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების სეპარატისტული ტენდენციების გამო გაჩნდა. რუსეთმა სეპარატიზმს მხარი არ უნდა დაუჭიროს. რუსეთს მხოლოდ აფხაზეთი კი არ სჭირდება, არამედ მთელი საქართველო. ასევე სჭირდება საქართველოს მთელი რუსეთი – ერთიანი და მეგობრული.

– როგორ აფასებთ ევროკავშირსა და ნატოსთან საქართველოს დაახლოებას, ხომ არ გაშფოთებთ ეს საკითხი?

– გლობალიზაციის პროცესის შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ საქართვე-



ლოს დასავლეთთან დაახლოება რუსეთისგან განდგომას არ ნიშნავს. რუსეთი უმეტესად მართლმადიდებლური ქვეყანაა და ეს იყო ჩვენი დაახლოების საფუძველი. დასავლეთს ბევრი კარგი თვისება აქვს და ბევრიც – უარყოფითი. საჭიროა სულიერი მშერა, რათა დაინახო, რისი გაზიარება შეიძლება და რისი – არა. მთავარია, სულიერი, ეროვნული და კულტურული ფასეულობების შენარჩუნება და ამაში ჩვენ რუსეთთან უნდა ვითანამშრომლოთ.

**– თუ ევროპასთან დაახლოება და გლობალიზაცია გარდაუვალია, რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი საქართველოს მართლმადიდებელი და რომის კათოლიკური ეკლესიების ურთიერთობაზე?**

– ჩვენ ნორმალური ურთიერთობა გვაქვს კათოლიკეებთან, მაგრამ როცა ისინი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისგან უფლებებს ითხოვენ, შევასწავებთ ხოლმე, რომ საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა.

**– აღდგომის შემდეგ თქვენ სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე რაიონებში გაემგზავრეთ. რატომ?**

– იქ ტაძრის აშენებას ვაპირებთ. ეს ბაზილიკა ახლომანლო სოფლებს გააერთიანებს და ხელს შეუწყობს ქართველებსა და ოსებს შორის კარგი ურთიერთობის განახლებას.

**– როგორ აფასებთ მოსკოვის საპატრიარქოს როლს აფხაზეთის პრობლემაში?**

– სამწუხაროდ, ხანდახან იქ უწმინდესი პატრიარქის, ალექსის კურთხევის გარეშეც ჩადიან მღვდლები. ერთხელ უწმინდესმა პატრიარქმა რუსეთიდან აფხაზეთში მღვდლების გაგზავნა შემომთავაზა. უარი ვუთხარი, – ეს არა მარტო საქართველოსა და აფხაზეთის, არამედ ჩვენს ეკლესიებს შორისაც გაამწვავებდა ურთიერთობას. რუსული ეკლესიის ზოგიერთი ეპისკოპოსი თავის ეპარქიაში იწვევდა ახალგაზრდა აფხაზებს, მღვდლად აკურთხებდა და აფხაზეთში აბრუნებდა. ეს კანონიერი წესების დარღვევაა. თუ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის რომელიმე ეპარქია აფხაზს მღვდლად აკურთხებს, მაშინ მან იმ ეპარქიაში უნდა იმსახუროს, სადაც ხელი დაასხეს.

რასაკვირველია, არის ჩვენს საქმეებში ჩარევის მცდელობა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ უწმინდესი პატრიარქი ალექსი ყოველთვის გულწრფელია ჩვენთან.

**– როგორ ამყარებთ ურთიერთობას საქართველოს სახელმწიფოსთან? ქართული ეკლესია ხომ ერთადერთია სსრკ-ს ეკლესიებს შორის, რომელმაც შეძლო, დოკუმენტურად ელიარებინა მისი უფლებები, ხოლო სახელმწიფომ პასუხისმგებლობა იკისრა საბჭოთა პერიოდში გატარებულ რეპრესიებზე?**

– დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო ხელშეკრულების დასადებად, რომელიც, ვფიქრობ, მისაბაძი უნდა იყოს სხვა ეკლესიებისთვის. ხელშეკრულებაში ხაზგასმულია ჩვენი დამოუკიდებლობა. ასევე გვეკუთვნის კომპენსაცია. 1917 წლამდე 2500 ეკლესია-მონასტერი გვექონდა, ახლა კი ათასამდეა. ჯერჯერობით ჩვენი ყოფილი საკუთრების მხოლოდ ერთი პროცენტი დაგვიბრუნდა, მაგრამ პროცესი გრძელდება.

**– ახდენთ გავლენას სახელმწიფოს პოლიტიკაზე?**

– ერთმანეთის საქმეში არ ვერეკით. ჩვენი ურთიერთობა საქართველოს კონსტიტუციით და სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური ხელშეკრულებით განისაზღვრება. ხანდახან ჩვენ კეთილ რჩევებს ვიძლევი.

**6 მარტს სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქმა,  
უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ  
ღეგემა გაუზიარა მის უწმიდესობას, მოსკოვისა და  
სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსი მმორმს**

თქვენო უწმიდესობავ, ქრისტესმიერო ძმაო!

მშვიდობიანად დავბრუნდით რა სამშობლოში, ქართული დელეგაციისა და პირადად ჩემი სახელით მიიწვიე უღრმესი მადლიერება გამოვხატო პირადად თქვენ მიმართ, უწმიდესი მწყემსმთავრისა და თითოეული თანამონაწილის მიმართ მოსკოვში ჩვენთვის გაწეული თბილი მასპინძლობისათვის.

ვფიქრობ, რომ ჩვენი ვიზიტი ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩვენი ეკლესიისთვის, არამედ ორი ქვეყნის ხალხისა და სახელმწიფოებისთვის.

ჩვენი წმიდა ეკლესიები ყოველთვის იყო ძმობისა და თანამშრომლობის მაგალითის მიმცემი ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის. როგორც შეხვედრის დროს აღინიშნა, ჩვენ ვჭირდებით ერთმანეთს, ჩვენ ვლოცულობთ და იმედს გამოვთქვამთ, რომ ყველა ის პრობლემა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებს შორის უნდობლობას იწვევს, კერძოდ კი კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, უახლოეს მომავალში მოგვარდება. ეს კი სასურველ გარემოს შეუქმნის რუსეთსა და საქართველოს შორის მომავალ თანამშრომლობას.

სეპარატიზმი საშიში ტენდენციაა, რომელიც მიმართულია სახელმწიფო წყობის ნგრევისკენ, ამის გადასახალავად ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რაც კი შეგვიძლია, რათა შევქმნათ კეთილი და ურთიერთმისაღები პირობები ეთნიკური უმცირესობისათვის.

გუსურვებ თქვენს უწმიდესობას ჯანმარტელობას, სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსე დღეებს. თქვენს წმიდა ეკლესიას და ქვეყანას მშვიდობას და შემდგომ აყვავებას.

**ქრისტესმიერი სიყვარულით, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II**

**შთაბეჭდილებები**  
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის**  
**კეთილი ნების მისია რუსეთში**

2007 წლის 1-4 მარტი

ერთობლივი ქართულ-რუსული წირვა-ლოცვა მოსკოვის ქრისტე-მაცხოვრის ტაძარში არ იყო მხოლოდ სარწმუნოებრივი სულისკვეთებით განმსჭვალული აქტი; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უდიდესი სათნობითა და ღირსებით წარმოთქმულ სიტყვაში დაისვა ფუძემდებლური პრობლემები, რომლებიც შეეხებოდა ქართულ-რუსულ ურთიერთობათა როგორც სულიერების, ასევე კულტურულ და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სფეროებს: ერთმომწუნე ხალხებს შორის არსებულ სულიერ, კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა განმსაზღვრელი ფაქტორია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რომლის აღდგენის გარეშე ძნელი წარმოსადგენი იქნება ლაპარაკი ერთობლივი სულიერების და საერთო-კულტურული ღირებულებების შესახებ. ეს იყო ჭეშმარიტად უმაღლესი სულიერებით განმსჭვალული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის სიტყვა, წარმოთქმული ქართველთა სულიერი წინამძღვრის მიერ რუსული სულიერების ცენტრში – მოსკოვის ქრისტე-მაცხოვრის წმიდა ტაძარში, და თუ ჩვენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის დროში ათვლას დავიწყებთ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ეს უმნიშველოვანესი გამოსვლა მოსკოვის ქრისტე-მაცხოვრის ტაძარში შევა საქართველოს ისტორიაში როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი საწყისი მომენტი.

**თამაზ გამყრელიძე**

## ისტორიული ვიზიტი

საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ურთიერთობა XX საუკუნეებში ბევრ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ მეოთხედი საუკუნის მანძილზე რუსეთის ეკლესიას საქართველოს ეკლესიასთან არ ჰქონდა ექვარისტიული კავშირი. მეორე მსოფლიო ომის წლებში რუსეთის ეკლესიამ აღადგინა ექვარისტიული კავშირი საქართველოს ეკლესიასთან, ინტენსიური გახდა კავშირები, თბილისს სტუმრობდნენ რუსეთის პატრიარქები: უწმიდესი ალექსი, პიმენი ... მოსკოვში იწვევდნენ უწმიდესსა და უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქებს – კალისტრატეს, მელქისედეკს, ეფრემს, დავითს, ილია II-ს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთსა და საქართველოს შორის არა მარტო პოლიტიკური, არამედ საეკლესიო ურთიერთობებიც გართულდა. აფხაზეთსა და ცხინავლის რეგიონში რუსი ეროვნების სასულიერო პირთა ქმედებანი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის დარღვევის მცდელობად იქნა აღქმული. 2006 წლის შემოდგომაზე საქართველოს მოქალაქეების დამამცირებელმა დეპორტაციამ, საინფორმაციო ომმა, ეკონომიკურმა სანქციებმა ორი ქვეყნის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. ამ ფონზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ვიზიტი მოსკოვში თავისი მნიშვნელობით სცილდებოდა „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის მე-13 ტომის პრეზენტაციის ფარგლებს.

მოსკოვის მაცხოვრის ტაძარში 4 მარტს საქართველოსა და რუსეთის პატრიარქების ერთობლივი ღვთისმსახურების დასასრულ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქართველი ხალხის სახელით იმ დღეს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ჩატარებული არჩევნები, რომლის გარშემო აჟიოტაჟს ქმნიდა რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება, უკანონოდ, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად გამოაცხადა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დაგვანახა, როგორც აზვირთებულ ოკეანეში

ბრძენ წინამძღოლს შეუძლია გემი სამშვიდობოზე გაიყვანოს, მას შეს-  
წევს ძალა ურთულეს დიპლომატიურ ლაბირინთებში მშვიდად გაიაროს  
და გაატაროს თავისი სამშობლო.

**სერგო ვარდოსანიძე**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**„ვისურვებთ, რომ ის სრული პრეზიდენტობა რუმინაში,  
რომლის მოწოდებაც კარგი, გავრცელებულ ჩვენი ხალხების  
ყოველგვარი ურთიერთობაში“**

მოსკოვში მცხოვრები მორწმუნე ქართველები, წმიდა გიორგის ქართულ ეკლესიაში, სიყვარულით, სიხარულით შეეგებნენ უწმიდესსა და უნეტარესს. აქვე ჩატარდა წირვა. არა მარტო ტაძარი, საეკლესიო ეზოც გადავსებული იყო მოზღვავებული მრევლით. ყველა იქ მყოფთა სახეები იყო გასხვივოსნებული, ბედნიერი და ყველა ცდილობდა მიახლოებოდა უწმიდესს. ეს იყო სიყვარულის ზეიმი.

„მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ XIII ტომის პრეზენტაციაზე, მაცხოვრის საკათედრო ტაძარში აღვლენილ ერთობლივ ღვთისმსახურებაზე თუ სხვა ვითარებაში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II თავის ყველა გამოსვლაში აუცილებლად ეხებოდა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის პრობლემებს და რუსულ-ქართულ სახელმწიფოთა შორის დაძაბული ურთიერთობის მოგვარების საკითხს.

არ შემოძლია, არ აღვნიშნო პატრიარქის გუნდის და მის თანმხლებ მომღერალთა შესანიშნავი გალობა როგორც მაცხოვრის საკათედრო ტაძარში, ისე სხვა ღონისძიებებზე.

არ შემოძლია, მადლიერება არ გამოეხატო მოსკოვში მცხოვრები ქართველების მიმართ მათი ყურადღებისა და დაუღალავი გარჯვისათვის, რათა ეს მნიშვნელოვანი ვიზიტი წარმატებულად ჩატარებულიყო.

**ელდარ შენგელაია**

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის რუსეთში ვიზიტის გამო

„უწმიდესი ჩამოდის!“ – ეს სიტყვები მოსკოვში მცხოვრები ქართველებისათვის მალამოა და სიხარული. ღმრთის მაღლით რამოდენიმეჯერ მეც შევესწარი ამ მოვლენას. უცნაური რამ ხდება ასეთ დროს მოსკოვში. ერთმანეთის უნახავი უამრავი ქართველი პატრიარქის გარშემო იკრიბება. აქ არიან აფხაზეთიდან დევნილებიც, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულებიც, თბილისელებიც, მეცნიერები, ხელოვანი ხალხი, ბიზნესმენები. როდესაც მათ უცქერ, ხვდები რა სხვადასხვანაირია ჩვენი საზოგადოება, რა მრავალფეროვანია მისი კილო, ჩაცმა, მიხრა-მოხრა. ერთი წარმომავლობის ადამიანები ბუნებრივად უფრო ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან პატრიარქის გარშემო, ერთმანეთს უცქერენ, ესაღმებთან, ყველას პირზე აკერია საქართველო, მისი ბედ-იღბალი, სახლში დაბრუნება. უცქერ ამ საოცარ სურათს და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რა ერთიანია ჩვენი ერი პატრიარქის გარშემო. რა მარტივია ეს გამაერთიანებელი საწყისი, რამდენად ბუნებრივი და მტკიცეა.

**ლევან ვასაძე**

რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი



## „ჩვენთან არს ღმერთი“

ბონგ 747-ის სალონში შემოსული, წამით შეჩერდა, ყველას მოგვწვდა მზერით, ღიმილით წარმოთქვა ეს სიტყვები, პირველივე რიგში დაბრძანდა და ავფრინდით კიდეც.

საოცარი სურათია... პატრიარქთან ერთად ხარ ცაში, მიფრინავ; მგზავრთა უმეტესობა სასულიერო პირია, იქვე, სავარძლებზე ხატებია დასვენებული. ბავშვური, გულუბრყვილო, ფიქრები ამეშალა. ღმერთთან სიახლოვის, იდუმალების, დაცულობის შეგრძნება გამიჩნდა.

მოსკოვისკენ მივფრინავთ. პოლიტიკოსების მიერ „დახურულ“, „აკრძალულ“ საჰაერო სივრცეს მივაპობთ საქართველოს სულიერი მამის თავკაცობით. უზარმაზარი რკინის ჩიტი მშვიდობის იმ მტრედს დამსგავსებია, ბიბლიურ ნოეს – წარღვნის, ჩვენს ერთმორწმუნე მეზობელს კი „ცივი ომის“ დასასრული რომ უნდა აუწყოს.

რუსეთის მიწაზე ფეხს პირველი იღია II დგამს. უკან თანმხლებთა გარინდული რიგი მიჰყვება ხატებით ხელში. გრძელი გზაა დედაქალაქამდე. პატრიარქს სირენებიანი ესკორტი აცილებს.

ამინდი სამხრეთულად ჩახჩახა და თბილია, ისეთივე, როგორც ჩვენი მასპინძლების განწყობა.

„მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ გამოსვლა გახლდათ საბაბი ამ მოგზაურობისა. საქართველოს პატრიარქმა მიიღო ალექსი II-ის მიწვევა და გადადგა კიდეც პირველი ნაბიჯი „მშვიდობისკენ“.

შემდგომში მის მიერ გაკეთებული ყველა განცხადება დასტური იქნება ამ მიზნისა და ჩვენი სამშვიდობო მისიისა.

„საქართველო პატივს უნდა სცემდეს, აღიარებდეს რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას, ისევე როგორც რუსეთმა უნდა იზრუნოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე“.

შოკის მომგვრელი იყო მაცხოვრის ტაძარაში უმაღლესი სასულიერო პირისგან ტერიტორიულ მთლიანობაზე, აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემებზე საუბარი; ან თუნდაც მასპინძლებისთვის იმის შესხენება, რომ რუსეთისთვის გაცილებით მომგებიანი უნდა იყოს გაერთიანებული და ძლიერი საქართველოს მეზობლობა.

მინდა გავიმეორო მოსკოვის საკათედრო ტაძარში რუსეთის პატრიარქის მიერ წარმოთქმული სიტყვები:

„ამ მძიმე მარხვის დროს თქვენმა ჩამობრძანებამ ისეთი ამაღლებული განწყობა შექმნა, თითქოს აღდგომა დღე გათენებულიყო“.

კითხვის ნიშნები მაინც დარჩა ... რა ზემოქმედებას მოახდენს ეს ვიზიტი ორი ქვეყნის სამომავლო ურთიერთობაზე?

ეყოფათ რუს პოლიტიკოსებს ძალა, საკუთარ პოლიტიკას ჩაუღრმავდნენ და აღიარონ საქართველოს დამოუკიდებლობა? (თუ დღეს არა, ხვალ მაინც მოუწევთ ამის გაკეთება!. აღმოაჩნდებათ ქართველებს იმის უნარი და სიბრძნე, რომ ჩასწვდნენ საქართველოს პატრიარქის სიტყვებს: „აღამიანი, გაღვიძებისას, მზეზე ადრე მეზობელს ხედავსო“. როგორ უნდა მოიქცნენ ამ ორი ქვეყნის პოლიტიკოსები, შემდეგ კი ჩვენ, ჩვეულებრივი მოქალაქენი, როცა ეკლესიის წინამძღოლნი ასეთ მაგალითს გვიჩვენებენ?

ამ კითხვებს ალბათ მომავალი გასცემს პასუხს. დღეს კი მე თვალწინ მიდგას ის უზამრახარი პირდაფრენილი ორმო – საძირკველი, რომელზეც შემდეგ სამების ბრწყინვალე ტაძარი წამოიშრათა. გაოგნებული ვიდექი მაშინ მის პირას და გულში ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, ამ შეჭირვებულ დროში რა ამოავსებს ამხელა სივრცეს-მეთქი. შეუძლებლად მეჩვენებოდა ამ საქმისთვის გვირგვინის დადგმა.

აკი დგას თბილისში რწმენის ქვაკუთხედად წმიდა სამების ტაძარი – ღმერთისა და ჩვენი პატრიარქის დიდი საიდუმლო. ამიტომ, არ მაქვს უფლება, არ დავიჯერო, რომ ამ სამშვიდობო მისიასაც, როგორც მისი უწმინდესობის დაწყებულ ყველა საქმეს, ბოლო კეთილი არ ექნება.

**გოგი ხარაბაძე**

## „იყავნ იზი თქვენდა მონა“

რა თქმა უნდა, ღვთის ნებაა, რომ ამ ურთულეს და წინააღმდეგობებით აღსავსე ხანაში ჩვენს ერს, თავისი ლოცვა-კურთხევით, გამარჯვების სულს და უკვდავების ძალას ანიჭებს მისი სულიერი მამა – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

მიუხედავად იმისა, რაც საქართველოში და მის გარშემო ხდება, ჩვენი სამშობლო მაინც დგას და მუდამ ფეხზე დამდგარი იქნება! საქართველო ჩვენი მაცხოვრის უძველესი სახლია, რომლის ჭერქვეშ საუკუნეების მანძილზე ვართ შეფარებული როგორც ორმოცი კაბადოკიელი მხედარი, რომლებიც ერთ საღამოს წარმართებმა გაყინულ ტბაში ჩაყარეს, თვითონ კი იქვე მახლობლად ცხელ აბანოში თბებოდნენ და ღრიანცელობდნენ... მაგრამ სებასტელი მხედრები არ შედრკნენ, ისინი უძლიერესი სულის ადამიანები აღმოჩნდნენ...

ორმოცი კაბადოკიელი მხედარი მთელი საქართველოს სახეა! და მე მჯერა, რომ დღეს ჩვენს შორის არ უნდა აღმოჩნდეს ისეთი სულმოკლე, რომელიც ამ რიგებს გამოეყოფა. ჩვენ ეს ძალა ჩვენი ხალხის დიდმა წარსულმა და ილია II-მ შთაგვაგონა.

ისტორიაში ეს ასეც ხდება, რომელიმე ერის საუკეთესო შვილი საკუთარ თავში ატარებს თავისი ხალხის სვებედს. მასში, როგორც პიროვნებაში, შესაძლოა გაუცნობიერად, შეიძლება მისტიკურადაც კი, თავს იყრის მთელი ერის გამოცდილებაც...

მოსკოვურმა დღეებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ როგორც ყოველთვის, განსაკუთრებით კი შეიძლება ქართველი ერის ისტორიის დღევანდელ ეტაპზე, ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ უდიდეს როლს, რომელსაც საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია ასრულებს ჩვენი ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტში. ასევე არ შეიძლება თვალსაჩინოდ არ ვიხილოთ ის მძიმე ჯვარი, რომელსაც თავის მხრებზე ატარებს მისი მესაჭე.

**რეზო ჩხეიძე**

## მოდღართ მოძღვარი

ჩვენი სამშობლოს ისტორიის უამრავი განსაცდელიდან ძნელია გამოვეყოთ ყველაზე ცუდი ან განსაკუთრებულად მძიმე მომენტები, რადგან ჩვენში ყოველ ისტორიულ კატაკლიზმას აპოკალიფსური ხიფათი ახლდა, საღვთო წიგნებში ნაწინასწარმეტყველების საფრთხეების ექო ხშირად არყევდა ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს. ასეთ მომენტებში საკმარისი იმედის მოძიება, საკუთარი ეროვნული უნიკალურობისა და უფლის წინაშე უმაღლესი პასუხისმგებლობის გრძნობის შენარჩუნება ძალზე მნიშვნელოვანია, და ამასთან, უაღრესად რთულიც. ქრისტიანობასთან ზიარების შემდგომ ჩვენი ქვეყანის სულიერ ცხოვრებას საქართველოს ეკლესია უძღვებოდა. რომლის გეზიც მუდმივად იყო არა ბრმა ფანატიზმი, არამედ მისი მრევლის გააზრებული, ინტელექტუალური რწმენით გაშუქებული გონება. ეს ინტელექტუალიზმი იკითხება ჩვენს უძველეს წერილობით ძეგლებში, სასულიერო და საერო ლიტერატურაში, ისტორიულ ქმედებებსა და გადარწმუნებულებაში, ერის მიერ თავისი გმირების გამორჩევისა და პატივისცემის პრინციპებში. ამ გეზის გამრუდება არ შეიძლებოდა და სწორედ ამ გეზის შენარჩუნების საქმეს ემსახურებოდა ჩვენი ეკლესია თავისი წიგნებით, ღვაწლით, ქადაგებებით, პირადი მაგალითითა და თავგანწირვით, თავისი სამრევლო სკოლებითა და აკადემიებით, მოძღვრის ინსტიტუტით, სამეცნიერო მოღვაწეობით, სახელმწიფოს საერო განვითარების განმაპირობებელ აღმშენებლობის პროცესში მონაწილეობით, თანამშრომლობით. ამიტომაც იყო, რომ საუკეთესო სახელმწიფო საქმეთა მართვაში უპირველეს პირთა შორის იყვნენ სასულიერო პირები, მაგალითად: გრიგოლ ხანძთელი, გიორგი ჭყონდიდელი, სულხანდსაბა ორბელიანი, გაბრიელ ქიქოძე, ამბროსი ხელაია და სხვანი და სხვანი.

ამ გეზის შენარჩუნებას თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდნენ საქართველოს პატრიარქები, და ამიტომაც იყვნენ ისინი ყოველთვის ჩვენი

ერის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების სათავეებთან. მხოლოდ მტერს შეიძლება უნდოდეს საერო საგანმანათლებლო სივრციდან ეკლესიის ჩამოცილება და იზოლაცია, თითქოსდა არსებობდეს ორი ჭეშმარიტება ერთ შემეცნებით საკითხთან დაკავშირებით, თითქოსდა არსებობდეს ორი მორალი, ორი სიკეთე, ორი ჭეშმარიტება...

თანამედროვე ეპოქალურ გამოწვევათა შორის ერთდერთი ყველაზე მწვავე სწორედ განათლებასა და მეცნიერებასთან დაკავშირებული საკითხია, რომელიც ამ ბოლო დროს სრულიად სპეციფიკური რაკურსით წარმოგვიდგა: განათლება და მეცნიერება თვითმიზნად გამოცხადდა, აქაოდა ესა თუ ის ცოდნა თავისთავადაა მნიშვნელოვანი და არა ადამიანის სასიკეთოდ, მისი სულიერი და გონებრივი ენერჯის ჰუმანური, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისაკენ მისამართად. ალბათ, ამიტომაცაა, რომ გენიოსების უდიდესი აღმოჩენები ძალიან ხშირად ეკოლოგიური კატასტროფის, ატომური ბომბისა და სხვა მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის საფუძვლად გამოიყენება, და არა ადამიანთა გადასარჩენად, შიმშილისა და დაავადებათა დასაძლევად, ხელოვნების ნიმუშთა შესაქმნელად.

ჩვენ მიერ დასახელებულ საკითხებს კიდევ მრავალი მაგალითი და არგუმენტი შეიძლება მიემატოს, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის სათქმელად, რომ კაცობრიობა უსულო განათლების გაფეტიშებას უნდა შეეღიოს და ადამიანი „მცოდნე მანქანას“ კი არ უნდა დაამსგავსოს, არამედ ჩვენს ეპოქაში თავმოყრილი უკიდევანო ცოდნის სულიერ მატარებელს, რომელიც თავის საბოლოო მიზნად არა ოქროსა და ფუფუნების, გართობისა და თავდავიწყების მოპოვებას, არამედ საღმრთო სიყვარულის უმაღლეს იდეალთან მისვლას ისახავს.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს უაღრესად რთულ დროში მოუხდა თავისი უმძიმესი და განსაკუთრებულად საპატიო მისიის შესრულება: მას არა მარტო წითელი ათეიზმის შავბნელ ეპოქაში უნდა გამოეტარებინა თავისი სამწყსო, არამედ გლობალიზაციური სამყაროს ეკლექტურ ღირებულებათა ოპონირება უნდა გაეწია, თავის ხალხში აღედგინა და შეენარჩუნებინა სარწმუნოება. მსოფლიო რელიგიათა დიდმა ნაწილმა ამ გამოწვევებს ან თანამედროვე ტენდენციებისაგან გასამიჯნნი მუქი ფარდა ჩამოაფარა და თავის მიმდევრებს

გარკვეული ცოდნის მიღება აუკრძალა, ან თავად გადაეშვა მოდერნისტულ ღირებულებებში და თავისი ლიბერალური გადაწყვეტილებებით ავანგარდულ მსოფლიოს გაუსწრო კიდეც არატრადიციული ღირებულებების დაკანონების საქმეში, ზოგი კი სექტებად დაიშალა და ყოველი ახალი ფასეულობისათვის ახალი „სამრეკლოდან დაიწყო რეკვა“. ამ დროს საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი დინჯი, მწყობრი, განათლებით დამშვენებული სიტყვით მიმართავს ერსა და ბერს და კი არ გაურბის ცოდნას, არამედ ესწრაფვის მას, კი არ უხუჭავს თვალს ცოდვას, არამედ ამხელს მას, კი არ იშლება, არამედ ერთიანდება. შევეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ის ძირითადი მომენტები, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების თემისადმი საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის დამოკიდებულებას გამოხატავს:

1. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის გამჭრიახი მზერა საგანთა არსს სწვდება და სხვებსაც ასეთი სიღრმები-სკენ ახედებს. მან უწყის, რომ ცოდნა ის ძალაა, რომელსაც ბოროტების დაძლევა ხელეწიფება, თუკი სწორად იქნება გაგებული და შეფასებული. ჩვენი პატრიარქის თქმით, **უპირველესი მიზანი განათლებისა დ ცოდნის სწორად გაგება და შეფასებაა:**

ჩვენ უნდა გვქონდეს ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული ანალიტიკური აზროვნების უნარი, რომ გავარჩიოთ, რა არის მისაღები და რა უარსაყოფი, გავიაზროთ, როგორ დავძლიოთ ესა თუ ის პრობლემა, რა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ადრე დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეოროთ და შევძლოთ მომავლის სწორი პროგნოზირება. ჩემი დიდი ხნის ოცნებაა, სკოლაში იყოს ანალიტიკური აზროვნების კურსი, რათა მოზარდი თაობა ადრეული ასაკიდანვე მიეჩვიოს განსჯისა და სწორი ნაბიჯების გადადგმას. (2009/10 წლები, საშობაო ეპისტოლე);

2. ცოდნას ადამიანისათვის ახლის გაგების სინარული მოაქვს და ზოგჯერ ამპარტავნებაშიც აგდებს მას, როგორც აქამდე დაუძლეველი მწვერვალის დამპყრობს. ამპარტავნება კი ცუდი მრჩეველია, სწორედ ამპარტავნება ითრევს ადამიანს ყოვლისშემძლეობისა და ზეკაცობის დამათრობელ სამყაროში, რამაც იგი შეიძლება ავტორიტარიზმამდე და მოძალადეობამდე მიიყვანოს, აი, რას ბრძანებს ამის შესახებ ჩვენი პატრიარქი:

თითოეული ჩვენგანის და საერთოდ, ჩვენი ერის უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ გვაკლია თავმდაბლობა და გვეკონია, რომ ჩვენი ძალებით, ჩვენი ჭკუითა და უნარით შევძლებთ წარმატებების მიღწევას, რაც მადლის მოპოვებაში ხელისშემშლელ გარემოებად იქცევა. ღმერთის გარეშე თვით ანგელოზებსაც არ ძალუძთ არარა, მით უმეტეს ჩვენ. .... მუხლმოდრეკით, უმორჩილესად შევთხოვ ყოველადწმიდა სამებას, მოგვანიჭოს თავმდაბლობა და თითოეული ჩვენგანის გული ჰყოს ბეთლემის ბაგად, რომელშიც იშვება ღმერთ-კაცი იგი – იესო ქრისტე. დიდება შენდა, უფალო, მაცხოვარო ჩვენო, რომელი განცდასა ჩვენთა ცოდვათასა მოგვანიჭებ და დაცემულთა აღგვადგინებ! დიდება შენდა, უფალო, რომელი აღგვაგვსებ ჩვენ მადლითა შენითა და გვაზიარებ საუკუნო ნეტარებასა შენსა! (საშობაო ეპისტოლე 2009/2010).

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს არაჩვეულებრივი ორგანიზაციული ნიჭი აქვს მომადლებული. მის გვერდით არიან ის სასულიერო პირები, რომელთაც ლოცვასთან ერთად თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ მოღვაწეობა: შრომა, სწავლა, სამეცნიერო აზროვნება, აღმშენებლობა, სწავლება და სხვ. ამ ყოველივეს ეკლესიებში ბევრი შესანიშნავი პიროვნება გამოჩნდა, რასაც ხელი შეუწყო უწმიდესის და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გახსნილმა თბილისის სასულიერო აკადემიამ. სასულიერო აკადემიის თბილისში გადმოსვლის შემდეგ მისი საქმიანობა მეტად გაფართოვდა. ამან განაპირობა ის, რომ სასულიერო აკადემიის მეშვეობით ეკლესია-მონასტრებს მეტად საინტერესო მსახურები, ხოლო თეოლოგიურ მეცნიერებას მრავალი კვალიფიციური კადრი შეემატა. სასულიერო აკადემიის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო ინიციატივით და ლოცვა-კურთხევით გაიხსნა საერო უმაღლესი სასწავლებლები: წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ახალი თანამედროვე სტანდარტების უნივერსიტეტი ღირსეულად ჩადგა ქართველი სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. სულ მალე უნივერსიტეტმა დაიწყო სხვადასხვა დარგებისთვის უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციური კადრების მომზადებაც. ამ ყველაფერს ხელი იმ გარემოებასაც შეუწყო, რომ ქართულ უნივერსიტეტში თავი მოიყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სულხან-საბას ორბელიანის სახელობის

პედაგოგიური უნივერსიტეტის და სხვა უნივერსიტეტებიდან წამოსულმა პროფესორ-მასწავლებლებმა, რომელთაც უმაღლეს სკოლებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნდათ. ერთი წლის შემდეგ, ასევე კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საქართველოს საპატრიარქომ გახსნა კიდევ ორი უმაღლესი სასწავლებელი: ხულოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი და თბილისში წმიდა თამარ მეფის სახელობის მედიცინის ინსტიტუტი, ამჟამად მედიცინის სასწავლო უნივერსიტეტი. ორივე უნივერსიტეტი კვალიფიციური კადრების მომზადებას ემსახურება.

სახელმწიფოს მეთაურისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ერთობლივი ბრძანებით ქ. ქუთაისში დაარსდა გელათის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ჩატარებული კვლევების თანახმად გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალებს თეოლოგიის, ეკლესიის ისტორიის, ძველი ქართული ენის, ლიტერატურის, ქრისტიანული ხელოვნების მნიშვნელოვან საკითხებზე და პრობლემებზე. კათოლიკოს-პატრიარქი მეცნიერების მხარდაჭერისა და მის განვითარებაში განუზომელი წვლილისათვის არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად, ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად.

2005 წელს წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის დღეს დაარსდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი “სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და განვითარება“. პატრიარქმა ფონდის დაარსების მიზანი ასე განმარტა - ფონდის ზრუნვის საგანი იქნება არა მარტო სულიერების განმტკიცება, არამედ კულტურისა და მეცნიერების აღორძინება და განვითარება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს განვითარებისათვის. ფონდი მრავალი მიმართულებით მუშაობს, ეხმარება გამოძეგვლობებს, აფინანსებს სამეცნიერო, ისტორიულ, სასწავლო-შემეცნებითი და ავტოგრაფიული ხასიათის წიგნების გამოცემას, აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის საქმეში.

3. მისი უწმიდესობა სხვა წმიდა მამებთან ერთად მონაწილეობს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფორუმებში, სამეცნიერო და



კულტურულ ღონისძიებებში, დიპლომატიურ და ჰუმანიტარულ მისიებში. საქართველოს წმინდა ეკლესია მეცნიერებისა და განათლების დიდი მეგობარია. ამიტომაცაა, რომ დღევანდელ საქართველოში გვაქვს არა მარტო სასულიერო სასწავლებლები, სემინარიები და სასულიერო აკადემია, არამედ პატრიარქისგან ხელდასხმული საერო სკოლები და უნივერსიტეტები. ამიტომაც არის, რომ ყველა სახელმწიფო საერო ინსტიტუტი არა მხოლოდ ანგარიშს უწევს, ითვალისწინებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, არამედ მათი უძრავ-ლესობა ესწრაფვის თავისი საკეთებელი საქმის წარმატებისთვის სწორედ უწმიდესის რჩევა და კურთხევა მიიღოს. ყოველივე ამის დასტურია ამჟამინდელ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის სულისკვეთებაც, რომლის მიხედვითაც: „ცვლილებები შედის “უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში. ცვლილების მიხედვით, საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე კანონმდებლობით დადგენილი აკრედიტაციის წესები აღარ გავრცელდება.

საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებული ცვლილებები შეეხება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის სხვა ნაწილებსაც: განისაზღვრება პროგრამებზე მიღებისა და გრანტის გაცემის წესი, საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების სფეროში პატრიარქის უფლებამოსილება, სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და სხვა.

ამ ცვლილებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საღვთისმეტყველო სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტები საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე ჩაირიცხებიან, კათოლიკოს-პატრიარქის დადგენილი წესით. სახელმწიფო გრანტი კი კათოლიკოს-პატრიარქის წარდგინებით მიენიჭებათ.

კანონპროექტის თანახმად, უმაღლესი განათლების შესახებ კანონს ემატება ახალი პუნქტები, რომლებიც განმარტავს „საპატრიარქოს“, „საღვთისმეტყველო უმაღლეს განათლებას“, „საღვთისმეტყველო უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებას“ და „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს“.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონს ასევე ემატება საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების „ძირითადი მიზნების“ ამსახველი პუნქტები. მათ შორისაა „რწმენისა და ცოდნის ერთიანობაზე, განათლების უწყვეტობასა და მემკვიდრეობითობაზე, აგრეთვე მართლმადიდებლურ სწავლა-მოდერებასა და კულტურაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც ემსახურება მართლმადიდებლური რწმენისა და ღირებულებების დამკვიდრებასა და განმტკიცებას“, „ზოგადქრისტიანული და ქართული მართლმადიდებლური კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ხელშეწყობა“ და სხვა.

ცვლილებები შედის აკადემიური ხარისხის განსაზღვრის ნაწილშიც. მოქმედი კანონის მიხედვით, აკადემიური ხარისხი განსაზღვრულია, როგორც „ხარისხი, რომელიც მიენიჭება პიროვნებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი უმაღლესი განათლების საფეხურის დამთავრებისას“. კანონპროექტის მიხედვით კი, აკადემიური ხარისხი განისაზღვრება, როგორც „კვალიფიკაცია, რომელსაც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად მინიჭებული კვალიფიკაცია“.

კანონპროექტისვე მიხედვით, პატრიარქი უფლებამოსილია, 2015 წლის პირველ იანვრამდე თავად განსაზღვროს უმაღლესი განათლების სფეროში აკადემიური ხარისხის მინიჭების საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებული წესი და მიანიჭოს აკადემიური ხარისხი მის მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე.

კანონს ასევე ემატება მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უფლებამოსილებებს საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების სფეროში. მისი მიხედვით, კათოლიკოს-პატრიარქი აფუძნებს საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას და ამტკიცებს მის წესდებას; ამტკიცებს ამ დაწესებულების სტუდენტების სწავლის საფასურს; აკადემიური თანამდებობების დაკავების წესს;

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით ამტკიცებს დიპლომის და დანართის ფორმას და სხვა. დაწესებულების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია საპატრიარქოს პრეროგატივაა - ლიკვიდაციის შემდეგ მისი ქონება გადაეცემა საპატრიარქოს.

კანონპროექტი ავალდებულებს განათლების სამინისტროს, დაამტკიცოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების წესი. კანონპროექტის მიზანი „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაფუძნებული საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და მათი საგანმანათლებლო საქმიანობის განსხვავებული რეგულირების აუცილებლობაა“. <http://www.tabula.ge/ge/story/63394-ga-natlebis-sistemashi-patriarqis-rol-i-izrdeba>

4. უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ანალიტიკურ აზროვნებას, რომელმაც ადამიანი უნდა მიიყვანოს ჭეშმარიტებად. ადამიანის გონება თავისუფალი შემოქმედებისთვის შექმნა განგებამ და არა ბრმა მორჩილებისთვის, რისკენაც ხშირად თანამედროვე იდეოლოგიური სისტემები უბიძგებენ კაცობრიობას; თუნდაც ყველაზე ჰუმანური აზრი, პიროვნებამ უნდა გააანალიზოს და ორგანულად შეითვისოს, მიიღოს:

„როდესაც ადამიანი ანალიტიკური აზროვნების გარეშე იწყებს საქმეს, შესაძლოა, ამისთვის ის მზად არ იყოს. ამიტომ განათლების სამინისტრომ უნდა მოახერხოს და დაწყებით კლასებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ანალიტიკური აზროვნების განვითარებას ხელი შეუწყოს. „ვეფიქრობ, ჩვენი განათლების სამინისტრო მივა იმ დასკვნამდე, რომ დაწყებითი კლასებიდან დაწყებული საშუალო სკოლაში და უმაღლეს სასწავლებლებში ანალიტიკური აზროვნება შეტანილი იქნება“, - ბრძანებს პატრიარქი. <http://www.epn.ge/archives/11033>

5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არაერთგზის აცხადებს, რომ განათლების სისტემის ამოცანაა არა მხოლოდ ცალკეული დარგობრივი ცოდნის მიცემა ახალგაზრდობისათვის, არამედ უპირველეს ყოვლისა, მათი აღზრდა სრულყოფილ ადამიანებად,

პატრიოტებად, მოქალაქეებად; ამიტომაც აღნიშნავს არაერთხელ, რომ აუცილებელია აღმზრდელიობითი მეთოდოლოგიების მოძიება და დანერგვა საგანმანათლებლო სივრცეში: „პიროვნების სწორად ჩამოყალიბება დამოკიდებულია ოჯახში აღზრდაზე. ეს გარემო, სასწავლებელთან და ეკლესიასთან ერთად, გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალგაზრდის ფორმირებაში. კომუნისტური რეჟიმის პირობებში ბევრი რამ დამახინჯდა, გაუკუღმართდა, მათ შორის, შვილებისადმი სიყვარულიც. მშობლები თავისი გაგებით უფრთხილდებიან მათ და ცდილობენ, ჰქონდეთ საუკეთესო ჩასაცმელი, არაფერი ეტკინოთ, არ ეწყინოთ, არ დაიღალონ, არამედ გაერთონ და ისიამოვნონ.. . . ანუ უქმნიან სასათბურე პირობებს და თავისდაუნებურად ბავშვებში ეგოისტურ სულს აღაზევენ. ეს არის გაუცნობიერებელი მტრობა შვილების მიმართ!

ასეთი დამოკიდებულების შედეგად ახალგაზრდა უსუსური ხდება, არა აქვს შინაგანი სიმტკიცე, ხშირად იჩენს სიმხდალეს, მუდმივად ეძებს საყრდენს და სხვაზეა დამოკიდებული, დაქვეითებული აქვს აზროვნებაც და სიცოცხლისუნარიანობაც; ამასთან, არის ამბიციური და „მე“-ზე ორიენტირებული. ეს ყველაფერი სხვადასხვა ეკონომიური შესაძლებლობის მქონე ფენაში სხვადასხვა სახით ვლინდება, თუმცა ღიდ ნაწილში ერთი საერთო მდგომარეობა შეიმჩნევა, – არსებულით დაკმაყოფილება, უინიაციტივობა და მიშვებულობა. ხშირია შემთხვევები, როცა მათ ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ ეზარებათ ვითარების გამოსწორებისათვის ზრუნვა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფნიც, ზედმეტად თავს არ იწუხებენ, რადგან არა აქვთ ძიების სურვილი. ეს მოსწავლეები და სტუდენტები ამთავრებენ რა სასწავლებელს, ამთავრებენ ურთიერთობას წიგნთან და მხოლოდ ინტერნეტის თამაშებით იტყვევენ თავს. ბევრი მიეჩვია უშრომელად, ან შედარებით იოლი საქმიანობით, თავის გატანას და აღარ ეძებს სხვა გზებს მდგომარეობის გამოსასწორებლად; ამასთან, თუ ერთხელ არ გაუმართლა მცდელობამ, უიმედობა იპყრობს, დეპრესიული ხდება და იწყებს ცხოვრების კიბეზე კიდევ

უფრო დაღმა დაშვებას. ამიტომაც გამრავლდა ნარკომანია, ლო-  
თობა, ქურდობა, მკვლელობა, აღვირახსნილობა...; ეს ყველაფერი  
არასწორი აღზრდის შედეგია.

ჩვენი შვილები თავიდანვე ძლიერ პიროვნებად უნდა  
აღზარდოთ და, პირველ რიგში, ღვთის სიყვარული და იმე-  
დი შთაუწეროთ; იმედი იმისა, რომ თუ სწორად იცხოვრებენ,  
მარტონი არასოდეს იქნებიან და პრობლემებს უფლის შეწევნით  
აუცილებლად გადალახავენ.

ამასთან, პატარები უნდა მივაჩვიოთ შერიგებას, წყენის დავიწყე-  
ბას, მეგობრებისადმი და, საერთოდ, ადამიანისადმი ერთგულებას,  
მადლიერებას, სხვის დახმარებას, სწორედ იმის გაღებას, რაც  
თვითონ ყველაზე მეტად უყვარს და სხვისი სიხარულით გახ-  
არებას, უნდა მივაჩვიოთ სამართლიანობას, ამტანობას, ტკივილის  
გაძლებას, რთულ სიტუაციაში გამოსავლის პოვნას, რა თქმა  
უნდა, შრომასა და წიგნის კითხვას; ანუ მოვამზადოთ ცხოვრე-  
ბისათვის.

ფიზიკური და ინტელექტუალური დატვირთვა აუცილებელია  
ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად, რომ საჭიროების შემთხვევაში  
თავიც დაიცვას და სხვაც, ამასთან, გაარჩიოს, სად არის შავი და  
სად — თეთრი, რა არის კარგი და რა — ცუდი პირადად მისთ-  
ვის, მისი ოჯახისათვის, ახლობლებისა და ქვეყნისათვის, რომ  
თავის შინაგან სამყაროში იგრძნოს სილაღე, თავისუფლება, სი-  
ძლიერე და სიყვარულით აღვსილი ამ თვისებების სხვათათვის  
გამზიარებელი იყოს სიცოცხლის ბოლომდე.

ამ მიზნის მისაღწევად დედ-მამამ პირადი მაგალითი უნდა  
უჩვენონ და, ამავე დროს, ურთიერთპატივისცემითა და შეთანხ-  
მებულად უნდა იმოქმედონ. [http://presa.ge/new/?m=soci-  
ety&AID=27143](http://presa.ge/new/?m=soci-ety&AID=27143)

ჩვენი პატრიარქი ხშირად აღნიშნავს, რომ ყმაწვილთა მსოფლმხედვე-  
ლობის ჩამოყალიბებაში წიგნზე არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს აღმზრ-  
დელთა პირად მაგალითს, მათ ზნეობრიობასა და ჰუმანიზმს. კარგი ადამი-  
ანი კარგი აღმზრდელია. კათოლიკოს-პატრიარქი არაერთხელ დასწრებია  
საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში საჯარო სკოლების გახსნას, სადაც  
იგი წარმოთქვამდა გულშიჩამწვდომ, სადა და ამასთანავე უაღრესად ღრმა  
სიტყვებს სწავლა-აღზრდის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე, ქართული სა-

განმანათლებლო სისტემის გაუმჯობესების მიმართულებებზე; უნდა ითქვას, რომ მისი ყოველი გამოსვლა საეტაპო მნიშვნელობისაა და მუდმივად ასხენებს განათლების მესვეურთ: მასწავლებლებს, მეცნიერებს, საგანმანათლებლო საქმის ორგანიზატორებს, რომ ნებისმიერი საფეხურის სკოლის უმთავრეს ფასეულობასა და უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენენ ადამიანები – მოსწავლეები და მასწავლებლები.

საქართველოს პატრიარქი მუდმივად აღევნებს თვალყურს განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებს და ყოველ ასე თუ ისე მნიშვნელოვან რეფორმას აძლევს შეფასებას. იგი არაერთგზის უსვამს ხაზს მეცნიერების განვითარების მნიშვნელობას და მეცნიერული მიღწევების არა მხოლოდ შემოტანას, არამედ ადგილზე განვითარებას, რადგან საქართველოს, მის მოსახლეობას, მის ეკონომიკას, ბუნებრივ რესურსებსა და ისტორიულ-კულტურულ განვითარებას საკუთრივ ქართველი სამეცნიერო ინტელიგენცია უნდა სწავლობდეს. ასეთი კადრი კი საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა მოამზადონ. ჩვენს ზედმეტად დინამიკურ ყოფაში რეფორმათა სიჭარბე შეიძინევა. მისი უწმინდესობა სიფრთხილისაკენ მოუწოდებს “რეფორმათა მოყვარულებს”, რადგან ისეთი მყარი სფერო, როგორც განათლებაა, ვერ გუობს ნაჩქარევ საკადრო პოლიტიკას, გამოცდილების მქონე სპეციალისტთა იგნორირებას, ტრადიციათა გაუთვალისწინებლობას, ადამიანთა სულსა და გონებაზე ძალადობას, სამწუხაროა ისიც, რომ ხშირად პარლამენტის მიერ მიღებული კანონები თუ გადაწყვეტილებები არ ეხმარება ქართული განათლების სისტემის განვითარების საქმეს, ამ რიგისაა: უმაღლესი სკოლებიდან გამოცდილი სპეციალისტების დათხოვის შემთხვევები, სამეცნიერო საბჭოების როლის დამცრობა, მინისტრების, უნივერსიტეტების რექტორთა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დირექტორების პოლიტიკური ნიშნით დანიშვნის (და არა არჩევის!) მცდარი პრაქტიკა. აი, რას ბრძანებს საქართველოს პატრიარქი:

მინდა შევეხო ჩვენი საზოგადოებისთვის აქტუალურ და მტკივნეულ ზოგიერთ საკითხსაც და, პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებ თანამედროვე ადამიანის სულიერ და ინტელექტუალურ მხარეზე. განათლების რეფორმისას დაშვებულმა შეცდომებმა შედეგად მოგვიტანა ის, რომ მოზარდები ცოდნის შექმნის სურვილს უკვე ნაკლებად ამჟღავნებენ.

სამეცნიერო მოღვაწეობა კი არაპრესტიჟულად მიაჩნიათ, რადგან ხედავენ რომ ინტელიგენციას სათანადო დაფასება არა აქვს (ისინი ხომ საშუალო ღონეზეც კი ვერ ინახავენ ოჯახს).

ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. მეცნიერების განვითარების გარეშე ქვეყანას არა აქვს მომავალი, რადგან ერის სულიერებისა და განათლების ერთ-ერთ უმთავრეს ძალას სწორედ ისინი წარმოადგენენ. ჩვენ თავს ვხრით და დიდად ვაფასებთ იმ თავდადებას, რომელიც კომუნისტური რეჟიმის პერიოდში გამოიჩინეს ჩვენმა მეცნიერებმა და ათეისტური ყოფის მიუხედავად, შეძლეს ხალხისათვის სწორი ორიენტირების შენარჩუნება.

გავისხენოთ ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, დიმიტრი უზნაძე, თედო სახოკია, გრიგოლ ლორთქიფანიძე, შალვა ნუცუბიძე, ივანე ბერიტაშვილი, მაქსიმე შარაძე, ფილიმონ ქორიძე და სხვა მრავალნი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყვნენ შევიწროებულნი, დამცირებულნი და ყოველდღე ელოდნენ დაპატიმრებას . . . , მათ არა მარტო დაიცვეს, არამედ გაამდიდრეს ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, დაიცვეს როგორც თავისი, ისე ქვეყნის ღირსება.

რეფორმა ყოველთვის სიახლეების შემცველი და პროგრესზე მიმართული უნდა იყოს. მაგრამ დიდი სიფრთხილით უნდა განხორციელდეს.. უმაღლესი სკოლის მენეჯმენტი ისეთი სფეროა, რომელსაც ყველგან განსაკუთრებით ეკიდებიან, მათ შორის იუნესკოს მსოფლიო სისტემაში, ჩვენში საგანმანათლებლო რეფორმის დაწყებიდან ძალიან მალე ბევრ პროფესორს დაატოვებინეს უმაღლესი სკოლა, ამან თავის მხრივ განაპირობა პროფესიული კადრების დაქსაქსვა, რამაც კიდევ უფრო დააზარალა უმაღლესი განათლების სისტემა. შეიქმნა სიჭუაცია როდესაც პედაგოგთა ხელფასები მინიმალურ ზღვარს ქვემოთ იყო. გამართული სისტემები მოიშალა, პედაგოგების მდგომარეობა სრულიად გაუსაძლისი გახდა. ამიტომ მეტად ფასდაუდებელია კათოლიკოს-პატრიარქის მხარდაჭერა ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი მეცნიერებისა და პროფესორებისადმი. მან სწორედ ამ უმძიმეს პერიოდში გამოხატა თავისი თანადგომა. ყოველ ხუთშაბათს კათოლიკოს-პატრიარქი იწვევდა ცნობილ მეცნიერებს, პროფესორებს და სწავლა-აღზრდის საკითხებზე, მეცნიერების პრობლემებზე, განათლების სისტემის განვითარების შესაძლებლობებზე, გენდერულ საკითხებზე, ზოგა-

დად სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ სასაუბროდ. იმართებოდა მსჯელობა რა უნდა გაკეთებულიყო სხვადასხვა დარგის - კულტურის, ხელოვნების, სპორტის, არქიტექტურის, ესთეტიკის, ფილოსოფიის და სხვ. განვითარებისათვის. ზშირი იყო პატრიარქის შეხვედრები ყველა მიმართულების მასწავლებლებთან. ასეთი შეხვედრების შედეგია, რომ ბევრი მეცნიერი, პედაგოგი, სტუდენტი დაუახლოვდა ეკლესიას. ეკლესიაში ეძებდა ახალგაზრდობა სულიერი გამტკიცების საფუძველს. მაგალითად სვეტიცხოვლის, სიონის, ქვაშუეთის, სამების და თითქმის ყველა ტაძარში მრევლის დიდი ნაწილი ახალგაზრდობაა, რაც ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის განსაკუთრებულ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ.

6. განათლება სულისა და გონების მდგომარეობაა, და არა კომპიუტერული მანქანის ელექტრონული საწყობი. ადამიანი განათლებას იღებს არა მხოლოდ ინფორმაციის სახით, არამედ განიცდის, გრძნობს, შეიმეცნებს მას. ადამიანისათვის ცოდნა სიმართლისაკენ მიმავალი გზის მანათობელი ლამპარია. გზამ კი ტაძრისკენ უნდა წაგვიყვანოს. რუსთაველი ამბობს:

*„რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,  
მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!  
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!  
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.“*

მადლობა, რომ ამ გზაზე მიგვიძღვები, ჩვენო პატრიარქო!



## ილია II-ის მოღვაწეობის ქრონოლოგია

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, მორწმუნე მრევლი განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავენ უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების თარიღებს.

1978 წლის 24 დეკემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საღმრთო-სადღესასწაულო წირვა აღასრულა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ტაძარი საქართველოს ყველა კუთხიდან მოსული ხალხით გაივსო, ყველას სურდა უწმიდესისა და უნეტარესისათვის მიელოცა პატრიარქად აღსაყდრების დღე. საღამოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა საიუბილეო სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე). ინტელიგენციას, მორწმუნე მრევლს უჩვენეს დოკუმენტური ფილმი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრების შესახებ.

1980 წლის 25 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურგიის შემდეგ, რომელიც პატრიარქის აღსაყდრების მესამე წლისთავს მიეძღვნა, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა შიომ (ავალიშვილი) მის უწმიდესობას მიმართა: „უკვე სამი წელი გვაშორებს იმ ღირსშესანიშნავ 25 დეკემბრის თარიღს, როდესაც მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ღვთის განგებამ კათოლიკოს-პატრიარქის გვირგვინი დაადგა თავის რჩეულს თავზე. მე ვულოცავ საქართველოს სამოციქულო ეკლესიასა და ქართველ მორწმუნე ხალხს ღვთისგან კურთხეულ ამ ახალ დასაწყისს ჩვენი სულიერი აღმავლობისას. ცნობილი ამბავია, რომ ადვილი როდია სულიერი ცხოვრების აღმავლობის გზაზე დაყენება... ღვთის მაღალი განგება დიდი ხნის წინათ გამზადებდათ თქვენ მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მისასვლელად, იმ დიდი ნათლის წიაღში, რაც ღვთისგან რჩეულთა ხვედრია მხოლოდ. სშირად გვეკითხებიან ხოლმე, რომ პა-

ტრიარქის გვირგვინი ოქროსია თუ არა? ჰოი, ადამიანურ სიმდაბლევ თუ ცნობისმოყვარეობავ!.. პატრიარქის გვირგვინი არც ოქროსია და არც ბრილიანტებით შემკული რაღაც... პატრიარქის გვირგვინი ღვთის მადლია, ნათლით მოსილი... პატრიარქის გვირგვინს ფასი არა აქვს, იგი არ იყიდება და არც ბრძოლით მოიპოვება... პატრიარქის გვირგვინი არ იწონება და არც იზომება, არც მხატვარია მისთვის ვინმე, არც ხელოვანი გამომჭედელი, თვალით ხილული... მას ჭედავს მხოლოდ უხილავი ღმერთის მარჯვენა... და მოგილოცავთ თქვენ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, რომ თქვენი მოღვაწეობით დაიმსახურეთ ასეთი ხელ-თუქმნელი წმიდა გვირგვინი.

ყოველი დღე ჩვენი საეკლესიო შრომისა გვარწმუნებს იმაში, რომ ქართველ მორწმუნე ხალხს ღმერთთან სიახლოვე სწყურია, უყვარს ქრისტე და ქრისტიანობა... მაშასადამე, არა ცოდვებით დაღუპვა, არამედ მარადიულობა და უკვდავება სწყურია ჩვენს სულს... ჩვენი ლოცვა, ჩვენი მადლობა და თაყვანისცემა მაღალ ღმერთს იმისათვის, რომ თქვენი სახით მოგვივლინა დიდი მოძღვარი მარადიულობისა და უკვდავების გზის მასწავლებლად. ხომ ცნობილია, რომ მორწმუნე ერის სიყვარულსა და პატივისცემას ოქრო-ვერცხლით ვერ შეისყიდ, ვერც ბრძოლითა და ძალადობით მოიპოვებს... ხალხმა რომ გული გაეიხსნას და შეგიყვაროს, ამისათვის ღვთისგან რჩეული უნდა იყო და მადლით მოსილი. ღმერთი უნდა უძლოდეს წინ საქმეებს შენსას და მისი ტკბილი სიყვარული გზას გინათებდეს... ჩვენ გილოცავთ, თქვენო უწმიდესობავ, რომ მაღალმა ღმერთმა მოგანიჭათ ეს დიდი ჯილდო, და ასე უანგაროდ უყვარხართ გულით კეთილ და პატიოსნებით სავსე მორწმუნე ქართველ ხალხს. ქრისტიანთათვის რა უნდა იყოს და სად უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, რისი მოწმენიც ჩვენ გახლავართ ამ დიდ ტაძარში. ანგელოზის დღეს – ორშაბათობით, საქართველოს ანგელოზები, ჩვენი შვილები და შვილიშვილები, იკრიბებიან ხოლმე ამ ტაძარში და იესო ქრისტე ლოცავს ჩვენს შვილებს და ცამდე ასულნი აღტაცებით ვუყურებთ ხოლმე, თუ როგორ უპყრიათ ჩვენს მომავლებს სახარება წმიდა ხელებზე, და მადლდება ზეცისაკენ სული ჩვენი ერისა... გილოცავთ თქვენ, ჩვენო მამავ და მასწავლებელო, მთელ ამ სიკეთეს და ვულოცავთ ჩვენს მრევლსა და სამშობლოს ჩვენსას, რომ ჩვენი მომავალი უწმიდეს ხელებს

უპყრიათ სახარების საღალადებლად. ზოგჯერ დაჩოქება უმძიმს ხოლმე ახალგაზრდასაც, ჩემს მოხუც გულს კი უყვარს იგი და ემსუბუქება... მე მაჩოქებს ხოლმე ღვთის სიყვარული... და ვიჩოქებ ახლაც იმ გულითა და იმ სისარულით, როგორითაც აქ დგანან ფრთებგამლილი ჩვენი ბავშვები ორშაბათობით – ანგელოზის დღეს“.

1981 წლის 25 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში საზეიმოდ აღინიშნა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების მეოთხე წლისთავი. უწმიდესსა და უნეტარესს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ურბნელმა მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ (მელიქიძე). მისმა უწმიდესობამ მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას და განაცხადა: „საქმენი, რომელნიც საქართველოს ეკლესიაში კეთდება, უფლის ნებაა, ამიტომ ყველამ მადლობა უნდა შევსწიროთ უფალს წყალობისათვის.“

მთავარეპისკოპოსმა თადეოზ იორამაშვილმა ლექსით მიულოცა მის უწმიდესობას აღსაყდრების დღე:

*„მაცხოვრის კვერთხის მკყრობელი ხელით,  
შეჭიდებული უხილავ მტერთან,  
სიმხნით და ღვაწლით აღურიცხველთა  
უძღვი ცად მიმართ ცხოვართა შენთა.  
აყვავებული სანთლები ხატთან  
სიკეთის დღეთა იყავნ მაცნენი,  
სიწმიდის მადლით და სასწაულით  
მშობელთა ღოცვით აღმონაკვესნი  
იმედმოსზმულან შენი დღეები,  
სიყვარულს ყოველს რომ უწილადებ,  
შენი ფიქრია, შენი მამული  
სამარადისოდ ნათლით ბრწყინავდეს,  
თუ საქართველო წმიდა ჯვარია,  
ნატრობ სამოთხის კართან იყოსო,  
შენი სიცოცხლე ერს უხარია,  
მრავალჟამიერ, კათოლიკოსო“.*

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში 25 დეკემ-

ბრის, პატრიარქის აღსაყდრების დღის, საზეიმოდ აღნიშვნა ტრადიციად იქცა. თუ პირველ წლებში მხოლოდ სამღვდელთა და მორწმუნე მრევლი იკრიბებოდა, ხოლო მეცნიერებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები მისალოცი წერილებით კმაყოფილდებოდნენ, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან უკვე ისინიც აქტიურად ჩაერთვნენ საყოველთაო საზეიმო ღვების აღნიშვნაში.

1987 წლის 25 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების ათი წლისთავი განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში აღინიშნა. საზოგადოების წარმომადგენლები სასულიერო პირებთან ერთად ცდილობდნენ, გამოეხატათ პატრიარქისადმი დიდი პატივისცემა და სიყვარული. თავიანთ გამოსვლებში ისინი აღნიშნავდნენ უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის განსაკუთრებულ დამსახურებას. პატრიარქმა მრავალმხრივ საინტერესო სიტყვით შეაჯამა საზეიმო სხდომა, მადლობა მოახსენა ყველას კეთილი სურვილებისათვის და აღნიშნა: „უკვე ათი წელი გავიდა, რაც პატრიარქის უღელს ვეწევი, რომელიც, მართალია, მეტად მძიმეა, მაგრამ, ამავე დროს, დიდია შეწვენაც ღვთისა. თუ ადამიანი მის ნებას ასრულებს, უფალი მას მისი წილხვედრი ჯვრის ზიდვას უადვილებს. არ მინდა ვისაუბრო იმაზე, თუ ამ ხნის მანძილზე რა გავაკეთე. როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ, გავაკეთე ის, რაც შეეძლო, ხოლო უკეთესი სხვამ გააკეთოს. რაც გაკეთდა, იმ საქმეთა აღმსრულებელი უფალი, ყოვლადწმიდა სამებაა, ხოლო ჩვენ ვმადლობთ ღმერთს, რომ მის ნებას ხანდახან მაინც ვასრულებდით... მინდა მადლობა მოვახსენო ჩვენს მღვდელმთავრებს, რომელნიც ბევრს აკეთებენ ჩვენი ეკლესიისა და ხალხისათვის. სშირად მორწმუნეთათვის შეუმჩნეველი რჩება ის დიდი ჯაფა, რომელსაც ეპისკოპოსები ეწევიან, მაგრამ ეს ალბათ ასეც უნდა იყოს, რადგან მთავარი ისაა, ღვთის საქმე გაკეთდეს. მინდა ასევე დავლოცო და მადლობა მოვახსენო ჩვენს მოძღვრებს, ბერმონაზვნებს, დიაკვნებს, მგალობლებს იმ დიდი სულიერი მოღვაწეობისათვის, რომელსაც ისინი მრევლისათვის ეწევიან, მადლობა მოვახსენოთ თქვენ და მთელ ქართველ ერს იმ დიდი სიყვარულისათვის, რომელსაც იჩენთ“.

კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების დღის აღნიშვნა მარტოდენ საზეიმო მილოცვებითა და სურვილებით არ მთავრდებოდა. უწმიდესი და

უნეტარესი თავის შემავჯამებელ სიტყვაში პირუთვნელად აფასებდა განვლილი წლების საქმიანობას და, ამავე დროს, სამომავლო გეგმებზეც საუბრობდა.

1992 წლის დეკემბერში, როდესაც მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის აღსაყდრების 15 წელი შესრულდა, საქართველოში როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით ურთულესი ვითარება იყო. სამოქალაქო დაპირისპირება ჯერ არ ჩამცხრალიყო, დაძაბულობა იყო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. მიუხედავად ამ ურთულესი ვითარებისა, საპატრიარქოს ისტორიულ რეზიდენციაში, სადაც 1991 წლიდან სამუშაოდ გადავიდა მისი უწმიდესობა, ჩატარდა საზეიმო შეხვედრა, მანამდე კი სიონის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა საზეიმო წირვა. იყო მილოცვები, კეთილი სურვილები. პატრიარქმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და საგულისხმო სიტყვით მიმართა საზოგადოებას:

„მართლაც დიდია და ისტორიული დღევანდელი დღე, მაგრამ არა იმიტომ, რომ დღეს თხუთმეტი წელი შესრულდა ჩემი ინტრონიზაციიდან, არამედ დიდია იგი იმ მოვლენების მნიშვნელობით, რომლებიც ამ 15 წლის მანძილზე მოხდა ჩვენი ერისა და ეკლესიის ცხოვრებაში. განვლო წამების თხუთმეტმა წელმა. იმდენად მძიმეა ჯვარი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, რომ XX საუკუნეში მხოლოდ უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ გაუძლო მის ტარებას ოცი წლის მანძილზე. მეტად მძიმე იყო ჩემი აღსაყდრების დრო, როცა ოფიციალურად თითქმის თავისუფალი იყო ეკლესია, სინამდვილეში კი იდევნებოდა; მაგრამ უფრო მძიმე წლებიც ჰქონია საქართველოს ეკლესიას, უფრო მეტად ყოფილა იგი შევიწროებული. მაგალითად, კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია დააპატიმრეს და დახვრეტაც კი მიუსაჯეს. ისეთი პერიოდიც ჰქონია საქართველოს ეკლესიას, როდესაც საკათოლიკოსო საბჭოს (სინოდის) მთელი შემადგენლობა ციხეში იჯდა და მის შენობაში, რომელიც დღეს ისევ საპატრიარქო რეზიდენციას წარმოადგენს, მხოლოდ მღივანი დარჩა – ეს იყო მღვლე-მონაზონი ეფრემი, რომელიც შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა... საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოში არსებული 1500 ეკლესიიდან მხოლოდ ორმოცდაათილა დარჩა მოქმედი.

აი, ასეთ მძიმე დროს მომიხდა მე ღვთის განგებით კათოლიკოს-პატრი-

არქად აღსაყდრება... ამგვარ პირობებში, როცა მოქმედებდა არაოფიციალური დევიზი, რაც უფრო ბევრი ცუდი იქნება ეკლესიაში, მით უფრო კარგია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებას კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხისადმი. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მე, როგორც იმდროინდელი რეჟიმისათვის საშიშ პიროვნებას, ისე მიყურებდნენ, მაგრამ ღვთის განგებას წინ ვერავინ დაუდგება და აი, 1977 წლის 25 დეკემბერს ამ ტაძარში შედგა ჩემი აღსაყდრება.

როგორც პატრიარქმა, პირველ რიგში, ჩემს უმთავრეს მოვალეობად ერისა და ეკლესიის გაერთიანება მივიჩნე. ეკლესია თითქოს მოწყვეტილი იყო ერისგან, განსაკუთრებით მთავრობასა და ინტელიგენციას იყო დამორეზული. ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებს ყველა სფეროში. ჩვენდა სასიხარულოდ, მათაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს ეკლესიის მიმართ. ურთიერთშეხვედრებმა საოცარი შედეგი გამოიღო, უფალი მივიდა ყველასთან. თვით ისინიც კი, რომელთაც თავიანთი თავი ათეისტებად მიანხნათ, აღიარებდნენ, რომ საპატრიარქოს რეზიდენციაში სტუმრობისას სულიერი სიმშვიდე ეუფლებოდათ. ამ დროს მათზე გადმოდიოდა მადლი, რომელიც მიზეზი ხდებოდა ჭეშმარიტი რწმენის დაბადებისა. მე მიმაჩნია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მამამთავარი და მოძღვარი უნდა იყოს არა მხოლოდ იმ ადამიანებისა, რომელნიც ყოველდღიურად მოდიან ეკლესიაში, არამედ ყოველი ქართველისა, და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის ყოველი მკვიდრისა. კათოლიკოს-პატრიარქმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, ვისაც არ შეუძლია ან სულიერი ძალა არ ჰყოფნის ეკლესიაში მოსასვლელად. ასეთ კაცთან იგი თვითონ უნდა მივიდეს, მხრებით იტვირთოს და ისე მიიყვანოს უფალთან... და ბოლოს, იმ საოცრებასაც მოვესწარი, რომ საქართველო ორასი წლის შემდეგ ისევ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. თუმცა სიძნელე ისევ მრავალია. უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ერს იმის შეგნება სჭირდება, რომ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა ყოველი ჩვენგანის შინაგანი განთავისუფლებით უნდა დაიწყოს... ასე გავიდა თხუთმეტი წელი, რომელიც, როგორც ვთქვი, წამების წლები იყო, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენ მუდამ ვგრძნობდით სიანხლოვეს უფლისას, ვგრძნობდით, რომ ჩვენთან იყო ღმერთი; და, რადგანაც ჩვენთან არს ღმერთი,

ვერავითარი მტერი, ვერც ხილული და ვერც უხილავი, ვერას დააკლებს ვერც საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასა და ვერც სახელმწიფოს“.

უწმიდესისა და უნეტარესის ეს სიტყვა მრავალმხრივ საყურადღებოა ისტორიკოსებისათვის. მასში ნაჩვენებია ის ძირითადი მიმართულებანი, თუ როგორ უნდა დაიწეროს საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორია.

1997 წლის დეკემბერში ქართველმა ხალხმა განსაკუთრებულად აღნიშნა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 20 წლისთავი. საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც არაერთი საინტერესო მოხსენება იქნა წაკითხული უწმიდესისა და უნეტარესის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამ სტრიქონების ავტორმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მის უწმიდესობას: „თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ოცი წელი გვაშორებს იმ ღირსშესანიშნავ დღეს, რაც საქართველოს საპატრიარქო ტახტზე მოხდა თქვენი აღსაყდრება. მოგესალმებით სიონის საპატრიარქო ტაძრის 70-იანი წლების იმ მრევლის სახელით, რომელიც თქვენ შექმენით საქართველოს ეკლესიაში და რომელიც მანამდე, სამწუხაროდ, არ არსებობდა. 1977 წლის ნოემბერში, როდესაც გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი დავით V, მის მოსახსენებელ პანაშვიდებს წესის მიხედვით აღასრულებდნენ ქართველი მღვდელმთავრები. მათი უმრავლესობა ხანდაზმული იყო. როდესაც თქვენ შემობრძანდით ტაძარში, საზოგადოების ის ნაწილი, ვინც არ გიცნობდათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ ქართველი მღვდელმთავარი შეიძლება ყოფილიყო ასეთი ახალგაზრდა და გამორჩეული. ბევრს უცხოეთიდან ჩამობრძანებული სტუმარი ეგონეთ.“

თუ რა სავალალო მდგომარეობა იყო საქართველოს ეკლესიაში, კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებით: თეორიულად მოქმედი 15 ეპარქიიდან რეალურად 4-5 ეპარქიას ჰყავდა საკუთარი მღვდელმთავარი და ჰქონდა მოქმედი ეკლესიები... ექვსი პატრიარქი აირჩია საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, მაგრამ არც ერთი პატრიარქის კურთხევაზე ასეთი მრავალრიცხოვანი საზოგადოება არ შეკრებილა. ყველა გრძნობდა, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა იწყებო-

და. ამას ალბათ ხელისუფლებაც გრძნობდა და მაქსიმალურად ცდილობდა ეკლესიის იზოლაციასა და შევიწროებას. საბედნიეროდ, თქვენი ბრძნული, მწემსმთავრული მოღვაწეობის გამო ამას ვერ ახერხებდა. პირველი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს ეკლესიამ XX საუკუნის 70-იან წლებში გადადგა, იყო მრევლის შემოკლება და თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, იყავით პირველი მასწავლებელი სიონის მრევლისა, იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც მოვდიოდით ეკლესიაში, მაგრამ მცირეოდენი ეკლესიური განათლებაც არ გეკონდა, არ ვიცოდით ტაძარში დგომის წესი, ლოცვა, სასულიერო იერარქისათვის მიმართვის ფორმები. თქვენ ყველაფერს გვასწავლიდით.

პირველ ხანებში გვიჭირდა ტაძარში დიდხანს დგომა, მაგრამ თქვენ გვამხნევებდით და გვისწნიდით წირვა-ლოცვაზე დასწრების მნიშვნელობას. თქვენი განსაკუთრებული დამსახურებაა ის, რომ წარმართთა თავშესაფრად გადაქცეული საქართველოს უდიდესი ეკლესია-მონასტრები კვლავ აღორძინდა; ალავერდობა, თელეთობა, სვეტიცხოვლობა, ლომისობა კვლავ დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებად იქცა... დღეს ძალიან ადვილია ლაპარაკი აღორძინებული, გამშვენებული, გაძლიერებული ეპარქიების საქმიანობის შესახებ, მაგრამ ბევრმა არ იცის, რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული თეორიულად არსებული ეპარქიების პრაქტიკულად ამოქმედება... საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორია უკვე იწერება... თქვენ სიცოცხლეშივე უკვდავების ბინადარი გახდით... ვლელავ, საოცრად ვლელავ და არ ვიცი, როგორ გამოვხატო ის განსაკუთრებული სიბო, სიყვარული და პატივისცემა, რასაც თქვენ იმსახურებთ ქართველი ხალხისაგან, ქართველი მრევლისაგან. საქართველოში საერთოდ ასე იცინა: დიდ ადამიანს ძალიან გაუშინაურდებიან ხოლმე. დრო, დისტანცია არის საჭირო, რომ ეს სიდიადე სრულად აღიქვა. განსხვავებული აზრის მოტრფიალე ქართველობა ერთსულოვანია თქვენს შეფასებაში. საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალზე ფიქრში გატარებული უძილო ღამეების, უმრავლესობისათვის დაფარული დიდი ღვაწლის დაფასებაა ერის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა თქვენდამი.“

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი დასკვნითი საზეიმო სხდომა გაიმართა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო



აკადემიურ თეატრში. უწმიდესსა და უნეტარესს მიესალმნენ მეცნიერების, ხელოვნების, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ გაიხსენა ოცი წლის წინა მოვლენები, ის დაძაბული ვითარება, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში შეიქმნა ახალი პატრიარქის არჩევის წინ. რაოდენ დიდი იყო ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის სურვილი, საპატრიარქო ტახტზე ეხილათ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პირველი პიროვნება საქართველოს ისტორიაში, ვინც წმიდა დავით აღმაშენებლის ორდენით დაჯილდოვდებოდა, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II იყო.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ამ სიტყვებით მიმართა ქართველ ერს: „ისევე როგორც პიროვნების განსაცდელი, ერის განსაცდელიც ღვთისგან მისი სულიერი ამბლებისათვის ხდება. ახლა სწორედ ამ პროცესს გავდივართ და დარწმუნებული ვარ, ღვთის წყალობით იგი იქცევა ზეცად აღმყვანებელ ჩვენს სულიერ კიბედ. ის კი, ვინც გაურბის ღვთისგან დაშვებულ ამ გამოცდას და იოლ გზას ეძებს, უარს ამბობს დიდების გვირგვინზე. მე მივმართავ მთელ ჩვენს ერს, საქართველოს მოსახლეობას, გადადგით ნაბიჯები ერთმანეთისა და ღვთისაკენ. ეცადეთ, ყოველ თქვენს მოქმედებას სიყვარული ედოს საფუძვლად, რათა იყოს მსახური უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი... ქართველნო, ერთად – ღვთისაკენ“.

2003 წლის დეკემბერში საქართველომ აღნიშნა თავისი დიდი სულიერი წინამძღოლის აღსაყდრების 25 წლისთავი. „ღროს უსასრულო მდინარებაში წუთიც კი არ არის 25, თუნდაც 70 წელი, მაგრამ ამქვეყნიური სათვალავით იგი ცოტა არაა. სრულიად ახალგაზრდა და მშვენიერი, ღვთიური ნათლით შთაგონებული აღზევდით თქვენ ქართული ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე... თქვენი პატრიარქობის პირველი დღებიდანვე დაიწყო და თითქმის მთლიანად მოწესრიგდა საქართველოს ეკლესიური ცხოვრება. უანგარო ღვაწლი, რომელსაც თქვენი წინამორბედი პატრიარქები ეწოდნენ მათთვის მძიმე მოღვაწეობის პერიოდში, თქვენ განამრავლეთ. ქართული ეკლესიის ნამდვილი გამოღვიძების მისია თქვენ გხვდათ წილად... წლების მანძილზე უძღვდლებოდ დარჩენილ ეკლესიებს თანდათან დაუბრუნდათ ან უბრუნდებათ თავიანთი სახე... გელათის, იყალთოს, ტბეთის

უძველესი, ოდესღაც ელადის სიმაღლეზე მდგარი, მაგრამ მტრისგან იავარქმნილი აკადემიების ნაფუძარზე კვლავ გაიღვიძა სიცოცხლემ... თქვენნი მუდმივი საზრუნავი იყო და არის, ჩვენს ქვეყანაში, საერთოდ ჩვენს შორის, სუფევდეს ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული. თქვენ ერის ყველა შვილს მოუწოდებთ რწმენისა და სიკეთისაკენ... ღვთისგან განსაკუთრებული ლოცვა-კურთხევით ხელდასხმული ბრძანდებით... იყავით დღევრძელი. დიდხანს მშვილობიანად გემართოთ წმიდა საჭე ქართული ეკლესიისა“, – ამ სიტყვებით მიულოცა ჟურნალმა „ჯვარი ვაზისა“ მის უწმიდესობას საიუბილეო თარიღი.

2007 წელს შესრულდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის დაბადებიდან 75, ბერად აღკვეციდან 50, მღვდელმთავრად დადგინების 44 და პატრიარქად აღსაყდრებიდან 30 წელი. ქართველი ხალხი განსაკუთრებულად ემზადებოდა მისი უწმიდესობის საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად.

2007 წლის 12 ოქტომბერს დაიწყო მისი უწმიდესობის აღსაყდრების 30 წლისთავისა და მცხეთის ჯვრის მონასტრის 1400 წლის საიუბილეო დღესასწაულის ოფიციალური ნაწილი. საქართველოში სტუმრად ჩამობრძანდნენ: კონსტანტინოპოლისა და ახლისა რომისა მსოფლიო პატრიარქი ყოვლადუწმიდესი ბართოლომეოს I; კვიპროსის ეკლესიის მეთაური მთავარეპისკოპოსი ქრიზოსტომოს II; ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური მიტროპოლიტი ქრისტეფორე; უკრაინის ეგზარქოსი მიტროპოლიტი ვლადიმერი; ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის ეკლესიის ეპისკოპოსი ნიფონი; იერუსალიმის ეკლესიის მთავარეპისკოპოსი თეოფილე, რუსეთის ეკლესიის ორენბურგის მიტროპოლიტი ვალენტინი, სერბეთის ეკლესიის მთავარეპისკოპოსი ამფილოქი, რუმინეთის ეკლესიის მიტროპოლიტი იოსები, ბულგარეთის ეკლესიის მიტროპოლიტი დომეტიანი, ელადის ეკლესიის მიტროპოლიტი ამბროსი, ალბანეთის ეკლესიის მიტროპოლიტი იგნატიოსი, პოლონეთის ეკლესიის მთავარეპისკოპოსი სიმონი, ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსი ირინეოსი. სტუმრებს საზეიმო მიღება მოუწყვეს საპატრიარქო რეზიდენციაში, სადაც სიტყვა წარმოთქვა ყოვლადუწმიდესმა ბართოლომეოს I-მა: „დიდია ჩვენი სიხარული, ვინაიდან თქვენთან ერთად ვიმყოფებით, უნეტარესო და უსაყვარლესო

ძმაო, თქვენს სტუმართმოყვარე და ისტორიულ ქვეყანაში, საქართველოში, რომელთანაც ჩვენს კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მჭიდრო, საუკეთესო სულიერი და, ამასთანავე, კანონიკური ურთიერთობა აკავშირებს თავი მოვიყარეთ დღეს აქ, რათა ერთად აღვნიშნოთ მისი უწმიდესობის აღსაყდრებიდან 30 წლისთავი თქვენ ისეთ მღვდმარეობას გაუძელოთ, რომ ჩვენთვის, ვისაც ის უშუალოდ არ განგვიცდია, მისი აღქმაც კი არ ძალგვიძს, მაგრამ, ამავე დროს, თქვენ გადმოგეცათ სამწყსო, მოწყურებული ღვთისა და ღვაებრივ სიყვარულს, და, მიუხედავად იმისა, რომ ხალხს მეტად უჭირდა, თქვენ დიდი გამოცდილება და თავგანწირვის გრძნობა შეგძინათ მოხარულნი ვართ, აღორძინების სულს რომ ვგრძნობთ.

ეს არის სული ნუგეშისმცემელი უფლისა ჩვენისა, რომელიც მსჭვალავს მოციქულთა ოფლით გაუღენთილ და მოწამეთა სისხლით განბანილ ამ ქვეყანას. ეკლესიის ეს აღორძინება, მისი წინსვლა არ მოხდებოდა, თუკი 1977 წელს საპატრიარქო ტახტზე ესოდენ ღირსეული პიროვნება არ ასულიყო, არ იქნებოდა წინსვლა, თუკი ქვეყანას არ ეყოლებოდა ესოდენ ზნეობრივი, მშრომელი, შორსმჭვრეტელი, სიბრძნითა და მოთმინებით მმართველი პატრიარქი, რომელიც თავის ხალხს მეორე სულიერი დაბადებით მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში და მის ძიებაში დააბრუნებდა“.

13 ოქტომბერს თბილისის წმიდა სამების საკათედრო ტაძარში მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოს I-მა მართლმადიდებელ ეკლესიათა მიერ წარმოგზავნილ მღვდელმთავრებთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებთან ერთად საზეიმო ლოცვა აღავლინა. უკრაინის დელეგაციამ წაიკითხა უკრაინის პრეზიდენტის, ვიქტორ იუშჩენკოს, მისალმება და გადაწყვეტილება, მისი უწმიდესობის, ილია II-ის უკრაინის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი – თავად მიროსლავ ბრძენის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი, მისი შემოგარენი ხალხს ვერ იტევდა. ტაძარში მობრძანდნენ: მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II, მსოფლიო პატრიარქი ყოვლადუწმიდესი ბართოლომეოს I, მართლმადიდებელ ეკლესიათა დელეგაციები, საქართველოს ეკლესიის

წმიდა სინოდის წევრები, სამღვდელოება, ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მისი უწმიდესობის აღსაყდრების 30 წლისთავის მისალოცად მობრძანდნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. უწმიდესი და უნეტარესი ილია II მიესალმა სტუმრებს, მადლობა მოახსენა ჩამობრძანებისათვის და აღნიშნა: „ეს 30 წელი, რომელიც საქართველომ განვლო, მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველოს ეკლესია მუდამ გზას უჩვენებდა ქართველ ერს.

მართლმადიდებელი სარწმუნოება მუდამ იყო და იქნება ჩვენი ერისა და ჩვენი სულიერების განმამტკიცებელი, შემაერთებელი, შემდუღებელი. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ეს ერთობა არ იყოს დარღვეული. ამ 30 წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩემი გაკეთებულია. მახსენდება სიტყვები წმიდისა მეფისა დავით წინასწარმეტყველისა: „უფალი მეფობს“. როდესაც მეფე დავითს ხალხი აქებდა და ამბობდა, რომ მან გაამთლიანა ისრაელი, მეფემ გააჩუმა ისინი და უთხრა: „უფალი მეფობს“. უფალი მეფობს, უფალი ქმნის, უფალი ამთლიანებს, ხოლო ბოროტი ძალა ანაწევრებს“.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სახელით მის უწმიდესობას მიესალმა მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), რომელმაც აღნიშნა: „მრავალი ჩვენგანი მოწმეა იმისა, რომ მისმა უწმიდესობამ ამ 30 წლის წინ ჩაიბარა უცხო ქვეყნის მკვრობელობის შედეგად დამცრობილი ეკლესია, მატერიალურად უნივთო, ნაკლოვანი და ქანცმილეული, ათეისტ მმართველთა მძლავრობით დაშინებული სულ რამდენიმე ათეული სამღვდელო პირით. და აი, გავიდა 30 წელი და ჩვენ ვხედავთ, თუ რა წარმატებით შეეგება ჩვენი ეკლესია ახალ ათასწლეულს თქვენი ყოველდღიური საქმითა და სიტყვით იყავით და ხართ ჭეშმარიტი მოძღვარი და მასწავლებელი, წმიდა ეტალონი არა მხოლოდ სულიერ-ეკლესიურისა, არამედ – ყოფითისა, ეთიკისა თუ ესთეტიკისა. ყველა ჩვენგანმა ყველაფერი თქვენგან შეისწავლა, უფრო სწორად თუ ვიტყვით, უნდა შეისწავლოს, რადგან თქვენ უკვდავი საღმრთო მაგალითი ბრძანდებით წყალობისა და ქველის საქმისა, ლოცვისა და მარხვისა. როგორც იტყვიან, ვინ აღრიცხავს თქვენს სახიერებას ზეცათა მამის გარდა? 30

წლის წინანდელ ქაოტურ სასულიერო დასში დაინერგა წესიერება და კანონი და თქვენი მორიდებით და კრძალვით ვერავინ იკადრებს უწესო სვლას. პატიოსნება და ღირსება თავის ადგილს იმკვიდრებს. მონასტრები, საეპისკოპოსოები და ეკლესიები წესითა და რიგით აღასრულებენ საღმრთო მსახურებას“.

15 ოქტომბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ: საზღვარგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა დელეგაციები, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის მღვდელმთავრები, სამღვდლოება, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. უწმიდესსა და უნეტარესს საიუბილეო თარიღები მიულოცეს: მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოს I-მა, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა მიტროპოლიტმა იოსებმა, ანტიოქიის ეკლესიის წარმომადგენელმა, ეპისკოპოსმა ნიფონმა, რომელმაც ანტიოქიის პატრიარქის სახელით უწმიდეს და უნეტარეს ილია II-ს თვალ-მარგალიტით შემკული ოქროს პანალია მიართვა. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ბ-მა ჯონ ტეფტმა წაიკითხა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის მილოცვის ტექსტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისადმი: „თქვენო უწმიდესობავ, ამერიკელი ხალხის სახელით, გულითადად გილოცავთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქად აღსაყდრების 30 წლისთავს. თქვენი ხელმძღვანელობით ეკლესია გაძლიერდა. ვიცი, რაოდენ გაფასებთ ქართველი ხალხი თქვენ და ყველა თქვენს მიღწევას. გისურვებთ საუკეთესო ჯანმრთელობას და შეძღვომ წარმატებებს“.

მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოს I-მა გააკვირვება და აღტაცება ვერ დამალა იმ საერთო ეროვნული ზეიმის მასშტაბებისა და მისი უწმიდესობის მიმართ ქართველი ხალხის განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო და აღნიშნა: „ვხარობთ გამოუთქმელი და კეთილი სიხარულით, რამეთუ ახლოდან დავინახეთ მაღლი უფლისა, გარდამოსული მსხმოიარე ვენახსა

ზედა საქართველოს ეკლესიისა ვხარობთ უთვალავი დიდებული ტაძრის მშენებლობის ხილვით, პატიოსანი მონასტრებიდან გამოძავალი ასკეტური ცხოვრების ძლიერი მაჯისცემით, ვხარობთ ყოველივე იმით, რასაც თვალთ ვხედავთ, გონებით ვწვდებით და ყურით ვისმენთ. მთელი გულით გისურვებთ, რომ უფალმა ღმერთმა სამარადისოდ დაგიცვათ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში, რათა არ დაინთქათ ამქვეყნიური ცხოვრების ბობოქარი და შემშუსვრელი ზღვის ტალღებში“.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილმა საიუბილეო ღვებმა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა მისი ღვაწლი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის, ქართველი ერის წინაშე. ქართველმა ხალხმა თავისი სულიერი წინამძღოლის მიმართ კიდევ ერთხელ გამოხატა უდიდესი პატივისცემა და სიყვარული.